

# თბილისის კონკრეტულ უბნებში პედოფილები ბავშვებზე ნადირობენ!!!

„მშობლებს მოვუწოდებ, ფრთხილად იყვნენ! ეს ადამიანი სადარბაზოებში ხვდება პატარა ბავშვებს და ხდება სექსუალური ძალადობის ფაქტები!“ 12


ყოველკვირეული

ალია

N6/734/ 8-14 თებერვალი 2016 წ

ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია, სამშაბათი ალია, ოთხშაბათი ალია, ხუთშაბათი ალია, პარასკევი ალია

WWW.ALIA .GE


„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

## რა უთხრა „ალიას“ ძმებ გაჩეჩილაძეებზე ბიძინა ივანიშვილმა? 13



„ეს იქნება ყველაზე დიდი დარტყმა ივანიშვილისთვის! ამიტომ ის ახლა ძალიან შეშფოთებულია“ 6

რას უყვება ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი „ალიას“ ირაკლი რუხაძეზე?



## რა ხდება „მაესტროზე“? 14

„კურიერის“ ყოფილ წამყვანს, ეკა ბესელიას პიარმენეჯერ ირაკლი მაისურაძეს თაღლითობაში ადანაშაულებენ! 33



ომის ვეტერანები შიხიაშვილს ქურდობაში ამხელენ და მის გადადგომას ითხოვენ!!! 32



„სოსო ჯაჭვლიანმა ჩემი კუთვნილი 23 000 ლარი მიითვისა! ამის გარდა, მიიღო დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის პრემია!“ 34





## „ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ“! 25

რა დაწერა მარგველაშვილმა 2001 წელს



## რას აპირებს გოგი თოფაძე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ?

რა განუცხადა დეპუტატმა „ალიას“ 16

ქალბატონთა შემადგენლობა ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ მთლიანად აყირავდება, ივანიშვილს კატეგორიულად აღარ სურს, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ნანა ყეინიშვილი, ელისო ჩაფიძე იხილოს საარჩევნო სიაში... 10



## პაატა ბურჭულაძე საკუთარ ფონდში „ნაციონალებს“ ასაქმებს



ქალაქ ოზურგეთში საქართველოს განვითარების ფონდის ოზურგეთის ოფისი პაატა ბურჭულაძემ, ვანო მაჭავარიანმა, ხათუნა ლაგაზიძემ და ალეკო მამეშვილმა გახსნეს.

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, სწორედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილი გახდება ფონდის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი.

მამეშვილის კოორდინატორობას ადასტურებს ფონდის პრესსამსახური. (marshalpress.ge)

## დოლარი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურდაო და იქნებ ლარსაც ეშველოს რამე...



გასული დღეების შედეგებით, 2009 წლის მაისის შემდეგ დოლარი ევროსთან მიმართებაში ბოლო 7 წლის პერიოდში ყველაზე მეტად გაუფასურდა.

დოლარი ევროსთან მიმართებაში 0,8 პროცენტით გაუფასურდა და 1 ევროს ღირებულება 1,1190 დოლარს შეადგენს. პარალელურად, ამერიკული ვალუტა იენთან მიმართებაში 0,7 პროცენტით გაუფასურდა. 1 დოლარის შეძენა ამჯერად 117,14 იენად არის შესაძლებელი.

– ფინანსურ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები ფინანსური ზრდის პერსპექტივებს ცვლის და ეს ამერიკელი პოლიტიკოსებისთვისაც გასაგებია, – განაცხადა ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტმა უილიამ დადლიმ. (commersant.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გაყალბებულ დოკუმენტებზე ამნისტია გამოცხადდა





გაყალბებული დოკუმენტების ამნისტიის ინიციატივა იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის და მისი მიზანია საქართველოს მოქალაქეთა მონაცემების დაზუსტება, მონაცემთა ბაზების გაწმენდა და საარჩევნო სიის სრულყოფა.

ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო გააყალბეს პირადობის მოწმობა, პასპორტი, სხვა სამგზავრო დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, დევნილის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა. ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუ მიმართავენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს, იუსტიციის სახლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს და თავად განაცხადებენ დოკუმენტის გაყალბების თაობაზე.

ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ყალბი დოკუმენტი ან დოკუმენტში არსებული მონაცემი გამოიყენეს კანონის ამოქმედებამდე; იმ პირებზე, რომელთაც გააყალბეს პირადი მონაცემები 2009 წლის 1-ელ იანვრამდე, აგრეთვე, მათზე, ვინც გაყალბებული დოკუმენტებით ან მათი მონაცემებით ისარგებლა.

პირადი მონაცემების თვითნებურად გადასწორება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა და ითვალისწინებს ფულად ჯარიმას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მოქალაქეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ამნისტიით და ყოველგვარი სასჯელის ან ჯარიმის გარეშე შეასწორონ გაყალბებული მონაცემები.

იმისთვის, რომ პირმა ამნისტიით ისარგებლოს, განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს, იუსტიციის სახლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 800 კვერცხი, 30 კგ შოკოლადი — რა დაჯდა ოპერის გახსნისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ტორტი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნის ცერემონიის ერთ-ერთი ძირითადი მშვენება ოპერის შენობის იდენტური ფორმისა და ვიზუალის მქონე ტორტი იყო. პომპეზური ტორტის გაკეთებას 800 კვერცხი, 30 კილოგრამი შოკოლადი და ერთი კვირა დასჭირდა.

როგორც ტორტის ავტორი თემურ გიგაური აცხადებს, ღონისძიების ერთ-ერთმა მთავარმა აქსესუარმა სტუმრების, მათ შორის, თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის, ნინო ანანიაშვილის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

გავრცელებული ინფორმაციით, დამკვეთებმა მასში 10 ათასი ლარი გადაიხადეს. კონდიტერი ტორტის ღირებულების ზუსტ ციფრს არ ასახელებს, თუმცა ადასტურებს, რომ ტორტი სოლიდური თანხა დაჯდა.

– ტორტს 800 კვერცხი და 30 კილო შოკოლადი დასჭირდა. ასევე, ფქვილი, შაქარი, ნაღები და სხვა ინგრედიენტებიც დიდი რაოდენობით. ის დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მზადდებოდა.

მხოლოდ სადგამის გაკეთებას 4 დღე დასჭირდა. სადგამი არის მთავარი. თუ კარგი სადგამი არ გაკეთდა, ტორტიც არ გამოვა, მით უმეტეს ასეთი ტორტი. თვითონ ტორტი 3 დღე კეთდებოდა. ჯამში, ერთი კვირა



დასჭირდა. ერთი დამხმარე მყავდა. საზეიმო ვახშამზე 250-300 ადამიანს ელოდებოდნენ. ტორტი სოლიდური თანხა დაჯდა, – ამბობს გიგაური. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიძინა კუჭავას ავტოფარეხში ძვალი იპოვეს



ბიძინა კუჭავას ავტოფარეხში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ძვალი იპოვეს, – ამის შესახებ კუჭავას მეუღლემ, მარიამ ნიკოლოზაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ძვალი ბეტონის საფარის დამტვრევის შედეგად აღმოაჩინეს და გამოსაკვლევად წაიღეს.

– რაღაცა ძვალი იპოვეს მიწაში, ის ამოიღეს იმიტომ, რომ სხვა ვერაფერი ნახეს, ძვალი დაილუქა და წაიღეს. ძალიან სასაცილოა. ბეტონსაფარი რომ დაინგრა, მიწის ამოთხრა რომ დაიწყეს, მიწაში იპოვეს, ქვები, ნაგავი იყო. რაღაცა რკინაც ეგდო და ასე გადაარჩიეს,... ძვალი იყო. ის დაილუქა და წაიღეს, – განაცხადა კუჭავას მეუღლემ.

კუჭავას ავტოფარეხში დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ავტოფარეხში სპეციალურმა მოწყობილობა გეორადარმა ანომალიური ნივთის არსებობა ბეტონის საფარის ქვეშ დააფიქსირა.

გარდა ამისა, ჩხრეკა ჩატარდა ბიძინა კუჭავას აგარაკზე ბორჯომის რაიონის სოფელ ტიმოთესუბანში. დაპირისპირება მოხდა ჩხრეკის დაწყებამდე ადვოკატსა და გამომძიებელს შორის. ნათია კორკოტაძე აცხადებს, რომ განჩინებაში, რომელიც 2016 წლის 6 თებერვლითაა დათარიღებული, წერია, რომ სახლის შესასვლელი ნაწილის დათვალიერება 5 თებერვალს ჩატარდა. გარდაცვლილის მეუღლე და ადვოკატი სწორედ ამ ფაქტს აპროტესტებენ. აგარაკი კუჭავას მეუღლის სახელზეა რეგისტრირებული (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გაზპრომთან“ შეთანხმება მიღწეული არ არის — კახა კალაძე





ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ შეთანხმება მიღწეული არ არის. კახა კალაძემ არც ის იცის, როდის გაიმართება „გაზპრომის“ წარმომადგენელთან მორიგი შეხვედრა.

რაც შეეხება მოლაპარაკებებში, პოლიტიკური დაინტერესების საკითხს, მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებებში არანაირი პოლიტიკური კონტექსტი არ არსებობს.

– მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, რომ ჩვენ გარკვეული წლების განმავლობაში უკვე გვაქვს ურთიერთობები „გაზპრომთან“. ასევე, ელექტროენერგიის ყიდვის თვალსაზრისით და საკმაოდ კარგი და მეგობრული ურთიერთობებია ამ მიმართულებით. ეს არის ურთიერთობები, რომელსაც ჩემი წინამორბედი მინისტრები გარკვეული სირთულის მიუხედავად აშენებდნენ. ნამდვილად არ ვაპირებ დღეს ჩემი დღევანდელი პოზიციიდან გამომდინარე, ეს ურთიერთობები ვიღაცის ან რაღაცების ხარჯზე დავანგრიო, – განაცხადა კალაძემ. (ნიუპოსტი)

## პაატა იმნაძე: საქართველოში ზიკას ვირუსის გავრცელების საფრთხე არ არის

საქართველოში ზიკას ვირუსის გადამტანი კოღო დაფიქსირდა.



როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე აცხადებს, საქართველოში ზიკას ვირუსის გავრცელების საფრთხე არ არის.

პაატა იმნაძე ფეხმძიმე ქალებს მოუწოდებს, ბრაზილიაში გამგზავრებისგან თავი შეიკავონ.

– ჩვენთან რისკი ძალიან დაბალია, რადგან არ გვაქვს გაცხოველებული ურთიერთობა ბრაზილიასთან და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებთან.

ფეხმძიმე ქალებმა ბრაზილიაში მგზავრობისგან თავი უნდა შეიკავონ.

ამ ვირუსის საქართველოში შემოტანის შანსი არსებობს, თუმცა გავრცელების შესაძლებლობა, ფაქტობრივად, არ არის. საფრთხე არ გველოდება, – აღნიშნა პაატა იმნაძემ. (ipress.ge)

## „ნარმანიას „ცოდვით“ მიწა გაიხსნა“



მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი სოციალურ ქსელში ფოტოს აქვეყნებს, სადაც ჩანს, რომ მეტროსადგურ „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გზა ჩაინგრა.

– ნარმანიას „ცოდვით“ მიწა გაიხსნა, – წერს ხაბეიშვილი. (ნიუპოსტი)

## თელავში ბუნებრივი აირის ტარიფი იზრდება



1-ლი აპრილიდან თელავში ბუნებრივი აირის ტარიფი იზრდება.

1 კუბურ მეტრზე 48 თეთრის ნაცვლად, მომხმარებელს 1-ლი აპრილიდან 59 თეთრის გადახდა მოუწევს. ტარიფის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ კომპანია „ვისოლმა“ აბონენტებს შეტყობინება უკვე გაუგზავნა.

თელავში, ბუნებრივი აირის გაძვირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ გააპროტესტეს. პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი ბოტკოველმა სპეციალური ბრიფინგი გამართა და ტარიფის ზრდაში ენერგეტიკის სამინისტრო დაადანაშაულა. (bpn.ge)

## სუიციდი ქუთაისში — ახალგაზრდამ ქუჩაში თავი ჩამოიხრჩო



ქუთაისში, ქუჩაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდამ თავი ჩამოიხრჩო.

შემთხვევა ანჯაფარიძის ქუჩაზე, წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ცხედარი ამავე ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა დილით, სახლიდან გამოსვლის შემდეგ ნახეს და საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

გარდაცვლილის ვინაობა უცნობია. (ნიუპოსტი)

## ათენში 34 წლის ელისო ვარდანიძე გარდაიცვალა — ოჯახი დახმარებას ითხოვს



საბერძნეთის დედაქალაქ ათენში საქართველოს მოქალაქე, 34 წლის ელისო ვარდანიძე გრიპის ვირუსის გართულებული ფორმით გუშინ საღამოს ათენის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა. გრიპის ვირუსმა პნევმონია გამოიწვია.

ვარდანიძეების ოჯახი გარდაცვლილის სამშობლოში გადმოსვენებას ვერ ახერხებს და დახმარებას საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს. ელისო ვარდანიძე წარმოშობით ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხიდან არის. ელისო ვარდანიძეს 3 წლის შვილი დარჩა.

სოფელ ვარციხის რწმუნებულის გაგა ლომინაშვილის ინფორმაციით, გარდაცვალებამდე ელისო ვარდანიძე საავადმყოფოში 27 დღის განმავლობაში ხელოვნური სუნთქვის მართვის აპარატზე იყო მიერთებული, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

– ჩემთან გარდაცვლილის მამა მოვიდა და დახმარება მთხოვა. ოჯახი სოციალურად დაუცველთა ფენას წარმოადგენს და შვილის გადმოსვენების ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს. როგორც გარდაცვლილის მამამ მიამბო, ელისოს შვილს გრიპის ვირუსი დაემართა და რამდენიმე დღის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა. ბავშვი გამოკეთდა და კარგად არის, თუმცა ელისო სწორედ იმ დროს გაცივდა და გრიპის ვირუსით დაინფიცირდა. ჩვენს ხელთ არსებული ბიუჯეტი გადმოსვენების ხარჯებს ვერ უზრუნველყოფს, თუმცა ვეცდებით, ყველაფრით დავეხმაროთ, – აღნიშნა გაგა ლომინაშვილმა.

ბაღდათის რაიონის საპარლამენტო დეპუტატი პაატა კიკნაველიძე:

– ჩვენს რაიონში იყო ანალოგიური შემთხვევა, როდესაც ერთი თვის წინ იტალიაში ბაღდათელი ჯულიეტა აბულაძე გარდაიცვალა. ჩვენ მოგვმართეს ოჯახის წევრებმა და რაიონის გამგეობა მათ 7000 ლარით დაეხმარა. თუ ვარდანიძეების ოჯახიც მიმართავს რაიონის გამგეობას ფინანსური დახმარებისთვის, ეს რაიონის კომისიის განსახილველი საკითხია და ვეცდებით, რომ ანალოგიური დახმარება ამ ოჯახსაც გავუწიოთ, – აღნიშნა პაატა კიკნაველიძემ. (kvira.ge)

## ბათუმში მშობიარე ქალი საავადმყოფოს ფანჯრიდან გადახტა

ბათუმში მშობიარე ქალი საავადმყოფოს ფანჯრიდან გადახტა და ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევა სამედიცინო ცენტრ „მედინაში" მოხდა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა 30 წლის მშობიარე ქალის თვითმკვლელობის მიზეზი. მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (pia.ge)

## მთვრალი თენგიზ გუნავა ზუგდიდში ნაგვის ურნებს შეასკდა, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა



ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელზეც ახლა გიამბობთ, ზუგდიდში მოხდა.

შემთხვევა 5 თებერვალს, საღამოს საათებში კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე მოხდა. ამ ისტორიის გმირი კი, შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი, თენგიზ გუნავა გახლავთ.

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თენგიზ გუნავამ, რომელიც ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრია, საჭე ვერ დაიმორჩილა, ჯერ – ნაგვის ურნებს, შემდეგ კი შურღაიების ღობეს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გუნავამ მსუბუქი დაზიანება მიიღო.

მანქანა, რომლითაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, გუნავამ ადგილზე დატოვა და შემთხვევის ადგილიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის" წევრის, ბათუკა შელიას კუთვნილი ავტომობილით მიიმალა. მომხდარზე საპატრულო პოლიციამ ოქმი გამოწერა, ხოლო ავტომობილი შემთხვევის ადგილიდან ფასიან ავტოსადგომზე გადაიყვანა.

ავტოსაგზაო შემთხვევას თვითმხილველები ჰყავს და მათი უმეტესობა ზუგდიდის მერიის თანამშრომელია. მაშ ასე, თვითმხილველთა სია ასე გამოიყურება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი თაზო ფაცაცია, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს მონიტორინგის განყოფილების უფროსი, გიორგი ხუბულავა, შპს „საქართველოს ფოსტის" ზუგდიდის სერვისცენტრის თანამშრომელი, რომეო ბაძაღუა.

ასევე, ადილობრივი მაცხოვრებლები – მაია როგავა და სახლის მეპატრონე შურღაიები. საპატრულო პოლიციამ ახსნა-განმარტება უკვე ჩამოართვა სახლის მეპატრონეებს – ლევან და ლეილა შურღაიებს. რაც შეეხება მერიის თანამშრომლებს, მათ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემაზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს უარი განუცხადეს.

დავუკავშირდით ავტოსაგზაო შემთხვევის ერთ-ერთ თვითმხილველს, ზუგდიდის მერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროს თაზო ფაცაციას, რომლის განცხადებით, მისთვის უცნობია, ვინ მართავდა ავტომობილის.

– მე რა ვიცი, რა მოხდა. რასაც პატრული ამბობს, ის მოხდა. მე რომ მივედი, პატრული და ყველა იქ იყო, – გვითხრა ფაცაციამ.

კითხვაზე, იყო თუ არა მძღოლი ყოფილი მაღალჩინოსანი თენგიზ გუნავა და იმყოფებოდა თუ არა ნასვამ მდგომარეობაში, ფაცაციამ ამასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა და აღნიშნა, რომ ეს საპატრულო პოლიციამ უნდა დაადგინოს.

ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტს ადასტურებს, შპს „საქართველოს ფოსტის" ზუგდიდის სერვისცენტრის თანამშრომელი, რომეო ბაძაღუა, თუმცა ამბობს, რომ მისთვის უცნობია, ვინ მართავდა მანქანას.

– იქვე ვცხოვრობ 200 მეტრში. შეჯახების ხმაზე გარეთ გამოვედი. როდესაც მივედი შემთხვევის ადგილზე, ფაქტი უკვე მომხდარი იყო. სიმართლე გითხრათ, მე იქ თენგიზ გუნავა არ მინახავს. არც ის ვიცი, რა მანქანით მოძრაობს გუნავა. რაც შეეხება მანქანას, ძალიან დამტვრეული იყო. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა მანქანა, რომელიც ჯერ ნაგვის ურნებს და შემდეგ სახლის ჭიშკარს შეეჯახა, – ამბობს რომეო ბაძაღუა.

როგორც თვითმხილველმა თუ ითანამშრომლა გამოძიებასთან, ბაძაღუამ ასე გვიპასუხა: „ჩემთან არავინ მოსულა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, სხვებმა მისცეს ჩვენება და მათ შორის ოჯახის წევრებმა. სანამ მე სახლიდან გამოვედი და ადგილამდე მივედი, იქ უკვე არავინ იყო, გარდა დამტვრეული მანქანისა. ჩემს სახლთან რომ მომხდარიყო ეს ფაქტი, მაშინ, რა თქმა უნდა, ვნახავდი, ვინ მართავდა მანქანას, – აღნიშნა რომეო ბაძაღუამ.

გარდა იმისა, რომ თანამდებობის პირი არაფხიზელ მდგომარეობაში ატარებს მანქანას, რაც დანაშაულია, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თვითმხილველები, რომელთა უმრავლესობა მერიის თანამშრომელია, ხელს აფარებს დამნაშავეს. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ყველას ეშინია გუნავასი, რადგან თავად გუნავა და „ნაციონალური მოძრაობა" გავლენებს ჯერ კიდევ ფლობენ ზუგდიდში. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მკვლელობა კუკიაზე — 31 წლის ქალბატონი ქმარმა მოკლა

მკვლელობა კუკიის დასახლებაში მოხდა. გარდაცვლილია 31 წლის ქალბატონი, რომელიც ყოფილმა მეუღლემ შელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში სასიკვდილოდ დაჭრა. ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა.

პოლიციამ 1976 წელს დაბადებული აბრამ ზ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 თებერვალს, ღამით, თბილისში, კუკიის დასახლებაში, უფლისციხის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილ მეუღლეს – 1984 წელს დაბადებულ ლია ტ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა აბრამ ზ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მომხდარის შესახებ ინფორმაციას ადილობრივი მცხოვრები მაკა სახურია ავრცელებს და დეტალებს იხსენებს:

– დივანზე ვიჯექი. ქუჩიდან ხმები მესმოდა, ქალი სახელს ეძახდა, კაცი ხმას არ იღებდა და მერე გასროლა მომესმა. არ ვიცოდი, რა მექნა. მთელი უბანი გარეთ გამოეფინა...... მოკლული 30 წლამდე ქალია, მდგმურად ცხოვრობდა, 2 შვილის დედა... მეუღლესთან რამდენიმე წლის გაშორებული იყო...

ამბობენ, რომ მეუღლე მოუვარდა. მან არ იცოდა, ქალი სად ცხოვრობდა, ერთი ბავშვი დედასთან იზრდებოდა, მეორე – მამასთან. კაცმა მეზობლად მცხოვრებ ქალის მამიდას იარაღის ძალით ათქმევინა ცოლყოფილის მისამართი... ტყვია შუბლზე დაახალა და მიიმალა... სიკვდილი მაშინვე დადგა.



სასწრაფო და პატრული წამსვე გამოვიძახეთ. სასწრაფოს ექიმმა თქვა, პულსი არ ესინჯება, გარდაცვლილიაო... საზარელი სანახავი იყო ეზოს ჭიშკართან დაგდებული ქალი... არ ვიცი, რა უნდა ყოფილიყო მკვლელობის მოტივი, მაგრამ რა მოტივმა უნდა გაამართლოს მსგავსი მხეცობა? ვფიქრობ ბავშვებზე, 10 წლამდე გოგონასა და ბიჭზე, რომელთაც დედა და მამა ერთდროულად დაკარგეს. ვფიქრობ გარდაცვლილის სულზე, მის ტანჯვაზე... ვფიქრობ მკვლელზე, რომელიც წინასწარი განზრახვით მოვიდა თავისი შვილების დედის მოსაკლავად.

არაფერს მოერიდა და უბნის თვალწინ მოკლა ქალი. დრო საგანგებოდ შეარჩია. ღამის 10-დან 11-მდე... როცა ქალაქს არ სძინავს... როცა ადამიანის გარეთ გამოყვანა შეიძლება. სახლში დაზაფრულები ვბრუნდებით და ვერაფრით ვიძინებთ მე და ნათია...

ალბათ, მოკლულის დედა იყო, ცოტა ხნის წინ რომ მოიყვანეს და შემზარავად კიოდა... ისეთი უძლურება ვიგრძენი, სიცოცხლე შემზარდა... ნათია გულამოსკვნილი ტიროდა... მე ცრემლიც არ გადმომივარდა. სამი საათია, გაშეშებული ვზივარ, – ამბობს სახურია. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საპატრიარქო შსს-ს „მაცაცოსთვის" პირადი დაცვის გამოყოფას სთხოვს




„როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილმა (ის ამჟამად ამ სახელით არის დარეგისტრირებული) საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელიც საბოლოო მიზნად ისახავს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას.

იგი თვითონ არის „ლგბტ" საზოგადოების წარმომადგენელი და მათი უფლებადამცველი.

მოგეხსენებათ, ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა) როგორ უარყოფითად არის განწყობილი ასეთ კანონთან მიმართებაში. ამიტომაც არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული ძალების მიერ ეს მდგომარეობა იქნას გამოყენებული პროვოცირებისთვის და გიორგი ტატიშვილის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის დასაგმობია და ყოვლად მიუღებელი მისი ეს ნაბიჯი (მით უმეტეს კანონის მიღება), მიუღებელია ძალადობრივი ქმედებაც და რა თქმა უნდა, ძალადობის უმძიმესი ფორმით გამოვლენა.

ამიტომაც თხოვნით მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, გაითვალისწინოს აღნიშნული და გიორგი ტატიშვილს, უსაფრთხოების მიზნით, დროულად გამოუყოს დაცვა, – ნათქვამია განცხადებაში. (marshalpress.ge)

## ჯვრისწერას შესაძლოა, იურიდიული ძალა მიენიჭოს



აღნიშნულს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს. პროექტი პარლამენტში ჯერ არ არის დარეგისტრირებული, თუმცა ასახულია 2016 წლის საგაზაფხულო სესიაზე მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხაში.

როგორც განმარტებით ნაწილშია ნათქვამი, საქართველოს კანონმდებლობით საეკლესიო ქორწინებას-ჯვრისწერას იურიდიული ძალა არ გააჩნია, თუ ქორწინება სამოქალაქო წესით არ არის რეგისტრირებული.

– შესაბამისად, იმ წყვილებს შორის, რომლებიც რელიგიურ ქორწინებაში იმყოფებიან, სამოქალაქო უფლება-მოვალეობები არ წარმოიშობა თანაცხოვრების დასრულების შემდეგ, ან ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მეორეს არ წარმოეშობა არანაირი ქონებრივი უფლება. პროცედურულ და ფინანსურ სირთულეებთანაა დაკავშირებული რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის აღიარების საკითხიც, რაც ასეთი ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვს არასახარბიელო სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების" მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამრიგად, კანონპროექტის მიზანია, ისეთი სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რომლითაც ჯვრისწერა წარმოშობს სათანადო სამართლებრივ შედეგებს. ამისთვის მნიშვნელოვანია, შედგეს კონსენსუსი საპატრიარქოს, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის და ჯვრისწერას მიენიჭოს იურიდიული ძალა. ჯვრისწერის შედეგებისთვის იურიდიული ძალის მინიჭების შემთხვევაში, იმ წყვილთა უფლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მომავალში პრიორიტეტს საეკლესიო წესით ქორწინებას მიანიჭებენ, კანონმდებლობით იქნება დაცული. გარდა ამისა, გამარტივდება დაქორწინებული წყვილების რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვებაც, – აღნიშნულია განმარტებით ნაწილში. (ინტერპრესნიუსი)

## თეთრი ლიმუზინი — მამა საბას ოჯახური ბიზნესი



შუხუთის ეკლესიის წინამძღვარმა ლიმუზინი შეიძინა – ინფორმაცია ელვისებურად მოედო ლანჩხუთს.

„გურიის მოამბის“ ინფორმაციით, შუხუთისა და ნიგვზიანის ეკლესიების წინამძღვარმა, მამა საბამ, ლიმუზინი შეიძინა, რომელსაც ძირითადად კომერციული მიზნებისთვის გამოიყენებს და მას მექორწილეებზე გააქირავებს.

თავად მამა საბა ლიმუზინის შეძენასა და მასთან კავშირს უარყოფს და აცხადებს, რომ ამ ბიზნესით მისი ვაჟიშვილია დაკავებული:

– კი, ვაქირავებთ, მაგრამ ჩემი შვილისაა, უკვე დიდი კაცია და მან შეიძინა, – გვიპასუხა მამა საბამ.

მამა საბას ვაჟი გიორგი ჟღენტი კი გვეუბნება, რომ ლიმუზინის ერთი მომსახურება 150-დან 350 ლარამდეა და ავტომობილი მას ბიძამ აჩუქა:

– ბიძაჩემმა მიყიდა და ვაქირავებთ, – ამბობს გიორგი. (გურიის მოამბე)

## ელისაშვილი: პროკურატურას წყაროს მხოლოდ იმიტომ არ ვუსახელებ, რომ გამოძიებას არ ვენდობი

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუკი, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, შეწყალების კომისიის თაობაზე მოწმეს ის ამ ფორმატში დაასახელებს. ელისაშვილი „თავისუფალ დემოკრატებს“ დახურულ კარს მიღმა შეხვდა, სადაც კომისიის შექმნის მიზანშეწონილობაზე იმსჯელებს.

მისი თქმით, „თავისუფალი დემოკრატები“ კომისიის შექმნის საკითხს უახლოეს მომავალში დააყენებენ.

– აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება კიდევ უნდა გავცვალოთ. გვაქვს პრინციპული თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ფრაქცია უახლოეს მომავალში დასვამს კომისიის შექმნის საკითხს და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ.

პროკურატურას წყაროს მხოლოდ იმიტომ არ ვუსახელებ, რომ გამოძიებას არ ვენდობი. პროკურატურა მხოლოდ ჩაფარცხვაზე მუშაობს. კომისია შეიქმნება თუ არა, აუცილებლად დავასახელებ იმ თანამდებობის პირს, იმ გარემოებებს, ყველა დეტალს, რაზეც ეს ადამიანი მესაუბრა.

იმედი მაქვს, „ქართულ ოცნებაში“ დარჩნენ პასუხისმგებლობის მქონე, ადეკვატური დეპუტატები, რომლებიც კომისიის შექმნას მხარს დაუჭერენ, – დასძინა ელისაშვილმა. (info9.ge)

# „მოარული ხმებით, რელიგიური მოტივებით „პროკრედიტ ბანკიდან“ თანამშრომლის გათავისუფლება პირველი არ არის“

### რას ეუბნება სკანდალური საქმის ადვოკატი „ალიას“



ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



„პროკრედიტ ბანკის“ მიერ კლიენტებისთვის ნათქვამი ფრაზის, „ღმერთმა დაგლოცოს“ გამო, სამსახურიდან დათხოვნილი ანა მ.-ს ინტერესების დამცველი აცხადებს, რომ აღნიშნულ ბანკს ამა წლის 8 თებერვალს ეწურება ვადა, როდესაც მან სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაასაჩივროს საქალაქო, ან უზენაეს სასამართლოში.

**აღნიშნულ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელ და ანა მ.-ს ინტერესების დამცველ არჩილ კაიკაციშვილთან დეტალურად „ალიას“ ერთ-ერთ წინა ნომერში ვისაუბრეთ. ამ მომენტისთვის კი დავინტერესდით, რა ხდება სკანდალური განთავისუფლების ირგვლივ?**

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ინფორმაციით, მოწინააღმდეგე მხარეს, ანუ „პროკრედიტ ბანკს“ 2016 წლის 8 თებერვალს ეწურება ვადა, როდესაც მან სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაასაჩივროს ან საქალაქო, ან უზენაეს სასამართლოში. ჩვენ მოცემული პერიოდი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ ამ ყველაფრის საქმის კურსში ჩაგვეყენებინა ცალკეული უწყებები და ინსტიტუციები. სკანდალური განთავისუფლების შესახებ პირველად ინფორმაცია სახალხო დამცველს მივაწოდეთ, ჩემსა და ბატონ უჩა ნანუაშვილს შორის შედგა შეხვედრა, რომლის ინიციატორი „ახალგაზრდა ადვოკატები“ იყო. მან მოისმინა საქმის ვითარება, დასვა მნიშვნელოვანი კითხვები და გამოთქვა გულისტკივილი იმ პრეცედენტის გამო, როდესაც კერძო სუბიექტი, ამ შემთხვევაში ბანკი, ამ ფორმით ცდილობს არასასურველი კადრების განთავისუფლებას. ჩვენ ვთხოვეთ სახალხო დამცველს, რომ შემდგომი სასამართლო ეტაპებისთვის გამოეყო სახალხო დამცველის სპეციალური მონიტორები, რომლებიც ამ საქმის მონიტორინგს განახორციელებდნენ. სახალხო დამცველი ამ საკითხის განხილვას დაგვპირდა და მზად ვართ, მას მომავალში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ.

**— წინა ინტერვიუში მითხარით, რომ აპირებდით ოფიციალური წერილით მიგემართათ „პროკრედიტ ბანკისთვის“, რათა საზოგადოების წინაშე ბოდიში მოეხადათ მათ მიერ რელიგიური მოტივით განთავისუფლებული თანამშრომლის ამბის გამო.**

– ორგანიზაციის სახელით, 2016 წლის 26 იანვარს ოფიციალური ღია წერილით მივმართეთ „პროკრედიტ ბანკის“ დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ხუსკივაძეს, ბანკის კიდევ ერთ დირექტორს, ქალბატონ სოფიო კორძახიას და ბანკის გერმანული მენეჯმენტის ხელმძღვანელს, ასევე, დირექტორს, ბატონ ალექსი მატუას. ჩვენ დავუსაბუთეთ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაკანონიერება და შეუსაბამობები, მოვთხოვეთ პასუხი დასაქმებულის რელიგიური მოტივებით განთავისუფლებასთან ბანკის ხელმეორე განმარტებებთან დაკავშირებით, რადგან ბანკის პირველი და უკანასკნელი განცხადება საზოგადოებამ მას შემდეგ მოისმინა, რაც აღნიშნული ფაქტის შესახებ საჯაროდ გახდა ცნობილი. მათი ოფიციალური, ახალი პოზიცია იმ ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი გაავრცელეს, სადაც ბანკის იურისტი მოსამართლესთან დისკუსიაში კიდევ ერთხელ ადასტურებს განთავისუფლების რელიგიურ მოტივებს – არ დაფიქსირებულა. ჩვენი წერილის მთავარი მიზანი იყო, ბანკს 29 იანვრის მდგომარეობით გაევრცელებინა ოფიციალური განცხადება და დაეგმო რელიგიური მოტივებით თანამშრომლის განთავისუფლება სამსახურიდან, ქართველი საზოგადოების წინაშე ბოდიში მოეხადა და დაედო პირობა, რომ საკადრო გადაწყვეტილებებისას მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა იმ მანკიერ პრაქტიკას, როდესაც ადამიანების ამ ბანკიდან განთავისუფლება მხოლოდ რელიგიური მოტივით უხდებოდა.

სხვათა შორის, სახალხო დამცველი დაინტერესდა, ვფლობდით თუ არა ინფორმაციას აღნიშნული ბანკიდან სხვა განთავისუფლებების შესახებ, რომელიც რელიგიური მოტივით იქნებოდა მოწოდებული. ჩვენ ასეთი ინფორმაცია იმჟამად არ გაგვაჩნდა, თუმცა არსებობს ცალკეული მოარული ხმები, რომ რელიგიური მოტივებით „პროკრედიტ ბანკიდან“ აღნიშნული განთავისუფლება პირველი არ არის და ასეთი პრობლემების წინაშე სხვა დასაქმებულებიც დამდგარან, რომლებიც ამჟამად ბანკში აღარ საქმიანობენ.

**— სად მოკარით ყური ასეთ ინფორმაციას?**

– ასეთი შეხედულებები მოვისმინე სოციალურ ქსელებში, ფორუმებზე, სადაც აღნიშნული თემა აქტიურად განიხილება. ამიტომ თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა მივმართო ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც „პროკრედიტ ბანკში“ საქმიანობდა და რომლის განთავისუფლებაც სწორედ რელიგიური მოტივებით მოხდა, აუცილებლად დაგვიკავშირდნენ და ჩვენ თითოეულ ასეთ ქეისს განვიხილავთ. ასევე, ამა წლის 1-ელ თებერვალს ოფიციალური წერილით, აგრეთვე, მივმართეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, ქალბატონ ბეტინა კადენბახს და ვთხოვეთ, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საელჩოს გამოეხატა თავისი ინტერესი. ვთხოვეთ, ჩანიშნულიყო მიღება როგორც საქმის ადვოკატთან, ასევე განთავისუფლებულ მოქალაქესთან. ამ დრომდე საელჩოს მხრიდან გამოხმაურება არ ყოფილა, თუმცა ვიმედოვნებ, რომ საქართველოში გერმანიის საელჩო ასეთი სენსიტიური თემების მიმართ აბსოლუტურად სწორ რეაქციას დააფიქსირებს. ჩვენ არ მიგვიმართავს, მაგრამ ძალიან მაკვირვებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამსახურის, კერძოდ, რელიგიის სააგენტოს დუმილი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რადგანაც ეს არის ერთადერთი ლეგიტიმური სამსახური, რომელიც ახდენს იმ პრინციპების განუხრელად დაცვას ცხოვრებაში და კერძო თუ საჯარო ურთიერთობების დროს, რომელიც ეხება რელიგიურ აღმსარებლობას, რელიგიურ თავისუფლებას, პიროვნულ განვითარებას და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას ამ მიმართულებით.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა დუმდეს რელიგიის სააგენტო?**

– არ ვიცი, ჩემთვის ეს აუხსნელია. ასევე, აუხსნელია ამ სააგენტოს რეალური ფუნქცია, თუკი ასეთი სერიოზული თემების მიმართ მათ არ ექნებათ თანასწორი დამოკიდებულება. ის ფინანსდება საჯარო ბიუჯეტიდან, შესაბამისად, მისი სტაფი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი, მათ შორის ამ სააგენტოს მეშვეობით, არის ის, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის აღმსარებლობას გაუფრთხილდეს, დაიცვას და პრობლემების შემთხვევაში შეისწავლოს და ჰქონდეს სწორი რეაგირება. ჩვენ არ ვაფინანსებთ რელიგიის სააგენტოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვადასხვა კონფესიების რელიგიური დღესასწაულების მიმართ ჰქონდეთ ოფიციალური განცხადებები და მხოლოდ მათი სხვადასხვა დღესასწაულის მილოცვით შემოიფარგლოს. სააგენტოს ოფიციალური როლი და დანიშნულება გაცილებით მეტია, ვიდრე რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა და მოლოცვა.

იმედი მაქვს, სააგენტოს ხელმძღვანელობა „პროკრედიტ ბანკიდან“ რელიგიური მოტივებით განთავისუფლებული ქალბატონის საქმით დაინტერესდება. ნამდვილად არ მინდა დამრჩეს განცდა, რომ აღნიშნული განთავისუფლება რომ შეხებოდა სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირს, მაგალითად, მუსლიმანს თუ სხვა აღმსარებლობის მქონე პირს, ჩვენი სამოქალაქო სექტორი, რელიგიის სააგენტო და ყველა, ვინც ამ თემაზე მუშაობს, მხოლოდ მაშინ დაგმობდა ხმალამოღებული ერთხმად ასეთ შემთხვევას. რადგანაც განთავისუფლება მოხდა ქრისტიანული აღმსარებლობის პირის რელიგიური გრძნობების საფუძველზე, ეს არ უნდა იყოს შეუმჩნეველი, რადგანაც თანასწორიანობის პრინციპი მოქმედებს მართლმადიდებელი ქრისტიანისთვისაც, მუსლიმანისთვისაც და სხვა რელიგიური აღმსარებლობის პირისთვისაც.

## თუ ხმაურიანი გართობა გიყვართ, 1-ელ სექტემბრამდე მოასწარით, მერე მაგრად დაჯარიმდებით



თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძე ხმაურთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ შემუშავებულ რეგულაციებზე საუბრობს.

თედო კობახიძის განცხადებით, კანონი, რომელიც დილისა და ღამის საათებში ხმაურის დონეს დაარეგულირებს, ძალაში 1-ლი სექტემბრიდან შევა. დადგენილ დეციბელებზე გადაჭარბების შემთხვევაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საპატრულო პოლიცია დააჯარიმებს.

– ხმაურის შესახებ საკანონმდებლო წინადადებით მივმართეთ პარლამენტს, რომ ხმაური დილის და ღამის საათებში დასჯადი იყოს. დღის საათებად განისაზღვრა დილის 7-დან 11 საათამდე პერიოდი, ღამის საათებად კი განისაზღვრა ღამის 11-დან დილის 7 საათამდე პერიოდი. დილით ხმაურის დონე 40 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს, ღამის საათებში კი – 30 დეციბელს. მოსახლეობა სხვისი გართობით ან სამუშაოთი არ უნდა გაიტანჯოს. მათ უნდა მოაწყონ ისე თავიანთი მხიარულება, რომ სხვა არ შეაწუხონ. კაფე-ბარებსა და სხვა ამ ტიპის დაწესებულებებს შეუძლიათ გააკეთონ მათ ფართში იზოლირება ისე, რომ გამომავალმა ხმაურმა სხვას პრობლემა არ შეუქმნას. ჩვენ არ ვიგონებთ ახალ ველოსიპედს. ეს ევროკავშირისა და ევროპარლამენტის დირექტივაა“, – განაცხადა თედო კობახიძემ.

ახალი კანონპროექტის შესაბამისად, ხმაურზე კონტროლი შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ კი საპატრულო პოლიციას დაევალება. პოლიციელები სპეციალური ხმაურმზომებით იქნებიან აღჭურვილნი და თუ დაშვებულ დეციბელებს იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირებმა გადააჭარბეს, ადგილზე დაჯარიმებას განახორციელებენ.

თედო კობახიძის განმარტებით, ფიზიკური პირი დღის საათებში კანონის დარღვევის შემთხვევაში 150 ლარით, ხოლო საღამოს საათებში 300 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. რაც შეეხება იურიდიულ პირს, კანონდარღვევის შემთხვევაში ის დღის საათებში 500 ლარით, ხოლო ღამის საათებში დარღვევის შემთხვევაში 1000 ლარით დაჯარიმდება. წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმის თანხა ორმაგდება. (mpress.ge)

# „მაგთიკომი“ „კავკასუს ონლაინთან“ მოლაპარაკებებს გასული წლის ნოემბრიდან აღარ აწარმოებს!

„კავკასუს ონლაინი“ განმარტავს, რომ მოლაპარაკება რამდენიმე მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან საცალო სეგმენტის შესყიდვის თაობაზე მიმდინარეობს. ამ საკითხთან დაკავშირებით „კავკასუს ონლაინი“ ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ ამ ეტაპზე „კავკასუს ონლაინს“ აქვს მოლაპარაკება რამდენიმე მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან, მათ შორის „ვიმპელკომთან“ და „მაგთიკომთან“ საცალო სეგმენტის შესყიდვის თაობაზე.

მოლაპარაკებების საგანი არ არის შავი ზღვის კაბელის და სახმელეთო მაგისტრალური ინფრასტრუქტურის გასხვისება. პროცესი არის გამჭვირვალე და კომპანიის იმ აქტივების დეტალური ჩამონათვალი, რომლის შესაძლო გასხვისებაზეცაა საუბარი, გაგზავნილია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, როგორც ამას მოითხოვს კომისიის დებულებები: კომპანიაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის შერწყმის, კომპანიაში წილების ან საოპერაციო აქტივების ნასყიდობის შესახებ ავტორიზებული პირი ვალდებულია მიიღოს კომისიის წინასწარი თანხმობა.

კომისიისთვის გაგზავნილ ჩამონათვალში არ არის შავი ზღვის მაგისტრალური კაბელი, შესაბამისად, ის არ არის კომერციული შეთანხმების ნაწილი, - ნათქვამია განცხადებაში.

**როგორც „მაგთიკომში“ განმარტავენ, „კავკასუს ონლაინთან“ მოლაპარაკებებს კომპანია გასული წლის ნოემბრიდან აღარ აწარმოებს.**

# ცოტნე გამსახურდია: სანამ წილხვედრის მოსახლეობა გაერკვევა, არის თუ არა კახეთში გაზის უმდიდრესი საბადო...

ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– სანამ წილხვედრის მოსახლეობა გაერკვევა, არის თუ არა კახეთში გაზის უმდიდრესი საბადო, იქაურობა რამდენიმე პოლიტიკოს-ბიზნესმენ-კრიმინალის ხელში აღმოჩნდება და მერე ირბინეთ ენაგადმოგდებულებმა! ასე მგონია მე... (news.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



რა გააკეთეს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ ლარის კურსის გადასარჩენად? შეხედეთ ეროვნული ვალუტის დღევანდელ მდგომარეობას და დასკვნას იოლად გამოიტანთ.

და რა გააკეთეს ლარის კურსის გაუფასურების გამო ლამის გაღარიბებული მომხმარებლებისთვის საქართველოში მომუშავე ბანკებმა? საერთოდ არაფერი!

ამ სიტუაციაში კი ეროვნული ბანკის მონაცემებით ირკვევა, რომ 2015 წლის დეკემბერში საბანკო სექტორის მოგებამ 84,5 მილიონი ლარი შეადგინა, ანუ იმის მაგივრად, რომ ბანკებს კეთილი ნება გამოეჩინათ და ასეთ კრიზისულ სიტუაციაში მომხმარებლებისთვის რაიმე შეღავათები დაეწესებინათ, პირიქით მოიქცნენ - შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და ხალხის ხარჯზე ჯიბეები კიდევ უფრო მეტად აივსეს!

განსაკუთრებით გაუჭირდათ ბანკების იმ მომხმარებლებს, რომელთაც სესხი დოლარში აქვთ აღებული, თუმცა ეს აბა, ვის აღელვებს?!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე აქეთ გვაყვედრის – მეც დოლარში მაქვს სესხი გამოტანილი და ეს პრობლემა მეც შემეხო, ეგრე კი არაა, მეც ვნერვიულობ და მეც დავზარალდიო.

უკაცრავად, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქვეყანაში ბევრი „ზურაბ ტყემალაძე“ ნამდვილად არ არის, ხალხი თვიდან თვემდე 300-500-ლარიანი შემოსავლით (ესეც კარგ შემთხვევაში) არჩენს საკუთარ ოჯახებს და ლარის გაუფასურებით მათი ზარალი ტყემალაძისა და მისნაირების ზარალთან შედარებით კატასტროფულია!..

მივუბრუნდეთ ისევ ბანკებს.

აზერბაიჯანის მაგალითი რომ ავიღოთ, სადაც ადგილობრივი ეროვნული ვალუტა პრაქტიკულად, განადგურდა, „ვითიბი აზერბაიჯანმა“ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და მომხმარებლების მხარდასაჭერად შეღავათების პროგრამა შექმნა. ბანკის ინფორმაციით, პროგრამა შექმნილია კლიენტებისთვის, რომლებიც საკრედიტო დავალიანების გადახდის დროს პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ბანკი კლიენტებს სთავაზობს ვალის დაფარვის სამ ვარიანტს, რაც ითვალისწინებს როგორც ყოველთვიური შენატანის, ისე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას...

– „ვითიბი აზერბაიჯანი“ კლიენტებისადმი შემხვედრ ნაბიჯებს დგამს და მზადაა, დაეხმაროს შესაძლო სირთულეების გადალახვაში. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა სახელწოდებით „კლიენტის მხარდაჭერა“. ამ პროგრამის ფარგლებში „ვითიბი აზერბაიჯანი“ მიდის მნიშვნელოვან დათმობებზე თავისი მსესხებლების მიმართ და ეს არ ეხება მხოლოდ დოლარის კრედიტებს. ჩვენ ასევე ვთავაზობთ დავალიანების ტვირთის შემცირებას მანათისა და რუბლის მსესხებლებს. ერთად ჩვენ ყველა სირთულეს გადავლახავთ, – აცხადებს ბანკის ხელმძღვანელი იური იაკოვლევი.

# ერთმა აზერბაიჯანულმა ბანკმა მთელ ქართულ საბანკო სისტემას აჯობა!








დავინტერესდით, გაითვალისწინებს თუ არა „ვითიბი აზერბაიჯანის“ მაგალითს პირველ რიგში, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“?

**„ალიას“ ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ბენდელიანი ესაუბრება:**

– პრინციპში, იგივე ჩვენს ბანკში უკვე საკმაოდ დიდი ხანია ხდება და არ არის ახლა წამოწყებული ინიციატივა. ჩვენმა კლიენტებმა იციან და მომართვებიც არის ჩვენს ფილიალებში – ვისაც დოლარში აქვს სესხი, ზოგს უნდა ვადაში გაუხანგრძლივდეს, ზოგს იმიტომ, რომ პრობლემები შეექმნა – უჩერდებათ საპროცენტო განაკვეთი, უფრო სწორად რაღაც საშეღავათო პერიოდი ეძლევათ. ანუ ასეთი მუშაობა ჩვენს კლიენტებთან მიდის და არაერთი ქეისია უკვე ასეთი გაკეთებული, რა დროსაც ჩვენს კლიენტებს შეღავათები დავუწესეთ. ამიტომ ეს ჩვენთვის არ ყოფილა ისეთი ინიციატივა, რომელიც ახლა უნდა დავნერგოთ და გავაკეთოთ. როგორც მითხრეს, წინა წლის, დაახლოებით, აპრილიდან ხდება ეტაპობრივად ყველა მომართვაზე რეაგირება. თავისთავად, კლიენტმა უნდა მოგვმართოს თხოვნით და ამის შემდეგ ხდება უკვე მასთან მუშაობა და მორგება იმ კონკრეტული შეღავათის, რომელიც მას აწყობს, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც უფრო ხელსაყრელია მისთვის.

**— საქართველოში ლარის კურსთან დაკავშირებული პრობლემები შემოდგომაზე დაიწყო და თქვენ აპრილიდან რატომ გადაწყვიტეთ ასეთი რამ? დაატყვეთ, რომ ლარი, შესაძლოა, გაუფასურებულიყო?**

– იცით, რა არის? შეიძლება დევალვაცია სხვა პერიოდში დაიწყო, მაგრამ ხომ არის პერიოდები, როდესაც კლიენტებს პრობლემები ისედაც ექმნებათ? ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც ლარის კურსს ეხება - ყოველ შემთხვევაში ჩვენ ჩვეულებრივად ყველა მომართვაზე ვრეაგირებთ და კლიენტებთან უკვე ინდივიდუალურად ვმუშაობთ და თუ რაიმე ასეთივე, ან მაგალითად, წყალდიდობით დაზარალებულების შემთხვევებში, ყველასთან ანალოგიურად გვქონდა სხვადასხვა შეთავაზება, როგორ შეგვემსუბუქებინა ეს ტვირთი.

**— ნინო, თქვენ საუბრობთ ზოგადად რესტრუქტურიზაციაზე, რაც ყველა ბანკს აქვს, ანუ ბანკი პრობლემურ კლიენტებს გადახდის სხვადასხვა სახის საშეღავათო პირობებს სთავაზობს, თუმცა ამ შემთხვევაში ლარის გაუფასურების ფონზე ვისაუბროთ: მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა დადგა ჩვენს ქვეყანაში, თუ დაგიწყიათ იმის მსგავსი შეთავაზებების გაკეთება მომხმარებლებისთვის, რაც აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკმა განახორციელა?**

– ის ნაბიჯები, რაც აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკმა პროგრამის სახით გამოაცხადა, ეს ისედაც ჩვეულებრივად იდგმება ჩვენთან. იქ არ ყოფილა რაღაც ისეთი სიახლე, რომელიც, ვთქვათ, საქართველოში არ არის დანერგილი და არ ხდება. ყველა კლიენტს სხვადასხვა მოთხოვნა აქვს, შესაბამისად, ყველა ის კომპონენტი, რაც აზერბაიჯანში „ვითიბის“ აქვს, ჩვენთანაც ხდება შეთავაზება, უბრალოდ, ჩვენთან ეს ინდივიდუალურ რეჟიმში ხდება და იმ მომართვების საფუძველზე, რომელიც კლიენტების მხრიდან არის.

**— თქვენს შემთხვევაში ინდივიდუალურ განხილვაზე საუბრობთ, აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკის შემთხვევაში კი საშეღავათო პირობები მასობრივად, მასშტაბურად, ყველას ეხება, ვისაც სესხი აქვს აღებული აღნიშნული ბანკიდან. ბანკმა ასე გადაწყვიტა, რთულ პერიოდში რაღაც შეღავათები დაუწესოს ყველა იმ ადამიანს, ვისაც მათთან სესხი აქვს აღებული. თქვენთან თუ არის ეს შეღავათები ასეთივე მასშტაბური (და არა ინდივიდუალური) ლარის დევალვაციის ფონზე?**

– მესმის... კარგით, ამას მე ახლა გავარკვევ, უბრალოდ, შეხვედრაზე შევდივარ, უკაცრავად და ცოტა ხანში გადმომირეკეთ, რა...

**სამწუხაროდ, „ვითიბი ბანკთან“ სხვა დეტალების გარკვევა ამ ეტაპისთვის ვეღარ მოხერხდა, თუმცა ვეცდებით, აღნიშნულ საკითხზე შემდეგში უფრო მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ.**

**რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სხვა ბანკებს: ვინაიდან აზერბაიჯანში კონკრეტულად „ვითიბი ბანკმა“ მოახდინა საკუთარი მომხმარებლებისთვის საშეღავათო პირობების დაწესება, ჩვენც შესაბამისად, პირველ რიგში, „ვითიბი ჯორჯიას“ დავუკავშირდით და მხოლოდ მათთან მიმართებაში დავინტერესდით, იქნებ აქაც გამოეჩინათ კეთილი ნება და ჯიბეების გასქელების ნაცვ**

# ვინ იქნება პირველი? — „საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით, დაუწერელი კანონია...“



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით დაუწერელი კანონია და თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება, შესაბამისად უსუფაშვილი არ უარყოფს, რომ „ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყოს.

– საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით, მგონი, დაუწერელი კანონია, თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება. ეს ბუნებრივი თემაა, თუ რამე სხვა განსაკუთრებული არ ხდება. ასე რომ, მე არ და ვერ ვხედავ რაიმე განსაკუთრებულს. ეს თემა ქაღალდზე დაწერილი და ხელმოწერილი არ არის, იმდენად რამდენადაც თავისთავად იგულისხმება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ვინც იქნება კოალიციის ლიდერი, კოალიციას ის უნდა გაუძღვეს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა. (პირველი რადიო)

# ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს უფლება ექნებათ, ევროკავშირის კანონები დაბლოკონ

ბრიუსელისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკებების შედეგად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს უფლება ექნებათ, ევროკავშირის კანონები დაბლოკონ. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ ქემერონის ადმინისტრაციის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, ევროკავშირის საკანონმდებლო ინიციატივის დასაბლოკად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების 55 პროცენტი უნდა გამოვიდეს.

ამჟამად, ევროკავშირის მოქმედი სისტემის თანახმად, წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს უფლება აქვთ, ევროკომისიის ინიციატივის წინააღმდეგ ერთობლივად გამოვიდნენ, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ევროკომისია იღებს, აღსანიშნავია, რომ ამ უფლებას პარლამენტი იშვიათად იყენებს. როგორც „ბიბისი“ წერს, ახალი ინიციატივა იქნება იმის გარანტი, რომ ევროკომისია ეროვნული პარლამენტების პოზიციის იგნორირებას ვეღარ შეძლებს. (ნიუპოსტი)

## აკაკი ბობოხიძე — ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ უკვე ჩაიბარა, სინამდვილეში დაუსრულებელია



საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე ხარაგაულის რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით საუბრობს და აღნიშნავს, რომ ხარაგაულის რაიონსა და სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხელისუფლებამ უკვე ჩაიბარა, სინამდვილეში დაუსრულებელია. ბობოხიძის თქმით, ის ხარაგაულში ირმა ნადირაშვილთან ერთად იმყოფებოდა და მიმდინარე სამუშაოებიც შეამოწმა.

– ვიყავით ხარაგაულის რაიონში, სადაც გაკეთდა ხიდი, თუმცა მასთან მისასვლელი გზა არ არსებობს. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა კულტურის ცენტრის გაკეთებაც, თუმცა შენობა აბსოლუტურად მოუწესრიგებელია და წყალი ჩამოდის. გაკეთებული პროექტების რიგშია ღობე, რომელიც 900 ლარი დაჯდა, თუმცა აღნიშნული ღობე რეალურად საერთოდ არ არსებობს. ხარაგაულის ერთ-ერთ რაიონში გაკეთდა წყლის საცავი, რომლის შედეგად სოფელი სასმელი წყლით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, თუმცა, ადგილობრივების თქმით, მათ წყალი ამ დრომდე არ მიეწოდებათ, – აღნიშნა აკაკი ბობოხიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ალექსანდრე ქანთარია: „უნდა დაკონკრეტდეს, რას გულისხმობს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა“




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე ქანთარია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის კანონპროექტზე საუბრისას აღნიშნავს, რომ იდეაში ბევრი რამე დასახვეწია. პარლამენტარი ასეთი ფორმით კანონპროექტის მიღებას სწორად არ მიიჩნევს.

– ზოგადად, კანონპროექტში აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს, რას გულისხმობს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. ეს არის სიძულვილის ენით საუბარი? კონკრეტული გამოხატვის უფლება? თუ რა იგულისხმება მასში? რამდენადაც ვიცი, ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა კომიტეტში მუშაობა მიმდინარეობს, იურიდიულ კომიტეტშიც გაგრძელდება და ალბათ, უფრო კონკრეტულ დასკვნამდე მივალთ. აზრსა და იდეაში, რა თქმა უნდა, ვეთანხმები, რომ უნდა შეწყდეს ამგვარი მიმართვები და ასეთი შეურაცხმყოფელი გამოთქმები ამა თუ იმ სასულიერო პირისა თუ თვითონ რელიგიური მიმდინარეობის მიმართ, – აცხადებს ქანთარია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



*ნინო სამხარაძე*

*599 71-14-22*



ექსპერტი

# „ეს იქნება ყველაზე დიდი დარტყმა ივანიშვილისთვის!

## რას უყვება ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო

**იურისტი ვალერი გელბახიანი იყო პირველი, ვინც დააანონსა ბიზნესმენ ირაკლი რუხაძის გააქტიურება პოლიტიკურ ვერტიკალში და განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ხელში სულ მალე მეორე ტელევიზია აღმოჩნდებოდა. უფრო დეტალურად, იგი „ალიასთან“ საუბრობს.**

**— რამდენიმე ხნით ადრე დააანონსეთ, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი კონკრეტული გეგმით მოქმედებდა, ამ ყველაფერს კი სათავეში ირაკლი რუხაძე ედგა. უფრო დეტალურად, რას მიაწერთ ლევან გაჩეჩილაძის გააქტიურებას, მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია ირაკლი რუხაძის შესახებ, რა ინტერესები დგას ამ პერიპეტიების მიღმა? რატომ აქვთ სურვილი, ხელში ჩაიგდონ 54-მილიონიანი დავალიანებით „მაესტრო“, რა ხდება?**

– რა თქმა უნდა, ვადასტურებ იმ განცხადებას, რაც ძალიან ადრე გავაკეთე, ვიდრე ეს ამბავი გახმაურდებოდა. მე ეს ინფორმაცია ტყუილად არ მითქვამს, მქონდა ამის საფუძველი. დადასტურდა, რომ ტყუილად არაფერი არ ხდება. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ ყველაფერს წინ უძღოდა რამდენიმე ფაქტი. კერძოდ, იყო მცდელობა, ირაკლი რუხაძე პოლიტიკაში შემოსულიყო და საკმაოდ დიდი თანამდებობა დაეკავებინა, საუბარი იყო პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მაგრამ ამ იდეას „ქართული ოცნების“ აქტიური ლიდერები არ დასთანხმდნენ, რის გამოც გაკეთდა შემდეგი სვლა, საჭირო იყო ძალისხმევა პოლიტიკური მიმართულებით და მოსამზადებელი სამუშაოების ისეთი მხრიდან წარმართვა, რომ ჯერჯერობით ეჭვი არ გაჩენილიყო და პოსტფაქტუმ გაკეთდებოდა განაცხადი, რომელიც უეჭველი არ ესიამოვნებოდა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ფაქტი ფაქტად იქნებოდა და შემდგარი. რაც არ უნდა დამალონ დღეს, ეს ამბავი უკვე გახმაურებულია, როცა 5 მილიონს იხდი, უკან აღარ დაიხევ იმაზე, რაც უკვე ჩაფიქრებული გაქვს და დინამიკაშია. აქედან გამომდინარე, სულ მალე გაცხადდება, რა ამოძრავებდათ მათ, ეს იყო პოლიტტექნოლოგიური სქემა და ეს არ იყო მხოლოდ მედიასივრცეზე კონტროლის აღება. თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება.

**— თქვენ ამბობთ, რომ ამ პროცესების უკან ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ინტერესები არ დგას?**

– არ დგას! როგორც ჩანს, სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნები რომ არ გაეყალბებინა, ის ვერ იგებდა. ლევან გაჩეჩილაძეც კი უგებდა მას არჩევნებს. ასე რომ, 2008 წლიდან მოყოლებული, 2012 წლით დასრულებული ხელისუფლება იდო მაგიდაზე და მას სჭირდებოდა აღება. მისი ამღები გამოჩნდა ბიძინას სახით. ახლა უფრო სუსტია ხელისუფლება, ვიდრე მიშას დროს. მაშინ ჟანდარმი და შიში მაინც იყო, ახლა ხელისუფლებას არც ჟანდარმის ფუნქცია აქვს და აღარც საზოგადოების მხარდაჭერა. ამიტომ დღეს ხელისუფლება მაგიდაზე კი აღარ დევს, მიწაზე აგდია, მიწაზე!.. ახლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ნოზავრი გამოდის პოლიტიკურ ველზე, ანუ ირაკლი რუხაძე პატარკაციშვილის ოჯახის სახით. ვეღარ იქნება ივანიშვილი მშვიდად, რაც არ უნდა ილაპარაკონ, რომ მათ შორის არის მეგობრობა. რაც არ უნდა ხაზი გაუსვან ძმებმა გაჩეჩილაძეებმა, რომ ისინი ძმაკაცობენ პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან და რომ გაჩეჩილაძეს აკავშირებს ნათელმირონობა ივანიშვილთან, პოლიტიკურ კონკურენციაში კარგად იცოდეთ, რომ მეგობრობა არ არსებობს, თითოეულ ხმაზე მიდის ნადირობა. გეტყვით, რომ, თუკი ჩვენ ვნახეთ ახალი პოლიტიკური ძალა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის სახით, ისინი წაიღებენ ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ხმებს. ამიტომ ივანიშვილი არ უნდა გრძნობდეს თავს არხეინად, იმდენად დიდი საფრთხეა და თუ მან ახლავე რაღაც ზომები არ მიიღო, უკვე დაგვიანებულიც კია. თავის დროზე ტელეკომპანიის სარფიანად გაყიდვა უნდოდა მაკა ასათიანის მეუღლეს კოტე გოგელიას, მან ივანიშვილს შესთავაზა, ეყიდა წილი, მაგრამ ივანიშვილი იმ ეტაპზე არ თვლიდა საჭიროდ, „მაესტროს“ წილი ეყიდა. შეგახსენებთ, ივანიშვილის სლოგანი იყო ტელევიზიის გარეშე მოეგო არჩევნები. ახლა ეს საფრთხე წინ დაუდგა, რომ ტელევიზიების გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებს. ამ შემთხვევაში ძმები გაჩეჩილაძეები თუ პოლიტიკური გარიგებით არიან დაკავებულები, ეს მათთვის უცხო არ არის, ყველას კარგად ახსოვს საპრეზიდენტო არჩევნებში 2008 წელს გაჩეჩილაძეს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან, რა თქმა უნდა, თუ დასჭირდებათ, აქტივობას განაახლებენ და წინა პლანზე წამოიწევენ. მისმა ტელევიზიებმა შეიძლება გაჩეჩილაძეები გმირებად გაიხსენონ, ვიდრე იმ ადამიანებად, რომლებმაც პრაქტიკულად არ გააგრძელეს ბრძოლა, ხალხი გაანაწყენეს, ლევან გაჩეჩილაძე შეხვდა კიდეც სააკაშვილს და დათმო პოზიციები.

**— მიუხედავად იმისა, რომ გაჩეჩილაძეებთან ივანიშვილს ნათელმირონობა აკავშირებს, პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ისინი გვერდით არ გაიკარა. გაჩეჩილაძეების თანამებრძოლები ზოგი პოლიტიკაში გადაანაწილა, ზოგი აღმასრულებელ რგოლში და ზოგსაც საზოგადოებრივი ფუნქცია მოუძებნა, ძმები კი პოლიტიკური თამაშიდან ამოვარდნენ. გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში ივანიშვილი არ მალავდა, რომ ის განაწყენებული იყო გაჩეჩილაძეებზე. დავიჯეროთ, რომ ირაკლი რუხაძე, ძმები გაჩეჩილაძეები ივანიშვილს ოპოზიციაში ჩაუდგებიან, თუ უშვებთ შანსს, რომ ეს მაინც ერთი დიდი თამაშის ნაწილია? გამოიყენებენ თუ არა ძმები გაჩეჩილაძეები „მაესტროს“ სავაჭრო თემად უფრო დიდი ფულისთვის?**



**„წამოიწევს სხვა ნიუანსები და გაირკვევა, რატომ გააფეტიშა ბადრის ოჯახმა ირაკლი რუხაძე“**

**„ირაკლი რუხაძე სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის „ქართულ ოცნებას“, მას არანაკლები ფული აქვს, ვიდრე ივანიშვილს, არანაკლები გამოცდილება აქვს და ადამიანურ რესურსებსაც არ უჩივის. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე მას შემდეგ გამოვა პოლიტიკაში, როცა შიდა ვაჭრობები დასრულდება“**

ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ აქ არავითარი პოლიტიკა არ არის, შეიყვანეს შეცდომაში და დღეს აღმოჩნდა, რომ პირდაპირი მიმართულებით პოლიტიკაა. საკითხის ანალიზი გავაკეთოთ და ვთქვათ, რა ხდება ამ ყველაფრის გარშემო და რა იქნება შედეგი? მე ვადარებ 2012 წლის მდგომარეობას 2016 წლის მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის რეჟიმი მოსახლეობას აშანტაჟებდა, ჟანდარმერიის ფუნქცია ჰქონდა, ატერორებდა, მხარდაჭერა მაინც არ ჰქონდა დიდი ამ შიშის მიუხედავად. მაშინ ხელისუფლება იდო მაგიდაზე, მისვლა და აღება უნდოდა, მაგრამ ხელისუფლების ამღები უნდა გამოჩენილიყო. სააკაშვილის რეჟიმი რომ არჩევნებს წააგებდა, ეს უკვე ჩანდა, მაშინ ამ ხელისუფლების ამღები გამოჩნდა, ეს გახლდათ ბიძინა ივანიშვილი. ის მითოლოგიური პიროვნებაც რომ არ ყოფილიყო, რომლის შესახებაც საზოგადოებაში მხოლოდ ლეგენდებს ჰყვებოდნენ და ფიზიკურად ნანახიც არ ჰყავდათ, ვიდრე ის აქტიურ საარჩევნო პროცესში არ ჩაერთო, ისეთი მოცემულობა გახლდათ, რომ მამაცი ლიდერი რომ გამოჩენილიყო, თუნდაც უფულო, ხალხი გაჰყვებოდა. ჩვენ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა დაგვანახა, რომ აღარ სჭირდება ისეთი ბრძოლები და ბარიერების გადალახვა, რაც სჭირდებოდა 2012 წელს, მთავარია, მიხვიდე და მიწიდან აიღო. ეს უნდა გაეაზრებინათ „ქართული ოცნების“ ლიდერებს და დღეს, როცა მთელმა საქართველომ და მსოფლიომ იცის, რომ ბადრი პატარკაციშვილი და მისი ოჯახი სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას ემსხვერპლა, ამიტომ მისი ოჯახი ქართველი ხალხისთვის აღიქმება, როგორც დაჩაგრული. და თუკი დავა წავა იმაზე, რომ პატარკაციშვილი იყო ოლიგარქი, არანაკლებ ოლიგარქია ბიძინა ივანიშვილი... და თუ მან შეძლო ხელისუფლების ხელში აღება, რატომ ვერ შეძლებს იგივეს პატარკაციშვილების ოჯახი? ამიტომ ორი ტელევიზიის ხელში ჩაგდება და საარჩევნო კამპანიის კონტროლის განხორციელება, ეს უკვე „ქართული ოცნებისთვის“ საგანგაშო სიგნალია, მით უმეტეს, რომ „რუსთავი 2“ მუშაობს „ნაციონალებზე“ და იკვრება წრე, როცა მთელი სატელევიზიო სივრცე განწყობილია საწინააღმდეგოდ „ქართული ოცნების“ და ისეთი პიარკამპანია გაჩაღდება, რომ შესაძლებელია, ბიძინა ივანიშვილის ხალხთან შეხვედრები და „ოცნების“ საარჩევნო კამპანია არც ერთმა ტელევიზიამ აღარ გააშუქოს. პირობითად ამ ვითარებას რომ დავარქვათ, დი-

– ამ ქვეყანაში ასპროცენტიანი არაფერია, შეგახსენებთ, რომ ბატონმა პაატა ბურჭულაძემ 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მისი კანდიდატურა დააყენა, მაგრამ შემდეგ შეხვდა ივანიშვილს და შეთანხმდნენ, რომ კენჭი აღარ უნდა ეყარა. ახლა ვხედავთ, რომ ბურჭულაძე დღეს პოლიტიკურად კვლავ გააქტიურდა, თუ დადასტურდა, რომ ირაკლი რუხაძე პოლიტიკაში მოსასვლელად ემზადება, ძმები გაჩეჩილაძეები ნეიტრალურ პოზიციას ვეღარ დაიკავებენ და ვეღარ დაიწყებენ ვაჭრობას ხელისუფლებასთან, მათ გაუუქმდებათ ხელშეკრულება. მაშინ გამოდის, რომ ბიძინამ უნდა გადაუხადოს მეტი ფული. ეს არ არის მარტივი თემა, თქვენ იცით, რომ 55%-ია გაჩეჩილაძის სახელზე და დამოუკიდებლად ვაჭრობის საშუალება არ მიეცემა. ალბათ, ირაკლი რუხაძე იმ დარჩენილ პროცენტებსაც შეიძენს და რა კონფიგურაცია დალაგდება,

არავინ იცის. მე არაფერს გამოვრიცხავ. ბადრიმ იცოდა ასეთი რაღაცის თქმა, – ის, რაც დღეს არ იყიდება, ხვალ გაიყიდება დიდ ფულზე.

**— ვინ არის ირაკლი რუხაძე, მას ვიწრო წრეებში იცნობენ, ფართო საზოგადოებისთვის ის რჩება „რუხ კარდინალად“.**

– ირაკლი რუხაძე ქართული პოლიტიკისთვის არის უცნობი სახე, რაც უფრო უცხო და უცნობია ადამიანი, მეტად საინტერესო ხდება ქართველი საზოგადოებისთვის, სანამ რუხაძე თავის სახეს არ აჩვენებს და თავის რესურსებს არ ამოწურავს, მანამდე მასზე ცუდის მთქმელი არა მგონია, ვინმე იყოს. ბადრის სიცოცხლეში ის

**სასამართლო პროცესს უგებს ვანო ჩხარტიშვილს, ლონდონის სასამართლო ჩხარტიშვილს აკისრებს, 68 მილიონი დოლარი დროულად გადაუხადოს პატარკაციშვილის ქვრივს, ინა გუდავაძეს. საინტერესოა, ვის მხარეს დაიჭერს ივანიშვილი და ესეც იქნება ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი, რისთვის სჭირდებათ „მაესტრო“ და დგას თუ არა რეალურად ხელისუფლება პროცესების უკან?**

– ივანიშვილი ცდილობდა, რომ საქმე ინა გუდავაძის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, ეს არის დადასტურებული ფაქტი, რომ ასე იყო. მაგრამ დღეის იქით როგორ იქნება, არ ვიცი და შეიძლება შეიცვალოს ტელევიზია – „მაესტრო“ და „იმედი“, აქვს ძალიან სოლიდური ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ დროულად მოხდეს პარტიული ორგანიზაციების შექმნა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პატარკაციშვილმა თავის დროზე შექმნა ძალიან სერიოზული პარტიული სტრუქტურა და ის ადამიანები არც ერთ პარტიაში არ წასულან, მათ სურთ, გააგრძელონ ბადრის გზა, ეს რესურსი აქვს ირაკლი რუხაძეს, თუკი გამოაცხადებს ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერების მობილიზაციას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა, რუხაძემ უნდა გაიზიაროს ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკური იდეოლოგია მილიონი დოლარის ეკვივალენტს ლარში. ასე იყო დამტკიცებული ბიუჯეტი განსვენებული ბადრი პატარკაციშვილის მიერ. მან ეს ფული თავის დროზე გადმორიცხა, მაგრამ გამოძიებამ დაადო ყადაღა, როცა დასრულდა გამოძიება, პატარკაციშვილი ცოცხალი აღარ იყო და მემკვიდრეობის სახით ეს თანხა წაიღო ბადრის ოჯახმა, თუმცა დღემდე გაურკვეველია, რის საფუძველზე წაიღეს მემკვიდრეობის სახით 8 მილიონი დოლარი მაშინ, როცა ეს იყო შრომითი ანაზღაურებისთვის გამოყოფილი თანხა და ამ ფულს ჰქონდა მიზნობრივი დანიშნულება და არა, მემკვიდრეობითი. ვის

## ექსპერტი

ეკუთვნის. რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა პროკურატურის შენობაში და პატარკაციშვილი არ გასცა. ათობით ადამიანი ჩასვეს ციხეში, ათასამდე ადამიანი ემიგრაციაში გაიქცა, განადგურდა ეს ხალხი, მარტო ფულზე არ არის საუბარი, ჩვენ არ გვინდა ბადრის სახელს ზიანი მიადგეს და ამიტომ ვცდილობთ, ეს საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდეს. ეს ხალხი არის ძალიან ლოიალური, თორემ თუ გაცხარდა, თქვენ ნახეთ, რა აქციები მოაწყვეს ოქროყანაში ბადრის სახლთან, ფულს ითხოვდნენ, მაშინ ბადრის დედამ, ქალბატონმა

# ამიტომ ის ახლა ძალიან შეშფოთებულია“

## შტაბის უფროსი „ალიას“ ირაკლი რუხაძეზე?





**„ბადრიმ იცოდა ასეთი რაღაცის თქმა, — ის, რაც დღეს არ იყიდება, ხვალ გაიყიდება დიდ ფულზე“**

**„ვეღარ იქნება ივანიშვილი მშვიდად, რაც არ უნდა ილაპარაკონ, რომ მათ შორის არის მეგობრობა. რაც არ უნდა ხაზი გაუსვათ ძმებმა გაჩეჩილაძეებმა, რომ ისინი ძმაკაცობენ პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან“**

**„ახლა უფრო სუსტია ხელისუფლება, ვიდრე მიშას დროს. მაშინ ჟანდარმი და შიში მაინც იყო, ახლა ხელისუფლებას არც ჟანდარმის ფუნქცია აქვს და აღარც საზოგადოების მხარდაჭერა. ამიტომ დღეს ხელისუფლება მაგიდაზე კი აღარ დევს, მიწაზე აგდია, მიწაზე!..“**

გახლდათ მთაწმინდის პარკის პროექტის ხელმძღვანელი, შემდეგ იყო ბორჯომის მენეჯერი, აკონტროლებდა პატარკაციშვილის ბანკს და მის სიცოცხლეშივე ჩაიბარა მისი ბიზნესის ძირითადი მიმართულებები, რაც კი მას საქართველოში ჰქონდა. ხოლო ბადრის სიკვდილის შემდეგ ქალბატონ ინა გუდავაძეს დაეხმარა იმ სადავო ბიზნესთემებში, ეს ეხებოდა ბერეზოვსკისთან ურთიერთობას, ასევე სხვა დანარჩენ რუს ბიზნესმენებთან ბადრის პარტნიორობას, მათ შორის, ვანო ჩხარტიშვილთან სამართლებრივ დავაში. ფაქტობრივად, ირაკლი რუხაძე გახდა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის პირდაპირი დამცველი, ბადრის ოჯახმა მას ანდო ოჯახის ბიზნესის წარმართვა. არის კიდევ სხვადასხვა გარემოებები, რაზე საუბარიც ჯერ ნაადრევია, დადგება დრო და წამოიწევს ის სხვა ნიუანსები და გაირკვევა, რატომ გააფეტიშა ბადრის ოჯახმა ირაკლი რუხაძე.

**— საინტერესო ინტრიგა შემოიტანეთ, არ არს დამალული, რაც არ გაცხადდეს... ჩვენ კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის წინაშე ვდგავართ, როცა ირაკლი რუხაძე ბრიტანეთში**

პოზიცია ივანიშვილმა და ამ საქმემ ვანო ჩხარტიშვილის წისქვილზე დაასხას წყალი. არადა, ივანიშვილმა ჩხარტიშვილი შერისხა იმის გამო, რომ მან გადააგდო პატარკაციშვილების ოჯახი და ამის გამო ჩემი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის კონტაქტებიც აღარ არის, დღეს ინტერესები ისე წამოვიდა პოლიტიკური მიმართულებით, რომ ივანიშვილის პოზიციები და შეხედულებები გადაისინჯება ვანო ჩხარტიშვილის მიმართ და შეიძლება ჩვენ პირიქით ვიხილოთ – ჩხარტიშვილი ივანიშვილის პარტნიორად პატარკაციშვილების ოჯახის საწინააღმდეგოდ.

**— თქვენ ბრძანდებოდით ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, თუკი ირაკლი რუხაძე შექმნის პარტიას, იქნება თუ არა პატარკაციშვილის პარტიის სამართალმემკვიდრე და თუ მოიაზრებით ამ კომბინაციაში... კიდევ, მაინტერესებს, რუხაძეს კონკრეტულად რა რესურსი აქვს პარტიის შესაქმნელად?**

– რუხაძეს რესურსი აქვს, გარდა იმისა, რომ მის ხელშია ძალიან მძლავრი იარაღი, ორი

და თუკი მის მემკვიდრედ გრძნობს თავს ირაკლი რუხაძე, მაშინ ბადრის პროგრამაც უნდა აღიაროს. კონტინგენტი, რომელიც ბადრისთან ერთად იბრძოდა, ბუნებრივად იქნება რუხაძის დასაყრდენი ძალა, თუკი მოვლენები ასე განვითარდება, როგორც გითხარით... რაც შეეხება კითხვას, მივიღებ თუ არა პოლიტიკური პარტიის ფორმირებაში მონაწილეობას, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით, ეს საკითხი მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული, ჩემს უკან ადამიანების ინტერესებია. თავის დროზე პატარკაციშვილის ოჯახთან იყო გაუგებარი დამოკიდებულებები, განაწყენებაც იყო. თუმცა თუ ირაკლი რუხაძე გააკეთებს განცხადებას, რომ მას არ აინტერესებს ბადრი პატარკაციშვილი და მისი პოლიტიკური მემკვიდრე არ იქნება, ცხადია, იმ ადამიანებისგან, ვინც პატარკაციშვილის აქტიური მხარდამჭერები იყვნენ, უნდა ელოდონ ძალიან დიდ ნეგატივს.

**— პატარკაცშვილის ოჯახს ვალდებულება აქვს, ბადრის პარტიის წევრებს გადაუხადოს კონკრეტული თანხა, გაააქტიურებთ თუ არა ამ საკითხის მოთხოვნას?**

– პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის სახელფასო ფონდი, რომელიც თანამშრომლებს არ მიუღიათ, შეადგენს 8

მიმართაც პატარკაციშვილის ოჯახს აქვს დავალიანება, ეს ხალხი არ დუმს, ჩვენ გვანდეს უფლებამოსილება ან სასამართლოს ან მოლაპარაკების გზით გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, დღემდე ველოდებით იქნებ შედგეს მოლაპარაკება, სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ და ოჯახიდან იყო შემოთვლა, რომ პროცესის დასრულების შემდეგ დავილაპარაკებდით, სასამართლო დასრულდა სულ ახლახან, ჩვენთან დიალოგი არ გაგრძელებულა, თუ არც დიალოგი და არც პოლიტიკური მიწვევა არ შედგება და თუ იმ ხალხს შრომითი ანაზღაურებას არ მისცემენ, ეს თქვენ ცოტა არ გეგონოთ, 42 ათას ადამიანზეა საუბარი. თუ ეს 42 ათასი ადამიანი გამოვა პატარკაციშვილის წინააღმდეგ და იტყვიან, რომ ესენი არიან აფერისტები და გადამგდებები, ბუნებრივია, ეს მათ რეიტინგსა და იმიჯზე ცუდად იმუშავებს. ამიტომ, ეს შრომითი დავალიანება თავისტკივილია ბატონი რუხაძისთვის, ხალხი ბრმა არ არის და უყურებს, რომ „მაესტროს“ საეთერო დრო იყიდა 5 მილიონად, 2 მილიონი გადაიხადა „მაესტროს“ წილების შესაძენად, რომ გაჩეჩილაძის წილი გამხდარიყო 55%, ამ დროს ხალხს, ვინც თავი გაწირა და სიცოცხლის ფასად იბრძოდა პატარკაციშვილის გვერდზე, არ აძლევ იმ ანაზღაურებას, რაც

ნათელამ გააკეთა განცხადება, რომ ოჯახს პრობლემები აქვს და ვალში არავისთან დავრჩებით, ყველას გავისტუმრებთ, როცა ამ პრობლემებს მოვაგვარებთო. მაგრამ ეს ხალხი დღეს ხედავს, რომ ოჯახს აღარ აქვს ფინანსური პრობლემები, ისინი მრავალმილიონიან ქონებას ყიდულობენ და გარდა ამისა, მათ ჩხარტიშვილს სასამართლო პროცესი მოუგეს. – როგორ ფიქრობთ, თუკი ირაკლი რუხაძე შექმნის პოლიტიკურ პარტიას, ვინ შეიძლება ვიხილოთ პატარკაციშვილის ოჯახის წევრებიდან, ინა გუდავაძე თუ მისი დები?

– ინა გუდავაძეს პოლიტიკური ამბიცია არ აქვს, მეტსაც გეტყვით, ის არის ძალიან ჭკვიანი და განათლებული ადამიანი, გამოირჩევა ანალიტიკური გონებით და როცა ბადრი პატარკაციშვილი პოლიტიკაში ჩაება, სწორედ ქალბატონი ინა ეუბნებოდა, რომ მისი გადაწყვეტილება იყო ნაადრევი და მარცხით დაასრულებდა. მე მიანც მგონია, რომ ეს არის ირაკლი რუხაძის ამბიცია და თუკი ის გონებრივად იმოქმედებს, მერწმუნეთ, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის „ქართულ ოცნებას“, მას არანაკლებ ფული აქვს, ვიდრე ივანიშვილს, არანაკლები გამოცდილება აქვს და ადამიანურ რესურსებსაც არ უჩივის. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ლევან გაჩეჩილაძე მას შემდეგ გამოვა პოლიტიკაში, როცა შიდა ვაჭრობები დასრულდება.

## პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭის ტენდენცია გადალახულია — მარგველაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, არსებობდა ტენდენცია, რომ პრეზიდენტის გამიჯვნა მომხდარიყო მიმდინარე პოლიტიკური საკითხებისგან.

მისი თქმით, ტენდენცია, რომ პრეზიდენტს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით საუბრის უფლება არ ჰქონდა, გადალახულია.

– იყო ტენდენცია, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ კანონებზე ნუ ისაუბრებ, რადგან არ გაქვს საკანონმდებლო ინიციატივა. ამიტომ შენ უნდა იყო გასული იმ საკითხებზე რეაგირებიდან, რაც კანონებს ეხება. მახსოვს საუბარი იმაზე, რომ, რადგან პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, მას რაღაც საკითხებზე კომენტირების უფლება არ აქვს. სულ ახლახან იყო ტენდენცია, რომ მოსამართლეების საქმიანობა დაცულია კონსტიტუციით და თურმე, პრეზიდენტმა ამაზე ხმა არ უნდა ამოიღოს. იყო ტენდენცია, რომ რამენაირად შევეცადოთ და პრეზიდენტი გავიყვანოთ რეალური პოლიტიკიდან. ეს აბსოლუტურად ალოგიკურია ნებისმიერ სახელმწიფო კონცეფციასთან. ეს ტენდენცია არის გადალახული. მივესალმები, რომ დამთავრდა პრეზიდენტის პოლიტიკური ფუნქციების შეკრეჭის ტენდენცია, – განაცხადა მარგველაშვილმა. (ნიუპოსტი)

## შესაძლოა, მამაძაღლობაა, მაგრამ აზერბაიჯანელებს კი მაგრად „გაუტყდათ“ და...



კომპანია „Frontera Resources“-ის ინფორმაციას, რომ სამხრეთ კახეთში გაზის დიდი მარაგია ნაპოვნი, მეზობელ აზერბაიჯანში რეზონანსი მოჰყვა.

ადგილობრივ პრესაში გავრცელდა აზერბაიჯანის ნავთობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ილჰამ შაბანის განცხადება, რომლის თანახმადაც, საქართველოში გაზის დიდი მარაგები ვერ იქნება.

მისი მოსაზრებით, „Frontera Resources“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ კახეთის სამხრეთ ნაწილში ბუნებრივი აირის დიდი მარაგია აღმოჩენილი, გამოწვეულია კომპანიის სურვილით, ბაზარზე საკუთარი აქციების რეიტინგი გაზარდოს.

– აღნიშნული კომპანია ამ ტერიტორიაზე გაზს დიდი ხანია ეძებს, თუმცა გაზის რაიმე მნიშვნელოვანი მარაგი ნაპოვნი არ იყო. რაც შეეხება ახალ მარაგებს, შესაძლოა, ის არსებობდეს კიდეც, მაგრამ არა იმ მოცულობითა და ხარისხით. 5,3 ტრილიონი კუბომეტრი ნიშნავს, რომ ნაპოვნია „შაჰდენიზის“ ზომის 5 საბადო. როგორც ჩანს, ეს გეოლოგიური მარაგებია და უცნობია, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება. ამ შემთხვევაშიც კი, გაზს რეგიონული მნიშვნელობა არ ექნება. ამ გაზის მიწოდება მხოლოდ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში იქნება შესაძლებელი, – აცხადებს ილჰამ შაბანი. (bpn.ge)

# აბა, აქ რატომ გაავსე ციხეები, შე ფურუნკულო?!



„უკრაინის პრეზიდენტი რომ იყოთ, პირველ რიგში, ვის ჩასვამდით ციხეში? შეგიძლიათ, კონკრეტული გვარები გვითხრათ?“ – ასეთი კითხვა დაუსვა ოდესის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილს ტელეწამყვანმა დიმიტრი გორდონმა გადაცემაში „სტუმრად დიმიტრი გორდონთან“.

– როგორ გითხრათ? ცოტა ხნის წინ ოდესის ოლქის პროკურორმა, დავით საყვარელიძემ თქვა, რომ იმისთვის, რათა უკრაინის საზოგადოება გაიწმინდოს, 15-20 000 ათასი ადამიანი ციხეში უნდა ჩაჯდესო, მე მას არ ვეთანხმები. დავითი ბრწყინვალეა, ჭკვიანი, გადასარევად აზროვნებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს რიცხვი გადაჭარბებულია. 20-30 კაციც რომ ჩაჯდეს ციხეში, დანარჩენები მიხვდებიან, რომ წესიერად უნდა იცხოვრონ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და იქვე თავის თანაპარტიელებზე ისაუბრა.

– ჩვენი პარტია საქართველოში ყველა გამოკითხვებით ლიდერობს. საინტერესო ფენომენია, ჩვენ ყველანი ან ქვეყნიდან გაგვიშვეს, ან დაგვაპატიმრეს. ჩვენი რამდენიმე ლიდერი ციხეში ზის, რასაც მე ძალიან განვიცდი, რადგან ისინი ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ადამიანები არიან, რომლებსაც ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლოთ. ნაცვლად ამისა, 5 კვადრატულ მეტრ საკნებში სხედან, რაც მე მკლავს. მათ ბრალდებებს რომ გადახედოთ, სასაცილოდაც არ გეყოფათ. მაგალითად, თბილისის მერს აქამდე ვერაფერი კონკრეტული ვერ უპოვეს. ყველა ვადა გავიდა და ის მაინც ციხეში ზის, – განაცხადა სააკაშვილმა. (ipress.ge)

# თავდასხმა ნიგერიაში — მძევლებს შორის საქართველოს მოქალაქეცაა



სააგენტო „Associated Press“-ის ინფორმაციით, ნიგერიელი მებრძოლები ნავთობტანკერ „ლეონ დიასს“ დაესხნენ თავს, რომლის ბორტზეც ეკიპაჟის 5 წევრი - 2 რუსი, 2 ფილიპინელი და ერთი ქართველი იმყოფებოდა.

სააგენტოს ინფორმაციით, მებრძოლები ნავთობტანკერს ჯერ კიდევ გასულ კვირას დაესხნენ თავს და ხომალდისა და ეკიპაჟის წევრების აფეთქებით იმუქრებოდნენ. თუმცა, 31 იანვარს ხომალდი დატოვეს და მძევლები თან წაიყვანეს. სავარაუდოდ, მებრძოლები გამოსასყიდის მოთხოვნას აპირებენ.

ტანკერი ამჟამად მეზობელი ბენინის რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ადგილობრივი საზღვაო ძალების დაცვის ქვეშ იმყოფება. მძევლების ადგილსამყოფელი კი უცნობია. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ხალხი ყაჩაღადქცეული ბანკებისა და აქვთ თუ არა თავის დაცვის

იგრძენი მომავალი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



**„ონლაინსესხის“ თანამშრომელი ზინაიდა სტურუა ჩემი ხმის გაგონებაზე ისტერიკაში ვარდება, მობილურზე საუბრისას რამდენჯერმე გათიშა, შეურაცხყოფა მომაყენა და ფიზიკური ანგარიშსწორებით დამემუქრა, მემუქრება ასეთი სიტყვებით: აქ რომ იყო, თმებით გითრევ, გაგგლეჯ შუაზე, „დავაი“, რა და ასე შემდეგ“**




ეთერ ბალაძე
593 15-64-47


ბანკებმა მოქალაქეთა დაყაჩაღების და მათი უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დატოვების ახალი პროექტი შეიმუშავეს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიღებულ კანონს ბანკებში შემდეგნაირად ხსნიან: რომ კანონი ადეკვატურია ქართული ეკონომიკური რეალობისთვის, ბანკის მევალისთვის მიცემული 7-დღიანი ვადა საკმარისად მიაჩნიათ. ეს დრო მოქალაქეს ბანკის ვალის დასაფარად ეძლევა. რაც შეეხება კანონს, მისი პრინციპები შემდეგნაირია: კანონის თანახმად, ბანკი მევალის ქონებას 7 დღეში გაყიდის, უკანასკნელ 10 წელიწადში შეძენილ ქონებას კი დააყადაღებს.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ვალის არსებობას სასამართლო დაადასტურებს, ვალის დასაფარად 7 დღე მიეცემათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ქონებას ბანკი დააყადაღებს. დაყადაღებული ქონება აუქციონზე გაიყიდება, დავალიანების მქონე პირს კი, მხოლოდ 4 კვირის სამყოფ საკვებს დაუტოვებენ, თუ ისიც გააჩნია. აღსრულების ბიუროს ინიციატივით, თბილისში მევალეთა რეესტრიც შეიქმნა, რომელშიც ის პირები შეჰყავთ, ვისაც კრედიტორის მიმართ დავალიანება აქვს და აღმასრულებლის მიერ მიცემული გაფრთხილების მიუხედავად, მის დაფარვას ვერ ახერხებს.

ბოლო რამდენიმე თვის წინ, ბანკებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი, იმასთან დაკავშირებით, რომ აპირებდნენ კლიენტთა სესხის რესტრუქტურიზაციას, თუმცა აღმოჩნდა, რომ რესტრუქტურიზაციის გეგმა „ბლეფი“ იყო. მიუხედავად ბანკირების სხვადასხვა პიარგანცხადებებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, უახლოეს მომავალში ბევრ ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება

**„ალია“ ბანკებისგან დაზარალებულ მევალეებს ესაუბრა**

**ნანა, საქართველოს ბანკის „(ტაო“) მევალე:**

– 2007 წელს ბანკიდან 1200 ლარის ღირებულების რამდენიმე ნივთი გავიტანე. ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ბანკში 4 ათასი ლარი შევიტანე. ფაქტობრივად, ვალი გადახდილია. მის შემდეგ 5 წელი გავიდა, მაგრამ აღარავინ შეგვხმიანებია. ვიცოდი, რომ ვალი გასტუმრებული მქონდა. 5 წლის შემდეგ ბანკიდან წერილი მივიღე, სადაც ეწერა, რომ გადაუხდელი 8 ათასი ლარია დაგროვილი. თავზარი დამეცა, გავოგნდი, საიდან შეგროვდა ამდენი ვალი? მეგონა, უკვე გასტუმრებული მქონდა. ან ბანკმა აქამდე რატომ არ შეგვატყობინა? ამხელა თანხას როგორ გადავიხდი, როცა პურის ფულიც კი არ მაქვს. ვალის გადახდაზე უარი ვთქვი, მოვიდა სააღსრულებო და საოჯახო ნივთები დამიყადაღა. საჭირო ნივთების დასახსნელად სამკაულები ლომბარდში ჩავაბარე და დავიხსენი. ამის შემდეგ ბანკში დამიბარეს და მაიძულეს, ვალის აღიარება მომეხდინა და 8 ათასი ლარი „შემაწერეს“. ნათესავების დახმარებით რამდენიმე თვის გადავიხადე. ახლა ველარ ვიხდი. ყოველდღე მირეკავენ და მემუქრებიან ისევ ნივთების დაყადაღებით. მუდმივი შანტაჟისა და მუქარის ქვეშ ვარ. ისეთ დღეში ვარ, თავის მოკვლა მინდა. საიდან მოვიტანო ამხელა თანხა?

**ნოდარ მაკრახიძე, „თიბისი“ ბანკის მევალე:**

– 2009 წელს „თიბისი“ ბანკიდან სესხი გავიტანე. სესხს ეტაპობრივად ვიხდიდი, მაგრამ მოულოდნელად ბანკმა ახალი მევალე მიპოვა (ეს ნაცადი მეთოდია), რომელიც ფულს მასესხებდა. ასე, თითქოს მასესხეს 19 ათასი, რითაც ბანკის ვალი დაიფარა. 14 ათასის ნაცვლად ჩემი ბინაც და სახლიც იპოთეკით დატვირთეს, ისე, რომ მე არაფერი მკითხეს. მცირე ბიზნესი მქონდა და ბანკის ვალებს ვიხდიდი. გავკოტრდი, ბიზნესი ჩამივარდა. ჯარიმები და მაღალი პროცენტები სესხის დაფარვის საშუალებას არ მაძლევდა. მოულოდნელად სააღსრულებო მომადგა, ისე, რომ არც გავუფრთხილებივარ და გამომასახლეს. მთელი ოჯახი ქუჩაში დავრჩით. შემდეგ ბანკმა ხაშურში მდებარე სოფლის სახლიც გამიყიდა და სრულიად უსახლკაროდ დავრჩი. 14 ათასი ლარის ნაცვლად 60 ათასი დოლარის ქონება წაიღეს. ახლა ჩემი ოჯახი ქირით ცხოვრობს და ქირის გადახდაც არ შეგვიძლია. მეც და ჩემი მეუღლეც საოპერაციო ვართ. სიღარიბის პროგრამაში ვიყავით, ფულად დახმარებას ვიღებდით და ისიც შეგვიჩერდა. ვფიქრობ, სამართლებრივად მოვაგვარო ჩემი პრობლემა, სასამართლოში სარჩელი შევიტანე და მოვითხოვ კუთვნილი ქონების უკან დაბრუნებას. იმ ქონების, რაც ბანკმა გამიყიდა. უმუშევარი და უსახლკარო ვარ, ქირა როგორ გადავიხადო? განუკითხაობაა, ახლა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს იმედი მაქვს.

**გიული, „ტაო“ ბანკის მევალე:**

– ახლობლის რჩევით „ტაო“ ბანკში „მარწყვი ბარათი“ ავიღე და ერთბაშად 300 ლარი დამერიცხა, თანხა გამომქონდა და ისევ შემქონდა. შემდეგ სამსახურში პრობლემები შემექმნა და ბანკის თანხას დროულად ველარ ვფარავდი. ბანკი კი, პროცენტებს „მაწერდა“. ხელფასი პროცენტებში მიმდიოდა და ველარ ვფარავდი. პროცენტებიც მემატებოდა, ასე ნელ-ნელა შეგროვდა და 1300 ლარი შეადგინა. ისე მიჭირს, ზოგჯერ პურის ფულიც არ მაქვს. მეუღლე უმუშევარია, ხელფასი ძალიან დაბალი მაქვს და არ ვიცი, როგორ დავფარო ბანკის ვალი. შემპირდნენ, რომ ჩემი ვალის რესტრუქტურიზაციას მოახდენდნენ, მაგრამ მერე უარი მითხრეს. ალბათ, ამ ვალს ვერასოდეს გადავიხდი, ერთბაშად, ამდენი ფული სად უნდა ვნახო, თანაც ყოველთვიურად პროცენტებიც გვეწერება. „ტაო“ ბანკი „საქართველოს ბანკს“ შეუერთდა, არ ვიცი, რა მოხდება ახლა. მეშინია, უარეს ვალებში არ გადამაგდონ.

**არც „ონლაინსესხების“ მომხმარებლები არიან კარგ დღეში, მათაც „აწერენ“ თანხებს და უფრო მეტიც, ზოგჯერ ემუქრებიან კიდეც.**

**თამარი, „ონლაინსესხის“ მევალე:**

– ავიღე ონლაინსესხი, მაგრამ ვერ გადავიხადე და დამიგროვდა, შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, რომ გადამინაწილებდნენ. ჩავრიცხე ვალის ნაწილი 150 ლარი (ჯამში, სულ 300 დარჩა, რომელიც წინა კრედიტოფიცერმა დაგვიტოვა). მობილურზე ამ პიროვნებას დავუკავშირდი, რომლის სახელი და

## პროტესტი

გვარი ძლივს გავიგე, მოგვიანებით, წინა კრედიტოფიცრისგან. ზინაიდა სტურუამ მითხრა, რომ სამსახურში არ იყო, მივიდოდა და დააფიქსირებდა ამ გადახდას, რასაც მოყვებოდა გრაფიკის შექმნა. რამდენიმე დღის განმავლობაში ვუკავშირდებოდი და იგივე პასუხს ვიღებდი. მეექვსე დღეს მეუბნება, რომ 6 დღის ჯარიმა მაქვს გადასახდელი, ანუ ის პერიოდი, როცა სამსახურში არ დადიოდა. ანუ მიახლოებით 21 ლარი ან ცოტა მეტი. როცა ამაზე პრეტენზია გამოვთქვი, მიპასუხა, რომ ეს არ არის ის თანხა, რომელზეც უნდა ვილაპარაკო და სჯობია, გადავიხადო.

როგორ ვიხადო იმის პროცენტი, რაც უკვე ჩარიცხული მაქვს? და თან გრაფიკსაც არ მიკეთებს. როცა პრეტენზია გამოვთქვი, მუქარა და შეურაცხყოფის მოყენება დამიწყო... „ონლაინსესხის“ ცხელ ხაზზე რომ ვრეკავ, მეუბნებიან, რომ ჩემი საქმე არის გადაცემული, რაღაც შპს „პრობლემურ სესხებს“. მათ საკონტაქტო ინფორმაციას არ მაწვდიან, არც მისამართს, მხოლოდ ისევ იმ თანამშრომლის მობილურის ნომერს და ის პიროვნება, ანუ ეს ზინაიდა სტურუა, არ მიქვითავს, არც მიჩერებს პროცენტს და არც გრაფიკს მიკეთებს. სხვა ადამიანს, ან მის ზემდგომს, ვერ ვპოულობ, რომ რაიმე გავარკვიო. ჩვეულებრივი საუბრისას ზინაიდა სტურუა ისტერიკაში ვარდება, მობილურზე საუბრისას რამდენჯერმე გათიშა, შეურაცხყოფა მომაყენა და ფიზიკური ანგარიშსწორებით დამე-

მუქრა, მემუქრება ასეთი სიტყვებით: აქ რომ იყო, თმებით გითრევ, გაგგლეჯ შუაზე, „დავაი“, რა და ასე შემდეგ. ჩანაწერი, ალბათ, დაფიქსირებული იქნება მობილური ოპერატორის კომპანიაში. მე გადახდაზე უარს არ ვამბობ, უბრალოდ, მინდა გრაფიკი, ან ადამიანი ამ ორგანიზაციიდან, ვისაც დაველაპარაკები და ვერავის ვპოულობ. რომელ ორგანიზაციას მივმართო დასახმარებლად, არ ვიცი...

**პროტესტი**

# მიკროსაფინანსოების წინააღმდეგ!

## შანსი ბანკის მევალეებს?



**გიორგი გუგავა: ,,ეს პიარაქციები კი არა, აქციებია, ბანკირი ყაჩაღების წინააღმდეგ მიმართული. მივაღწევთ იმას, რომ მოსახლეობა მათგან დავიცვათ“**

**„ალია“ „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ხათუნა კაკაბაძეს დაუკავშირდა, რომელიც ჩვენთან საუბარში განმარტავს, რომ მევალეთა რეესტრში ადამიანი ხვდება მხოლოდ ძალაში შესული კანონიერი გადაწყვეტილების შედეგად, ანუ იმ შემთხვევაში, თუ სესხის დაფარვა ვერც ერთი გზით, მათ შორის რესტრუქტურიზაციით ვერ მოხერხდა და მომხმარებლის საკითხი სასამართლოში წყდება. ხათუნა კაკაბაძე აცხადებს, რომ ხშირ შემთხვევაში ბანკსა და მევალეს შორის ხდება მოლაპარაკება და ყველა ვარიანტში საქმე კლიენტის სასარგებლოდ მთავრდება. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სხვადასხვა ბანკთან სასამართლო დავები არ წყდება კლიენტის სასარგებლოდ.**

**ხათუნა კაკაბაძე, „საქართველოს ბანკი“:**

– ბანკების თვითმიზანი არ არის, მომხმარებელთან ურთიერთობა სასამართლოს გზით გადაწყდეს ან მოახდინონ მომხმარებლის ქონების გაყიდვა. ბანკი მოწოდებულია, მომხმარებელს დაეხმაროს, რათა მან შეძლოს სესხის დაფარვა და თუ მომხმარებელს სესხის დაფარვაში პრობლემა არ შეექმნება, ასევე, სესხის რესტრუქტურიზაციასაც სთავაზობს.

**— ეს კანონი ხომ თავისთავად გამორიცხავს სესხის რესტრუქტურიზაციას, რომელიც 7 დღის ვადაში პიროვნების პირად საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებს?**

– ეს მეთოდი ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში აპრობირებულია, ამიტომ ამ კანონში პრობლემური არაფერია.

**— თუმცა ცივილიზებულ ქვეყნებში მოსახლეობის 1/4 არ არის ამხელა პროცენტების მქონე ბანკის მევალე?..**

– ეს ციფრი დიდია, მაგრამ კლიენტებს მიეცემათ საშეღავათო პერიოდი და ბანკი მათი სესხის რესტრუქტურიზაციაზეც უარს არ ამბობს.

**ბანკების წინააღმდეგ „ლეიბორისტულმა პარტიამ“ წინა კვირას აქციები დაიწყო. ბანკების მევალეებთან ერთად, ლეიბორისტები სხვადასხვა ბანკების წინ, საპროტესტო აქციებს მართავენ და ბანკების მიერ დაკისრებულ ჯარიმებისა, მაღალი პროცენტების მოხსნას მოითხოვენ. „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ბანკების მიერ ხალხის დაყაჩაღებაში ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს ადანაშაულებს.**

**— ბატონო გიორგი, თქვენი პარტია აქციებს მართავს და ბანკების მიერ ხალხის დაყაჩაღებაში ყოფილ პრემიერს ადანაშაულებს. რატომ?**

– იმიტომ, რომ მთავარი ყაჩაღი, მაფიოზა ბანკირი საქართველოში ბიძინა ივანიშვილია. მაშინ, როდესაც ლარის გაუფასურების შედეგად მოქალაქეებს პროცენტები და კრედიტები უძვირდებათ, ასევე, ეზრდებათ ტარიფები და ფასები პროდუქტზე, ამ ნაძარცვი თანხებით, პროპორციულად იზრდება „ქართუ ბანკის“ ანგარიშები. ივანიშვილის ბანკის მოგებამ რეკორდულ – 1750%-ს მიაღწია. შემოდგომაზე „ლეიბორისტული პარტია“, ხალხთან ერთად, ქვეყანაში მილიარდერ-მილიონერების კრიმინალურ მმართველობას დაამარცხებს, ხოლო ნაძარცვი ქონება დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდებათ. ჩვენ გარდავქმნით მძარცველ ბანკებს ცივილიზებულ საფინანსო ინსტიტუტად, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეების კეთილდღეობასა და ბიზნესის განვითარებას.

**— რა შედეგები ექნება თქვენს აქციებს, თუ არჩევნების იმედი გაქვთ და ესეც თქვენი პიარაქციების ნაწილია?**

– ბანკებმა საქართველოს მოსახლეობას პროცენტებისა და ჯარიმების სახით 100 მილიონი შეაწერა... „ლეიბორისტულმა პარტიამ“ ბანკის კრედიტორებზე გაზრდილი პროცენტების შეჩერება მოითხოვა. თუმცა ამ დრომდე არც ერთი ბანკი არ გამოგვეხმაურებია, ეს პიარაქციები კი არა, აქციებია, ბანკირი ყაჩაღების წინააღმდეგ მიმართული. მივაღწევთ იმას, რომ მოსახლეობა მათგან დავიცვათ.

**— აქციების გაგრძელებას კვლავ გეგმავთ?**

– რა თქმა უნდა, ახლა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ბანკებს მივადგებით. თუ ჯარიმებს არ მოუხსნიან ბანკები, ჩვენ შევძლებთ ხელისუფლებაში მოსვლას და გაჭირვებულ ხალხს, ბანკების ვალებისგან გავათავისუფლებთ.

პოლიტიკოსების ეს შეპირებები რამდენად რეალურია, ეს მკითხველმა განსაჯოს. აღმოჩნდა, რომ რესტრუქტურიზაციის გეგმა ბანკების მორიგი „ბლეფი“ იყო. მიუხედავად ბანკირების სხვადასხვა პიარგანცხადებებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, უახლოეს მომავალში ბევრ ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება.

**„ალია“ სააღსრულებო სამსახურს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. როგორც სააღსრულებო სამსახურის პრესსამსახურის წარმომადგენელი პაატა შამუგია განმარტავს:**

– აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ბანკების მევალეების ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ამას სჭირდება 10 სამუშაო დღე, რომ მოხდეს მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა. ვერც იმას გეტყვით, რამდენი ადამიანის ქონება იქნა დაყადაღებული და გაყიდული. ან მორიგებით რამდენი საქმე დამთავრდა. თუ გსურთ, ინფორმაციის მიღება, მაშინ ოფიციალური განცხადება შემოიტანეთ საჯარო ინფორმაციის მისაღებად.

**ახალ საბანკო კანონს, რაზეც დასაწყისში გესაუბრეთ, ექსპერტი გია ხუხაშვილი შემდეგნაირად აფასებს:**

– ბანკები მიიღებენ გარკვეულ სარგებელს ამ 7-დღიანი ვადის მისაცემად კლიენტებისთვის, მაგრამ შემდეგ რა იქნება? იქნება ის, რომ, ფაქტობრივად, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ბანკებთან ურთიერთობას შეწყვეტს, ბანკები, ფაქტობრივად, კლიენტების გარეშე დარჩებიან. ეს კანონი პოლიტიკური ფორსმაჟორითაა განპირობებული და ხელისუფლება ვალდებულია, პასუხისმგებლობა გადაინაწილოს მეწარმეებთან ერთად. თუ ხელისუფლება და ბანკები ვალის ამოღების ბლიც-მეთოდებს მიმართავენ, ამით მხოლოდ თავადვე დაზარალდებიან, ვინაიდან ერთიან თანხას ამოიღებენ და შემდეგ, ფაქტობრივად, მათი ბიზნესი და ეკონომიკური წინსვლა გაჩერდება. ამას მოჰყვება ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის ახალი ტალღა.

**ჯერჯერობით ბანკებს კლიენტების დაკარგვის არ ეშინიათ, იმიტომ, რომ დავალიანების მქონე ბევრი კლიენტი ჰყავთ, რომელსაც ნელ-ნელა სისხლს სწოვენ და ამით მილიონებს აკეთებენ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გოგი თოფაძე არ უნდა წავიდეს პარლამენტიდან...“ — გოგა ხაჩიძე



ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის“ წევრის გოგა ხაჩიძის განცხადებით, გოგი თოფაძემ პარლამენტის მანდატი არ უნდა დატოვოს და უნდა დარჩეს იმის მაგალითად, რას ნიშნავს მისნაირი აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება მოხვდეს პარლამენტში:

– გოგი თოფაძემ არ უნდა დატოვოს მანდატი, არ უნდა წავიდეს პარლამენტიდან, პირიქით, ახალი პარლამენტის არჩევამდე ასე ცოცხალ მონუმენტად უნდა იყოს პარლამენტში, რათა საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, კარგად დაინახოს, რა არის ეს აზროვნება და როგორი ადამიანი შეიძლება იყოს მათი წარმომადგენელი, – განაცხადა გოგა ხაჩიძემ. (ნიუპოსტი)

## გიგლა აგულაშვილი: კახეთში გაზის აღმოჩენაზე ინფორმაცია თუ დადასტურდა, მთავრობა ადეკვატურ ზომებს გაატარებს



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ კახეთში დიდი რაოდენობით გაზის აღმოჩენის თაობაზე „ფრონტერას“ ინფორმაცია თუ დადასტურდა, მთავრობა ადეკვატურ ზომებს გაატარებს.

– ეს არ არის პირველი განცხადება „ფრონტერას“ მხრიდან გაზის ასეთი დიდი მარაგების აღმოჩენის თაობაზე. დღეს უფრო მეტი ინტენსივობით საუბრობენ ისინი ამის შესახებ. თუ ვინმე იქნება ბედნიერი და კმაყოფილი ასეთი ინფორმაციის დადასტურებით, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვიქნები მეც, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე, მით უმეტეს, ეს ჩემი რაიონია, საიდანაც ვარ წარმოშობით. იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია უფრო მეტად დამაჯერებელი გახდეს, საჭიროა, საკითხი უფრო ღრმად იქნას შესწავლილი სპეციალისტების მხრიდან, წარმოდგენილი იქნას მეტი მტკიცებულება. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა გაატარებს ადეკვატურ ზომებს იმისთვის, რომ აღნიშნული რესურსი (თუ ის არსებობს) მოპოვებულ და გამოყენებულ იქნას ქვეყნის სასიკეთოდ, – განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

ატლანტიკური საბჭოს ანგარიშის თანახმად, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსში“ აღმოჩენილი ბუნებრივი აირის მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს. ანგარიში კომპანია Frontera Resources-ს ინფორმაციას ეყრდნობა. (რეპორტიორი)

# რატომ ჭიანურდება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა?



2013 წელს მომზადებული „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავენ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში აცხადებენ, რომ კანონპროექტის განხილვა ხელოვნურად ჭიანურდება.

კანონპროექტი მყიდველს უფლებას აძლევს, შეძენილი პროდუქცია 14 დღის განმავლობაში დააბრუნოს და გადახდილი თანხა უკან მიიღოს. მასში გაწერილია ის ნორმები, რომლითაც შეძენილ პროდუქციაზე დამატებითი საგარანტიო პირობები გავრცელდება და მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედებასაც ითვალისწინებს.

დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტში კანონპროექტის არსებულ ვარიანტთან დაკავშირებით შენიშვნები აქვთ. კანონპროექტის არსებული ვარიანტი მიუღებელია ბიზნესასოციაციისთვის. თავად მომხმარებელი კი ამბობს, რომ ხშირად პროდუქციის შეძენისას მისი რეალური მახასიათებლების შეფასება ვერ ხერხდება. (bpn.ge)

# გიორგი ქადაგიძე — ეროვნულ ბანკს ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ძველის

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა ეროვნულ ბანკს უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ძველი ნომინალის ბანკნოტების.

– ახალი ბანკნოტების გამოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო. პირველი, ისინი მიმოქცევაში იქნება ძველ ბანკნოტებთან ერთად და დროთა განმავლობაში ცვეთასთან ერთად ძველი ბანკნოტები ამოვა მიმოქცევიდან და მას სრულად ჩაანაცვლებს ახალი. ახალი ბანკნოტები არის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული, როგორც დიზაინით, ასევე ტექნოლოგიურად. ეს პროცესი არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ბეჭდვა ეროვნულ ბანკს უფრო იაფი უჯდება, ვიდრე უჯდებოდა ძველი ნომინალის ბანკნოტების, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისივე თქმით, ლარის 20-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს არის პირველი განახლება, რაც დაკავშირებულია დადებით მოლოდინებთან. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ანალიზი

# ქალბატონთა შემადგენლობა ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ სურს, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ნანა ყეინიშვილი,

## ირჩევა სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი კანდიდატურა

## სელექცია არა შიდაპრაიმერით, არამედ ამას

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





„გოგი თოფაძე 15 წელია ქართულ პოლიტიკაშია ერთადერთი მიზნით, რომ თავისი ლუდი და სამონადირეო მეურნეობები გადაარჩინოს, არც ერთი სხვა პრიორიტეტი და მიზანი, როგორც პოლიტიკოსს, არა აქვს, მან პარტია აქცია თავისი ბიზნესპროექტის ნაწილად, ეს კი ხალხისთვის სასარგებლო არასდროს არ არის“

„რესპუბლიკელების“ მადა არის ძალიან მზარდი, ამაში მათ ვერ გამტყუნებ, როცა გყავს გოგი თოფაძე, თუნდაც სანიკიძე, რომელსაც სამი წელია, ხმა არ ამოუღია და კოსმოსში გაფრინდა, ზვიად ძიძიგური, რომელიც ათასში ერთხელ რაღაცას იტყვის საპარლამენტო მიკროფონთან, ამას რომ ხედავ, ბუნებრივია, მადა გეზრდება და თვითშეფასებაც მაღალი გაქვს“



გასული კვირის ქრონიკა საზოგადოებას გოგი თოფაძის პარლამენტში გამოსვლით დაამახსოვრდა, როცა პრეზიდენტი ამ შემადგენლობის პარლამენტთან ყოველწლიური ანგარიშით უკანასკნელად წარდგა... მარგველაშვილის გზავნილები გაქრა, როგორც გუშინდელი თოვლი, არავის დაუწყია მსჯელობა, რა იყო პრეზიდენტის გამოსვლაში მნიშვნელოვანი და რა – მეორეხარისხოვანი, წამოაყენა თუ არა მან კონკრეტული წინადადებები, რას ფიქრობს მედიაპლურალიზმზე, სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმებზე, უკანონო თვალთვალზე, ევროკავშირთან მეტად დაახლოებაზე, „გაზპრომის“ შემოსვლაზე და ა.შ. არავის დაუსვამს კითხვა უმრავლესობის დეპუტატებისთვის, როგორ დაიტია პარლამენტმა პრეზიდენტი, რომელსაც გასულ წლებში ვერ „იტევდა“. არავის უკითხავს მინისტრთა შემადგენლობისთვის, როგორ მოიცალეს და როგორ მიაგნეს ქუთაისის პარლამენტს, რომ პრეზიდენტისთვის მოესმინათ... ისევე როგორც ოპერის გახსნის ცერემონიალს მოჰყვა დიდი ხმაური, რატომ იყო „შუბებში“ ჩაცმული მიწვეული ელიტა, რომ ეს იყო საბჭოთა გადმონაშთი და ბებიების ზანდუკებში ჩადებული დანაფტალინებული „შუბების“ პრეზენტაცია... ზოგს ამ „შუბებმა“ საპანაშვიდო მდგომარეობა გაახსენა, ზოგს კი – რუსულ-საბჭოური გადმონაშთი. არავის დაუწყია მსჯელობა იმაზე, რომ ოპერის განახლებულ შენობაში 40 მილიონი დაიხარჯა და შეესაბამებოდა თუ არა დახარჯული თანხა რეალობას, არავის უმსჯელია სპექტაკლზე და შესრულების ხარისხზე, ერთხმად ისმოდა შეძახილი, რომ „შუბების“ კოლექცია იყო გოიმობა. იყო ხუმრობა, რომ ბიძინა ივანიშვილი აჭარაში ფლორას ანადგურებს, „ქართული ოცნება“ კი – ფაუნას. ოქროს შუალედი რომ არ გაგვაჩნია, ეს ყოველდღიური ცხოვრებიდანაც ჩანს, რაც განპირობებულია იმით, რომ უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს ხელში უკავიათ მახათი და როგორც უნდათ, ამ მახათს იმ მიმართულებით ამოძრავებენ. ისე კი, რა „ბედნიერია“ ის, ვისაც ჰგონია, რომ ყველაფერი იცის, ყველაფრის ექსპერტია და ამ დროს, არაფერიც არ იცის. მაგალითად, გოგი თოფაძეს რომ უფრო ადრე წაეკითხა პრეზიდენტის ფილოსოფიური ნაშრომი – „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“, გაეაზრებინა, რამ გადააწყვეტინა მარგველაშვილს, ეს რომ დაეწერა, უფრო გაუადვილდებოდა საკუთარი სათქმელის მიტანა საზოგადოებამდე, მაგრამ გამოვიდა ტრიბუნასთან და 2016 წელს უთხრა სათქმელი, რაც, წესით, 2014-2015 წლებში უნდა ეთქვა, როცა პრეზიდენტი იმ დარბაზში სიტყვით გამოდიოდა და უკეთესი იქნებოდა, მანამდე დაეყენებინა ივანიშვილთან საკითხი ასე, როცა ამ ერთმა კაცმა გადაწყვიტა, რომ მარგველაშვილი უნდა გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. მოკლედ, გოგი თოფაძემ მარგველაშვილს მიახალა, რომ თქვენ ქართველ ხალხს მიაყენეთ შეურაცხყოფა, როცა დაუნებად მოიხსენიეთ და არ უნდა გეკადრებინათ ამ ხალხის პრეზიდენტობა. ასევე, თქვენ აგირჩიათ ერთმა კაცმა და მარცხენა ფლანგზე მჯდომმა საზოგადოებამ, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი არ ხართ. უმაღლესი ტრიბუნიდან „მრეწველმა“ გოგი თოფაძემ შეურაცხყოფა მიაყენა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს, რომლებსაც გოგი თოფაძესთან, პრეზიდენტთან და რიგით ადამიანებთან ერთი ქრომოსომა განასხვავებს. საზოგადოებამ დაიწყო საპროტესტო აქციები მოთხოვნით, რომ გოგი თოფაძემ დატოვოს სადეპუტატო მანდატი. გოგი თოფაძე ჯიუტი კაცია და ის ამას არ გააკეთებს. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილს საყვედურით „დაკმაყოფილდა“, როცა ივანიშვილმა მას დაურეკა და უთხრა, რომ ასეთი მკვახე განცხადების გაკეთება საჭირო არ იყო. „ქართული ოცნება“ თავს კონტროლს ვერ უწევს და გამონათქვამებში ნაკომუნისტარი დეპუტატები თვალში მოსახვედრები ხდებიან, ისინი 21-ე საუკუნის გამოწვევებს ველარ პასუხობენ. ბალასტი გაიწმინდება. ექსკლუზიურად გეტყვით, რომ ქალბატონთა შემადგენლობა ფრაქცია „ქართული ოცნებაში“ მთლიანად აყირავდება. ივანიშვილს კატეგორიულად აღარ სურს, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, ნანა ყეინიშვილი, ელისო ჩაფიძე იხილოს საარჩევნო სიაში. მეტსაც გეტყვით, ირჩევა სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი კანდიდატურა კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში, საიდანაც მოხდება სელექცია არა შიდაპრაიმერით, არამედ ამას გადაწყვეტს ივანიშვილი, სწორედ ის ერთადერთი გახდება ამა თუ იმ ოლქის მაჟორიტარი, რომლის ბიოგრაფიაც, პარამეტრებიც და მონაცემებიც დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება. კატეგორიულად მიუღებელია ის ძველი სახეები ივანიშვილისთვის, ვისაც კი ამ ხნის განმავლობაში არაკორექტული განცხადება გაუკეთებია და მის სახელს ლაქა მოსცხებია. შეიცვლის თუ არა პოზიციას ჩამოთვლილ ქალბატონებთან დაკავშირებით ივანიშვილი, ეს ჯერჯერობით უცნობია, თუმცა გუნდში მათ წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს, რომ ისინი საარჩევნო სიაში აღარ მოხვდნენ, რასაც ივანიშვილი, თავის მხრივ, ეთანხმება. პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლამ გამოკვეთა მის მომხრეთა ფლანგი, ეს გახლავთ „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ნაციონალური მოძრაობა“, დადასტურებულად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მარგველაშვილმა გრძელვადიან პერსპექტივაში დაიწყო პოლიტიკური თამაში და ის უკვე საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებაზე ფიქრობს. უსუფაშვილისადმი ბიძინა ივანიშვილის განწყობა ნელ-ნელა იცვლება. მას სურს, დაამსხვრიოს მითი იმის შესახებ, რომ „რესპუბლიკური პარტია“ არის ინტელექტუალური ძალა და ცდილობს, შექმნას ისეთი გუნდი, რომელიც ინტელექტუალური შესაძლებლობით „რესპუბლიკური პარტიის“ დამბალანსებელი იქნება. მოსაზრება, რომ დავით უსუფაშვილი არის პარლამენტის მაგარი თავმჯდომარე, ნელ-ნელა გადახედვას ექვემდებარება და კულუარებში ისმება კითხვა, როგორ არის პარლამენტის „მაგარი“ თავმჯდომარე, როცა არც ერთი საკანონმდებლო ინიციატივა მისი მხრიდან არ წამოსულა და ის მხოლოდ ცდილობს, დაბალანსებისა და მანევრის პოლიტიკით გაიტანოს თავი...

გასულ კვირას, ასევე, არ ჩამცხრალა აჟიოტაჟი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის ირგვლივ, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივას, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა იყოს დასჯადი, არარელევანტური უწოდა და ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა დოლართან მიმართებაში ლარი ყოველდღიურად უფასურდება, საბანკო სექტორი არანაირ შეღავათს არ უკეთებს მომხმარებელს, პროდუქტი ძვირდება და ქვეყანაში არსებობა გაუსაძლისი ხდება.

**პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტი ლევან ლორთქიფანიძე ჩვენთან ინტერვიუში აფასებს მიმდინარე პროცესებს და ვნახოთ, რას ფიქრობს ის ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი?**

– მე ვფიქრობ ამ თემას მოჰყვება სერიოზული ვნებათაღელვა, მაგრამ პირადად მე მაინც ძალიან მშვიდად ვარ განწყობილი, რადგან დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი ბოლომდე არ მივა, საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორი მოთხოვნაც არსებობს, რომ ერთსქესიანთა შორის ქორწინება დაკანონდეს. მეტადრე ეს მოთხოვნა ცოტა უცნაურია, მაშინ, როდესაც თვითონ ამ თემის წარმომადგენლების უმრავლესობა ამ მოთხოვნას დღის წესრიგში არ აყენებს არც დღეს და არც უახლოეს მომავალში. ის ერთი ადამიანი კი, მეტსახელად „მაცაცო“, ვინ არის და რატომ გამოჩნდა, რა უნდა, კაცმა არ იცის, ძალიან უცნაური ვითარება კია, მაგრამ ვფიქრობ, აღელვებად არ ღირს, ყველაფერი მშვიდად დამთავრდება, ისე იქნება, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს. მე მაინც ამ ყველაფერს წინასაარჩევნო კამპანიას ვუკავშირებ, ამ დროს ძალიან მარტივია მეორეხარისხოვანი თემების წინ წამოწევა, როგორიც არის სექსუალური უმცირესობების თემა, რადგან ეს არის ისეთი მგრძნობიარე საკითხი, რომელზეც უფრო მეტი ადამიანი ფიქრდება, უფრო მეტი აგრესიისა და დაპირისპირების გამოწვევაა შესაძლებელი. დაპირისპირება კი წინასაარჩევნო კამპანიას უხდება და როგორც ჩანს, რიგითი ჯგუფები ამ საკ-

# მთლიანად აჟირავდება, ივანიშვილს კატეგორიულად აღარ ელისო ჩაფიძე იხილოს საარჩევნო სიაში...

## კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში, საიდანაც მოხდება ერთპიროვნულად გადაწყვეტს ივანიშვილი



**„ეს იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ „ოცნების“ მთავრობის წევრებს თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პრინციპები, ძალა, ავტორიტეტი და წონა არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ლიდერებზე დამოკიდებულნი არიან და მხოლოდ მათ ბრძანებებსა და სურვილებს ასრულებენ“**



**„რაზე უნდა ილაპარაკონ, ვთქვათ, გიორგი ახვლედიანმა და ჯონდი ბაღათურიამ, ეკონომიკაში კომპეტენცია არა აქვთ, პოლიტიკაში მათი კომპეტენცია არის ნული, ასევე არა აქვთ კომპეტენცია საკონსტიტუციო რეფორმაში, ერთადერთი, მათ შეუძლიათ ჩხუბი და წივილ-კივილი ამ თემაზე“**

ითხის წინ წამოწევას იყენებენ სიტუაციის დასაძაბავად, რათა საზოგადოების დაპირისპირება და აღელვება გამოიწვიონ. პირობითად ვთქვათ, რაზე უნდა ილაპარაკონ, ვთქვათ, გიორგი ახვლედიანმა და ჯონდი ბაღათურიამ, ეკონომიკაში კომპეტენცია არა აქვთ, პოლიტიკაში მათი კომპეტენცია არის ნული, ასევე არა აქვთ კომპეტენცია საკონსტიტუციო რეფორმაში, ერთადერთი, მათ შეუძლიათ ჩხუბი და წივილ-კივილი ამ თემაზე. აწევენ ამ თემას და მერე კმაყოფილები არიან. ეს არის წინასაარჩევნო ფარისევლობის ნაწილი. გეუბნებით, რომ „ლგბტ“-ს წარმომადგენლები არ ითხოვენ ქორწინების დაკანონებას, თვითონ ამბობენ, არ გვინდა ქორწინების უფლებაო და ვიღაც კი შეგნებულად აღვივებს ამ თემას. თავიდანვე გასაგებია, რა შინაარსი და მოძრაობა აქვს ამ თემას.

**— სოსო ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივას, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა გახდეს დასჯადი, უჩა ნანუაშვილის მხრიდან მოჰყვა პასუხი, რომ ეს არის უადგილო მოთხოვნა, რას ფიქრობთ ამ თემაზე?**

– მოდით, მკითხველს ავუხსნათ, რა კანონები მოქმედებს. ღმერთო მაპატიე და, თუ ვინმე ეკლესიაში შიშველი იცეკვებს, ის დაისჯება. ეს ნიშნავს რელიგიური დაწესებულების და მისი შიდა წესრიგის დარღვევას. ვინმე ეკლესიას თუ დაარბევს, ეს იქნება დასჯადი, ხატის მოპარვა, შეურაცხყოფა, ასევე, დასჯადი ქმედებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის ნორმები, რომელიც რელიგიურ დაწესებულებებს შეურაცხყოფებისგან იცავს. შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითი მუხლები ჩაიდოს, რომ რელიგიური შუღლის გაღვივებისგან, ტემპერატურის მაღლა აწევისგან დავიზღვიოთ თავი, ხოლო ცალკე კანონის დაწერა, რომელიც პირდაპირ ურტყამს გამოხატვის თავისუფლებას, მე საჭიროდ არ მიმაჩნია. ასევე, მინდა ვუთხრა თქვენს აუდიტორიას, რომ ყველაფრის კანონში ჩაწერა არ შეიძლება. რაღაცები არის შინაგანი მორალისა და კულტურის საკითხი, ჩვენ შეიძლება ისინი დავსაჯოთ და განვიკითხოთ, მაგრამ არაადეკვატურად მიმაჩნია დაიჭირო და დააჯარიმო, როცა ისინი მსუბუქი ფორმით გამოხატავენ თავიანთ პროტესტს. ასე რომ, მე ვარ მომხრე, ვებრძოლოთ, ჩვენი აზრით, უკულტურო და ამორალურ ქმედებებს, ჩვენი საზოგადოებრივი პოზიციით, მსჯელობით, მიტინგებითა და დემონსტრაციებით და არა, კანონით.

**— საჭიროდ თვლით, რომ ჩაიწეროს კონსტიტუციაში, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა?**

– ამისთვის ყველაზე კარგი გამოსავალია, ვკითხოთ, რას ფიქრობენ ამის შესახებ, ჩავატაროთ რეფერენდუმი და ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას. ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, ქორწინება არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი და არაფერი სხვა და თუკი რეფერენდუმით აღმოჩნდა, რომ ამ იდეას ჰყავს მომხრეები, ჩაიწეროს კონსტიტუციაში, რატომაც არა. ამას არ უნდა მიეცეს ფარისევლური ქულების დაწერის მიმართულება და ეს თემა არ უნდა იყოს წინასაარჩევნოდ გამოყენებული.

**— როგორ აფასებთ პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას პარლამენტში, ეს იყო პრეცედენტი, როცა პრემიერ-მინისტრი და მთავრობა დაესწრო მის გამოსვლას და თქვენი აზრით, რა იყო მიზეზები, რის გამოც წინა წლებში მთავრობა ბოიკოტს უცხადებდა პრეზიდენტს, ასევე, უმრავლესობა აცხადებდა, რომ ეს დარბაზი ყველას ვერ დაიტევსო. დღეს როგორ დაიტია ყველა ამ დარბაზმა?**

– პასუხი მარტივია, შეიცვალა პრემიერ-მინისტრი, ახალი ლიდერის პრინციპებს უსიტყვოდ დაემორჩილნენ საქართველოს მთავრობის დანარჩენი წევრები. ეს იცით, რას ნიშნავს? იმას, რომ „ოცნების“ მთავრობის წევრებს თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პრინციპები, ძალა, ავტორიტეტი და წონა არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ლიდერებზე დამოკიდებულნი არიან და მხოლოდ მათ ბრძანებებსა და სურვილებს ასრულებენ. მათ შორის ისეთი მინისტრებიც კი, როგორიც არის ქალბატონი თინა ხიდაშელი, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ არის ძალიან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, ძლიერი და ა.შ. საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ისიც ლიდერის ბრძანებას ასრულებს. არანაირი დამოუკიდებელი წონა და პოზიცია არც მას არა აქვს ასეთ თემებთან მიმართებაში.

**— თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ქვეყანას ჰყავს შეუდარებელი მთავარსარდალი პრეზიდენტ მარგველაშვილის სახით. როგორ ფიქრობთ, გამოიკვეთა თუ არა ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის ფლანგზე იწყებს თამაშს?**

– ძალიან მარტივად არის საქმე, მიმდინარეობს ურთიერთშანტაჟი კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით. ერთი მხრივ, „რესპუბლიკელები“ აშანტაჟებენ დანარჩენ კოალიციას, – აი, გავალ კოალიციიდანო. თუ ისინი კოალიციიდან გავლენ, პროდასავლური ხელისუფლების იმიჯს საბოლოოდ დაკარგავთო. ცხადია, ივანიშვილს ეს არ უნდა, რომ დაკარგოს პროდასავლური ხელისუფლების იმიჯი, კოალიციიდან უკვე წავიდა „თავისუფალი დემოკრატები“ და მათი წასვლის შემდეგ აღარ აწყობს ივანიშვილს „რესპუბლიკელების“ დაკარგვა. მეორე მხრივ, ივანიშვილი და კოალიციის დანარჩენი ნაწილი აშანტაჟებს „რესპუბლიკელებს“, თქვენ რომ გახვიდეთ კოალიციიდან, სამპროცენტიანი პარტია ხართ და ბარიერსაც ვერ გადალახავთო. „რესპუბლიკელების“ მისამართით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება და პირიქით, ამ ურთიერთშანტაჟით არის განპირობებული. პრეზიდენტის შექებით თინა ხიდაშელმა გაგზავნა კიდევ ერთი მესიჯი ბიძინა ივანიშვილთან და მის ჯგუფთან, აი, მე თქვენს მოწინააღმდეგესთანაც შემიძლია საუბარი. მე მას ვაქებ და თუ ჩვენ არ მოგვცემთ საპარლამენტო სიაში უფრო მეტ მანდატს და არ მოგვცემთ მეტი მინისტრის პოსტს, ჩვენ დავტოვებთ კოალიციას. თქვენ კი დაკარგავთ პროევროპულ იმიჯს. თქვენ ნახავთ, მალევე შეახსენებენ „რესპუბლიკელებს“ კოალიციიდან, რომ მათ დამოუკიდებლად სამი მინისტრის, და დიდი ფრაქციის შექმნის და პარლამენტის თავმჯდომარის გაყვანის არანაირი შანსი არა აქვთ. საზნის გადაქაჩვის პროცესი არჩევნებამდე გაგრძელდება. „ქართული ოცნება“ შეეცდება, „რესპუბლიკელების“ საპირწონე ძალა უნახოს, რომ მათი მზარდი ძალაუფლება დააბალანსონ. ვის მოძებნიან ამისთვის, არ ვიცი, შეეცდებიან თუ არა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერების გადმოქაჩვას, ეს მათი შიდა საქმეა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, თავად ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ რომ სურს „რესპუბლიკელების“ დაბალანსება, ეს ცხადია, რადგან „რესპუბლიკელების“ მადა არის ძალიან მზარდი, ამაში მათ ვერ ვამტყუნებ, როცა გყავს გოგი თოფაძე, თუნდაც სანიკიძე, რომელსაც სამი წელია, ხმა არ ამოუღია და კოსმოსში გაფრინდა, ზვიად ძიძიგური, რომელიც ათასში ერთხელ რაღაცას იტყვის საპარლამენტო მიკროფონთან, ამას რომ ხედავ, ბუნებრივია, მადა გეზრდება და თვითშეფასებაც მაღალი გაქვს. აბსოლუტურად ლოგიკურია ის ქმედება, რასაც „რესპუბლიკელები“ აკეთებენ, გაკიცხვას კი იმსახურებენ კოალიციის სხვა სუბიექტები, რომლებიც დედამიწის ზურგზე არაფერს აკეთებენ, გარდა პულტებთან მორიგეობისა.

## ანალიზი

**— როგორ აფასებთ გოგი თოფაძის გამოსვლას, რომელმაც თავისი ჭკუით პრეზიდენტი დატუქსა ფილოსოფიური ნაშრომის გამო, ფიქრობთ, რომ გოგი თოფაძემ ეს განცხადება ივანიშვილის გულის მოსაგებად გააკეთა?**

– რას საქმიანობდა მარგველაშვილი და რა დაწერა, გოგი თოფაძეს ეს უნდა სცოდნოდა, ვიდრე მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა იმ კოალიციიდან, რომლის წევრებიც „მრეწველები“ არიან. ასე რომ, ეს არის უკან მიდევნებული ლამპარი და უსაგნო საუბარი, რატომ დაასახელეს ამ პუბლიკაციის ავტორი საპრეზიდენტო კანდიდატად. კარგად შეესწავლათ მისი ბიოგრაფია და თავის დროზე ეთქვათ ის, რასაც ახლა ამბობენ. ბატონი გოგის გამოსვლა იყო აბსოლუტურად შეურაცხმყოფელი, ცალსახად ჩანდა კონტექსტი, მას უნდოდა ივანიშვილისთვის ესიამოვნებინა. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი ძალიან კმაყოფილია გოგი თოფაძის გამოსვლის ძირითადი ნაწილით, გარდა იმ ფრაზისა, როცა მან „დაუნი“ ახსენა. გოგი თოფაძის მხრიდან ეს იყო ერთგვარი რევერანსი ივანიშვილის მიმართ. საერთოდ, გოგი თოფაძე არის საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნულამდე დაწევის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. კაცი 15 წელია ქართულ პოლიტიკაშია ერთადერთი მიზნით, რომ თავისი ლუდი და სამონადირეო მეურნეობები გადაარჩინოს, არც ერთი სხვა პრიორიტეტი და მიზანი, როგორც პოლიტიკოსს, არ აქვს, მან პარტია აქცია თავისი ბიზნესპროექტის ნაწილად, ეს კი ხალხისთვის სასარგებლო არასდროს არ არის.

## „ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული“ — თოფაძე ბოდიშს იხდის და პრეზიდენტსაც იმავეს მოუწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე პარლამენტის ტრიბუნიდან გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს:

– ჩემს გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა საზოგადოებაში და ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული. მე მხოლოდ მოვახდინე გიორგი მარგველაშვილის სიტყვების ციტირება, რომელიც ჟურნალ „დრო მშვიდობაში“ სათაურით „ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ“ იქნა გამოქვეყნებული და მივუთითე, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება ქართველ კაცს არ ეკადრება და იმ შემთხვევაში, თუ ბატონი პრეზიდენტი ქართველ საზოგადოებას ამგვარ შეფასებას აძლევს, მაშინ მას ამ ქვეყნის პრეზიდენტობაც არ უნდა ეკადრებინა.

ჩემთვის, როგორც საზოგადოების ნაწილისთვის, მარგველაშვილის ამგვარი სიტყვები შეურაცხმყოფელია. არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მიფიქრია და თუ ჩვენი საზოგადოების ნაწილის მხრიდან ჩემი სიტყვები ამგვარად იყო აღქმული, რა თქმა უნდა, ამისთვის მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი.

აქვე მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მანაც მოიხადოს საზოგადოების წინაშე ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომლითაც მან ქართველი ერი შეურაცხყო. ჩემთვის საზოგადოება არის ერთიანი და მის დიფერენციაციას არ ვახდენ, – აცხადებს თოფაძე. (ნიუპოსტი)

## გაიგებენ ამ ამბავს ქართველი მებენზინეები და გააძვირებენ საწვავს — ჭკუა დაუშლით თუ სინდის-ნამუსი?!




პირველად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ნავთობის ფასმა 35 აშშ დოლარს გადააჭარბა.

„ბრენტის“ მარკის ნავთობის ღირებულება 1,6 პროცენტით გაიზარდა და 35,6 აშშ დოლარი შეადგინა.

WTI-ის ნავთობის ფასმა კი 1,8-პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა და 32,8 აშშ დოლარი შეადგინა.

მსოფლიო საფონდო ბირჟებზე, ასევე, ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

3 თებერვლის ვაჭრობის შემდეგ ამერიკული ინდექსი S&P 500 0,5, ჰონკონგის საფონდო ბირჟის ინდექსი Hang Seng კი 1,4 პროცენტით გაიზარდა. (bpn.ge)

## ნეტა, რატომ იმართლებს თავს საპატრიარქო?!



საქართველოს საპატრიარქო რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სახდელის დაწესების შესახებ კანონპროექტს ეხმაურება და სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ეს კანონპროექტი საპატრიარქოს ინიციატივა არ ყოფილა.

– როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის შემოღებას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის. სოციალურ ქსელებშიც და ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებებში ვრცელდება ინფორმაცია ამ კანონპროექტთან საპატრიარქოს კავშირის შესახებ, მიაჩნიათ რა, რომ მისი მიზანი თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „ჯანსაღი კრიტიკის აცილებაა“, რაც რეალობას არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ ცილისმწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა. რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან მიმართებაში მომავალ სამშაბათს საქართველოს საპატრიარქოში ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების სამუშაო შეხვედრა იგეგმება, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (პირველი რადიო)

## თბილისში ავტომობილს საბურავები მოხსნეს



ვაჟა-ფშაველაზე ავტომობილი გაქურდეს – მანქანას საბურავები მოხსნეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, საქმე ცხელ კვალზე გაიხსნა.

– ქურდობაში ბრალდებული დაკავებულია, საქმე 177-ე მუხლის მესამე ნაწილით აღიძრა, რაც ქურდობას ითვალისწინებს, – აცხადებენ შს სამინისტროში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

სკანდალი

# თბილისის კონკრეტულ უბნებში პედოფილები ბავშვებზე ნადირობენ!!!

## „მშობლებს მოვუწოდებ, ფრთხილად იყვნენ! ეს ადამიანი სადარბაზოებში ხვდება პატარა ბავშვებს და ხდება სექსუალური ძალადობის ფაქტები!“



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

„ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გიორგი ბურჯანაძე, საქართველოში არსებულ პედოფილიის პრობლემაზე საუბრობს და მოსახლეობას სკანდალურ ინფორმაციასაც აწვდის: „ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო დღეს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს, სადაც ეს სფერო – პედოფილია, საკმაოდ იკიდებს ფესვებს და სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც გრძელდება ეს საქმიანობა. მე მინდა მოგახსენოთ კონკრეტული მაგალითედოებას ამ ინფორმაციას, ბევრი გამოძახილი გვაქვს ისანი-სამგორის რაიონში“, – განაცხადა გიორგი ბურჯანაძემ.

„ალია“ შს სამინისტროს დაუკავშირდა. გვინტერესებდა, რა იცოდნენ აღნიშნულის თაობაზე და რას აპირებდნენ პრობლემის აღმოსაფხვრელად. „ისანი-სამგორის რაიონში მსგავსი შეტყობინება პედოფილიის ფაქტებთან დაკავშირებით არ შემოსულა. მიუხედავად ამისა, ამ ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულ პირთან სამართალდამცველები გასაუბრებას ჩაატარებენ რაიონის პოლიციაში“, – გვითხრეს უწყების პრესსამსახურში.



„სამების ერთ-ერთი მამაო დამიკავშირდა და მითხრა, ჩემს მიერ დადებულ ფიცს ვარღვევ, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრათო. ის ჰყვებოდა, როგორ მოუთხრო ერთ-ერთმა აღმსარებელმა ბავშვების შესახებ, რომლებიც მაწანწალა ცხოვრებას ეწევიან. მისი გადმოცემით, ამ ბავშვებს იყენებენ ორგანოების გადანერგვისა და პროსტიტუციის მიზნით, საუბარი იყო პედოფილიაზე“

„ნუცუბიძეზე, ერთ-ერთი კორპუსის, ერთ-ერთ სართულზე, როდესაც გამოკიდებული იყო პამპერსი, ეს ნიშნავდა იმას, რომ ბავშვი მზად იყო გასაყიდად. თავიანთი კლიენტურა ჰყავდათ და იცოდნენ, რომ უნდა ასულიყვნენ. ეს ბავშვები მოპარული ჰყავდათ“

ბი და კონკრეტული რეგიონები, სადაც ჩვენი ჯგუფები დადიან და დღესაც გრძელდება მონიტორინგი. ძირითადი ცხელი წერტილები გვაქვს აჭარის რაიონში, ბათუმი გვაქვს მხედველობაში და თბილისში უშუალოდ „პლეხანოვი“ და ვაკის რაიონი. თბილისში, აღმაშენებელზე საკმაოდ მძიმე ვითარებაა, იმდენად, რამდენადაც ღამის კლუბებსა და დღის კლუბებშიც გვხვდება ასეთი შემთხვევები, როდესაც პატარა ბავშვები, არასრულწლოვნები არიან ჩაბმულები სექსუალურ ექსპლუატაციაში.

მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია: მოსკოვის გამზირზე, ისან-სამგორში, დღესაც გადაადგილდება ადამიანი, რომელიც შემჩნეული ჰყავთ მსგავს ქმედებაში და მე მინდა მოვუწოდო ისანი-სამგორის რაიონის პოლიციასა და მოსახლეობას, ცოტა ფრთხილად იყვნენ. ეს ადამიანი სადარბაზოებში ხვდება პატარა ბავშვებს და ძალადობის ფაქტები ხდება. მე ვაწვდი საზოგადოებას ამ ინფორმაციას...

**გიორგი ბურჯანაძე, „ალიას“ კიდევ ბევრი სხვა ფაქტის თაობაზე ესაუბრება:**

– ეს ისეთი თემაა, რომელზე საუბარსაც ყველა ვერიდებით, ამაზე საუბარს ყველა თავს არიდებს: მშობელიც, მეზობელიც, ნათესავებიც – შესაბამისად, დანაშაული დაუსჯელი რჩება. შინაგან საქმეთა სამინისტრომდე ინფორმაციის დიდი ნაწილი ვერ მიდის, არადა, სწორედ ეს იწვევს მორიგი დანაშაულის წახალისებას. რითაც, ისევ და ისევ საზოგადოება ზარალდება. ვილაცისთვის ეს თემა უცხოა, ვილაცისთვის კი ნაცნობი, მაგრამ მე არ ვაშინებ არავის, ამიტომაც ვსაუბრობ ამ თემაზე, მოვუწოდებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დაინტერესდეს ასეთი ფაქტებით და სამართლებრივ ჩარჩოში ჩასვას.

აჭარა, დაინტერესებული პირებისთვის, განსაკუთრებულად „საინტერესოა“, ამ მხრივ. როგორც ვიცით, ტურისტული სეზონის დროს პირველი დატვირთვა მოდის აჭარაზე. ქობულეთში საერთოდ არ არის ღამის კლუბები, კლუბები არის ბათუმში. შესაბამისად, იქ ხდება არასრულწლოვნების ჩაყვანა და ასეთი საქმიანობის წარმართვა. აზერბაიჯანელი, ირანელი ბიზნესმენები და ა.შ. არიან დაინტერესებული ამ საქმეებით. სპეციალური ბუკლეტებიც კი აქვთ დამზადებული, სადაც გარკვევით აწერია, რომ გარკვეულ სექსუალურ მომსახურებებს მიიღებენ საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში სხვადასხვა მისამართზე. შემდეგ ამ ბუკლეტებს ავრცელებენ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. ჩვენ ამის თაობაზე შსს-ს მივაწოდეთ კიდეც ინფორმაცია. ჯერ კიდევ 2006 წელს ჩვენ დავდეთ ფაქტი, როდესაც 6 წლის გიორგი, მიუსაფარ ბავშვთა სახლში გააუპატიურა 14 წლის მოზარდმა. ერთხელ სამების ერთ-ერთი მამაო დამიკავშირდა და მითხრა, ჩემ მიერ დადებულ ფიცს ვარღვევ, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრათო. ის ჰყვებოდა, როგორ მოუთხრო ერთ-ერთმა აღმსარებელმა ბავშვების შესახებ, რომლებიც ეწევიან მაწანწალა ცხოვრებას. მისი გადმოცემით, ამ ბავშვებს იყენებენ ორგანოების გადანერგვისა და პროსტიტუციის მიზნით, საუბარი იყო პედოფილიაზე. ამ დღეებში უნდა მოვინახულო ის მამაო და გამოვკითხო ის ამბები. ასევე, ნუცუბიძის ქუჩაზე ჩვილ ბავშვთა გაშვილების ამბავზე მინდა ვისაუბრო. რამდენიმე წლის წინათ პირადად მქონდა შეხება იმ დაწესებულებასთან და საკუთარი თვალით და ყურით მაქვს მოსმენილი და ნანახი შემდეგი რამ: ვიცოდი, რომ ბავშვები გადაჰყავდათ იმისთვის, რომ შემდეგ მათი ორგანოები გაეყიდათ. ერთ ქალბატონს შევესწარით, რომელიც ტიროდა, როცა მიზეზით დავინტერესდით, თქვა, რომ ბავშვი რომელიც ამჟამად მასთან იმყოფებოდა, 1 წელიწადში ცოცხალი აღარ იქნებოდა, იმიტომ, რომ მის ორგანოებს გაყიდდნენ. ამბობდა, ამ ბავშვს წაიყვანენ, დაჭრიან ორგანოებად, ის გერმანელი კი, რომელმაც ვითომ იშვილა, თავის შვილს გადაარჩენსო. მაშინ ამ ყველაფრის ანალიზს რომ ვაკეთებდი, შსს-ს სპეციალური სამსახურიდანაც კი მომივიდა ინფორმაციები, რომ მსგავსი ქმედებები ჩვეულებრივ ბიზნესს წარმოადგენდა და ხალხი მილიონებს შოულობდა, მირჩევდნენ, ბინძური ბიზნესია და ამ საქმეში არ ჩაერიოო. საუბარია 2006 წელზე. ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვიყავით და, შესაბამისად, მაშინ ამ თემას ვერ მივყევით.

ამ ბავშვების გაყვანის ასეთ სქემაზეა საუბარი – ევროპაში გულის გადანერგვა, საშუალოდ, 120 ათასი დოლარი ღირს. ჩამოდის აქ თითქოს ცოლ-ქმარი და შვილად აჰყავთ ქართველი ბავშვები. ჩაჰყავთ და ამ ბავშვებს იმპლანტის სახით იყენებენ. ამაზე უამრავი საერთაშორისო კვლევა არსებობს. ასე ჟლეტენ პატარა ბავშვებს. რა ვუთხარი ისეთ კანონმდებელს, რომელიც ქართველს დოკუმენტების მთელ ნუსხას მოსთხოვს, ხოლო უცხოელს, რომელზეც გვაქვს ასპროცენტიანი ეჭვი, რომ ბავშვი მოსაკლავად მიჰყავს, თავისუფლად ატანს. ერთ ინფორმაციას მოგაწვდით: ნუცუბიძის ქუჩაზე, ერთ-ერთ კორპუსში (მაპატიოს იმ ადამიანმა, ვისზეც ახლა ვსაუბრობ) შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომელია, მე მას ბოდიშს მოვუხდი, რომ ახლა ვყვები ამ ამბავს: ერთ-ერთი კორპუსის ერთ-ერთ სართულზე, როდესაც გამოკიდებული იყო პამპერსი, ეს ნიშნავდა იმას, რომ ბავშვი მზად იყო გასაყიდად. თავიანთი კლიენტურა ჰყავდათ და იცოდნენ, რომ უნდა ასულიყვნენ. ეს ბავშვები მოპარული ჰყავდათ, ზოგს სამშობიარო სახლიდან, ზოგიერთი ვითომ გარდაცვლილი, ბევრიც მშობლებს ჩამოჰყავდათ და ყიდდნენ. წარმოიდგინეთ, როდესაც შსს-ს მაღალჩინოსანი გაწვდით ასეთ ინფორმაციას და მას არ აქვს იმის ძალაუფლება, რომ გაუმკლავდეს ამ თემას, როგორ იყო დალაგებული ყველაფერი, ხომ გასაგებია? ეს ხდებოდა 2007 წელს, ის კორპუსი გაქირავებული იყო კონკრეტულად ამ საქმისთვის. ეს ადამიანები ხშირად იცვლიდნენ მისამართებს...

სამწუხაროდ, ყველა კანონმდებელი თავის დროზე მოდის იმის დაპირებით, რომ ეს კანონები შექმნან, მაგრამ საბოლოოდ ხელფასს სწორედ იმაში იღებენ, რომ ეს კანონები არ შექმნან, თორემ როგორ შეიძლება ადამიანმა ბუსუსებიან პრეზერვატივეზე იფიქრო და არა ბავშვების მომავალზე. განზრახ არ გვარდება ეს პრობლემები, რამდენჯერ გვსმენია, რომ სანდრა რულოვსის ბიზნესია, ორგანოებით ვაჭრობა და ტრეფიკინგი, მაგრამ ამის გამოსაძიებლადაც არ გადადგმულა ნაბიჯები, მე არავის არ ვუყენებ ბრალს, მაგრამ რეალურად არსებობს ეს პრობლემა. დღეს ქართველმა რომ იშვილოს ბავშვი, უამრავი დოკუმენტი უნდა წარადგინოს, ამ დროს უცხოელი ჩამოდის, წარადგენს 2 ცნობას და ბავშვს ატანენ თავისუფლად. ეს ხომ ამ ბიზნესს ყველანაირად უხსნის გზას. წლებია ვითხოვთ, რომ ბავშვების შვილად აყვანაზე კანონში შევიდეს ცვლილებები, კანონში ჩაიდოს მუხლი, რომ სახელმწიფო ინტერესდებოდეს ყველა იმ გაშვილებული ბავშვის ბედით, რომელიც უცხოეთში იქნა გაყვანილი. მანამ, სანამ არ გახდებიან არასრულწლოვნები. ეს იმისთვის, რომ აქედან გაყვანილი ბავშვები ორგანოებად არ დაჭრან.

# რა უთხრა „ალიას“ ძმებ გაჩეჩილაძეებზე ბიძინა ივანიშვილმა?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



გასული კვირის დრამატიზება მოახერხა ტელეკომპანია „მაესტრომ“, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ძმები გაჩეჩილაძეები საეჭვოდ გააქტიურდნენ, რამაც ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. მართალია, საზოგადოება ვერ ხვდება, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ზოგადად, რა ხდება ამ კომერციულ არხზე, თუმცა ხალხი იმდენად გაწვრთნილია პოლიტიკურ ინსინუაციებში, რომ ყველას უჩნდება ერთი ლოგიკური დასკვნა, რომ „მაესტრო“ გამოყენებული იქნება, როგორც იდეოლოგიური იარაღი, დიდი ფულის საშოვნელად, ასევე, კონკრეტული პოლიტიკური ძალის პოზიციების განსამტკიცებლად. ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაში მავანი „ქართული ოცნების“ ხელს ხედავს, თუმცა „მაესტროს“ წილების გასამსხვილებლად ორ მილიონნახევარი გია გაჩეჩილაძეს, იგივე „უცნობს“, მისცა ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესმემკვიდრემ ირაკლი რუხაძემ. დღეს „მაესტროს“ ყველაზე მსხვილი აქციონერი სწორედ „უცნობია“. ჩვენ მივიღეთ სამი დაპირისპირებული მხარე – მაკა ასათიანი, რომელიც „მაესტროში“ 25%-ს ფლობს, მამუკა ღლონტი თავისი 15%-ით, ეკა აკობია 5%-იანი წილით და პირამიდის თავზე დგას გია გაჩეჩილაძე („უცნობი“) 55%-ით. წინასწარ დაანონსებულია, რომ მაკა ასათიანს სურს, შემრიგებლური პოზიციები მოიძებნოს და კონფრონტაციულ რეჟიმში არ წარიმართოს ურთიერთობები, ვნახოთ, როგორ დასრულდება ნათესავებს შორის ბიზნესდავა. შეგახსენებთ, რომ მაკა ასათიანს ძმებ გაჩეჩილაძეებთან მეგობრული და ნათესაური კავშირი აქვს, თუმცა რაც უფრო მალე დასრულდება ეს ბაქანალია, არხზე მომუშავე ჟურნალისტებისთვისაც კარგი იქნება. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ შემთხვევაში თქვენ არღვევთ ჟურნალისტების უფლებებს, როცა მათ ამუშავებთ უხელფასოდ და ეს არის ერთგვარი ტრეფიკინგი, მაშინ უფრო ნაკლებად დაგეწყებათ მუცლის გვრემა და მილიონების კეთების სურვილი შესაძლოა, დაკარგოთ. როცა გია გაჩეჩილაძემ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრა დაადასტურა და თქვა, რომ გასაკვირი არაფერია, რადგან ყოველ მეორე დღეს მის ძმაკაცს ხვდება კანცელარიაში, ეს იყო პირველი დარტყმა პრემიერ-მინისტრზე. აი, როგორ ეხმაურება ამ მოვლენებს ცოტნე გამსახურდია: „ჯერ ედიკა იყო ამათი მამამარჩენალი, მერე მიშა, როცა პრეზიდენტი გახდა. რომ ვერ მორიგდნენ, მერე ბადრი პატარკაციშვილიც ამის მეგობარი აღმოჩნდა და კვირიკაშვილთან ხომ, თურმე, სულ მთლად ბავშვობა და ტრუსიკის ძმაკაცობა აკავშირებს. ამ „ვიგოდნიკების“ დრო ყოველთვის უნდა იყოს?!“

„მაესტროს“ გენერალურ დირექტორად დანიშნულია მიტინგების პროფესიონალი ლევან გაჩეჩილაძე, თუმცა პოლიტიკაში ხელმოცარული, რომელსაც არასდროს ეყო ნებისყოფა, ცდუნებებისთვის გაეძლო და რეიტინგის პიკში უკუსვლას იწყებდა. მის ცხოვრებაში 2 მილიონი საკრალური ციფრია, რადგან ავი ენები ამბობდნენ, რომ ლევან გაჩეჩილაძემ სააკაშვილს 2 მილიონი მოსთხოვა აქციების დასაშლელად, ეს ეჭვი გაამყარა ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძემ. 2010 წლის 27 დეკემბერს მან ინტერვიუ მისცა და განაცხადა: „მე ვადასტურებ ამ ფაქტს და მზად ვარ, ლევან გაჩეჩილაძეს საზოგადოების წინაშე გავუმეორო, რაზე ევაჭრებოდა იგი სააკაშვილს და რაზე ვაჭრობდა „სახალხო კრებასთან“. მე ამ ყველაფრის უშუალო მომსწრე ვარ, ყველაფერი საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი...“ კერძოდ, ბადრი ბიწაძე დაბეჯითებით ამბობს, რომ შავნაბადაზე გაჩეჩილაძისა და სააკაშვილის საუბარი მოისმინა, ლევან გაჩეჩილაძემ „სახალხო კრებასთან“ შეერთების სანაცვლოდ ორი მილიონი და დამატებით კიდევ ერთი მილიონი ე.წ. პარაშუტის სახით მოითხოვა. ბურჯანაძე-გაჩეჩილაძეს შორის დაპირისპირება 2011 წლის 26 მაისს შერიგებით დასრულდა, როცა აქციაზე ლევან გაჩეჩილაძე სოლიდარობის ნიშნად ბურჯანაძის გვერდით დადგა.

გაზეთი „ალია“ 2012 წლის 6 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილის ექსკლუზიურ ინტერვიუს აქვეყნებს, სადაც ივანიშვილი საუბრობს ძმებ გაჩეჩილაძეებზე: „ძმებ გაჩეჩილაძეებთან კარგი ურთიერთობა მქონდა. „უცნობი“ რომ გამოჩნდა პირველად და კონცერტებს ატარებდა, მე ვაფინანსებდი, მისი შვილი არის ჩემი გოგოს ნათლია. მერე რაღაც მოხდა გენერალ დუმბაძესთან დაკავშირებით. ამ თემაზე აღარ მინდა ლაპარაკი, გაჩეჩილაძეებს პატივს ვცემ, მათ შეუძლიათ ხალხის გამოყვანა, ამას ვერ დავუკარგავ...“ მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილისა და „გრეჩიხების“ ნათელმირონობა ოჯახურ კონფლიქტსა და მტრობაში გადაიზარდა გენერალ დუმბაძის გამო, სადაც ბიზნესინტერესები ფიგურირებდა, ეს არ ნიშნავს, რომ ივანიშვილმა ბოლომდე ჩაჭრა „უცნობთან“ გზები... სანამ ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა, მან წერილი გაუგზავნა ლევან გაჩეჩილაძეს: ვაფასებ იმას, რაც ძმებმა გააკეთეთ, არც ის მჯერა, რასაც ლაპარაკობენ. მალე ყველაფერი სხვანაირად იქნება, ბევრი რამ შეიცვლება და დაველოდოთ მოვლენებსო. როცა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოვიდა, ძმები გაჩეჩილაძეები კულისებში იყვნენ გადასულები, არანაირი საზოგადოებრივი აქტივობა მათი მხრიდან არ ჩანდა. რამდენჯერმე მცდელობა მქონდა ლევან გაჩეჩილაძესთან ინტერვიუ ჩამეწერა, თუმცა ის ხაზგასმით ამბობდა, რომ ჩართულია ბიზნესპროექტებში და არანაირად აღარ სურს, იყოს საზოგადოებრივად აქტიური პირი. როგორც ჩანს, მოვიდა მათი გააქტიურების დრო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა კითხვა, ვის მხარეს ითამაშებენ ძმები გაჩეჩილაძეები? შეეცდებიან, ივანიშვილს დაუმტკიცონ, რომ საჭირონი არიან და მის ინტერესებს გაატარებენ „მაესტროში“, თუ მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდებიან. იმ ბანაკში, სადაც ახალი პოლიტიკური სტარტის აღება უნდა პატარკაციშვილის ბიზნესმემკვიდრეს ირაკლი რუხაძეს. თავის დროზე კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით „ალია“ წერდა, რომ ირაკლი რუხაძე ბიძინა ივანიშვილის კარზე განიხილებოდა, როგორც პრემიერმინისტრობის ერთ-ერთი კანდიდატი. მასთან ერთად სახელდებოდა რკინიგზის შეფი მამუკა ბახტაძე, რომელიც არის უტა ივანიშვილის მეგობარი. თუმცა ირაკლი რუხაძეს უარი განუცხადეს და ვალერი გელბახიანი იყო პირველი, ვინც ირაკლი რუხაძის პოლიტიკური ამბიციები დააანონსა და განაცხადა, რომ სულ მალე ის გახდებოდა ორი ტელეკომპანიის მფლობელი. „მაესტროსა“ და „იმედის“ მართვა ნიშნავს, რომ ირაკლი რუხაძე დაიწყებს მზადებას პოლიტიკური გუნდის შესაქმნელად და აუცილებლად იბრძოლებს ხელისუფლებაში მოსასვლელად. მან ერთხელ უკვე განახორციელა ბრძოლა პრემიერობისთვის, რომელიც არ გამოუვიდა და ახლა უკვე საკუთარ პოლიტიკურ გუნდს შექმნის. მას აქვს საკმარისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი. 54-მილიონიანი დავალიანებით ტელეკომპანიას შემოქმედებითი წვისთვის არ ყიდულობენ, რადგან დიდ პოლიტიკაში 54 მილიონი არაფერია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ნიკა გვარამია „მაესტროში“ მიმდინარე პროცესებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალი ფსევდონიმით გამოგვეცხადა – გია გაჩეჩილაძე, რომელსაც, თავის მხრივ, კიდევ რამდენიმე ფსევდონიმი აქვს, იგივე „უცნობი“, იგივე „პატარა გრეჩიხა“. „გრეჩიხების“ დევიზია – „დავეწიოთ და გავუსწროთ „რუსთავი 2“-ს“, ვნახოთ, ამ დიდ ალიაქოთში რა გამოიკვეთება, ვინ ვის გაუსწრებს და როგორ დალაგდება კონფიგურაცია, რაც თავის თავში გულისხმობს ძალიან დიდი ფულის შოვნის შესაძლებლობას, პოლიტიკურ ვაჭრობას და პერსპექტივას.

**ჟურნალისტი მერაბ ხაჩიძე სოციალურ ქსელში საინტერესო სტატუსს აქვეყნებს:**

„ამ დღეებში „მაესტროს“ გამო აჟიოტაჟის შეფასებებისას ისეთი მარგალიტები ცვივა, მედია მათ აკრეფას ვერ აუდის. სხვა საქმეა რამდენად ახერხებენ ჟურნალისტები ყველაზე მსუყე ლუკმის გამორჩევას და ამ ამოუწურავი განძეულიდან აქ სასაცილო ცოტაა, ცოტაა, რადგან, გამოთქმული აზრისა და კომენტარების დიდი ნაწილიც იმ დამოკიდებულების პირდაპირი ანარეკლია, რაც სახელმწიფოს მიმართ გვაქვს. მართალია, ძნელია საკუთარ ყურსა და თვალს დაუჯერო ბაია გადაბაძის ამ განცხადების წაკითხვისას: „ბიუჯეტის მიმართ დაგროვილ დავალიანებას რაც შეეხება, ის ბოლო წელს დაგროვდა, როცა ტელევიზიაში მაკა ასათიანი ამხელა თანხებს ველარ აბანდებდა. ხელისუფლებამ „რუსთავი 2“-ს 23 მილიონი აპატია, „იმედს“ – 16 მილიონი, ხოლო დღევანდელმა ხელისუფლებამ „პირველ არხს“ – რამდენიმე მილიონი. და „პირველმა არხმა“ რატომ არ გადაიხადა გადასახადები? თუ მეკითხებით, გადასახადებს რატომ არ ვიხდი, გპასუხობთ, რომ მილიონობით გადასახადი რომ მოუხსნეს ტელევიზიებს, ეს გასაკვირი არ არის?!. იმათთან შედარებით დავალიანება კაპიკები მაქვს. გაკოტრებაზე საქმე რომ შევიტანე, ეს იმას გულისხმობს, რომ ვალები უნდა ჩამოგაწერონ...“ „ბიუჯეტი არა, კვახი. ფულს როგორც გვინდა, დავხარჯავთ, ბიუჯეტის ვალს არ გადავიხდით და მერე კეთილი ინებოს სახელმწიფომ და მერე ჩამოგვაწეროსო... ყოფილი ხელისუფლებებისგან წლების წინათ დამკვიდრებულმა ამ მავნე, აქამდე მოქმედმა პრაქტიკამ – „ვალს გაპატიებ, ჩემი ხარ და თუ არა – სხვისი“, მთლიანად ქართულ მედიაში გააჩინა დაუსჯელობის პრეტენზია. მასშტაბები საშიშ ზღვრამდე მიდის. საკმარისია, ვინმეს ფული შეახსენო, პოლიტიკა და მისი ჯანი, ზეწოლაზე განცხადება მზად არის. ჰოდა, ვინც ამ დანაშაულის ლეგალიზაციასა და წესად დამკვიდრებას ცუდად წავუყრუეთ თავის დროზე, ახლა გამოსავალიც ერთად მოვძებნოთ. თუ უკვე გვიანი არ არის. „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „საზოგადოებრივი არხის“ შემდეგ, „მაესტრო“ 54-მილიონიანი დავალიანების ჩამოწერის რიგშია, ვნახოთ, რას იზამს ხელისუფლება, რის საფასურად ჩამოაწერს, საერთოდ ჩამოაწერს თუ არა, ეს უფრო გასაგებს გახდის ამ არხის და მისი საკონტროლო პაკეტის მფლობელის მომავალ მიზნებს“.

როგორც ხედავთ, მოვლენების მიღმა ოპონენტები ხედავენ ხელისუფლების ხელს, ხოლო ძალიან მცირეა ის კატეგორია, ვინც მიიჩნევს, რომ ჩვენს თვალწინ ყალიბდება ახალი პოლიტიკური გუნდი...

ანალიზი



**თავის დროზე კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით „ალია“ წერდა, რომ ირაკლი რუხაძე ბიძინა ივანიშვილის კარზე განიხილებოდა, როგორც პრემიერმინისტრობის ერთ-ერთი კანდიდატი...**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამაზ მეჭიაური: დაუნი არის ავადმყოფობა, რაც ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი არ არის



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძის განცხადება ზოგიერთს ყურში უხეშად მოხვდა.

როგორც მეჭიაურმა თოფაძის განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, დაუნი არის ავადმყოფობა, რაც ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი არ არის.

– მარგველაშვილის ძველ ნაშრომებს გადავხედე, სადაც დაუნი გაცილებით უფრო ცუდ კონტექსტში აქვს მოხსენიებული, რადგან დაუნი არის ავადმყოფობა და ის არ არის ადამიანისთვის შეურაცხმყოფელი, მაგრამ დებილიზმი უკვე შეურაცხყოფაა და თუ გოგი თოფაძეს ამის თქმა უნდოდა, მაშინ შეიძლება, მისი კრიტიკა უფრო მკვეთრი ყოფილიყო, – განაცხადა მეჭიაურმა. (news.ge)

## „ჯეოსელის“ მომხმარებელთა ნაწილს საუბარი 5-ჯერ გაუძვირდება

ჯეოსელი Geocell

„ჯეოსელმა“ 3 საყვარელი ნომრის სპეცმომსახურება გააუქმა.

შესაბამისად, ტრანსფორმირდა 000 პაკეტი და 3 არჩეული ნომრის ნაცვლად, „ჯეოსელისა“ და „ლაი-ლაის“ ყველა აბონენტისთვის ერთიანი ტარიფი ამოქმედდა. ინფორმაცია ოფიციალურ ვებ და „ფეისბუკ“ გვერდებზეა ხელმისაწვდომი.

შეცვლილი სატარიფო პოლიტიკით, ზარის წამოწყების 10 თეთრის გადახდის შემდეგ უფასო სასაუბროა მხოლოდ 9,59 წუთი, მე-10 წუთის შესრულებისთანავე შემდეგი 10 თეთრი ირიცხება. ამასთანავე, 000-ის 1-თვიანი აქტივაციის 1 ლარსაც თუ გავითვალისწინებთ, ტრანსფორმაციის შემდეგ აღნიშნული პაკეტის ფარგლებში 10 წუთი სასაუბრო მომხმარებელს საშუალოდ 5-ჯერ გაუძვირდა. (bpi.ge)

## ტრანსგენდერი ქალი, ბიანკა შიგუროვა გარდაცვლილი იპოვეს



ტრანსგენდერი ქალი ბიანკა შიგუროვა გარდაცვლილი იპოვეს. მეზობლების ინფორმაციით, ის, სავარაუდოდ, 3-4 დღის წინ დაიღუპა. თუმცა, მისი ცხედარი 4 თებერვალს ნახეს.

წინასწარი ინფორმაციით, ბიანკა გაზის გაჟონვის შედეგად დაიღუპა.

22 წლის ტრანსგენდერი ქალი ბიანკა შიგუროვა ლანჩხუთში დაიბადა.

მომხდარ ფაქტს შს სამინისტროში ადასტურებენ. როგორც უწყებაში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## გრიპის ვირუსების პიკი საქართველოში გადავლილია



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ გრიპის წლევანდელი სეზონი საშუალო სიმძიმისაა და კვირის განმავლობაში გრიპის ვირუსით დაახლოებით 10 000-მდე ადამიანი ავადდება. პაატა იმნაძის ინფორმაციით, 100 000 მოსახლეზე ამ მომენტისთვის გრიპის 357 შემთხვევა ფიქსირდება. იმნაძე ამბობს, რომ გრიპის ვირუსების პიკი საქართველოში უკვე გადავლილია.

– დაახლოებით ყოველკვირეულად 10 000-მდე მოქალაქე ავადდება გრიპის ვირუსებით. შემთხვევების უმეტესობა გართულების გარეშე იყო. ზოგიერთ შემთხვევაში მძიმედ მიმდინარეობდა, თუმცა პაციენტები გამოჯანმრთელდნენ. იყო ასევე, ფატალური შემთხვევები, როდესაც ვირუსი სხვა მძიმე დაავადებების ფონზე განვითარდა, – აცხადებს იმნაძე.

შედარებისთვის, პაატა იმნაძემ საქართველოში გასულ წლებში დაფიქსირებული სტატისტიკური მონაცემებიც წარადგინა და განმარტა, რომ 2009-2010 წლებში გრიპის ვირუსის შედეგად 33 ადამიანი გარდაიცვალა. 2011-2012 წლებში 53 ადამიანი, გასულ წელს კი გარდაცვალების 10 შემთხვევა დაფიქსირდა.

– ხოლო დღევანდელი მონაცემებით გარდაცვლილია 9 პაციენტი, რომელთაგანაც რვა H1N1 ვირუსის შედეგად გარდაიცვალა, ერთი პაციენტი კი – H3N2-ით.

ბოლო მონაცემებით, ცენტრში გრიპის ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებული 255 შემთხვევაა რეგისტრირებული, მათი 90 პროცენტი H1N1 ვირუსზე მოდის.

წლევანდელი გრიპის სეზონი ჩვეულებრივია. მიმართვიანობის ზრდის ტემპი უკვე შემცირდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს სრული მონაცემები მომავალი კვირის ორშაბათს ექნება, – აცხადებს პაატა იმნაძე. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კვირის სკანდალი

# რა ხდება

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



### ვინ იყიდა „მაესტრო“?





დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც „მაესტროდან“, პროტესტის ნიშნად, 23 თანამშრომელი წამოვიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ არხზე სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი ჩინოვნიკი, კოკა ყანდიაშვილი უნდა მისულიყო საკუთარი გადაცემით, შემდეგ კი, მას უკვე საინფორმაციო სამსახურის შეფად დანიშნავდნენ და „მაესტრო“ პროსახელისუფლებო არხი გახდებოდა, დამოუკიდებლობას დაკარგავდა. ამ გეგმის განხორციელებას, არხიდან წამოსული ჟურნალისტების თქმით, ერთ-ერთი დამფუძნებლის, მაკა ასათიანის მეუღლე, კოტე გოგელია აპირებდა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გოგელია „მაესტროში“ დიდი ფულის ჩადებას აპირებდა, არხი ხელისუფლებას მოემსახურებოდა და „ქართული ოცნების“ პიარის საფასურად, გოგელიას ბიძინა ივანიშვილი სხვადასხვა ბიზნესებში მისცემდა შეღავათებს, ფულის სარფიანად დაბანდების საშუალებას. თუმცა, რატომღაც არც კოკა ყანდიაშვილი მისულა „მაესტროზე“ და არც კოტე გოგელიას ჩაუდია დიდი თანხა არხის განვითარებაში. პირიქით, „მაესტრო“ გაკოტრების რეჟიმში მუშაობს და მას 50-მილიონიანი ვალი აქვს. „მაესტროს“ ხელმძღვანელობამ გასული წლის 21 სექტემბერს სასამართლოს მიმართა ტელეკომპანიის გაკოტრებულად გამოცხადების მოთხოვნით. „მაესტროს“ დირექტორი ბაია გადაბაძე ტელეკომპანიის გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადებას ითხოვდა...

თავდაპირველად ბაია გადაბაძემ ატეხა ხმაური, რომ გია და ლევან გაჩეჩილაძეებს „მაესტროს“ ხელში ჩაგდება პოლიტიკური მიზნებისთვის სურდათ და ამაში ხელს შეუშლიდა. თუმცა, უკვე გვიანი იყო. გია გაჩეჩილაძე ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელ შპს „სტუდია მაესტროს“ წილის 25%-ს ფლობდა, წილის 15-15% მან ლევან ჩიკვაიძისგან და გიორგი ებრალიძისგან შეიძინა და არხის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა – ამჟამად წილის 55%-ს მფლობს (დანარჩენი 45%-ის მფლობელები არიან: მაკა ასათიანი – 25%, მამუკა ღლონტი – 15% და ეკატერინე აკობია – 5%). „მაესტროზე“ წილების ხელახალი გადანაწილება 1-ელ თებერვალს, 21 საათსა და 51 წუთზე საჯარო რეესტრშიც დაფიქსირდა. თავდაპირველად ლევან გაჩეჩილაძე არ ასახელებდა თანხის ოდენობას, რომელიც ამ 30%-ში გადაიხადა, მერე გაირკვა, რომ ეს თანხა 2.5 დოლარი იყო. მისი თქმით, ეს ფული მას მისმა მეგობარმა, ირაკლი რუხაძემ ასესხა. ასევე, აცხადებდა, რომ „მაესტროში“ ირაკლი რუხაძე ინვესტიციების განხორციელებას აპირებდა. ირაკლი რუხაძე, „სელფორდ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი და ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი გახლდათ. როგორც ოფიციალური მასალებიდან ირკვევა, ის ამერიკის მოქალაქეა. მეტიც, როგორც ცნობილი გახდა, ცოტა ხნის წინ, „ლიბერთი ბანკის“ აქციები ვლადიმერ გურგენიძემ გაყიდა, „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრად კი სწორედ ირაკლი რუხაძე აირჩიეს. რუხაძის გვარი დაუკავშირდა ირაკლი ალასანიას პარტიასაც, გავრცელებული ინფორმაციით, რუხაძე 2010 წელს მერის არჩევნებში „თავისუფალ დემოკრატებსაც“ აფინანსებდა. კულუარებში ამბობენ იმასაც, რომ მას საქართველოში დიდი პოლიტიკური გეგმები აქვს. მეტიც, მან ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრად დანიშვნა სთხოვა, მაგრამ ივანიშვილმა უარი განუცხადა. ირაკლი რუხაძე დღესაც განაგებს პატარკაციშვილის მემკვიდრეთა ბიზნესებს. პატარკაციშვილების ოჯახი რომ მანამდეც დაინტერესებული იყო „მაესტროთი“, ეს გაცხადდა. მათ მფლობელობაში მყოფმა ტვ „იმედმა“ 5 მილიონ დოლარად შეიძინა „მაესტროს“ სარეკლამო დროის 100% ერთი წლის ვადით. ამდენად, ძალიან საეჭვოა, რომ ირაკლი რუხაძეს გია გაჩეჩილაძისთვის 2.5 დოლარი ესესხებინოს 30%-იანი წილის შესაძენად. სავარაუდოდ, ამ 30%-ს რეალური მეპატრონეები პატარკაციშვილები არიან, 2,5 მილიონიც მათ გადაუხადეს ლევან ჩიკვილაძესა და გიორგი ებრალიძეს, გია გაჩეჩილაძე კი „მაესტროში“ მათი ინტერესების წარმომადგენელია.

„იმედის“ მიერ „მაესტროს“ სარეკლამო დროის ყიდვის შესახებ გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ იგივეს გაკეთება სურდა დავით კეზერაშვილს, „რუსთავი 2“-ის მეშვეობით უნდა შეეძინა „მაესტროს“ სარეკლამო დრო და ეს რომ არ მომხდარიყო, „იმედმა“, ანუ პატარკაციშვილებმა იყიდესო. თქმა არ უნდა, თუ ეს მართალია, „ნაციონალები“ წინასაარჩევნო პიარისთვის გამოიყენებდნენ ამ სარეკლამო დროს. „ნაციონალებს“ სჭირდებათ ეს რეკლამა, არჩევნები მოდის და პოლიტიკური პარტიისთვის, ბუნებრივია, საჭიროა, მაგრამ რაში სჭირდებათ ის პატარკაციშვილებს. მარტო იმიტომ იყიდეს, რომ კეზერაშვილს, ანუ „ნაციონალებს“ არ ეყიდათ? და საერთოდ, აშკარაა, რომ გია გაჩეჩილაძის უკან დგანან პატარკაციშვილები, ამას არც პატარა „გრეჩიხა“ მალავს, ირაკლი რუხაძე ინვესტიციების განხორციელებას აპირებს არხზეო, აცხადებს. რა მიზნები ამოძრავებთ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრებს და რაში სჭირდებათ მათ „მაესტრო“? ამის შესახებ არგუმენტირებულ ვერსიებს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

### აურზაური „მაესტროზე“

„მაესტროში“ წილები გადანაწილდა, საჯარო რეესტრშიც გატარდა და არხის იურიდიული მეპატრონე გია გაჩეჩილაძე გახდა. შესაბამისად, მას უკვე შეეძლო გადაწყვეტილებების მიღება. გია გაჩეჩილაძემ მოიწვია არხის დამფუძნებელთა კრება, ბაია გადაბაძე გაათავისუფლა „მაესტროს“ გენდირექტორის პოსტიდან და მის ადგილას თავისი ძმა, ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა. თუმცა, ბრძოლა აქ არ დასრულებულა. ბაია გადაბაძემ, გარდა იმისა, რომ მთელი ქვეყანა შეყარა, „მაესტროს“ პოლიტიკური ჯგუფი ეპატრონება, არხის საინფორმაციო დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრებაო და ამის გამო, ამერიკის საელჩოშიც წავიდა, დაცვა დაიქირავა და ტელეკომპანიის შენობაში არ შეუშვა ძმები გაჩეჩილაძეები. „მაესტროს“ შენობა, ასევე, მთელი ტექნიკა (შენობა და ტექნიკა ერთად 49 მილიონი დოლარი ღირს, როგორც ამას მაკა ასათიანი აცხადებს) მაკა ასათიანის კუთვნილებაა და ეს სრულიად კანონიერი ქმედებაა. ბაია გადაბაძე, ცხადია, მაკა ასათიანთან და კოტე გოგელიასთან შეთანხმებით მოქმედებს. ასე გამოდის: გია გაჩეჩილაძე კი არის „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის, 55%-ის მფლობელი, მაგრამ მას არც შენობა აქვს ტელევიზიისთვის და არც ტექნიკა. გარდა ამისა, ჟურნალისტების უდიდესი ნაწილი მისი და მისი ძმის არხზე კონტროლის დამყარების წინააღმდეგია. ჟურნალისტმა ანა ბროლაძემ ამის გამო არხიც დატოვა. მოკლედ, ძმები გაჩეჩილაძეები, ამ ეტაპზე, უჯარო გენერლებივით არიან. თუმცა, საბოლოო ჯამში, არც ეს იქნება პრობლემა ძმებისთვის. თუ იმაზე შევთანხმდით, რომ გაჩეჩილაძების უკან ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეები დგანან, მათთვის არც ტელეკომპანიისთვის საჭირო ოფისის შეძენა იქნება პრობლემა და არც ტექნიკისა, საამისო სახსრებს ნამდვილად არ უჩივიან. აქ მთავარია „მაესტროს“ სამართალმემკვიდრედ გახდომა, მისი სახელის, ლოგოსა და ჟურნალისტთა ძირითადი ბირთვის ხელში ჩაგდება. ჯერჯერობით, ამ საქმეშიც პრობლემები აქვთ გაჩეჩილაძეებს, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ დარჩათ, სხვა ოფისიდან იმაუწყებლებენ. რჩება ჟურნალისტთა საკითხიც, მაგრამ ესეც გადაწყდება. ერთია, რომ დღეს თუ ლამის მთელი კოლექტივი აპირებს წასვლას, თუ არხს გაჩეჩილაძეები გააკონტროლებენ, მაგრამ, ეს თუ მოხდა, ძალიან ბევრი შეიცვლის პოზიციას და არხზე დარჩება. მით უფრო, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი პირველი, რასაც გაჩეჩილაძეები „მაესტროზე“ მოსვლის შემდეგ გააკეთებენ, თანამშრომლებს ხელფასებს გაუზრდიან და უკეთეს სამუშაო პირობებს შეუქმნიან. შესაბამისად, ძალიან ბევრი ჟურნალისტი, პროდიუსერი, ოპერატორი, და ტექნიკური მუშაკი დარჩება არხზე. ერთ-ერთი ვერსიით, „გრეჩიხები“ „მაესტროზე“ ნინო ჟიჟილაშვილისა და ვახო სანაიას დაბრუნებასაც გეგმავენ...

ბაია გადაბაძე აცხადებს, რომ ის „მაესტროს“ დამფუძნებლებსა და მათ შორის მიმოწერას გაასაჯაროებს და მიანიშნებს, რომ ეს მიმოწერა მეტად სკანდალურია. თუ ასე მოხდა, ალბათ, ბევრ ისეთ რამეს გავიგებთ, რამაც შესაძლოა, არსებული ვითარება კარდინალურად შეცვალოს. რატომ არ აქვეყნებს ბაია გადაბაძე ამ მიმოწერას? რას ელოდება? ლევან გაჩეჩილაძემ მას უთხრა, იმიტომ ხარ გამწარებული, რომ გენდირექტორის პოსტი დაკარგე და შენი საქციელი შანტაჟიაო. თუ ბაია გადაბაძე დროულად არ გამოაქვეყნებს ამ მიმოწერას, მაშინ საფუძვლიანია გაჩეჩილაძის ეს ნათქვამი. გამოდის, თუ ბაია გადაბაძე დარჩება არხის გენდირექტორად და ლევან გაჩეჩილაძე ვერ დაიკავებს მის ადგილს, მიმოწერას არ გამოაქვეყნებს და თუ პოსტი დაკარგა, მაშინ გამოაქვეყნებს.

### რა სურთ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებს?

საინტერესოა, რა მიზანი ამოძრავებთ პატარკაციშვილებს, „მაესტროს“ რომ ყიდულობენ? მხოლოდ მცირედი ეჭვი რჩება იმისა, რომ გია და ლევან გაჩეჩილაძეების უკან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი არ დგას. კი, ბატონო, ფული ბევრი აქვთ, მაგრამ ეს ოჯახი

ფულის წყალში გადაყრას არ არის მიჩვეული. მათ, სავარაუდოდ, გადაიხადეს გია გაჩეჩილაძის 2.5 მილიონი დოლარი „მაესტროს“ 30%-იან წილში, მანამდე 5 მილიონი მათმა „იმედმა“ გადაიხადა „მაესტროს“ სარეკლამო დროის 1 წლით შეძენაში, ამას დავამატოთ 50 მილიონი ვალი, რომელიც „მაესტროს“ აქვს და მათი გადასახდელი გახდება (გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ამ 50 მილიონს მაკა ასათიანი ითხოვს, რადგან სწორედ ამდენი დავახარჯე „მაესტროსო“). ასევე, 49 მილიონი, ეს ფასი ღირს ტელეკომპანიის ოფისი და ტექნიკა და მაკა ასათიანი მას არ დათმობს იმაზე იაფად, ვიდრე ღირს. პატარკაციშვილებმა „მაესტროს“ შენობა და აპარატურა რომც დაუტოვონ მაკა ასათიანს, არხმა დროებით მაუწყებლობა რომ შეწყვიტოს, ვიდრე ახალს შეიძენენ, ამ 49 მილიონზე ნაკლები არ დაუჯდებათ. მოდით, მაშინ ეს 49 მილიონი დავტოვოთ, როგორც პატარკაციშვილების გარდაუვალი ხარჯი. ახლა დავთვალოთ. გამოდის, რომ „მაესტროს“ შეძენა მათ დაუჯდებათ 106.5 მილიონი დოლარი. პატარკაციშვილებს აქვთ ერთი ტელევიზია, „იმედი“ და რაში იხდიან ამხელა ფულს მეორე ტელევიზიაში? იმის თქმა, რომ ტელებიზნესი იმდენად მომგებიანია, მილიარდერის მემკვიდრეები „იმედით“ უზარმაზარ ფულს შოულობენ და ახლა მეორეც მოუნდათო, სისულელეა. „იმედი“ და „მაესტრო“ კი არა, აგერ, ყველაზე რეიტინგულ „რუსთავი 2“-ს, როგორც ამბობენ, დავით კეზერაშვილი რომ არ აფინანსებდეს არალეგალურად, იმ შტატებითა და ხელფასებით, ასევე, სხვა ხარჯებით, ეს ტელევიზია ვერ იარსებებდა და სუფთა შემოსავალზე რომ დაჯდეს, მინიმუმ, ხარჯების 40-50-ის შეკვეცა მოუწევსო, ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებიათ ჩვენს მედიაექსპერტებს. მოკლედ, „მაესტრო“ ფულს ვერ მოუტანს პატარკაციშვილებს, მას იქით მიაქვს ფული.

საქმე აშკარად გრძელვადიან პროექტთან გვაქვს და არა მოკლევადიანთან, მარტო მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისთვის არ უნდა სჭირდებოდეთ პატარკაციშვილებს „მაესტრო“, მათი გეგმის უკან, პოლიტიკური ინტერესებია შეფუთული და სავარაუდოდ, ასეც უნდა იყოს. ლოგიკურად, როცა 2 ტელევიზია გინდა გქონდეს, როცა ერთის შეძენა ამხელა ფული გიჯდება და მერე ორივეს შენახვაც იანგარიშეთ, გრძელვადიან პოლიტიკურ გეგმებთან უნდა გვქონდეს საქმე. შესაძლოა, პატარკაციშვილები თავად აპირებენ პოლიტიკაში მოსვლას. არ დაგვავიწყდეს, რომ მათ ამის გამოცდილება აქვთ. ბადრი პატარკაციშვილის დები, მზია თოთლაძე და ნანა პატარკაციშვილი პარლამენტის წევრები იყვნენ, აქვე გავიხსენოთ, რომ ბადრი პატარკაციშვილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გახლდათ და მაშინ მთელი მისი ოჯახი იყო პოლიტიკაში ჩაბმული. მოკლედ, რაც ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი საქართველოში დაბრუნდა, მას შემდეგ, პოლიტიკაშია. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ მზია თოთლაძის შვილი, ხათუნა თოთლაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. მოკლედ, სრულიად შესაძლებელია, პატარკაციშვილები პოლიტიკაში აპირებდნენ მოსვლას და ტელევიზიებიც იმიტომ სჭირდებათ. დღეს საქართველოში ტელევიზია, ანუ პიარი, და ფული პოლიტიკაში წარმატების უტყუარი გარანტიაა და თუ პატარკაციშვილებმა „მაესტრო“, ბოლოს და ბოლოს, იყიდეს, 2 ტელევიზია ექნებათ. მართალია, წამგებიანი ბიზნესობიექტი, მაგრამ სამაგიეროდ, პოლიტიკაში მოსვლის და შემდეგ იქიდან ფულის კეთების მანქანა. შესაძლოა, პატარკაციშვილის მემკვიდრეები თავად გამოჩნდნენ პოლიტიკაში, შესაძლოა, სხვა პოლიტიკური ძალა დააფინანსონ, გაარეკლამონ და ის მოიყვანონ, თუმცა, ამ ძალის რეალური მმართველები თავად იქნებიან.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ამ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას. პატარკაციშვილებმა „მაესტროც“ და მისი სარეკლამო დროც მისი ფულით იყიდეს და ივანიშვილი არ ჩნდება. თუ ეს სიმართლეა, ლოგიკურად, ეს არხი წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ უნდა მოემსახუროს. ამ შემთხვევაში, პატარკაციშვილებმა რაღაც სარგებელი უნდა ნახონ. არც ამ შემთხვევაშია მათი პოლიტიკაში მოსვლა გამორიცხული. ან ღიად, ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას ამოფარებულნი. მაშინ, გამოდის, რომ გარიგება მოხდა პატარკაციშვილებსა და ივანიშვილს შორის და ამ სამსახურის სანაცვლოდ პატარკაციშვილის მემკვიდრეები შესაბამის პოლიტიკურ სარგებელს მიიღებენ – ადგილებს პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ჩვენში ძალაუფლება რომ საუკეთესო ბიზნესია, ეს პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს არ ესწავლებათ.

ბიძინა ივანიშვილის ჩართულობის ვერსიას ამ პროცესში შესაძლოა, ისიც ამყარებდეს, რომ „მაესტროში“ დამფუძნებელთა კრების მოწვევამდე, ბაია გადაბაძის თანამდებობიდან გადაყენებამდე 2 დღით ადრე, გია გაჩეჩილაძე პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა. მართალია, ორივე ირწმუნება, მეგობრები ვართ და ისე, უბრალოდ შევხვდით, „მაესტროზე“ არ გვისაუბრიაო, მაგრამ ნამეტანი საეჭვო შეხვედრაა მთავარი მოვლენების განვითარებამდე 2 დღით ადრე. ასევე, ძმები გაჩეჩილაძეები ბიძინა ივანიშვილის ახლობლებად ითვლებიან. კერძოდ, ივანიშვილის გოგოს ნათლიაა ლევანის შვილი და არ არის გასაკვირი, მის დავალებას ასრულებდნენ. ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია.

## ბაჩო კიკაბიძე და მეორე „მაესტრო“

მოვლენები, შესაძლოა, უფრო სკანდალურად განვითარდეს „მაესტროზე“, ვიდრე ამ ეტაპზეა მოსალოდნელი. „მაესტროს“ ერთ-ერთმა დირექტორმა და ყოფილმა მეწილემ, ბაჩო კიკაბიძემ, ისეთი სვლა გააკეთა, შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ბაჩო კიკაბიძე „ტვ-11“-ის დამფუძნებელია, რომელიც შემეცნებით-გასართობი არხია. კიკაბიძე ადგა და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მიმართა, რომ „ტვ-11“-ს საერთო მაუწყებლობის ლიცენზია მისცენ, ანუ არხს მაყურებლისთვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროდუქტის მიწოდებაც შეეძლოს... კიკაბიძე „მაესტროს“ დათმობას არ აპირებს და ამ დროისთვის „ტვ-11“-მა შეწყვიტა მაუწყებლობა და სახელიც გადაერქვა – „მაესტრო-24“ დაერქვა. ახლა „მაესტროს“ ლოგოთი მაუწყებლობს და აცხადებს, რომ „მაესტროს“ ლოგო, როგორც სავაჭრო ნიშანი, მისი დარეგისტრირებული და შესაბამისად, მისივე საკუთრებაა. ეს სერიოზული კოზირია კიკაბიძისთვის. თუ მარეგულირებელმა შესაბამისი ლიცენზია მისცა „ტვ-11“-ს, მაშინ შესაძლოა, 2 „მაესტრო“ მივიღოთ – ძმები გაჩეჩილაძეებისა და ეს ახალი.

თუმცა, აქ ორი კითხვა ჩნდება. კი, ბატონო, ბაჩო კიკაბიძემ „მაესტრო-24“ აამუშავა, რაც ნიშნავს, რომ საერთო მაუწყებლობის ლიცენზიაც მიიღო, კარგი, ჟურნალისტები, პროდიუსერები და ყველანი დაიხვეტნენ „მაესტროზე“ და გადავიდნენ მის არხზე, ამ ხალხის შენახვას რით აპირებს? ფული საიდან მოაქვს? რეკლამით არხს რომ ვერ შეინახავს, ეს თავადაც იცის. „მაესტრო“ დაარსების დღიდან დოტაციაზეა, ბოლოს კოტე გოგელია აფინანსებდა. პატარკაციშვილებს იმიტომაც მიჰყიდეს 1 წლით სარეკლამო დრო 5 მილიონად, რომ ულირდათ, რადგან ლოგიკურად, 5 მილიონიც არ შესდიოდა არხს რეკლამიდან. ამდენი წლის ტელევიზია ვერ ინახავდა თავს, ბოლოს გაკოტრდა და ახლად დაფუძნებულ „მაესტრო-24“-ზე ვინ მიიტანს იმდენ რეკლამას, რომ არხს სრულფასოვანი მუშაობისთვის ეყოს? ლოგიკურად, გამოდის, რომ ბაჩო კიკაბიძეს ფულს ვიღაც ან ვიღაცები აძლევენ. ვინ მისცემს, ეს, ალბათ, ადრე თუ გვიან



გამოჩნდება.

ამ ჭიდილში, რომელსაც აშკარად პოლიტიკის სუნი ასდის, როგორც წესი, არავის ახსენდება ხოლმე ჟურნალისტები და ზოგადად, არხის თანამშრომლები. ასეთ ჭიდილში სწორედ ისინი იჭყლიტებიან და ამის დასტურად, „მაესტროს“ ერთ-ერთი ჟურნალისტის „ფეისბუკ“-პოსტს გთავაზობთ და ამით დავასრულოთ:

„...და სანამ „მაესტროს“ დამფუძნებლები, მფლობელები, ძველი თუ ახალი მესაკუთრეები წილებზე დაობენ, სანამ არხის გენერალური დირექტორი თანამდებობიდანაა განთავისუფლებული, მისი შემცვლელი კი ჯერაც არაა დამტკიცებული, სანამ ტელევიზიის შენობას, საკუთარი დაცვის სამსახურის გარდა, კიდევ რაღაც სამსახური დარაჯობს, სანამ დაპირისპირებული მხარეები ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, უცხო ქვეყნების საელჩოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ხვდებიან, სანამ „მაესტროს“ ლოგო ერთდროულად ორ სხვადასხვა არხზეა ამონათებული, სანამ იურისტები ტელევიზიის შენობისა და აპარატურის მესაკუთრეს თუ მოიჯარეს ეძებენ, სანამ ფინანსისტები დავალიანებას ითვლიან და ა.შ. და ა.შ... მაინტერესებს, ვინმეს მაინც თუ ახსოვს თანამშრომლები? ვინ და როდის აპირებს მათთვის გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის იანვრის ხელფასის გადახდას? ვინ და როდის აპირებს მათთვის იმის განმარტებას, ბოლოს და ბოლოს რომელ არხზე მუშაობენ ისინი, ჩვეულებრივ „მაესტროზე“ თუ ე.წ. „24“-იან „მაესტროზე“? ვინ და როდის აპირებს მათთვის იმის ახსნას, საერთოდ აქვს თუ არა მომავალი ან ერთ, ან მეორე არხს, და რაც ყველაზე მთავარია (ყოველ შემთხვევაში თანამშრომლებისთვის, რომელთა უკან ოჯახებია), აქვთ თუ არა პირადად მათ მომავალი ამ ტელევიზიაში?“

# „მაესტროზე“?

„სანამ იურისტები ტელევიზიის შენობისა და აპარატურის მესაკუთრესა თუ მოიჯარეს ეძებენ, სანამ ფინანსისტები დავალიანებას ითვლიან და ა.შ. და ა.შ... მაინტერესებს, ვინმეს მაინც თუ ახსოვს თანამშრომლები? ვინ და როდის აპირებს მათთვის გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის იანვრის ხელფასის გადახდას?“





## თამარ ივერი ეკა ხოფერიას უპირისპირდება





„ეკა ხოფერიას შოუს“ სტუმართა შორის იყო თამარ ივერი, რომელიც ოპერა „აბესალომ და ეთერში“ ეთერის პარტიას ასრულებს. როგორც ჩანს, თამარ ივერი შინ განაწყენებული დაბრუნდა, რაც სოციალურ ქსელში მის მიერ გამოქვეყნებულ პოსტში აშკარად იგრძნობა:

– დიდი ხანია ჩემთვის ასეთ არაფრისმომცემ შოუში არ მიმიღია მონაწილეობა. 2 საათი მაცდევინეს, მაყურყუტეს და გამყინეს მხოლოდ იმისთვის, რომ გადაცემის ბოლოს, უკვე გადაღლილ ხალხთან „ნასუფრალზე“ 2 სიტყვა მეთქვა... მხოლოდ ერთი ორაზროვანი შეკითხვა იმის შესახებ, შემოქმედებითი ჯგუფი როგორ განვიცდიდით გარეშე მედიადარტყმებს და მორჩა... ამის სათქმელად მიმიყვანეს „ქალი ეთერი“. ჩემი რამდენიმე მცდელობა, რომ რაღაც სიტყვა ჩამეკვეხებინა და რაღაცაზე ჩემი აზრი გამომეთქვა, იგნორირებული დარჩა. მანამდე მხოლოდ „ბილეთები-ქურქები-ბილეთები-ქურქების“ მეტი არაფერი მესმოდა. საბოლოოდ ჰამლეტის თეორემასავით – „მისვლა-არმისვლა“, საკითხავი აი, ეს არის... თავს ვეკითხებოდი... ამ ერთი დასტუკება-გაელვებისთვის მივედი და ვიცადე 2 საათი აეროპორტში გაფრენის წინ? ასევე, ბატონი გიზოც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა... ამ ორი სიტყვის სათქმელად მომიყვანეთ? მსურდა, კიდევ რაღაც თემებზე მესაუბრაო. ანალოგიურად გადაცემის 5 წუთით ადრე „დასასტუკებლად“ მიწვეულ ქალბატონ მედეა მირიანაშვილსაც 1 საყველპურო სიტყვა ერგო წილად.

არ შეიძლება გადაცემას „აბესალომ და ეთერის“ თემა დაარქვა და მთელი 2 საათი ქურქ-ბილეთების ყვითელ საუბრებს დაუთმო, ჩემთვის შეიძლება პატივსაცემ, მაგრამ ოპერიდან შორსმდგომ ხალხთან და ამ დიდი კალიბრის ხალხი, ვინც თავად შექმნა ეს სპექტაკლიც და ეს ზეიმიც, მიიყვანო, 2 საათი აცდევინო იმისთვის, რომ ბოლო ბლოკში 15-20 წუთით შეაგდო, საყველპუროდ თითო-თითო შეკითხვა დაუსვა და მათ შემდგომ საუბრისა და აზრების გამოთქმის სურვილზე „ბოდიში, უკვე ვასრულებთ გადაცემას“ უძახო და ისინი პრაქტიკულად მხოლოდ გადაცემის „ფეისებად“ გამოიყენო! ლადო, ჭკვიანი ხარ, დღესაც დავრწმუნდი!! – წერს თამარ ივერი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**სოსო ცინცაძე,** პოლიტოლოგი:
„ნახეთ, რა მოცემულობა გვაქვს, პაატა ბურჭულაძე გაფერმკრთალდა, მასთან ხელმოკარული ადამიანების გუნდმა მოიყარა თავი, პოლიტიკური მოლოდინები მის მიმართ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი ნელ-ნელა ეცემა... ამას ხელს შეუწყობს ეკონომიკურ-სოციალური კრიზისი და კიდევ ის ფაქტორი, რომ „მეოთხე ბრწყინვალე წელიწადის" მომლოდინე ხალხს იმედი გაუცრუა".

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**გოკა გაბაშვილი,** „ნაციონალური მოძრაობის" წევრი:
„ზუსტად იმ დროს, როცა პრეზიდენტი თავის სიტყვას წარმოთქვამდა, ციხისძირში ახლოვან ხეებს ბულდოზერებით გლეჯდნენ და ივანიშვილის ეზოში გადაჰქონდათ, რადგან მას ძალიან უყვარს გიგანტური ხეები. ესაა რეალური ვითარება, რომლის ფონზეც თავისუფლების დახვეწა ცინიზმია".

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**გიგლა ბარამიძე,** „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" პოლიტიკური მდივანი:
„იწერება საარჩევნო სქემა, რომელ პარტიას უნდა გადაალახვინონ საარჩევნო ბარიერი და რომელმა პარტიამ ხმების რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, ჩვენამდე ყველა ინფორმაცია მოდის, სანამ დროა, შეეშვით უხეშ ჩარევებს".

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**სოსო ჯაჭვლიანი,** საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:
„თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, მაშინ ისიც ვნახოთ და სახალხო დამცველმაც ნახოს, როგორი კანონები აქვთ გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, დანიაში... გამოდის, ეს ქვეყნები ეწინააღმდეგებიან ევროსტანდარტებს. ამათგან ყველაზე ლოიალური ჩვენი კანონი იქნება, სადაც დარჩა ჯარიმა — 300 ლარი. სხვაგან მსგავსი დანაშაული ისჯება ციხით და ძალიან მაღალი ჯარიმებით".

## კვირის სკანდალი

*გელა ზედელაშვილი*
*555 48-48-61*



„ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ"! – წამოიძახა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ჯერ კიდევ 2001 წელს და თავისი წუხილი ქაღალდზე გადაიტანა. მას შემდეგ მთელი 15 წელიწადი გავიდა და როგორც ნახეთ, 3 თებერვალს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გოგი თოფაძემ პარლამენტში წლიური ანგარიშით მისულ მარგველაშვილს წამოაძახა: ჯერ იყო და ქართველ ხალხს დაუნი უწოდე, მერე პრეზიდენტი გახდი და იმ ავადსახსენებელ რეზიდენციაში შევარდი, უმადური ყოფილხარ, აბა, რა უნდა გელაპარაკოო? მოდით, ჯერ მარგველაშვილის იმ წერილს გადავხედოთ, რომელიც 15 წლის წინათ დაწერა, შემდეგ კი იმაზე გადავიდეთ, რა მოჰყვა გოგი თოფაძის განცხადებას. მოკლედ, 2001 წელს საქართველოში რაც ხდებოდა, ვიცით – იდგა შევარდნაძის ხანა, იყო კორუფცია, არ გვქონდა დენი, არ გვქონდა გაზი, იყო უკუნი. რა ექნა ახლა მარგველაშვილს, როცა თითქმის არაფერს წარმოადგენდა და არც „ჯიპას" რექტორი იყო. კი მუშაობდა რაღაც სოროსულ ფონდებში, მაგრამ ეს არ გახლდათ მისი „ჭერი". ადგა და დაწერა, როგორი ცუდები ვართ საბჭოთა სისტემისგან გაზულუქებული ქართველები:

**„მეოცე საუკუნის ბოლოს ჩვენ — ამ ერმა მივიღეთ, თუ აღვიდგინეთ, სახელმწიფოსა და ერის სტატუსი და დავიწყეთ ჩვენი თავისა და ჩვენი მეობის გამოჭედვა ახალ, ახლა უკვე მსოფლიო სარბიელზე. დავიწყეთ ჩვენი სახის შექმნა. ბევრი რამ გვიშლიდა ხელს ამ მნიშვნელოვანსა და მტკივნეულ პროცესში. პირველ რიგში ჩვენი ექსსოვიეტ წარსული. არცთუ ისე ადვილი გამოდგა კრემლის ვერაგი მარწუხებიდან გამოძრომა, და არც იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც მსოფლმხედველობრივ კონტექსტში — „რას ვგრიმიტობდით ქართველი ბიჭები რუსეთში!"... „აქედან ერთი იაშჩიკი კონიაკი ჩაგვქონდა და იქიდან ეშალონებით დაგრუზული მოვდიოდით"... „დევუშკა, ტუდა სუდა პაგულაემ, სვეჟი ვოზდუხ პაყლაპაემ"... — მოკლედ, ამის დათმობა არ არის ასე ადვილი. და როგორ შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ ჩვენ ეს, როდესმე გაგვიადვილდებოდა, რომ ჩვენ ასე უცებ, ერთ ღამეში ვიქცეოდით ნორმალურ ერად? ნებისმიერი ჭკუათმყოფელი, არაექიმიც კი გეტყვით, რომ სერიოზულად გამრუდებული ფსიქიკის მორჩენა ერთ დღეში კი არა, პრაქტიკულად შეუძლებელია... როგორია ჩვენი ავადმყოფობის ფურცელი? დიაგნოზი და პროგნოზი? დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია — გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით — ანუ, ფაქტობრივად, მდგომარეობა, როდესაც როგორც ასეთს და კონკრეტულად, ქართული სოციუმის ანალიზისას, ვასკვნით, რომ ჩვენი სოციალური ორგანიზმი, გონებრივი სისუსტის მდგომარეობაში იმყოფება.**

**შენიშვნისთვის, ეს არ ნიშნავს, რომ თუ ამ ტრადიციების, ამ წესებისა და ამ მენტალიტეტის ინდივიდს გავასინჯებთ ფსიქიატრს, იგი მას ბრივი და ფიზიკური განვითარების შეუსაბამობა... ჩვენ ვერ ვახდენთ რეალობისა და ამ რეალობაში საკუთარი თავის შეფასებას. ჩვენ გავჩერდით დაახლოებით იმ საფეხურზე, როდესაც ბავშვი იძახის — „მამაჩემი ცის ტოლაა" — და, სამწუხაროდ, ვერ გავცდით ამ ეტაპს — „ერთი ქართველი ათს სჯობნიდა"... სადღეგრძელო იყოს, იყოს რიტუალისთვის ნათქვამი სიტყვა, მაშინ არაუშავს. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამ სიტყვების მთქმელი ტყუის. ამ ადამიანს სწამს თავისი ნათქვამის. მაგრამ, როგორ, ის ხომ რეალურად მოძალადე, მექრთამე, გამცემი და მჩაგვრელია? ყოველგვარი ნორმალური ლოგიკით იგი ან უნდა არ შედგა კაცად. ისიც მამასავით ყველაფერს უსრულებდა, გაათავხედა და გაამაიმუნა. არ უნდოდა, მაგრამ შედეგად მიიღო, კაცი ბავშვის ფსიქიკით. კაცი, რომელსაც ზრდასრული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისება — პასუხისმგებლობა და სოციალური**

# რას აპირებს გოგი თოფაძე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ?

## რა განუცხადა დეპუტატმა „ალიას"



**გოგი თოფაძე: „ხალხს, მოსახლეობას ძალიან კარგად ესმის ჩემი პოზიცია. ტელეფონი არ ჩერდება, მუდმივად მირეკავენ და მხარდაჭერას მიცხადებენ"**

**გიორგი მარგველაშვილი: „გარდაუვალია, ბავშვს, რომელსაც ასეთი მშობლები ჰყავს, ჰქონდეს პრობლემები ზრდასრულობის ასაკში, ისევე როგორც ჩვენ. მაგრამ, ასეთ ხალხს, ჩვეულებრივი გარემო ლმობიერად ექცევა, ისევე, როგორც ჩვენც — ნიჩურტა — გვაპატიეთ ვალები, ჩვენ ქართველები ვართ"!**

**ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა. მაგრამ, ნათელია, რომ დებილობა ინდივიდში და გონებრივი სისუსტე ერში, განსხვავებულად გამოიხატება... ამ გამოვლინებების ანალიზით, ჩვენ ვაანალიზებთ სოციუმს, გონებრივ სიჩლუნგეს, ანდა რაიმე ფსიქიკური აშლილობის ფორმას დაუდასტურებს, სრულიადაც არა. მაგრამ, ამავე დროს ამ ინდივიდებისგან შემდგარი ერი, შესაძლოა, იყოს გონებასუსტი. დიაგნოზი — გონებრივი ჩამორჩენილობა რაში გამოიხატება? რაში და ჩვენი არსებობის წესში. დებილობა მხოლოდ გონებრივ ჩამორჩენილობას გულისხმობს, შესაბამისად, ავადმყოფი ფუნქციონირებს პრინციპში ნორმალურად, ხშირად ნორმალურად სოციალურ ასპექტშიც კი, მაგრამ აშკარაა მისი გონე-**

**„დავით მეფემ ეს სამტონიანი ქვა ერთი ხელით ამოიტანა გელათში, მეორეთი კი თმას ივარცხნიდა"... და რაც მთავარია, ვამბობთ და ვიმეორებთ რა ამას, ჩვენ არ გვჯერა ჩვენივე ნათქვამის. შეუსაბამონი ვართ ჩვენ ჩვენს იდეოლოგიურ საფუძვლებშიც. „გაუმარჯოს საქართველოს! გენაცვალებით, გეხუტებით, თქვენს სიყვარულში ვტრიალებ, ჩემო ვაჟკაცო და დიდო ხალხო!!! თქვენთვის ვცოცხლობ და თქვენთვის მოვკვდები, ვენაცვალე ამ მიწა-წყალს, ამ ხალხს და ამ გაგებას"... — ეს რომ უბრალოდ ტყუოდეს ან დისონანსში, კონფლიქტში იყოს საკუთარ „მე"-სთან. მაგრამ ეს არ ხდება. არა მხოლოდ რუსეთი, ლოთი მამის პირობებში, მნიშვნელოვნად ამრუდებდა ჩვენს აზროვნებას ჩვენი დედაც — ქართლის დედა — ერთ ხელში თასი და მეორეში ხმალი... ქართლის დედა აკეთებდა იმას, რაც, პრინციპში, ლოთი მამის პირობებში ქალისთვის ბუნებრივია — დაიწყო თავისი ბავშვის დაცვა და ზედმეტი მოფრთხილება. ქართლის დედამ გააკეთა ისე, რომ ბავშვი არამც და არამც აზროვნება არ გააჩნია. ასეთია ქართველი. ქართველს არ ეშინია შეცდომის დაშვების, ცუდად მოქცევის, რადგანაც „დედა ყველაფერს აპატიებს". დედა ჯარიდანაც დაიხსნის, მილიციიდანაც გამოიყვანს, უმაღლესშიც მოაწყობს, უშოვნის ცოლსაც და სამსახურსაც — „ენაცვალოს დედა"... ორი, უკვე ღიპიანი და ულვაშდამშვენებული კაცი ლაგუნა ვერეს აუზში ხვანცალებს, ერთმანეთს წყალს აწუწებენ, იცინიან, მხიარულობენ.**

*გაგრძელება ოცდამესამე გვ.*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დოსტოევსკი. „ძმები ...“
2. ქალაქი კლდეში გორთან
3. ყველაზე მტკიცე მინერალი
4. რძის პროდუქტი
5. დიეგო არმანდო ...
6. „ოქროს თევზი და ...“
7. ყვავის ბარტყი
8. ილუზიონისტი დევიდ ...
9. ადამიანის სახე წინიდან
10. მსახიობი ... ჰილტონი
11. ცხვრების ერთობლიობა
12. რაიმეზე ნომრის მინიჭება
13. ცისარტყელას ფერი
14. რუსი მხატვარი
15. ვულკანური მასა
16. დაწმენდილი შაქარი
17. „მისგან გასწორ-დეს ყოველი, ... და ძალგულოვანი“
18. ... სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა
19. ქვეყნიერების დასასრული
20. უფრთო ფრინველი
21. მისი დედაქალაქია ტოკიო
22. მომღერალი ... გეგელია
23. წლოვანება
24. გრამატიკის ნაწილი. სწავლობს წინადადების ტიპებს
25. დედამიწის სარტყელი
26. თვითმფრინავის გამყოლი
27. საფრანგეთის იმპერატორი
28. თვითნასწავლი მხატვრობა
29. მსახიობი ... გიბსონი
30. აბელის ძმა
31. დრამატურგი ჰენრიკ ...
32. პოეტი ბორის ...
33. ავტოსაგზაო შემთხვევა
34. საკანცელარიო ნივთი
35. რკინის კანცლერი ოტო ფონ ...
36. ჰანს-ქრისტიან ...
37. მსახიობი ... დეპი
38. ცხენების სარბენი ადგილი
40. ხის ჯამი
41. პოეტი ... აბაშიძე
42. დუმბაძე. „თეთრი ...“
42. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
43. თეატრის კოლექტივი
44. „... მოვიპაროთ მილიონი“
45. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
46. ფეთქებადი ნივთიერება
47. ... პუგაჩოვა
48. ვოლტი, ამპერი, ...
49. სპორტული ინვენტარი
50. ჟან რენო ფილმში
51. ჭურვი. ფეთქდება მეხებით
52. მსახიობი მარჩელო ...
53. ცირკის მოედანი
54. გულის მთავარი სისხლძარღვი
55. ქართ. ეპოსის გმირი
56. მოგზაური ფრიტიოფ ...
57. ბალერინა ... ნიორაძე
58. მწერი
59. მწერალი პროსპერ ...
60. ნარკოტიკებზე დამოკიდებულება
61. რეჟისორი ... დე ბონტი
62. აგულის ვაჟი ... ერისთავი
63. სოფელი საგარეჯოს რაიონში
64. მექსიკელის ფერმა
65. ოთხიანი ნარდში
66. ძაღლის პირის ასაკრავი
67. ერთგვარი პეპელა
68. ღორების ჯოგი
69. მხატვრების უბანი პარიზში
70. ბილიარდის ჯოხი
71. სავარჯიშო დანადგარი
72. უნგრელი კომპოზიტორი
73. უდაბნო აფრიკაში
74. იტალიის დედაქალაქი
75. სინთეზური ქსოვილი
76. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
77. მსახიობი ... ნოლტი
78. მსახიობი ... კილმერი
79. მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსი შუა საუკუნეების საფრანგეთში
80. ნახ. კუნძული აზიაში
81. აჭარული ცეკვა
82. ოპერა „პიკის ქალი“ პერსონაჟი
83. ლენონის ქვრივი
84. ვაჟი. ემსახურებოდა რაინდს
85. რუსი მხატვარი
86. ავსული ზღაპრებში
86ა. ვაჟიშვილი
87. ქართული სატირული ჟურნალი
88. მატონიზირებელი სასმელი
89. მსახიობი ... ბანდერასი
90. მოსევადების ტექნიკა
91. შეძახილი თეატრში
92. „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ ავტორი ... კიზი
93. მომლოცველი
94. მომღერალი რაფაელა ...
95. მარჯნის კუნძული
96. შავი ზღვის ზვიგენი
97. ჯუჯა ცხენი
98. შაბათ საღამო
99. ინდიელების ვარცხნილობა
100. მარილის ჩასაყრელი
101. თეატრალური მაკიაჟი
102. ქალაქი ესპანეთში
103. ... ხაიამი
104. მსახიობი სტივ ...
105. თეატრის ჟანრი
106. იაპონური ფულის ერთეული
107. მსახიობი მერილ ...
108. ზაფხულის თვე
109. დრამატურგი ... შოუ
110. სირბილი, დოლი
111. კურორტი ზუგდიდის რაიონში
112. ფილიპინების დედაქალაქი
„თუ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და რამეს წარმოვადგენთ, როდესაც კომპანიამ აღმოჩენა გააკეთა, ან თუ გააკეთა საერთოდ, მას ჰქონდა ვალდებულება, პირველ რიგში, ეცნობებინა ხელისუფლებისთვის. ფაქტია, რომ კომპანიამ ვალდებულება დაარღვია, არ აცნობა ხელისუფლებას თუ ნამდვილად რამე აღმოაჩინა. არც არაფერი წარდგენილი არ აქვს, არც გეგმა მოკვლევის, არც შედეგები. რას აცხადებენ, სად აცხადებენ, საერთოდ, ვინ არიან ესენი?! ან საერთოდ ჩვენ ქვეყანა ვართ?! ყველა ნორმალურ ქვეყანაში, როდესაც კომპანია არის შემოსული და მას აქვს ურთიერთობა ხელისუფლებასთან, როდესაც სერიოზულ აღმოჩენას აკეთებს, ის ამ ხელისუფლებას საქმის კურსში აყენებს. დაუშვებელია განცხადებები სხვა ტრიბუნიდან. მე არ ვარ გეოლოგი, მხოლოდ იმის მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო, რაც ჩვენმა გეოლოგებმა მითხრეს, როცა ამის კვლევას ვაკეთებდი. მათ თქვეს, რომ სანამ 2D ან 3D შესწავლას არ გააკეთებს კომპანია და არ გაბურღავს სათანადოდ, მანამდე შეუძლებელია, რაიმე რაოდენობაზე ისაუბრონ და როგორც მე ვიცი, ამ კომპანიას ამ დონის სამუშაოები არ ჩაუტარებია“.

მოქმედი გეოლოგები კი საკითხზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ, თემაში უკეთ გარკვევის მიზნით, ასევე გვქონდა მცდელობა, დავკავშირებოდით „საქნავთობის“ ყოფილ თანამშრომელს, ომარ ასათიანს, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს დროიდან ჰქონდა ინფორმაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიებსა და ბუნებრივი რესურსების მარაგის პოტენციურ ადგილებზე, თუმცა, როგორც „ალიასთან“ საუბრისას განაცხადა, ახალი აღმოჩენის შესახებ არაფერი იცის, ძველზე კი საუბარი არ სურს, რადგან აღნიშნულ სფეროსთან დიდი ხანია შეხება აღარ აქვს.

ამერიკული კომპანიის აღმოჩენის ნამდვილობის არ სჯერათ გაზის მთავარ იმპორტიორ მეზობელ აზერბაიჯანშიც. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, სანავთობო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ილჰამ შაბანი აცხადებს, რომ საქართველოში ბუნებრივი აირის დიდი მარაგის არსებობა შეუძლებელია. ილჰამ შაბანი ამერიკული კომპანიის განცხადებას საკუთარი აქციების რეიტინგის გაზრდის მცდელობად მიიჩნევს. „აღნიშნული კომპანია მართლაც დიდი ხანია, აწარმოებს ამ ტერიტორიაზე ძებნას და გაზის უმნიშვნელო მარაგები იქ აღმოჩენილია. რაც შეეხება ახალ მარაგებს, შესაძლოა, ისინი არსებობს, თუმცა არა იმ მოცულობით და რაოდენობით. 5,3 ტრილიონი კუბური მეტრი უდრის „შაჰდენიზის“ მასშტაბის 5 საბადოს. სავარაუდოდ, არის გეოლოგიური მარაგები. უცნობია, შესაძლებელია თუ არა მათი გამოყენება. შესაძლებელიც რომ იყოს, ისინი რეგიონული მნიშვნელობის იქნება. სავარაუდოდ, მათი საშუალებით მხოლოდ კონკრეტული დასახლებული პუნქტების მომარაგება იქნება შესაძლებელი“, – განაცხადა აზერბაიჯანის სანავთობო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა.

სპეციალისტებისა თუ ეკონომისტების შეფასება კომპანიის მაქინაციების შესახებ საფუძველს მოკლებული მართლაც არ არის. მნიშვნელოვანი დეტალია, რომ საქართველოში გაზის აღმოჩენის ინფორმაციის გავრცელებისთანავე ლონდონის საფონდო ბირჟაზე „ფრონტერას“ აქციების ფასმა 6%-ით მოიმატა.

ამის შესახებ საკონსულტაციო და ინვესტიციების მართვის კომპანია სტერ.გე-ს მენეჯერი, ფინანსისტი არჩილ კუბლაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე საუბრობს. მისი მტკიცებით, 5 წლის მანძილზე კომპანიას მოგება არ უნახავს და სააქციო პაკეტების გაბერვისთვის სჭირდება მსგავსი ინფორმაციების გავრცელება:

**„კომპანია ამ სიახლეს გაბანკროტებისგან თავდასაძვრენად იყენებს, ფინანსისტი „ლონდონის საფონდო ბირჟიდან“ სნეპშოტებს აქვეყნებს, სადაც ჩანს, რომ კომპანია „ფრონტერას“ აქციები 2012 წლის 6,9 ფუნტიდან დღესდღეობით ისტორიულ მინიმუმზე, სულ რაღაც, 0,6 ფუნტამდეა დაცემული. 5 წლის განმავლობაში კომპანიას არც-ერთი ფუნტი მოგება არ უნახავს და შესაბამისად, არც დივიდენდები გაუცია. ლოგიკურია, ჩნდება კითხვა, ვის წისქვილზე ასხამს წყალს ეს ყალბი ინფორმაცია, რაზეც პასუხი მარტივია: კომპანიის ამჟამინდელ მფლობელებს სურვილი აქვთ, რომ „ჰაიპის“ საფუძველზე ხელოვნურად შექმნან მათ აქციებზე მოთხოვნა და საკუთარი დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით სააქციო პაკეტები გაბერილი ფასით მიჰყიდონ არიფ ინვესტორებს“.**

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან, რომელიც წლების მანძილზე აკეთებდა კვლევებსა თუ განცხადებებს ქვეყნის ბუნებრივი რესურსებზე, ამჯერად უპასუხოდ გამოგვიშვეს და თემაში სიღრმისეულად გასარკვევად ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოში გადაგვამისამართეს, რომელიც ნავთობისა და გაზის სექტორში მოქმედი კომპანიების მარეგულირებელია. როგორც აღმოჩნდა, კანონმდებლობით სწორედ ამ სააგენტოსთან აქვს ვალდებულება კომპანიას, წარადგინოს შესრულებული სამუშაოები დათქმულ ვადებში, რაც „ფრონტერას“ არ გაუკეთებია. მეტიც, როგორც გაირკვა, მას უკვე სასამართლოს ძალით მოუწევს კომპანიის წინაშე ვალდებულების შესრულება:

„კომპანიას არათუ ხუთი ტრილიონი კუბური მეტრი გაზის მოცულობის აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, არამედ კანონმდებლობით განსაზღვრული ყოველწლიური სამუშაო ანგარიშიც არ წარუდგენია. ნორმის შეუსრულებლობის გამო, სააგენტომ კომპანია დააჯარიმა, რომელიც „ფრონტერამ“ გაასაჩივრა და წააგო კიდეც, უკვე სასამართლოს ძალით დაევალა კომპანიას ამგვარი ანგარიშის წარმოდგენა. ბოლო თარიღი 1-ლი აპრილია“, – აღნიშნა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორმა გიორგი ტატიშვილმა.

მიუხედავად ოფიციალური სტრუქტურებისა თუ ექსპერტ-ფინანსისტების მოსაზრებისა, რომ საქართველოში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი არაა, პირად საუბრებში ეჭვქვეშ აყენებენ ადამიანები, რომელთაც აღნიშნულ თემასთან შეხება და ინტერესი ჰქონიათ წლების მანძილზე. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელიც წარსულში „უშიშროებაში“ მუშაობდა, „ალიასთან“ საუბრობს, რომ თემა, რომელიც ახლა წამოიწია ევროატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, მისთვის ნაცნობია და უშიშროების აკადემიაში სწავლის პერიოდში და შემდგომ უსაფრთხოების სტრუქტურაში მუშაობისას არაერთხელ უსაუბრია, აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ კომპეტენტურ ადამიანებთან:

„ასე მარტივადაც არაა საქმე, სახელმწიფო საიდუმლოს დონეზე იყო ეს საკითხი აყვანილი და ლეგენდებად რომ ყვებიან, სპეციალურად მოხდა ამით სპეკულირება, რომ რეალურად სერიოზული კვლევა-ძიება და პოლემიკა არ ყოფილიყო. არსებობს საიდუმლო დოკუმენტაცია, სადაც არის რუკები, კონკრეტული ადგილები, რომელზეც ნავთობისა და გაზის უზარმაზარი მარაგების მოპოვების ზუსტი ტექნოლოგია, გასაბურღი ქანების სიღრმეებია მითითებული, ამაზე წინა საუკუნეში ძალიან დიდი შრომა იყო გაწეული მეცნიერების მიერ და დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს. მეტიც, არსებობს რუსულენოვანი წიგნი, რომელიც დაიბეჭდა მხოლოდ სამასი ეგზემპლარი და დარიგდა მხოლოდ თანამშრომლებში, მაშინ მხოლოდ სტუდენტი ვიყავი და მე არავინ მომცემდა, მაგრამ ნანახი მაქვს, რომელშიც წერია უამრავი საიდუმლო დეტალი. სავარაუდოდ, არის რუკები და სპეციალური ინსტრუქციები უშიშროების თანამშრომლებისთვის. ეს ნავთობი რომ ამოეღოთ, ახლა ერთ-ერთი მეგა სახელმწიფო უნდა ვყოფილიყავით, რაც არავის აწყობს. მაგრამ ეს კარგად იციან დიდმა სახელმწიფოებმა, ამიტომ კეთდება განცხადება ამერიკიდან და არ საქართველოდან. რუსეთიც უკვე აქტიურად ეძებს შავი ზღვის აკვატორიაში, აფხაზეთის მხარეს ნავთობს, მათაც იციან, რომ ამისთვის დიდი რესურსია საჭირო, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ შავი ზღვის აუზში ძალიან დიდი რაოდენობაა ნავთობის. ძალიან გლობალური საკითხია ეს და დიდი სახელმწიფოები წყვეტენ, ჩვენ არავინ გვაწყვეტინებდა და ამიტომაც იყო საიდუმლო. როგორც ჩანს, ახლა დასჭირდათ ამის ხმამაღლა დაფიქსირება, რუსეთის გვერდზე გაწევისთვის აუცილებელი გახდა. სუფთა გეოპოლიტიკური საკითხია და იმიტომ ამოწიეს, აქ ეკონომიკური და ფინანსური საკითხი მეორე-მესამე პლანზეა“.

**„ფრონტერა“ კი, რომელმაც ჯერ კიდევ 1997 წელს სახელმწიფოსგან 25 წლით უფასოდ მიიღო ლიცენზია (რადგან მაშინ არ იყო კანონი „გაზისა და ნავთობის შესახებ“ და ლიცენზიის მინიჭება წიაღისეულის მოპოვებაზე მთავრობის გადაწყვეტილებით ხდებოდა), პასუხს არავის წინაშე არ აგებს, ის ხომ „ელიოზების“ ქვეყანაშია და ქართველებს ილუზიებით ტკბობის საშუალებას აძლევს.**



**„არც არაფერი წარდგენილი არ აქვს, არც გეგმა მოკვლევის, არც შედეგები. რას აცხადებენ, სად აცხადებენ, საერთოდ ვინ არიან ესენი?! ან საერთოდ ჩვენ ქვეყანა ვართ?! ყველა ნორმალურ ქვეყანაში, როდესაც კომპანია არის შემოსული და მას აქვს ურთიერთობა ხელისუფლებასთან, როდესაც სერიოზულ აღმოჩენას აკეთებს, ის ამ ხელისუფლებას საქმის კურსში აყენებს. დაუშვებელია განცხადებები სხვა ტრიბუნიდან“**

## ეკონომიკა

ლაურა აგრამია
591 97-67-09



# ესენი ახალს ხომ არაფერს აკეთებენ და მიშას დროს გახსნილსაც აჩანაგებენ!

## ვინ და როგორ გაძარცვა სააკაშვილის დროს გახსნილი გასართობი პარკი?



დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში სამგორის ტერიტორიაზე არსებული გასართობი პარკი, რომელიც თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია, დაცვის სამსახურის გარეშე იყო მიტოვებული, ამიტომ აქ თუ რამის გაფუჭება შეიძლებოდა, ყველაფერი გავერანდა... არადა, თავის დროზე დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა ეს პარკი, უახლესი ატრაქციონებით, საკონცერტო ამფითეატრით, მოკლედ, მთელი აღჭურვილობით, პარკი თვით პრეზიდენტმა სააკაშვილმა გახსნა და ატრაქციონები მხოლოდ იმ დღეს იყო უფასო, შემდეგ კი, როგორც წესი, აქ გართობას ფასი დაედო და მომსვლელთა რაოდენობაც ნელ-ნელა შემცირდა, ხშირად გაიგონებდით უკმაყოფილო მშობლების რეპლიკებს, აქ ბავშვის მოყვანა ზოოპარკზე ძვირი გვიჯდება, რაღა ამ მოხრიოკებულ პარკში და მტვერში ამოვგანგლოთ ბავშვები, გვირჩევნია სხვაგან გავართოთო. დროდადრო გამოჩნდებოდნენ წინასაარჩევნო პერიოდებში და ა.შ. რაღაც მუსიკალური ჯგუფები, უკრავდნენ უფასო კონცერტებს, ეს ხდებოდა მიშას მმართველობის პერიოდში, მაგრამ ნაციონალური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, აქ უკვე აღარაფერი ფუნქციონირებდა, მხოლოდ დაცვის სამსახური აკონტროლებდა და იცავდა ტერიტორიასა და ინვენტარს.. მაგრამ გავიხედოთ და, აქაურობა უპატრონოდ დარჩა, შეესია დიდი თუ პატარა და გააფუჭა და დაამტვრია ყველაფერი, გაიძარცვა ტირის ჯიხური, საიდანაც დაიკარგა კისტის თოფებიც... ამბის კულმინაცია იყო ის, რომ დღისით-მზისით ხდებოდა ეს ყველაფერი, ჩაიმსხვრა სალაროების შუშები, დაილეწა და მოიგლიჯა ჩასასხდომი ნავები, ბავშვები თვითნებურად მართავდნენ ავტოდრომის მანქანებს, აქანავებდნენ უზარმაზარ გემს და შიგ სხდებოდნენ, ერთ დღესაც იმდენი მოუხერხებიათ, გადმოუთრევიათ ავტოდრომიდან მანქანები და ზედ გზაზე იყო მიმოფანტული, გზაზე, სადაც საპატრულო პოლიცია პატრულირებს. უფრო მეტიც, სულ რაღაც ორ ნაბიჯში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაა, მთელი თავისი დიდებით.

ეს ყველაფერი გადავიღე, თან ვცდილობდი, გამერკვია, რა მოხდა.. აი, რას ყვება ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც ზედ პარკთან ორსართულიან სახლში ცხოვრობს:

– ამ ხალხს თითქმის მივეჩვიეთ, სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან იყვნენ და დიდი ხანი იცავდნენ და უვლიდნენ აქაურობას. როგორც ვიცი, მათ ბოლო თვეების განმავლობაში ხელფასს არ უხდიდნენ, ამიტომ რა ექნათ, ვისთვის და რის გამო უნდა ედარაჯათ აქაურობისთვის, ადგნენ და წავიდნენ. როგორც კი უპატრონოდ დარჩა აქაურობა, შეესივნენ ბავშვები, უფრო მეტად მოზარდები, ჩვენ ვერაფერს გავხდით, აბა, ამ სიცივეში აქ ხომ არ დავდგებოდი და ვიჩხუბებდი ყველასთან. ჰოდა, ხედავთ, რაც დაემართა აქაურობას, მენანება. მგონი, ამ ქვეყანას და ჩვენს ქალაქს მართლა არ ჰყავს პატრონი...

ესენი ახალს ხომ არაფერს აკეთებენ და მიშას დროს გახსნილსაც აჩანაგებენ!

მეორე დღეს ისევ გავიარე პარკთან, გზის კუთხეში მიგდებული ავტოდრომის მანქანა რომ ვერ შევნიშნე, დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ აქაურობას ისევ იცავენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაცვის წევრები, მიმდგარან და აკოწიწებენ ყველაფერს, რაც გაპარტახდა, მანქანებიც დაუბრუნებიათ ავტოდრომზე, ტირის ჯიხურიც ჩაუკეტავთ ხელახლა და ა.შ. მათთან დაკონტაქტება არ იყო იოლი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ცოცხალი თავით არ თქვეს, რა მოხდა აქ, რამდენი ზარალი მიადგა თბილისის მერიას, სავარაუდოდ. ჩვენი უფროსის არც სახელი ვიცით, არც გვარიო, მიცკევიჩის №29-ში მიდით და იქ გეტყვიან ყველაფერსო, ჩვენ მერიის დაქვემდებარებაში ვართ, აქამდე აქ ვინ იყვნენ, ისიც კი არ ვიცით, ახლები ვართ, დილას სხვები მოვლენ ჩვენს შესაცვლელადო, მეტი არაფერი ვიცითო...

მერიის შესაბამის სამსახურთან დიდი ვაი-ვაგლახითა და მიკიბ-მოკიბვებით დაკავშირების შემდგომ კითხვებზე: რატომ წავიდა დაცვა? მართალია თუ არა, რომ მათ ბოლო თვეების განმავლობაში ხელფასი არ დაერიცხათ? დაითვალა თუ არა ზარალი? რომელი უფრო ძვირი დაუჯდებათ – დაცვისთვის ხელფასის გადახდა თუ ინფრასტრუქტურის ხელმეორედ აღდგენა? ჩაერთო თუ არა საქმეში სამართალდამცავი ორგანოები, რადგან ე.წ. კისტის თოფებით, რომელიც მოზარდებს ჩაუვარდათ ხელში, შეიძლება ვინმე დაშავდეს? აღუდგება თუ არა უახლოეს მომავალში ზემოხსენებულ გასართობ პარკს ძველებური ფუნქცია? ძალიან მოკლე და არაფრისმთქმელი პასუხი მივიღეთ:

– აღნიშნულ სკვერში არსებული ატრაქციონები არის

## საზოგადოება

ქონების მართვის სამსახურის ბალანსზე, სკვერის დაცვა ამჟამად ჩვეულ რეჟიმში ხორციელდება. რაც შეეხება დაზიანებულ ატრაქციონებს, მოხდება მათი აღრიცხვა და შემდეგ მოხდება მათი სრულად აღდგენა.

პასუხი სრულიად არადამაკმაყოფილებელი და უპასუხისმგებლოა, ძვირფასო მერიავ, ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საერთოდ ვერ ფლობთ და აკონტროლებთ სიტუაციას დედაქალაქში. უფრო მეტიც, არ გადარდებთ, სად რა გაფუჭდება და რა თანხები დასჭირდება თქვენი უნიათობით გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას. მერე ვინმეს უკვირს, რატომ გაღარიბდა და დაიქცა ეს ქვეყანა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



## იკლიკანტური ამბები

## რატომ ვერ გამოუჩნდა მიხეილ ცაგარელს კონკურენტი?



მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ექსპერტების, იურისტების, ეკონომისტების, პოლიტოლოგებისა თუ ჟურნალისტების ცვენაა, მაინც თითებზე ჩამოსათვლელები არიან ისეთები, რომლებსაც ნორმალური ანალიზისა და საუბრის უნარი გააჩნიათ. ხშირად მეკითხებიან: რატომ ტრიალებენ მედიაში მუდმივად ერთი და იგივე სახეები, ხომ შეიძლება, სხვებიც გამოვაჩინოთ? ამ კითხვაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ არის ერთი დიდი სირთულეც – ქვეყანაში, სადაც ყველა „ბრძენია“, ძალიან ჭირს ნორმალური სპეციალისტის აღმოჩენა. რაღა დაგიმალოთ და... მე (პროფესიიდან გამომდინარე) სულ ვეძებ, ვაკვირდები, ვცდილობ, ახალი სახეები ვიპოვო და როგორმე მედიაში დავამკვიდრო. როგორი სელექციონერი ვარ და ეს ყველაფერი როგორ გამომდის, სხვა საკითხია, მაგრამ ხანდახან „ვარტყამ“ ხოლმე. ჰოდა, ამას წინებზეც გამიჩნდა ასეთი სურვილი, როცა ერთ მეორეხარისხოვან ტელევიზიაში ასტროლოგი სოფია ბზეკალავა ალაპარაკეს. ვიფიქრე, უკვე წლები გადის, ამ სფეროში მხოლოდ ერთ ადამიანს ეკითხებიან ჭკუას (მიხეილ ცაგარელს), მოდი, გავიცნობ, გავიგებ, სინამდვილეში რა „ბაგაჟი“ აქვს, დაველაპარაკები, შეიძლება ამ ბზეკალავასგან სერიოზული რესპონდენტი გამოვიდეს-მეთქი. არა, ვერ გეტყვით, რომ მისმა სატელევიზიო გამოსვლამ განსაკუთრებით აღმაფრთოვანა, მაგრამ ხშირად ინტუიციას ვენდობი ხოლმე და ამართლებს. მოკლედ, ახლა გაჩვენებთ, როგორი დიალოგი გაიმართა ჩემსა და ასტროლოგ ბზეკალავას შორის „ფეისბუკში“:

— **უკაცრავად, თქვენ ასტროლოგი ხართ?**

– დიახ, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

— **არა, მეგონა, ჩემი პროფილი ნახეთ „ფეისბუკზე“.**

– არა, რატომ უნდა მენახა? ცოტა უცნაური საქციელია თქვენი ასაკის ადამიანისთვის.

— **რა არის უცნაური? ჟურნალისტი ვარ და დალაპარაკება მინდოდა. უცნაური თქვენი საქციელია.**

– რაკი ჟურნალისტი ხართ, ყველა უნდა დაიმატოთ მეგობრებში? უნდა მას ეს თუ არა?

— **და რამე დაგაძალეთ? ეს ხომ ნებაყოფლობითია? ახლა ვნახე თქვენი ასტროლოგიური პროგნოზი და ვიფიქრე, სულ ეს ცაგარელი რომ ტრიალებს, შეიძლება ჩვენც გამოვიყენოთ-მეთქი. ვაჰ, რაღა არ მინახავს, მაგრამ ასეთი არაფერი.**

– აშკარად მიმართვის ფორმა გაქვთ დასახვეწი.

— **როგორც ჩანს, თქვენ ვარსკვლავებში ერკვევით, მაგრამ „ფეისბუკის“ ფუნქციებში — ვერა. ეტყობა, მხოლოდ ოჯახის წევრებთან მეგობრობთ. მეგობრობის შემოთავაზება აგრესიული მიმართვაა? რატომ მაცინებთ?**

– უცნობებს არ ვუმეგობრდები, მით უმეტეს უტაქტოდ მოსაუბრე ხალხს. კარგად ბრძანდებოდეთ.

— **კარგად ბრძანდებოდეთ... თქვენ ისეთი რამ გააკეთეთ ახლა, ნოველად გამომადგება. ადამიანი ერკვევა ვარსკვლავებში, მაგრამ არაფერი ესმის ადამიანური ურთიერთობებისა. იმეგობრეთ მეზობლებთან, ეგეც ჰობია. მე თქვენზე ნოველას დავწერ აუცილებლად და გაზეთში დავბეჭდავ.**

– თქვენი ასაკის ადამიანს მეტი ტაქტი და დიპლომატია უნდა ჰქონდეს.

— **აუფ, ასაკზე გაქვთ გართულება? რაღაც არ მგონია, თქვენ 18 წლის ასტროლოგი ბრძანდებოდეთ. მე ძალიან ბევრი მინახავს 25-30 წლის ასაკში მოხუცი. მაგალითად, თქვენი აზროვნებით სადღაც 70-ს უკაკუნებთ. და საერთოდ, ასაკზე ლაპარაკობს ის, ვისაც ეგ პრობლემა აწუხებს. ხარ უმცროსი, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ხარ ახალგაზრდა. უბრალოდ, უმცროსი ხარ და მორჩა, წლები გაქვს ცოტა.**

– გინდა ნოველა დაწერეთ, გინდა – პოემა მომიძღვენით, მე ეგ არ მეწყინება. თუ რამე ზედმეტს დაწერთ, უბრალოდ, გიჩივლებთ, ვიცი ჩემი უფლებები.

— **ისეთს არაფერს დავწერ, რაც აქ არ გითხარით. მადლობა, კარგად მახალისეთ. ესე იგი, ჩვენ გვყვანან ისეთი ასტროლოგები, რომლებმაც იციან, რა ხდება ცაში, მაგრამ აზრზე არ არიან, რა ხდება მიწაზე.**

– თუ რამე ზედმეტს დაწერთ, უბრალოდ, იურისტს დაგაკავშირებთ.

— **აუცილებლად დაველაპარაკები თქვენს იურისტს და გპირდებით, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება.**

– საუბრის მანერა გაქვთ ისეთი, 18 წლის თინეიჯერს შეშურდება.

— **ხომ გითხარით, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს-მეთქი? არ ინერვიულოთ, უთქვენოდაც ყველაფერი კარგად იქნება, მშვიდობით!**

**როგორც ხედავთ, ამჯერად არ გამიმართლა, ვერ გამოვუძებნე მიხეილ ცაგარელს კონკურენტი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, ალბათ, გამოჩნდება ვინმე. ხან ვიტყვი ხოლმე, რა გინდა, შვილო, დაეტიე შენს ქერქში, რას ეძებ, რა დაგკარგვია? თუმცა გადის ცოტა დრო და ყველაფერს ისევ თავიდან ვიწყებ. ეტყობა, არის ამ პროცესში რაღაც აზარტი და რომანტიკა. სხვათა შორის, ამ საქმეში მამაჩემს ვგავარ — როცა თავისი შვილების „გაკეთებას“ მორჩა, საიდანღაც აზერბაიჯანული წარმოშობის ბავშვი მოიყვანა და გაზარდა. ის ახლა დიდი კაცია, თანაც გვარად ალიევი გახლავთ. მართალია, ჩემთან არ აქვს ძალიან ახლო ურთიერთობა, მაგრამ თავის „მამას“ დიდ პატივს სცემს, როცა ახერხებს, სოფლის სახლშიც მიდის. ასე რომ, ყველას ვერ ეტყვი: შედი, ქალო, ან კაცო, „ბუტკაშიო“, იშვიათად, მაგრამ მადლი მაინც ამართლებს.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ბედევან ფოფხაძე: პირდაპირ გეტყვით — ამ კანონპროექტის მიღებას არ მივესალმები!



რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონპროექტზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ბედევან ფოფხაძე აცხადებს, რომ ეს საკითხი ბუნდოვანი და სამართლებრივად გაუმართავია. მისი თქმით, როდესაც საკითხი ასეთ სენსიტიურ თემას ეხება, მაშინ ზუსტი ფორმულირებით უნდა დასაბუთდეს, რის გამო მოეთხოვება პასუხი კონკრეტულ პირს. პარლამენტარი მიიჩნევს, რომ ზოგადად, ასეთმა ბუნდოვანმა იდეამ, შესაძლოა, რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული შუღლი და წინააღმდეგობები გააჩინოს.

– ზოგადად, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა – ასეთი ცნება არსებობს, ეს ჩვენი გამოგონილი არ არის. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობაში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან ერთად, გამოყენებულია ტერმინები – რელიგიური მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. არის საუბარი იმაზე, რომ რელიგიური გრძნობებისა და მსოფლმხედველობის შეურაცხყოფა, რამაც შეიძლება გარკვეული ზიანი გამოიწვიოს, სისხლის სამართლის წესით დასჯადია, ეს გერმანიის კანონმდებლობაშია.

კონკრეტულ მაგალითს მოვიტან, როდესაც მუსლიმანური მედრესეს კარზე ღორის თავი მიამაგრეს, უბრალო ხულიგნობა რომ ნდომებოდათ, ღორის თავი კი არა, შესაძლოა, ცხენის თავი მიემაგრებინათ. ვინც ეს გააკეთა, ზუსტად იცოდა, რომ მათთვის ღორი უწმინდური ცხოველია და ამით კონკრეტული დამოკიდებულება გამოხატა, მიზანი სწორედ მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა იყო. კანონით და ადმინისტრაციული სასჯელით ეს რამდენად შეიძლება გამოსწორდეს, მსჯელობის საგანია. პარლამენტში დასკვნით კომიტეტზე ამაზე მსჯელობა იქნება.

რაც შეეხება იმას, მივესალმები თუ არა ამ კანონპროექტის მიღებას, პირდაპირ გეტყვით, რომ არ მივესალმები. ვფიქრობ, ამ საკითხზე ყველა რელიგიურ წარმომადგენელთან წინასწარ საუბარი იყო საჭირო.

სასურველია, ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებსაც ვკითხოთ, რამდენად სწორად მიაჩნიათ ეს იდეა. თუ საპატრიარქო ამ ინიციატივას არ მიესალმება, ჩვენ რატომ უნდა შევთავაზოთ რაღაც სტანდარტები, რამაც შესაძლოა, პირიქით, უკურეაქცია გამოიწვიოს? დაიწყოს მსჯელობა იმაზე, როდის მოხდა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და როდის არა, – აცხადებს ბედევან ფოფხაძე. (რეპორტიორი)

## ევროპაში 10 ათასი მიგრანტი ბავშვი დაიკარგა



დაახლოებით 10 ათასი მიგრანტი ბავშვი, რომელიც ევროპაში აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მშობლების გარეშე აღმოჩნდა, ევროკავშირის ტერიტორიაზე მოხვედრის შემდეგ დაიკარგა. „გარდიანის“ ინფორმაციით, სამართალდამცველები შიშობენ, რომ ბავშვები ტრეფიკინგის მიზნით გაიტაცეს.

ევროპოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ბრაიან დონალდის განცხადებით, 5 ათასი ბავშვი უკვალოდ გაქრა იტალიაში, შვედეთში დაკარგული ბავშვების რიცხვი ათასამდეა, ბრიტანეთში კი გაუჩინარებული ბავშვების რაოდენობა გაორმაგდა.

– ყველა მათგანი არ აღმოჩენილა დამნაშავეების ხელში, ნაწილმა შესაძლოა, ნათესავები იპოვა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სად არიან ისინი და რას აკეთებენ, – აცხადებს დონალდი. (frontnews.ge)

## ნასვამმა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა სამსახურებრივი მანქანა დაამტვრია



ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა სოსო სულაბერიძემ „ტოიოტა პრადოს“ მარკის სამსახურებრივი მანქანა ოზურგეთი-ურეკის საავტომობილო გზაზე დაამტვრია.

წყაროს ინფორმაციით, გენერალურ ინსპექციაში საქმე ექსპრემიერის ძმამ, ადიკო ივანიშვილმა ჩააწყო. ოზურგეთის პოლიციის უფროსი და ივანიშვილები ახლო ნათესავები არიან.

რამდენიმე დღით ადრე სამსახურებრივი მანქანით ავტოსაგზაო შემთხვევა გურიის პოლიციის კიდევ ერთ მაღალჩინოსანს, ირაკლი შავიშვილსაც შეემთხვა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შავიშვილი ნასვამ მდგომარეობაში არ ყოფილა და მის საქმეს გენერალური ინსპექცია იძიებს. (ნიუპოსტი)

## ანალიზი

# „ვისაც ახსოვს, რას ჰპირდებოდა „ოცნება“ საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველს და რა მიიღეს მათ, ამას ვერანაირი ტელევიზია ვერც გამოასწორებს და ვერც შეცვლის!“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„კალიას“ კითხვებს პასუხობს კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე:**

– დავინტერესდი „მაესტროს“ გარშემო ატეხილი ამბებით, დაველაპარაკე რამდენიმე ადამიანს, რომლებიც არიან ინფორმირებული, მაგრამ ისინი არამც და არამც არ წარმოადგენენ „ნაციონალურ მოძრაობას“. ყველამ დამიდასტურა ის ეჭვი, რაც მქონდა, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან და მათ სურთ არჩევნებზე ამ ტელეკომპანიის გამოყენება. მე არ მაქვს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს ჩემს მოსაზრებას. ასეთი დოკუმენტი შეუძლებელია, ვინმეს ჰქონდეს, მაგრამ მოვლენების განვითარების ლოგიკა სწორედაც რომ ამას გვკარნახობს. შეგახსენებთ, როცა ვახო სანაიამ სრულიად კორექტული და რბილი რეპორტაჟი გადმოსცა „მაესტროს“ ეთერით, ამ რეპორტაჟში მოთხრობილი იყო, რას ჰპირდებოდა „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს საარჩევნო კამპანიის დროს და იმ მოცემული მომენტისთვის რა არ აასრულა. ამის შემდეგ პრესით დაიწერა კიდეც, რომ სანაია „მიჭირხვნეს“, ხოლო, თავის მხრივ, ვახო სანაიამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ „მაესტროს“ მფლობელებმა დაიბარეს და უთხრეს, – შენი ყოველი გადაცემის შემდეგ ხელისუფლებასთან პრობლემები გვექმნებაო და ის იძულებული გახდა, „მაესტრო“ დაეტოვებინა. იგივე მოხდა ქალბატონ ნინო ჟიჟილაშვილის შემთხვევაში, როცა მას მალევე დაუხურეს გადაცემა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ „მაესტრო“ ხელისუფლებაზე აკეთებდა სწორებას, რაც ხელისუფლებას მოეწონებოდა, იმას უშვებდა და რაც – არა, მზად იყო, გადაცემები დაეხურა. ეს ნიშნავს იმას, რომ „მაესტრო“ თავის ფუნქციას არ ასრულებს. მე ყოველთვის ვამბობ, რომ „რუსთავი 2“ არის სააკაშვილის ტელევიზია, მისი იდეოლოგიური მანქანა და არავინ ისე არ ამხელს „ქოცების“ უნიათობას, როგორც „რუსთავი 2“, იმიტომ კი არა, რომ ამ ტელევიზიას ჭეშმარიტება უყვარს, არა, ისინი პირდაპირ სააკაშვილის დავალებას ასრულებენ. დასავლეთში ეს ტელევიზია აღიქმება დამოუკიდებლად და იცით, რატომ? ერთადერთი ნიშნით, რომ ის ხელისუფლების კონტროლისგან თავისუფალია. დასავლეთში არავინ სვამს კითხვას, რომელი ოპოზიციური ძალის ინტერესები ტარდება, მათთვის მთავარია, რომ ესა თუ ის ნაციონალური არხი არ ატარებდეს სახელისუფლებო პოლიტიკას და მაშინ ეძახიან მას თავისუფალ არხს. როდესაც ტელევიზია ისეთ დღეში ვარდება, რომ მისი სარედაქციო პოლიტიკა არის შეზღუდული, გამორიცხულია, არსებობდეს, როგორც კომერციული სტრუქტურა. სხვა შემთხვევაში, ის მოკვდება. მას უნდა ჰყავდეს დამფინანსებელი, მაგალითად, როგორც მიშა სააკაშვილი აფინანსებს „რუსთავი 2“-ს. ცნობილია, ამ არხზე ანაზღაურება არის ძალიან მაღალი, არხის გენერალურმა დირექტორმა ორ თვეში 100 ათასი ლარი მიიღო ხელფასის სახით. ასევე, წამყვანებს, ჟურნალისტებს აქვთ დიდი ხელფასები და ქმნიან შესაბამის პროდუქტს. როცა ლევან გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მისი მიზანია, გაუსწროს „რუსთავი 2“-ს, არხზე მოიყვანოს ძველი ჟურნალისტები... ისმის კითხვა – რა დაფინანსებით? საიდან ფული? ყველამ იცის, რა ფინანსური პრობლემები და რამხელა დავალიანება აქვს „მაესტროს“. ლაპარაკია იმაზე, რომ მფლობელებმა ფული გამოყვეს და არამიზნობრივად დაიხარჯა ეს თანხები. დღეს უკვე ინტერპრეტაცია არის ცალმხრივი, რომ ამ ტელეკომპანიით დაინტერესებულია „ოცნების“ უმაღლესი ეშელონები.

**ჩვენ გვახსოვს, როგორ მიდიოდა „რუსთავი 2“-ის პროცესი, იუსტიციის საბჭო ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, რომ ყველაფერი კანონიერად ხდებოდა. მახსოვს, დაუნიშნეს დროებითი მმართველი, რომელიც, სხვათა შორის, ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელიც გახლდათ, შემდეგ სკანდალური რამ მოხდა, ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ თქვა, მე რომ ვმდგარიყავი „რუსთავი 2“-ის პროცესების უკან, ასეთ სისულელეს არ დავუშვებდი, ვინაიდან ეს რაც ხდება, ჩვენთვის საზიანოაო. თითქოს აუქციონზე ჩაქუჩი დაგირტყამს, იმ დღეს დასრულდა ყველაფერი. აღარც ქიბარ ხალვაში გამოჩენილა, სასამართლოც მიჩუმათდა და უკუსვლები დაიწყო.**

ამ ყველაფრის მიზეზი ივანიშვილის სწორედ ის ერთი განცხადება აღმოჩნდა. ახლა კი, დაპირისპირებამ და ალიაქოთმა გადმოინაცვლა „მაესტროში“, ამიტომაც არის ეჭვები, რომ ამ პროცესების უკან დგას ხელისუფლება. რეჟიმები და ხელისუფლებები ტელევიზიების გაკონტროლებას მაშინ ცდილობენ, როცა საქმე ცუდად მისდით, როცა პოპულარობას კარგავენ, მათი რეიტინგი ქვეითდება, რადგან საქმეს ვერ აკეთებენ ისე, როგორც საჭიროა. მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას და არა ტელევიზია. ვინც იცის, რას ნიშნავს დღეს საქართველოში სამსახურის პოვნა, ლუკმაპურის შოვნა და ვისაც ახსოვს, რას ჰპირდებოდა „ოცნება“ საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველს და რა მიიღეს მათ, ამას ვერანაირი ტელევიზია ვერც გამოასწორებს და ვერც შეცვლის. გადაბრალება ტელევიზიებზე, რომ ანგაჟირებულები არიან და შავ პიარს გვიკეთებენ, არის მარაზმი, შავ პიარს ხელისუფლება საკუთარ თავზე ავრცელებს, რეგულარულად, თავისი ქცევით. როცა ნეპოტიზმზეა საუბარი და პრეზიდენტი ამაზე პასუხობს, რომ ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის, ეს ტელევიზიას დავაბრალოთ თუ იმ პრემიერს, რომელმაც საზოგადოებას ასე გამოუცხადა საჯაროდ. მაშინ, როცა ნეპოტიზმმა წალეკა მრავალი სტრუქტურა, როცა მთავრობის ხელფასები, პრემიები გაიზარდა, ძვირად ღირებული მანქანები შეიძინეს და ამის გამო ბიუჯეტი გაზარდა, რაც შეიძლება მეტ ფუფუნებაში რომ ყოფილიყვნენ, ეს რა, ტელევიზიის გარეშე არ იცოდა ჩვენმა მოსახლეობამ?! მაშინ ინტერნეტს რას უშვრებიან, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობს ინტერნეტით, სადაც ყველა ინფორმაცია შუქდება, ისეთიც კი, რასაც ტელევიზიით არ უშვებენ. ასე რომ, ეს არის სისუსტის, დეგრადაციის ნიშანი, არიქა, გავაკონტროლოთ ტელევიზია და ამით ავწიოთ რეიტინგი. არ გამოგივათ ეს, ბატონებო!..





**მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას და არა ტელევიზია.**

**„რუსთავი 2“ არის სააკაშვილის ტელევიზია, მისი იდეოლოგიური მანქანა და არავინ ისე არ ამხელს „ქოცების“ უნიათობას, როგორც „რუსთავი 2“, იმიტომ კი არა, რომ ამ ტელევიზიას ჭეშმარიტება უყვარს, არა“**

## იკლიკანტური ამბები



## დღეში სამჯერ ინგა გრიგოლია და შესვენებაზე ჩვენი დედის გინება



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



არა, ტელევიზიაც ტექნიკაა, შეიძლება ეთერში ისეთი ხარვეზი გაგეპაროს, მთელი ცხოვრება ინანო, ან კიდევ შეგრცხვეს და სირცხვილი კაიხანს ლაქად გაგყვეს, მაგრამ რაც 4 თებერვალს ტელეკომპანია „პირველს“ გაეპარა, ეს უკვე მეტისმეტია. როგორც ჩანს, ტელესივრცეში ისეთი სიუჟეტებიც არსებობს (ამაში ახლა დავრწმუნდი), რომლებსაც არათუ არავინ უყურებს, თავად კონკრეტული ტელევიზიის თანამშრომლებსაც არ აინტერესებთ. მეტიც, ვინც კონკრეტულ სიუჟეტს ამზადებს (წერს, ახმოვანებს, ეთერში უშვებს), ისიც კი არ არის აზრზე, რას სთავაზობს მაყურებელს. მაშ ასე, 4 თებერვალს „პირველის“ ეთერში მთელი დღე ტრიალებდა საინფორმაციო გამოშვება – „მსოფლიო ამბები“. სწორედ ამ გამოშვებაში გავიდა ერთ-ერთი სიუჟეტი სათაურით: „ტომოგრაფია ბავშვთა დეპრესიის გამოსავლენად“. სიუჟეტის წამყვანი თუ გამხმოვანებელი: „გვსურს ბავშვებს წინასწარ დავეხმაროთ და დეპრესიის განვითარება თავიდან ავაცილოთ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში დეპრესიის პროფილაქტიკა არა მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობას, არამედ სიცოცხლის გახანგრძლივებასაც უზრუნველყოფს. საამისოდ კი კვლევების გაგრძელებაა საჭირო... დეპრესიით 350 მილიონი ადამიანი იტანჯება. ასევე, იმ მონაკვეთში, რომ... ასევე იმ მონაკვეთებში... დედას მუტ...ში ჩავათესლე... ბუნებრივია, რაც უფრო ზუსტად მოახდენენ ამგვარი მუშაობების გამოვლენას... აააააუ, დედა მოვტყან, რააააა“!

ბუნებრივია, ვერ ვითმენ და სიუჟეტს ინგა გრიგოლიას ვუგზავნი, რომელიც არა მხოლოდ ახალი ამბების წამყვანი, არამედ არხზე პასუხისმგებელი პირიცაა და თან ვწერ:

— **ინგა, ეს ვიდეო ნახე და მერე მომწერე.**

– პირველად მესმის, შოკი მივიღე ეხლა. არ ვთვლი, რომ კომენტარი უნდა გავაკეთო ამაზე.

— **კომენტარი არ მინდა, რა თქმა უნდა, არ უნდა გააკეთო, მაგრამ იცოდეთ, რომ ვერაფერს გამოგვაპარებთ.**

– ვახ... შოკში ჩავვარდი, რა გაყურებინებდა შენ კიდევ?

— **უცებ მოგვხვდა ყურში, რატომღაც.**

– გამანებე თავი, მოგკლავ ეხლა.

— **მაგ ბიჭს ზედამხედველი მიუჩინეთ, დედა არ გვაგინოს დღისით-მზისით. წარმატებები, აბა, შენ იცი... ისე, ვერ მოვითმენ, გაზეთში ცოტა უნდა წავიღადავო.**

– წაიღადავე... რა ვქნა?

— **მოკლედ, ვწერ, მხოლოდ ინგას უყურეთ დღეში სამჯერ, დანარჩენს შეეშვით-მეთქი.**

– კაი, რა, არ დაწერო ეგრე.

დიდი მადლობა მანანა გიორგაძეს, რომ ესეც კი არ გამოეპარა. აღარაფერს ვამბობ სხვა უფრო საჭირბოროტო საკითხებზე.

# ვირუსი „ზიკა“ ქართული წარმომავლობისაა?

## საქართველოში „ზიკას“ ვირუსის გადამტანი კოღო ორჯერ დაფიქსირდა







**„ჩემი რჩევა იქნება — ბრაზილიაში ფეხმძიმე ქალები ნუ წავლენ და სექსტურებში ნუ წავლენ კიდევ, რადგან „ზიკა“ სქესობრივი გზითაც გადადის“**




ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33


გავრცელებული ცნობით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუს „ზიკას“ გამო, მსოფლიო მასშტაბით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სხვადასხვა მედიასაშუალების ინფორმაციით, აღნიშნულ დაავადებას, რომლის გადამტანად კოღოს ერთ-ერთი სახეობა მიიჩნევა, ტვინის შეფერხების გამოწვევა შეუძლია და სამხრეთ ამერიკაში მძვინვარებს. ვირუს „ზიკათი“ დაინფიცირების ერთ ქალაქში არ არის ეს კოღო“, – განაცხადა პაატა იმნაძემ. მისივე თქმით, პრევენციის მიზნით, უნდა მოვერიდოთ ბრაზილიაში მოგზაურობას, თუ ძალიან აუცილებელი საქმე არ გვაქვს და თუ წავალთ, უნდა წავისვათ წამალი, რომ კოღო არ მოგვეკაროს. ასევე, უნდა მოვერიდოთ კოღოს გასამრავლებელი ადგილების შექმნას, მაგალითად, როგორიც არის წყლით სავსე ჭურჭელი ეზოში და ა.შ.

ერთ-ერთ ინტერნეტსააგენტოზე კი გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა, „ზიკას“ გადამტანი კოღო წარმოშობით საქართველოდან არის, რამაც საზოგადოებაში ძალიან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ, თუ „ზიკას“ მატარებელი კოღო ორსულ ქალს უკბენს, ეს მის ნაყოფზე უარყოფითად აისახება. ეს ინფორმაცია რამდენად რეალურია?**

– ნაყოფი შეიძლება მიკროცეფალიით დაიბადოს, დიახ, თუმცა მაგაზე საბოლოო მეცნიერული მტკიცებულებები ჯერ არ არის, მაგრამ ძალიან დიდია ალბათობა, რომ მართლა მასე იქნება. ზოგადად, ბრაზილიაზე რასაც წერენ, ისიც გაზვიადებულია. კი, უზარმაზარი ქვეყანაა, მაგრამ ჯერჯერობით „ზიკას“ 400 შემთხვევაა დაფიქსირებუ-

**იშნებს?**

– სხვათა შორის, ბრაზილიაში, სამხრეთ ამერიკაში, ამან შარშან დაიწყო გავრცელება, წელს – არა. ზოგადად, ტროპიკული სარტყელის იქითაქეთ არის ამ კოღოს, ასე ვთქვათ, არეალი, ანუ სადაც ავადმყოფი იქნება, ეს კოღო აუცილებლად გადაიტანს დაავადებას. ჩვენთან სულ ორჯერ ვიპოვეთ ეს კოღო და ისიც რაოდენობრივად ძალიან ცოტა, ბრაზილიაში კი ეს კოღო ბევრია.

**— ზამთრის სეზონი, ფაქტობრივად, უკვე მთავრდება და მოდის კოღოების გააქტიურებ-**

პირველი შემთხვევა უკვე ევროპაში, კერძოდ დანიაში დაფიქსირდა – დაინფიცირებულ პირს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე უმოგზაურია. „ზიკა“ დაფიქსირდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, კერძოდ, ვირჯინიის შტატში, რის გამოც თეთრი სახლის ლიდერმა ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და მათ სასწრაფოდ პრევენციული ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის განცხადებით, საქართველოში „ზიკას“ ვირუსის გადამტანი კოღო ორჯერ დაფიქსირდა: „ჩვენ მუდმივად ვაწარმოებთ ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა გადამტანზე ზედამხედველობას და შარშანწინ აღმოჩნდა პირველად ბათუმის შემოგარენში, საბურავების ერთ-ერთ საწყობში ამ სახეობის – Aedes-ის ტიპის კოღო. ჩვენ ყოველწლიურად ვახორციელებთ ამის შესწავლას. შარშან უკვე ზუგდიდის შემოგარენში იყო, ასევე, საბურავების საწყობში. ხაზს ვუსვამ, რომ არც მტანი კოღო წარმოშობით საქართველოდან არის, რამაც საზოგადოებაში ძალიან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

**„ალია“ პაატა იმნაძეს დაუკავშირდა და დაინტერესდა, არის თუ არა ვირუსი „ზიკა“ მართლაც ქართული წარმომავლობის? რამდენად დიდია იმის რისკი, რომ საქართველოში ეს დაავადება მასშტაბურად გავრცელდეს? რა სიმპტომები აქვს მას და როგორ უნდა დავიცვათ თავი?**

**— ერთ-ერთ ინტერნეტსააგენტოზე გავრცელებული ცნობით, „ზიკას“ გადამტანი კოღოს წარმომავლობა ქართულიაო. რა შეგიძლიათ ამაზე გვითხრათ?**

– ინგლისურად არ იციან კითხვა და რა ვქნა? ეგ ინფორმაცია სულელური თარგმანია, მეტი არაფერი... იქ, ჯერ ერთი, რუკაა მოცემული, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპის რეგიონში ეს კოღო ჩვენ ნაპოვნი გვაქვს საქართველოშიც, რუსეთში – სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეში და ეს ტერიტორიებია რუკაზე წითლად მონიშნული. ამ კოღოს წარმომავლობა აფრიკიდან არის.

ლი და არა ათასობით.

**— „ზიკას“ მატარებელმა კოღომ არაორსულ ადამიანს რომ უკბინოს, განკურნების შემდეგ რამე კვალს თუ ტოვებს?**

– აბსოლუტურად არაფერს. 5 კაციდან 4 საერთოდ ვერც იგრძნობს ვერაფერს და იმ ერთს თავი ასტკივდება, სიცხე ექნება და გაუვლის.

**— თქვენ კი მუდამ ასე გვამშვიდებთ და გასაგებია თქვენი პოზიცია. თქვენი ერთ-ერთი ფუნქციაა, პანიკა არ ატყდეს, თუმცა ფაქტია, მსოფლიო „ზიკას“ საკითხს საგანგაშოდ აფასებს.**

– ეგ ვირუსი არის 1947 წლიდან, მაგრამ ასეთი ფართო გავრცელება, როგორიც ახლა ბრაზილიაში და სამხრეთ ამერიკაში მიიღო, ადრე არ ჰქონია, თორემ აფრიკაშიც იყო, აზიაშიც, წყნარი ოკეანის კუნძულებზეც და ასეთი ფართო გავრცელების ხასიათი იმ ქვეყნებში არ მიუღია. რახან ახლა ძალიან გავრცელდა, გასაგებია, რომ ბევრ ორსულს შეხვდება და ამიტომ არის ასეთი საშიშროება.

**— რატომ გავრცელდა ასე მასშტაბურად ბრაზილიაში ახლა? ეს რამეზე ხომ არ მიანიშნებს?**

**ის პერიოდი. როგორ უნდა დაიცვას მოსახლეობამ თავი ამ პრობლემისგან?**

– ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე თუ ბრაზილიაში არ არის ნამყოფი, „ზიკათი“ დაავადების არაფერი რისკი არ აქვს, რადგან ჩვენთან ვირუსი არ არის. ასე მალარიის გადამტანი კოღო რამდენი გვაქვს საქართველოში, მაგრამ მალარია ხომ არ გვაქვს? „ზიკას“ გადამტანი კოღო კი არის დაფიქსირებული, მაგრამ „ზიკას“ ვირუსი არ გვაქვს, ეს მკაფიოდ მინდა დააფიქსიროთ.

**— რიგითი ადამიანი ვერ გაარკვევს, კონკრეტულად რომელმა კოღომ უკბინა და რა უნდა მოიმოქმედოს ამის თავიდან ასარიდებლად?**

– ეცადოს, არ უკბინოს და ვისაც ეშინია, მარტივი საშუალება არსებობს – რეპელენტი ჰქვია და ყველა აფთიაქსა და ტურისტულ მაღაზიაში იყიდება. წაისვამს (სპრეის სახითაც იყიდება ეს) და კოღო აღარ უკბენს. სხვათა შორის, ეს იგივე კოღო ფლებოტომუსისგან იცავს, რომელმაც შეიძლება ლეიშმანიოზი გადაიტანოს...

**— გასულ წელს სოფლის** წყალზე რომ მიწერია – თუ არ გინდა, კოღო შენს ეზოში გამრავლდეს, არ უნდა გქონდეს თავლიად წყალი რამე ჭურჭელში და ასე შემდეგ, რადგან კოღოს სუფთა წყალი უყვარს, ჭუჭყიანში არ მრავლდება.

**— ამ ეტაპზე არ თვლით, რომ ამ კუთხით სადეზინფექციო სამუშაოები ისევ უნდა ჩატარდეს?**

– არა, არა. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენთან ეს კოღო ძალიან ცოტაა და მხოლოდ ორ ადგილას არის ნაპოვნი. ჩვენ ყველგან ვეძებთ, რადგან ასევე გვაინტერესებს მალარიის კოღოები რომლებია, რა სახეობაა გავრცელებული. ასე რომ, საქართველოში „ზიკას“ გავრცელების რეალური რისკი არ არის და მოსახლეობას შეუძლია, მშვიდად იყოს. ჩემი რჩევა იქნება – ბრაზილიაში ფეხმძიმე ქალები ნუ წავლენ და სექსტურებში ნუ წავლენ კიდევ, რადგან „ზიკა“ სქესობრივი გზითაც გადადის. ამერიკაში ერთი ფაქტია დადასტურებული, ქმარი ჩასულა ბრაზილიიდან და ცოლს გადასდო (ცოლი არსად არ იყო ნამყოფი). სულ ესაა.

## კვირის სკანდალი

**მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტრომ მთელ საკურორტო ზონაში ძალიან ფართომასშტაბიანი სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს. ახლაც ხომ არ იგეგმება იგივე სახის სამუშაოების ჩატარება?**

– შარშან, შავი ზღვისპირეთში, ტურისტული სეზონის წინ, ჩატარდა საკმაოდ დიდი დამუშავება საერთოდ კოღოებზე. სადაც კონკრეტულად ეს კოღოები ვიპოვეთ, იქაც დაამუშავეს ტერიტორია კოღოს საწინააღმდეგო პრეპარატებით.

## ოხ, თქვენც აქა ხართ, კოტე ბატონო?



ყოფილი დეპუტატი კოტე გაბაშვილი უმრავლესობის წევრ გოგი თოფაძის განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება. საუბარია განცხადებაზე, სადაც თოფაძემ დაუნი სალანძღავ სიტყვად გამოიყენა.

საპარლამენტო გამოსვლის აღნიშნული ნაწილის გარდა, გაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს სხვა ეპიზოდებზეც:

– დეპუტატ თოფაძის განცხადება პრეზიდენტის მიმართ მართლაც ამაზრზენი იყო. დეპუტატის გამონათქვამი მიმართული იყო პირადად მარგველაშვილისთვის ტკივილის მისაყენებლად. ეს ყოველგვარ წითელ ხაზს გადაცდომილი თუ წელქვეით დარტყმის ტოლი საქციელია. მაგრამ ყურადღება მივაქციოთ თოფაძის მიერ სიტყვაში გაჟღერებულ სხვა ადგილებსაც, რომელიც სრულიად გამოხატავს არა მხოლოდ ამ პერსონის მიერ საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვის ცუდად შეფუთულ კონცეფციას, არა მხოლოდ ვითომ მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის „ზრუნვას“ გენმოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ, რაც მეცნიერულად დაუსაბუთებელია, თან ცინიკურია მისი ლუდის ფონზე. არა, მხედველობაში მაქვს მისი მრავალწლიანი ბრძოლა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა დახმარების ფონდებისა თუ ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების წინააღმდეგ, რაც პირდაპირ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის რიტორიკის გაგრძელებაა და საქართველოს, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების პროცესის საწინააღმდეგოა. ლობისტობა ასეთი პოზიციისა ცრუ პატრიოტული რიტორიკით პირდაპირი გზაა ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსისკენ, რაც იმპერიული რუსეთის ამოცანაა, მისი ხელშეწყობაა. დაუმატეთ ამას ანტინატოური რიტორიკა და წრე შეიკვრება. სამწუხაროა, რომ საქართველოში უფრო მეტი, თუმცა დამსახურებული ხმაური ტყდება თოფაძის პიროვნული და უცოდინარობით დატვირთული გამონათქვამის გამო და არაფერი ისმის პოლიტიკურად სახიფათო პოზიციის გამო, რომელიც ამავე გამოსვლაშიც ძალუმად იყო წარმოდგენილი, – წერს კოტე გაბაშვილი. (news.ge)

## კირკიტაძის ძმა გირაოთი გამოუშვეს



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმა, ირაკლი კირკიტაძე სასამართლომ 5 000-ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი კირკიტაძეს ბრალად ედება სსსკ 120-ე, 151-ე და 239-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მუქარასა და ხულიგნობას გულისხმობს. (პირველი რადიო)

## რატი დურგლიშვილის კომენტარი მანქანის აფეთქების შემდეგ



თბილისში, გაგარინის ქუჩაზე „მერსედესის" მარკის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა. არსებული ინფორმაციით, ავტომობილი მომღერალ რატი დურგლიშვილს ეკუთვნის.

ჩვენ ინფორმაცია მომღერალთან გადავამოწმეთ, ის ადასტურებს ფაქტს:

– ნამდვილად გადავრჩი. გაგარინზე ჩვეულებრივად ვმოძრაობდი საკუთარი მანქანით. მანქანის წინა ნაწილში კვამლი შევამჩნიე, სწრაფად გავაჩერე და გადმოვედი. რამდენიმე წუთში მთლიანად აალდა. მანქანა მთლიანად დაიწვა, მისი გამოყენება შეუძლებელია. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სახანძროსა და პატრულს, რომ გადავრჩი.

მომღერლის თქმით, დაზიანება არ მიუღია, რადგან მანქანიდან გადმოსვლა დროულად მოახერხა. (ambebi.ge)

## „ყოფილა შემთხვევა, როცა რძალს მაზლი ტაფით უცემია" — ძალადობის მსხვერპლთა ამბები

– ქალების გარდა, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი მამაკაცია, – აღნიშნულის შესახებ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" ხელმძღვანელმა ნატო შავლაყაძემ განაცხადა.

მისი თქმით, არის შემთხვევები, როდესაც რძალი მამამთილზე ან მაზლზე ფიზიკურად ძალადობს, ან უგულებელყოფს მათ.

– წელი არ გავა ისე, რომ რამდენიმე შემთხვევა არ იყოს, როდესაც მამაკაცია მსხვერპლი. მამაკაცებს ქალებზე მეტად უჭირთ ძალადობის შესახებ გაცხადება. ესენი არიან რძლის მსხვერპლი მამამთილები, ისინი არიან ფიზიკური ძალადობის ან უგულებელყოფის მსხვერპლნი, რძლისგან, შვილიშვილებისგან. მაგალითად, როდესაც ავად არის ადამიანი და არ მიაქვთ მისთვის წამალი, არ უძახებენ ექიმს.

არის დაუოჯახებელ მაზლებზე რძლისგან ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც. ისინი ცდილობენ, სახლიდან გააძევონ მაზლი.

ყოფილა შემთხვევა, როცა რძალს მაზლი ტაფით უცემია. თუმცა, საერთო რაოდენობასთან შედარებით, მამაკაცების მხრიდან ძალადობის შესახებ მომართვიანობის რიცხვი ძალიან დაბალია. გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ მამაკაცები ამაზე საუბარს არ ერიდებოდნენ, – განაცხადა ნატო შავლაყაძემ. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სამართალი

# პარლამენტის მიერ 2015 წელს მიღებული ორი


გელა ზედელაშვილი

555 48-48-61




2015 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა ორი ისეთი კანონი მიიღო, რომელიც უამრავ კითხვას და ეჭვებსაც კი ბადებს. საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ეს კარგია, ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს არის ვიღაცების ინტერესების გატარება რეალურ ცხოვრებაში. საერთოდ, ახლად მიღებული კანონით, ალბათ, ყველა ვერ იქნება კმაყოფილი, მაგრამ ჩვენმა კანონმდებლებმა იმდენი მაინც უნდა შეძლონ, ასე თუ ისე, ყველასთვის მისაღები იყოს და რაც მთავარია, საზოგადოების ნაწილი არ უნდა დაზარალდეს. მით უმეტეს, კანონის მიღების შემთხვევაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ თუ ბიზნესთაღლითობას. ამ დღეებში ელექტრონული ფოსტით ინკოგნიტო წყაროსგან ეს წერილი მივიღე:

„გამარჯობა, „რესპუბლიკელებისა" და „ნაცმოძრაობის" ალიანსზე და „ოცნების" საწინააღმდეგო შეთქმულებაზე დიდი ამბავია „ქართულ ოცნებაში". ალბათ, გახსოვთ, საპოლიციო გამოსახლება რომ გააუქმა პარლამენტმა. იმ კანონს კბილებით „რესპუბლიკელები" იცავდნენ, ხმალაძის მეთაურობით. ამ კანონს მთავრობა და მინისტრები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ „რესპუბლიკელებმა" ივანიშვილი დაარწმუნეს, მოატყუეს, რომ ეს იპოთეკარებისთვის მიცემული დაპირების შესრულება იყო. სინამდვილეში ამან სახელმწიფოსა და მთავრობას შეუქმნა პრობლემები. მთავარი კი ის არის, რომ ეს კანონი „რუსთავი 2"-ისა და „ნაცმოძრაობის" სასარგებლოა, ქიბარ ხალვაშმა სამივე ინსტანციის სასამართლო რომც მოიგოს, „ნაცბუდის" გამოსასახლებლად ისევ სასამართლოსთვის მიმართვა და სამი ინსტანციის გავლა მოუწევს. ეს ყველაფერი კი ნიშნავს, რომ „რუსთავი 2"-ს ისევ „ნაცმოძრაობა" გააკონტროლებს საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე. სანაცვლოდ „რუსთავი 2" კეთილგანწყობილი იქნება და იმუშავებს „რესპებისა" და „ნაცების" სასარგებლოდ. „ქართულ ოცნებაში" ახლაღა მიხვდნენ, რა გააკეთეს „რესპებმა" „ქართული ოცნების" მოტყუებით და მათივე ხელით".

ეს წერილი უცვლელად გადავუგზავნე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, თამაზ მეჭიაურს და ვთხოვე, განემარტა, შეეფერება თუ არა ეს ყველაფერი სიმართლეს? თამაზ მეჭიაური ამაზე კომენტარს ვერ აკეთებს, უფრო სწორად, ამბობს, რომ არაფერი იცის. სამაგიეროდ, ყოფილი პარლამენტარი, ეკონომისტი ასლან ფალავა (რომელიც აღნიშნული კანონის პროექტზე მუშაობდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრებიც ჰქონდა) ამტკიცებს, რომ ეს ტყუილია, რადგან იურიდიული პირის გამოსახლებას არ სჭირდება სამი ინსტანციის გავლა:

„პირველ ინსტანციას შეუძლია, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს საქმე. ეჭვი მაქვს, მევახშეების შეთხზული ამბავია ეს".

„რუსთავი 2"-ის საქმე რომ კიდევ კარგა ხანს გაიწელება, ეს ცხადია, მაგრამ პოლიციური გამოსახლების აკრძალვა რაღაც ფორმით მაინც ასხამს წყალს „ნაციონალების" წისქვილზე, ისინი მაინც ატეხენ ერთ ამბავს და როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში" არცთუ უსაფუძვლოდ შფოთავენ. პირველი ინსტანცია იქნება, მეორე თუ მესამე, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, მოგებულს მართლაც უწევს მეორე წრეზე წასვლა და გამოსახლებისთვის კიდევ ცალკე ბრძოლა. რაც შეეხება „რესპუბლიკელებისა" და „რუსთავი 2"-ის „ძმობას", ეს ისედაც თვალშისაცემია, კარგა ხანია ჩანს. ბიძინა დაარწმუნეს, ბიძინა მოატყუეს, ბიძინამ არ იცის, მსგავსი ფრაზები ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას გაცვდა, როცა იგივეს დაუსრულებლად იმეორებდნენ – ბაბუმ არ იცის, ბაბუს ატყუებენ. ბიძინა ივანიშვილმა თავად თქვა, რომ მას საერთოდ არ აწყობს ამ ეტაპზე, ანუ წინასაარჩევნოდ „რუსთავი 2"-ის საქმის გარჩევა. მართალია, ეს კერძო დავაა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც წამგებიანია. გარდა ამისა, „ნაციონალების" პოლიტიკურ-სულიერი მდგომარეობა უკვე ისეა დაცემული, კიდევ ათი „რუსთავი 2" რომ ჩაურთონ, მაინც არაფერი ეშველებათ. თბილისში ერთი კობა ხაბაზი ჩუჩუნებდა თავისი „თავისუფალი ზონით" და როგორც მისავე კულუარებში ამბობენ, ეგეც ძალიან დაღლილა, თურმე სააკა და კეზერა ლიმონათის ფულსაც აღარ აძლევენ. სხვათა შორის, ბევრმა ვერ შეამჩნია, რომ ამას წინებზე ხაბაზმა „თავისუფალი ზონის" საიტზე განცხადებაც კი გამოაკრა: არიქა, ხალხო, დაგვეხმარეთ, ფული აღარ გვაქვს, თითო ლარი მაინც შემოგვწირეთო. თქვენ მეტყვით, მასე განცხადება ნიკა გვარამიამაც გამოაკრა, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ფული არ აოხრიაო. დიახ, ასეა, გეთანხმებით. ჰოდა, იმას ვამბობდი... ბიძინა ივანიშვილს „რესპებიც" მაგრად მოსწონს, ხან იქიდან მოუარეს ჟურნალისტებმა, ხან აქედან, მაგრამ „რესპუბლიკელებზე" აუგი ვერ დააცდენინეს. ჰოდა, თვითონ თუ უყვართ ერთმანეთი, ესენი რა ნერვებს იშლიან, ეგ ვერ გავიგე?!.

მეორე კანონი უფრო სკანდალურია, პარლამენტმა ის ცოტა ხნის წინ დაჩქარებული წესით მიიღო და თანაც ისე, რომ პატივცემულ საზოგადოებას არაფერი გაუგია: ესე იგი, ჩვენმა პარლამენტმა უმსხვილეს ფინანსურ ორგანიზაციებს საგადასახადო შეღავათები დაუწესა. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ბიუჯეტში თანხების შეტანისგან თავისუფლდებიან კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო ბირჟებზე გადიან. ესეც ასეეე... დღეს რომელი ორგანიზაციები გადიან საერთაშორისო სავალუტო ბირჟებზე და რომელი კომპანიები ყიდიან აქციებს? ასეთი სულ სამია – „საქართველოს ბანკი", მისი შვილობილი სამედიცინო კომპანია „ევექსი" და „თიბისი ბანკი". კონკრეტულად რა შეღავათებზეა საუბარი? საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატა „გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც: „გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს წილობრივი ფასიანი ქაღალდების ან საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების საფონდო ბირჟაზე (მათ შორის, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე) განთავსებასთან და გამოშვებასთან, აგრეთვე, ლისტინგის რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები".

ადამიანურ ენაზე რომ განვმარტოთ, საერთაშორისო ბირჟებზე გასული კომპანიების ხარჯები გამოიქვითება მოგების გადასახადიდან და ბიუჯეტში ამ ფულს აღარ შეიტანენ, რაც ათეულობით მილიონ დოლარს შეადგენს. მაგალითად, თუ „საქართველოს ბანკმა" უცხოეთში დაიქირავა კონსულტანტები ან ადვოკატები, მათთვის მისაცემი ფული, ფაქტობრივად, წავა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ავი ენები ამბობენ, რომ კანონის დაჩქარებული წესით მიღება განაპირობა ორი ძლიერი კომპანიის ლობირებამ პარლამენტში. მაშინ, როცა მცირე და საშუალო მეწარმეები იხვეწებიან, ცოტაოდენი შეღავათები მაინც დაგვიწესეთო, რატომ ეძლევათ არნახული შეღავათები ისედაც მომგებიან კომპანიებს? ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ისინი ისედაც არნახულ მოგებას იღებენ გაღატაკებულ საქართველოში? ესე იგი, „თიბისი ბანკმა" რომ კონსულტანტები და ადვოკატები აიყვანოს, ესეც კი ჩვენი ჯიბიდან უნდა დავუფაროთ? დიახ, ასე გამოდის! ვისაც საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე არაფერი გვესაქმება, ან ყოველდღე ლონდონში ვერ დავსეირნობთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?! ჩვენ აქამდე ვიცოდით არსენა ოძელაშვილისეული ფორმულა: „მდიდარსართმევს, ღარიბს აძლევს". ახლა დამკვიდრდა სხვა ფორმულა – „ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს". ბოლოს და ბოლოს, რა ეკონომიკური ეფექტი უნდა მიიღოს ამით სახელმწიფომ, როგორ იმართლებს თავს ხელისუფლება? ამ თემაზე ისევ მივმართე **თამაზ მეჭიაურს:**

**— ბატონო თამაზ, რა ხდება, ისევ მდიდარ ბანკებს მიეცით შეღავათები?**

– ეს კანონპროექტი შემოიტანეს მთავრობიდან, აპარატმა მისცა დადებითი დასკვნა... მე განმიმარტეს, რომ ამით ხდება მხოლოდ დაზუსტება და არა დამატებითი შეღავათების მინიჭება. უფრო დაზუსტებულ განმარტებებს გავაკეთებ მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტრო და აპარატი გადმომიგზავნის ასევე განმარტებას, თქვენც

თიბისი ბანკი TBC BANK თქვენ გვერდით

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA იცხოვრე მომავალი



**ბიძინა დაარწმუნეს, ბიძინა მოატყუეს, ბიძინამ არ იცის, მსგავსი ფრაზები ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას გაცვდა, როცა იგივეს დაუსრულებლად იმეორებდნენ — ბაბუმ არ იცის, ბაბუს ატყუებენ!**

**ერთი კობა ხაბაზი ჩუჩუნებდა თავისი „თავისუფალი ზონით" და როგორც მისავე კულუარებში ამბობენ, ეგეც ძალიან დაღლილა, თურმე სააკა და კეზერა ლიმონათის ფულსაც აღარ აძლევენ**

მოგაწვდით.

**— ესე იგი, ისევ ბანკების სახეიროდ იღებთ კანონებს? აქ წერია „შეღავათები“ და არა „დაზუსტება“.**

– ეს ეხება ნებისმიერ კომპანიას, რომელიც გავა ლონდონის ბირჟაზე.

**— ლონდონის ბირჟაზე ჩვენ ვერ მივდივართ, ყველამ კარგად იცით, იქ რომელი კომპანიები გადიან — „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“.**

– მე ვერავისგან ვერ მივიღე არგუმენტი, რატომ უნდა მეთქვა უარი... გარდა იმისა, რომ ეგ ბანკები არ მომწონს.

**ამასობაში თამაზ მეჭიაურმა** დაზუსტება, რომ კომპანიას აქვს იმ ხარჯების გამოქვითვის უფლება, რომელსაც გასწევს საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისთვის. საგადასახადო კანონმდებლობაში 2012 წლის 1-ლი იანვრიდან მოხდა დაზუსტება იმის გამო, რომ მანამდე არსებული პერიოდი ჩაკეტილია საგადასახადო ხანდაზმულობის ვადით და შესაბამისად, აზრი არ ჰქონდა უფრო ძველი პერიოდიდან საკითხის დაზუსტებას. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება არ ეხება კონკრეტულად ბიზნესის რომელიმე სექტორს (მაგ. საფინანსო), არამედ ნებისმიერ კომპანიას, რომელიც საფონდო თანხები და შემდეგ ეს ჩადონ ინვესტიციების სახით ჩვენს ოჯახებში 10-15 პროცენტად. აი, ეს არის დამატებითი კაპიტალი, რათა მათი ყოველწლიური ნახევარმილიარდიანი მოგება უფრო გაიზარდოს. როგორც ბატონი ასლან ფაღავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ნორმალურ ქვეყანაში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა, ეს ლოგიკურია, მაგრამ საქართველოში საკითხი სხვანაირად დგას:

„ვინ ხეირობს ამ ყველაფრით? დღეს საუბარია მხოლოდ ორ ბანკზე, რომლებიც საეჭვო მაქინაციებით გავიდნენ ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ჩემი რავებიანადაც კი. აი, ამიტომ ყიდულობენ ეს ბანკები სწრაფი ტემპით დოლარს და ხელოვნურად ზრდიან მოთხოვნას. ახლა ეროვნულ ბანკს ეუბნებიან, რეფინანსირების სესხები მოგვეცით, თორემ წავალთ გაკოტრებაზეო. ახლა თქვენ წარმოგიდგენიათ, რას გამოიწვევს ამხელა ბანკების გაკოტრება? თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ანგარიში მათთანაა. ხელისუფლებას ამისი ეშინია. თუმცა, მე რომ ვიყო გადაწყვეტილების მიმღები, ამათ გავუშვებდი გაკოტრებაზე, ოღონდ ჯერ შემოვიღებდი მეანაბრეების დაცვის მექანიზმს. აქ არის კიდევ ერთი პრობლემა – დაახლოებით 1

**სამართალი**

ნით, გადასახადისგან თავისუფალია. აი, ამ 5 პროცენტს გასცემენ 10-15 პროცენტად და მოდის ჰაერიდან ფული, თან სახელმწიფოსაც კარგად ატყუებენ. ჰოდა, ასეთ ნიჭიერ ხალხს ხომ უნდა დავუფასოთ და დავუწესოთ შეღავათები? არავინ არ იცის, ამ შეღავათებით რა თანხებს დაკარგავს ბიუჯეტი, მე დავინტერესდი და მიახლოებითი ციფრიც კი ვერ მოვიძიე. მარტო თვითონ იციან, რა მოგებას ნახავენ. ხელისუფლება იძახის, მარტო ესენი კი არა, ვინც საერ-

# მავნებლური კანონი, რომელიც უარესად გაგვალატაკებს!





**„ახლა ეროვნულ ბანკს ეუბნებიან, რეფინანსირების სესხები მოგვეცით, თორემ წავალთ გაკოტრებაზეო. ახლა თქვენ წარმოგიდგენიათ, რას გამოიწვევს ამხელა ბანკების გაკოტრება? თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ანგარიში მათთანაა. ხელისუფლებას ამისი ეშინია“**

**„ვინ ხეირობს ამ ყველაფრით? დღეს საუბარია მხოლოდ ორ ბანკზე, რომლებიც საეჭვო მაქინაციებით გავიდნენ ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ჩემი აზრით, ეს ორი ბანკი საქართველოში არის უამრავი ბოროტების სათავე — დაწყებული იპოთეკური სესხით, დამთავრებული ლარის დევალვაციით“**

**— ბატონო თამაზ, ესე იგი, ისევ ბანკების სახეიროდ იღებთ კანონებს? აქ წერია „შეღავათები“ და არა „დაზუსტება“.**

**— ეს ეხება ნებისმიერ კომპანიას, რომელიც გავა ლონდონის ბირჟაზე.**

**— ლონდონის ბირჟაზე ჩვენ ვერ მივდივართ, ყველამ კარგად იცით, იქ რომელი კომპანიები გადიან — „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“.**

**— მე ვერავისგან ვერ მივიღე არგუმენტი, რატომ უნდა მეთქვა უარი... გარდა იმისა, რომ ეგ ბანკები არ მომწონს.**

**გადმოგვიგზავნა კიდეც ფინანსთა სამინისტროს წერილობითი განმარტება:**

„ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები არ წარმოადგენს საგადასახადო შეღავათს. ზოგადად, საგადასახადო კანონმდებლობით კომპანიებს უფლება აქვთ, ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითონ ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მათ ეკონომიკურ საქმიანობასთან. თუმცა, ფასიანი ქაღალდების გამოშვებისთვის გაწეული ხარჯების გამოქვითვის საკითხი მოქმედი კანონმდებლობით მაინც ბუნდოვანი იყო. იმის გამო, რომ ასეთი ტრანზაქციები ქართული კომპანიებისთვის ახალია, საკითხი აქამდე საგადასახადო კოდექსის მიხედვით ცალსახად არ იყო დარეგულირებული. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებით საგადასახადო კოდექსში მოხდა ბირჟებზე ფასიან ქაღალდებს უშვებს, გამომდინარე აქედან, პრივილეგიებზე და რომელიმე კომპანიის უპირატეს რეჟიმში ჩაყენების შესახებ გავრცელებული მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე ამ მიმართულებით შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა (ევროპული გამოცდილება) და ყველა ქვეყანაში ასეთი ტიპს ხარჯები წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებს. აღნიშნული ცვლილება კიდევ ერთი დამატებითი მექანიზმია ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და ქვეყანაში დამატებითი კაპიტალის მოზიდვისთვის“.

აჰა, ბოლოს გვეუბნებიან, ეს საჭიროა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და ინვესტიციების მოზიდვისთვისო. რასაკვირველია, ბანკებმა 3-4 პროცენტად უნდა მოიზიდონ აზრით, ეს ორი ბანკი საქართველოში არის უამრავი ბოროტების სათავე – დაწყებული იპოთეკური სესხით, დამთავრებული ლარის დევალვაციით. სხვათა შორის, აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ, რასაც არავინ არ აქცევს ყურადღებას: საქართველოში ოფიციალურად მოქმედებს 18 ბანკი, მაგრამ საფინანსო სფეროს ნახევარზე მეტი უკავია ორ ბანკს. რაც მთავარია, მათ აქვთ 4,4 მილიარდი დოლარი საგარეო ვალი. ამაში შედის იმ თანხის ნაწილი, რომელიც მოგვცეს 2008 წლის ომის შემდეგ დახმარების სახით. ესე იგი, ფული სახელმწიფოში შემოვიდა და ხელისუფლებამ მისცა ბანკებს, 2 მილიარდზე მეტი. აღებულ სესხად სულ დაფიქსირებულია 2,7 მილიარდი, მაგრამ გასასტუმრებელია 4,4 მილიარდი. საიდან წარმოიშვა ამხელა ვალი, ასეთი მაღალი პროცენტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საუმილიარდი დოლარი საიდანღაც გაჩნდა ვალდებულებაში, რომელიც ვალის სახით ისევ ამ ბანკების გასასტუმრებელია. თუ ეს თანხა ვერ გაისტუმრეს, მოხდება ის, რაც მოხდა ისლანდიასა და საბერძნეთში, ყველა კრედიტორი მიადგება სახელმწიფოს. ახლა ჩვენთან მსხვილი ბანკები მიდიან შანტაჟზე, არ გადაგვახდევინებთ ამ ვალებს? მაშინ თავს გამოვაცხადებთ გაკოტრებულად და ყველა მოგადგებათ თქვენ, მთავრობას. დღეს ბანკებში დეპოზიტების სახით დევს 14 მილიარდ დოლარამდე, აქედან უდიდესი ნაწილი არის მსხვილი რეზიდენტების და შემდეგ იურიდიული პირების, მათ შორის, უცხოელების. იცით, აქ რასთან გვაქვს საქმე? ერთი ბანკის თანხები დეპოზიტის სახით დევს მეორე ბანკში, დეპოზიტიდან შემოსული შემოსავალი, ანუ მოგება გადასახადისგან თავისუფალია. ეს არის ტექნიკურად გადასახადისგან თავის არიდება. მაგალითად, „თიბისი ბანკმა“ მილიარდი დოლარი დეპოზიტის სახით დადო „საქართველოს ბანკში“, ასევე, მოიქცა „საქართველოს ბანკი“ და დეპოზიტი გახსნა „თიბისი ბანკში“, ორივე იღებს 5 პროცენტს და ეს, ჩვენი კანოთაშორისო ბირჟაზე გავა, ყველას მიეცემა შეღავათიო, ჩვენი კომპანიების აქციები რაც შეიძლება მეტი უნდა გავიდეს, რათა დიდი თანხები მოვიძიოთო. ესე იგი, მე თუ მექნება კონცერნი, აქციებს გავიტან საერთაშორისო ბირჟაზე, გავყიდი და ფულს შემოვიტან საქართველოში. ამ ბანკების ინვესტიციები არის საკრედიტო რესურსი, შემოიტანენ და მოგაპროცენტებენ. მე ბანკების მიერ შემოტანილი პირდაპირი ინვესტიციები ჯერ არ მინახავს და, ალბათ, ვერც ვნახავ, რადგან არ მოაქვთ. ვინმემ რამე დათვალა, რა მიაქვთ და რა მოაქვთ? მე უკვე აღვნიშნე, ფაქტია, რომ დოლარს ყიდულობენ სწრაფი ტემპით და ქვეყნიდან გააქვთ“.ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ტაში დავუკრათ „ოცნების“ ხელისუფლების ამ საოცნებო გადაწყვეტილებას და აღვნიშნოთ, რომ არც დოკუმენტში, არც სხვა რაიმე წერილობით გარიგებაში არ ფიქსირდება, რომ ამ შეღავათების სანაცვლოდ, ბანკები საპროცენტო განაკვეთს მაინც შეგვიმცირებენ. არა, ჩვენ ამ გარიგებიდან ვიღებთ მხოლოდ სამი თითის კომბინაციას!

## რუსეთს სანქციები ყირიმზე უკრაინის კონტროლის აღდგენამდე არ მოეხსნება



რუსეთს სანქციები უკრაინის მიერ ყირიმზე კონტროლის აღდგენის შემდეგ მოეხსნება. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, ამის შესახებ საუბარია ევროპარლამენტის რეზოლუციაში, რომელიც სტრასბურგში მიიღეს.

– უკრაინის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულზე კონტროლის აღდგენა წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას, რომელიც საჭიროა რუსეთთან თანამშრომლობის აღსადგენად, მათ შორის შესაბამისი სანქციების შესაჩერებლად, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი ამავე დოკუმენტში გმობს ნახევარკუნძულზე მცხოვრებთა უფლებების დარღვევის უპრეცედენტო დონეს, განსაკუთრებით ყირიმელ თათრებთან მიმართებაში. ასევე, საუბარია ყირიმში გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებების კუთხით უფლებების დარღვევაზე.

ამავდროულად, ევროპარლამენტი მიესალმება უკრაინის ინიციატივას, შეიქმნას ყირიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ახალი ფორმატი „ჟენევა პლუსი“, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის, აშშ-ისა და ბუდაპეშტის მემორანდუმის წევრთა მონაწილეობას. (ინტერპრესნიუსი)

## გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა გაუქმდეს



პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ კრიზისების მართვის საბჭო უნდა გაუქმდეს. ხუხაშვილის განცხადებით, კრიზისების მართვის საბჭო არის აბსოლუტურად მოგონილი ინსტიტუტი, რომელიც თავისი პერსონალური კომპეტენციით ძალიან სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს.

– ვფიქრობ, რომ კრიზისების მართვის საბჭო, უბრალოდ, უნდა გაუქმდეს, ეს იყო მოგონილი ინსტიტუტი გარკვეული მიზნებით. უშიშროების საბჭოს ეს მიმართულება ისედაც აქვს და თუ მას სჭირდება ამ ტიპის დეპარტამენტი, შექმნის უშიშროების საბჭოს შიგნით. ეს უნდა გაუქმდეს ფაქტია, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, კრიზისების მართვის საბჭოს შექმნა ყოფილი პრემიერ-მინისტრის პირადი გადაწყვეტილებაა.

– დავივიწყოთ, გადავშალოთ ეს ფურცელი, წავიდა პრემიერი, რომლის პირადი გადაწყვეტილება იყო ამ რგოლის შექმნა. უბრალოდ, გავაუქმოთ. ახლა უშიშროების საბჭო რა ფორმატში იმუშავებს, რა დეპარტამენტები ექნება, ეს ცალკე საკითხია. ფაქტია, რომ უშიშროების საბჭო არის კონსტიტუციური ორგანო, მისი ლეგიტიმაცია არის მაღალი, რაც გამოჩნდა კიდეც, – აღნიშნა ხუხაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## H1N1 ტიპის ვირუსით სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა



თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, H1N1 ტიპის ვირუსით, ე.წ. ღორის გრიპით, სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სამხედრო მოსამსახურე გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

უწყების ინფორმაციით, ამჟამად ჰოსპიტალში აღნიშნული ვირუსით 12 ჯარისკაცი მკურნალობს, თუმცა დაავადება მძიმე ფორმით არც ერთს არ აქვს.

– H1N1 ტიპის ვირუსით სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო გარდაიცვალა. 1977 წელს დაბადებული სამხედრო მოსამსახურე გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა. ამჟამად 12 ჯარისკაცია გავრცელებული ვირუსით შემოსული, მაგრამ ესენი არიან ის კატეგორია, რომლებიც შემოდიან და გადიან და ვირუსი მძიმე ფორმებში არ აქვთ, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში. (pia.ge)

## არც „ოცნება“ აკლებს და „ნაცებმა“ ხომ გაავსეთ ჯიბეებით „ანაფორიანი ბანდიტები“!!!



„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ, თუკი მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, რას ჰქვია რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, შესაბამის კანონპროექტს ის მხარს დაუჭერს. მისი თქმით, რელიგიას შეურაცხყოფენ ის ადამიანები, რომლებიც რელიგიას უნდა ემსახურებოდნენ და პირიქით, რელიგიას საკუთარი ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ:

– არ მაქვს პრობლემა, რომ ამ ცვლილებებს მხარი დავუჭირო, მაგრამ, თუ ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ანაფორიანი ბანდიტები თურმე არ უნდა შევაფასოთ, ამას მხარს არ დავუჭერ. რა იყოთ, ეს სიტყვა გაშინებთ? – დიახ, ანაფორიანი ბანდიტებიც არსებობენ. ასეთ შემთხვევაში ეს ვერ იქნება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, – აღნიშნა ბობოხიძემ. (პირველი რადიო)

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**ომის ვეტერანები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორ ირაკლი შიხიაშვილს დაუპირისპირდნენ და მისი გადადგომა მოითხოვეს. ისინი შიხიაშვილს მათი კუთვნილი სახსრების პრემია-დანამატებში ხარჯვაში ადანაშაულებენ. ომის ვეტერანები დღემდე ვერ იღებენ სრულფასოვან სამედიცინო მომსახურებას. მათთვის არც სპეციალიზებული სამედიცინო კლინიკა არსებობს. დღემდე მოუგვარებელია ვეტერანთა დასაქმების საკითხიც. მაშინ როდესაც ომის ვეტერანებს 22-ლარიანი დახმარებაც შეფერხებებით ეძლევათ სახელმწიფოსგან, ირაკლი შიხიაშვილი ერთჯერადად სარგოსა და პრემია-დანამატის სახით 5800 ლარს იღებს...**

# ომის ვეტერანები შიხიაშვილს ქურდობაში ამხილეს და მის გადადგომას ითხოვენ!!!





**„მას მორალური უფლება არ აქვს, რომ დარჩეს ვეტერანთა ოფიციალური უწყების ხელმძღვანელის პოსტზე!“**

ახლა კი დეტალურად იმის შესახებ, რა არგუმენტები აქვთ ვეტერანებს შიხიაშვილის წინააღმდეგ. ბათუმში მცხოვრები ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები ამბობენ, რომ 2014 წელს ვეტერანთა ბიუჯეტი 9 მილიონ-ნახევარი ლარით განისაზღვრა და აქედან გამომდინარე, 2015 წლიდან მათი ყოველთვიური დახმარება 22 ლარის ნაცვლად 100 ლარი უნდა ყოფილიყო. მათ კი ყოველთვიურად კვლავ 22 ლარი ერიცხებოდათ.

შიხიაშვილის უწყება ამ ბრალდებას უარყოფს და განმარტავს, რომ სუბსიდიები ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან იხარჯება, ხოლო უწყების ბიუჯეტი 7 მილიონ 450 ათას ლარს შეადგენს. რაც ასობით ვეტერანის სხვადასხვა სახის მომსახურებისთვის დაიხარჯა. თუმცა, ასობით ვეტერანის დახმარება, სულაც არ ნიშნავს ყველა ვეტერანზე ზრუნვას.

„ირაკლი შიხიაშვილის უწყებამ სარგოები და 5 800 ლარის პრემია-დანამატები დაირიგა. თავად ირაკლი შიხიაშვილმა კი – 2 900 ლარის სახელფასო დანამატი. 2015 წელს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში პრემიები გაცემულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანებების მიხედვით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს ირაკლი შიხიაშვილს 2015 წელს ახალი წლისა და აღდგომის სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით მიღებული აქვს სულ 5 800 ლარის ოდენობის პრემია“. – ინფორმაციას „ენდიაი“ ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, რომ 2015 წლის 24 ივლისის საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს ირაკლი შიხიაშვილს დაუწესდა, ყოველთვიური სახელფასო დანამატი 1800 ლარის ოდენობით (დირექტორის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2900 ლარს) და მიეცა მას უფლება, სამსახურის თანამშრომლებზე გაეცა დანამატები. 2015 წლის 27 ივლისს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის სამი დღის წინანდელი განკარგულებით სამსახურის უფროსისთვის სახელფასო დანამატი განისაზღვრა, 1800 ლარის ოდენობით, ირაკლი შიხიაშვილმა თავის თავზე გასცა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის (2 900 ლარი) სახელფასო დანამატი. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ დღეს ვეტერანთა ჰოსპიტალიც აღარ არსებობს. ეს ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოყოლებული პრობლემაა. ამ თემაზე „ქრონიკა“ დიდი ხნის წინ წერდა, მაშინ თითქოს დაიძრა ყინული, თუმცა არც „ოცნების“ პირობებში შეიცვალა რამე სასიკეთოდ.

**ვახტანგ მაჭავარიანი, საქართველოს ომის ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია „პატრიოტის“ ხელმძღვანელი:**

– ჰოსპიტალის გაუქმებაში დამნაშავეა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი ირაკლი შიხიაშვილი. გასული წლის განმავლობაში ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს არაერთი შეხვედრა, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობასთან, პასუხისმგებელ პირებთან. გააცნეს მათ რიგი ინიციატივებისა და წინადადებებისა, როგორ შეიძლებოდა შექმნილი ვითარების გამოსწორება და ჰოსპიტალის შენარჩუნება. მაგრამ ირაკლი შიხიაშვილმა აბსოლუტური იგნორირება გაუკეთა ვეტერანთა მოთხოვნებს, რის გამოც, მას მორალური უფლება არ აქვს, რომ დარჩეს ვეტერანთა ოფიციალური უწყების ხელმძღვანელის პოსტზე.

**ტარიელ მკლავაძე — „სპირიდონ მცირიშვილის სახ. ძალადობისა და აგრესიის მსხვერპლთა თანადგომის ფონდის“ დირექტორი:**

– ვეტერანებს უამრავი პრობლემა აქვთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით აქტუალურია და მათი გადაჭრით ვეტერანთა საზოგადოება დაინტერესებული. ეს პრობლემებია: 22-ლარიანი ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდიის საკითხი. ეს სუბსიდია ვეტერანის მიერ ერთ თვეში გამოყენებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯის კომპენსაციას წარმოადგენს. ჯერ ერთი, თავად ამ თანხის რაოდენობა იწვევს ვეტერანების დიდ უკმაყოფილებას – ეს თანხა არანაირად არ ასახავს რეალობას.

მეორეც, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით ამ სუბსიდიის გაცემა შეჩერებულია, ვეტერანთა საკმაოდ დიდ პლასტზე. განსაკუთრებით, 2008 წლის აგვისტოს ომის ვეტერანებზე, რომელთა უდიდესმა ნაწილმა ვეტერანის სტატუსი მიიღო, ხსენებული დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ.

ეს სუბსიდია შეუწყდათ საჯარო სამსახურში მომუშავე ვეტერანებსაც და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მათ საჯარო სამსახურის დატოვების შემდეგაც არ აღუდგათ მისი მიღება.

— **ჯანდაცვის პაკეტი რამდენად სრულყოფილია?**

– ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში მოქმედი ვეტერანის განსაკუთრებული პაკეტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ის არ მოიცავს იმ სპეციფიკურ სფეროს, რომელიც განსაკუთრებით აწუხებს ვეტერანთა ფენას – კერძოდ, ქრონიკული დაავადებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვეტერანთა ჰოსპიტალის პრობლემა თავადაც გეცოდინებათ და ამაზე აღარ შევჩერდები.

— **ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური როგორ ეხმარება ვეტერანებს?**

– 2013 წელს ჩამოყალიბდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, სტრუქტურა, რომელმაც უნდა იმუშაოს ვეტერანების პრობლემებზე. ამ სამსახურს აქვს ტერიტორიული სამმართველოები რეგიონებშიც, მაგრამ რაც მთავარია, თავად ვეტერანების აზრს არავინ კითხულობს, არანაირი მონიტორინგი არ მიმდინარეობს. ვეტერანების დიფერენციაცია „მათიანებად და არამათიანებად“ ხდება. ეს იწვევს ვეტერანთა ძირითადი მასის სერიოზულ უნდობლობასა და გაუცხოებას ამ სამსახურის მიმართ.

— **რეგიონებიდან თბილისში ჩამოსულ ვეტერანებს თუ აქვთ საცხოვრებელი ფართი?**

– რეგიონებიდან თბილისში სამუშაოდ და დროებით საცხოვრებლად ჩამოსულ ვეტერანებს მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობის პრობლემა აქვთ – თბილისის მერია ამ შეღავათს მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულ ვეტერანებს უკეთებს. რაც უსამართლო, დისკრიმინაციული მიდგომაა. ვეტერანების წინაშე, სხვა უამრავი გადაუჭრელი პრობლემაც დგას. მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გვაქვს. ირაკლი შიხიაშვილი გვპირდება ვეტერანთა დასახლებების შექმნას სასაზღვრო ზოლში, გარდაბნისა და რუსთავის ტერიტორიებს შორის და რქებისა და ჩლიქების გადამამუშავებელი ხუთასკაციანი კოოპერატივის დაარსებას. წარმოებული პროდუქციის დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური აფრიკის ბაზრებზე გასაღების უზრუნველყოფით.

## პროტესტი

— **ფიქრობთ, რომ ვეტერანები ვერ შეძლებენ ამ პროექტის განხორციელებას?**

– დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სახელდობრ, რქებსა და ჩლიქებზე იქნება ეს კოოპერატივი ორიენტირებული, ბატონი ოსტაპ ბენდერისგან ვიცი გადმოცემით. ასე რომ, შეგიძლიათ ბატონ ოსტაპ ბენდერის სახელით გაავრცელოთ ეს ინფორმაცია. საერთოდ, ეგ მიწები მეცხოველეობისთვის უფროა გამოსადეგი. თანაც, ყოფილ მებრძოლებს რქების მომტვრევა უფრო ეხერხებათ, ზოგიერთს წველაც, მაგრამ მეჩაიეებად ან ომბალოს მკრეფავებად ვერ გამოდგებიან. ისე, წარმოიდგინეთ, რა გრანდიოზულ გეგმაზეა საუბარი – ერთ დასახლებაში მცხოვრები 500 ვეტერანი, ერთ აგროწარმოებაში მკლავებდაკაპიწებული 500 არტილერისტი, მოტომსროლელი, ტანკისტი, მედესანტე, ჰუსარი, დრაგუნი, კავალერისტი ჩემო ბატონო... ცალ ხელში დროშა, მეორეში ხმალი! – კოოპერატივი კი არა, თავზეხელაღებული ინვალიდების მოიერიშე არმიაა... ნაომარს დაამსგავსებენ იქაურობას. თითქმის ბელომორკანალის ან ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მასშტაბებზეა საუბარი და ეს პირადად მე აღმაფრთოვანებს და მახალისებს... თუმცა დაუნახავებსა და უმადურებს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე?!

**ამ გაშარჟებული კომენტარიდანაც ჩანს, ვეტერანების განწყობა შიხიაშვილის დაპირებებზე... „ალია“ ირაკლი შიხიაშვილის პრესსამსახურს არაერთხელ დაუკავშირდა და ვეტერანთა პრობლემებზე კომენტარი სთოვა. თუმცა მას შემდეგ, რაც შიხიაშვილის პრესსამსახურმა გაიგო, რა საკითხებზე უნდა ესაუბრა, ტელეფონი ქრონიკულად გამორთო და ამ დრომდე აღარ ჩაურთავს. ვეტერანთა საქმეთა დირექტორი ჟურნალისტებთან საუბარს გაურბის, ალბათ, იმიტომ, რომ სათქმელიც არაფერი აქვს...**

# „კურიერის“ ყოფილ წამყვანს, ეკა ბესელიას პიარმენეჯერ ირაკლი მაისურაძეს თაღლითობაში ადანაშაულებენ!

ნანა სულავა
599 07-01-89



**მთავარი პროკურატურიდან პირდაპირ „ალიაში“ გვესტუმრა აღშფოთებული ქალბატონი მარინა საღინაშვილი-გადრანი და გვიამბო, როგორ მიითვისა თაღლითური გზით მისი უცხოელი ბიზნესპარტნიორის მიხალ კრისტინისგან დიდი ოდენობით ფულადი სახსრები „კურიერის“ ყოფილმა ჟურნალისტმა, ამჟამად პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას პიარმენეჯერმა ირაკლი მაისურაძემ და რა პასუხი მიიღო პროკურატურისგან სამწლიანი დავის შემდეგ, ამ სკანდალური ისტორიის შესახებ თავად მარინა გადრანი გვიყვება:**

**მარინა საღინაშვილი-გადრანი:**

– პროფესიით არქიტექტორმა ჩემს ქვეყანაში სამსახური რომ ვერ ვიშოვე, ხუთი წელი ქალიშვილთან ერთად უცხო ქვეყანაში დავყავი, ჩეხოსლოვაკიაში გავიცანი მიხალ კრისტინი, რომელთანაც ჩემი შვილი ასისტენტად მუშაობდა, მაგრამ ვერ შევეჩვიეთ უცხოეთში ცხოვრებას და თბილისში დავბრუნდით, მაგრამ მიხალ კრისტინის ოჯახთან კავშირი არ გაგვიწყვეტია, კრისტინს საკუთარ ქვეყანაში ბიზნესი აქვს. სრულიად ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესი წამოეწყო. მან დააფუძნა ფირმა – „მატ ტოპ ტრადე“. ეს ფირმა ხორცპროდუქტებისა და პაშტეტების ქარხნის გახსნას ითვალისწინებდა და მის დირექტორად მე დამნიშნა. პროდუქციის რეალიზება მოხდებოდა მეზობელ ქვეყნებში, დასაქმდებოდა ასეულობით მუშახელი. სანამ ჩვენი გეგმები განხორციელდებოდა, გადავწყვიტეთ, ჩეხეთიდან შემოგვეტანა აღნიშნული პროდუქტები. ეს ერთგვარი ტესტი იქნებოდა პროდუქციის რეალიზაციისთვის. ამისთვის საჭირო იყო, სადისტრიბუტორო სამსახური მოგვეძებნა. შევხვდით არაერთ ჯგუფს, თუმცა მოლაპარაკება ჩაიშალა სხვადასხვა მიზეზების გამო. ასეთ დროს მოვიდა ჩვენი ოჯახის ახლობელი შმაგი ჩოხელი, მას ახლდა „კურიერის“ ჟურნალისტი ირაკლი მაისურაძე, რომელმაც თანამშრომლობა შემოგვთავაზა. კარგად მახსოვს, გვითხრა, ბიზნესის კეთებას ვინ მასწავლისო. მეც გულუბრყვილოდ დავიჯერე მისი სიტყვები, მისმა ცნობადობამ შემიყვანა შეცდომაში და ეს ადამიანი სერიოზულ პიროვნებად ჩავთვალე. მითხრა, ახალი მთავრობა მოდის, ბესელია ჩემი ახლობელიაო. ეს სიტყვები თვითონ მითხრა, მე არ დამსიზმრებია, მაგრამ ახლა უტიფრად უარობს, არ მითქვამსო.

**— ჟურნალისტი მაინც რაში უნდა დაგხმარებოდათ?**

– ირაკლი მაისურაძემ ორი დღის შემდეგ მოიყვანა ვინმე უშანგი ბეკურიშვილი, რომელსაც თითქოსდა ჰქონდა საკუთარი ბიზნესი, საკუთარი ფირმა დაფუძნებული, რომლის სახელწოდება იყო „ქართული ხორცი“. ასე გადაწყდა მათთან თანამშრომლობა. დასაწყისში ქართველმა პარტნიორებმა გვთხოვეს, რომ ძველ ფირმას შეუცვლიდნენ სახელწოდებას, „ქართული ხორცის“ ნაცვლად, „ნიშა“-ს დაარქმევდნენ. მალე ხელშეკრულების მემორანდუმზე ჩამოვყალიბდით. სინამდვილეში არარეგისტრირებული შპს „ნიშა“, რომელსაც, ირაკლი მაისურაძის თქმით, თითქოსდა ექსკლუზიური უფლება ეძლეოდა ჩვენ მიერ შემოტანილი საქონლის რეალიზაციისა, ვალდებულებას იღებდა საქონლის მარკეტინგზე. ჩვენ შევთანხმდით მთელ რიგ საკითხებზე და მერე, ყველა ერთად დუშეთის რაიონის სოფელ წითელსოფელში გავემგზავრეთ. მათი თქმით, იქ საწყობი ჰქონდათ და დაგვარწმუნეს, რომ ეს მათი კუთვნილება იყო. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ეს მათი კუთვნილება არ ყოფილა და ამ საწყობთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. ამასობაში, საქართველოში ჩეხეთიდან ჩამოვიდა პროდუქცია, ეს იყო პაშტეტები და ღორის კანჭები, მისი ღირებულება 29.034.50 ლარს შეადგენდა, რომელიც მთლიანად გადავეცით „ნიშა“-ს. ეს იყო საცდელი პარტია, რომლის მიხედვითაც უნდა განგვესაზღვრა საქართველოში ამ პროდუქციის მოხმარების სტატისტიკა. ცხადია, მისი სწრაფი რეალიზება უნდა მომხდარიყო, რომ ხორცის პროდუქტები არ გაფუჭებულიყო. ირაკლი მაისურაძის ჯგუფმა შემოტანილი საქონლის მთელი პროდუქცია თვითონ წაიღო. ამ თანხიდან მხოლოდ 3 ათასამდე ლარი დაუბრუნდა ინვესტორს. შემოტანამდე კი მაისურაძის წინადადება იყო, სასწრაფოდ რეკლამა განთავსებულიყო „რუსთავი 2“-ის ეთერში, რისთვისაც პროდუქციის საქართველოში შემოსვლამდე გარკვეული საზღაური მოითხოვა. ამაზე ჩვენ სასტიკი უარი ვუთხარით. ახლა კი გვეუბნებიან, პროდუქცია გაფუჭდა და რეალიზაცია ვერ მოვახდინეთო. მიხალ კრისტინს ეგონა, ისინი რეალიზაციას გააკეთებდნენ, მაგრამ ეს იყო თაღლითური სქემა. წლებია, ვდაობთ. ჩვენდა სამწუხაროდ, შევიტყეთ, რომ „ქართულ ხორცთან“ ქართულ მხარეს არანაირი შეხება არ ჰქონია და რომ ისინი ყველაფერს იტყუებოდნენ. მათ არ ჰქონდათ იურიდიული უფლება ახალი შპს „ნიშა“-თი გაეცათ ხელშეკრულება. ჯერ ერთი, არანაირი საწყობი არ გააჩნიათ, სად წაიღეს ეს პროდუქცია, კაცმა არ იცის. იქაც მოახერხეს დიდი ოდენობის ქონების მითვისება, გაფუჭდა თუ გაყიდეს, არც ეს ვიცით. ჩვენ ვითხოვთ მატერიალურ და მორალურ ანაზღაურებას. მაისურაძის დამსახურებით შპს „მატ ტოპ ტრადე“-ს დღეს ერიცხება საგადასახადო სარისკო დავალიანება, მის ანგარიშებს ბანკში ადევს სახელმწიფო ყადაღა. პროდუქტზე გვეუბნებიან, გაფუჭდაო, თბილისში 4000 მაღაზიაა, ჩეხეთიდან შემოტანილი 9000 ცალი კონსერვიდან 5-5 ცალი რომ შეეტანათ მაღაზიებში, ეჭვი არ მეპარება, აუცილებლად გაიყიდებოდა. როგორც თავად ამბობენ, მხოლოდ ორ მაღაზიაში შეიტანეს და თავხედურად მე მთხოვენ საწყობის იჯარის გადახდას. ამ დროს, მათ იჯარის გაცემის უფლება არ ჰქონდათ. ამჟამად ვარ სახელმწიფოსთან დავალიანებაში. მიხალ კრისტინს კი ამ დეტალებს ვერ ვეუბნები, რადგან უცხო ინვესტორის თვალში ეს ყველაფერი ქვეყნის იმიჯს ლახავს, ის მართლაც სერიოზული ინვესტიციის განხორციელებას გეგმავდა საქართველოში. ვრეკავ ირაკლი მაისურაძესთან, სმს-ებსაც ვუგზავნი, მაგრამ რეაგირებას არ ახდენს. ის კონკრეტული ლობისტების მეშვეობით ახერხებს, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. მისმა ბიზნესპარტნიორმა უშანგი ბეკურიშვილმა მითხრა, ეკა ბესელია ირაკლი მაისურაძის შვილის ნათლიაა და ფეხებს ვერ მოსჭამთო!.. იმ ზომამდე ვარ მისული, ნეტავ, საერთოდ არ არსებობდეს მთავრობა. რითია ეკა ბესელია სხვაზე უკეთესი, ჩემთვის დღეს „ნაციონალი“ და „ოცნების“ წარმომადგენელი სულერთია. ეს ისეთი თანხა ხომ არ არის, რომ კაცმა არ გადაიხადო და იძახო, ფეხებს ვერ მომჭამ, ეკა ბესელიას პიარმენეჯერი ვარო.

**— მთავარი პროკურატურიდან რა პასუხი მიიღეთ?**

– ორჯერ მივმართე მთავარ პროკურატურას, მთავარმა პროკურატურა ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში გადამამისამართა, წერილობით კი არა, სიტყვიერი პასუხი გამცეს, საქმეში თაღლითობა არ იკვეთებაო. ჩემი საჩივარი პროკურატურიდან ჩუღურეთის პოლიციის გამომძიებელს შორენა მაზანაშვილს გადაუგზავნეს. იქ კი ასეთი ბიუროკრატიული სცენა დატრიალდა, ერთი საათის უაზრო ლოდინის შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში ტელეფონით გართულმა მოხელემ უეცრად მოგვმართა, გამოძახება მაქვს და უნდა წავიდე, დაგირეკავთო. ეს სიტყვები შემატოვა და წავიდა. თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა, ჩემთვის არავის დაურეკავს... გინდ უცხოელი გადააგდე და გინდ ქართველი, ხახვივით შეგრჩება, თუკი პატრონი გყავს. პატრონი კი, როგორც გითხარით, ეკა ბესელიაა... ეკა ბესელიაზე უკეთეს პატრონს კი ვერც ინატრებდა „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტი ირაკლი მაისურაძე.

**— ამ საქმის შესახებ თავად ეკა ბესელიამ თუ იცის?**

– მე არაფერი მითქვამს... იძულებული ვართ, სტრასბურგის სასამართლოს მივმართოთ, ამისთვის სათანადო მტკიცებულება და ინფორმაცია გავაჩნია. ჩვენ სამართალს ვერ ვპოულობთ და ამიტომაც, მოგმართეთ „ალიას“. იქნებ თქვენი მაღალრეიტინგული გაზეთის საშუალებით გავარღვიოთ „ნაცებისა“ და „ქოცების“ პროკურატურის ორგანოების მოჯადოებული წრე და დაგვეხმაროთ, პროკურატურის ორგანოებმა მიიღონ ჩვენი სარჩელი, რათა დაუყოვნებლივ დაიწყონ ამ საქმის გამოძიება. ასევე, გთხოვთ, წერილი გადაუგზავნოთ არა მხოლოდ მთავარ პროკურატურას, არამედ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, სადაც მაისურაძე მუშაობს და საქმე გადაეცეს გამოძიებას.

**„მისმა ბიზნესპარტნიორმა უშანგი ბეკურიშვილმა მითხრა, ეკა ბესელია ირაკლი მაისურაძის შვილის ნათლიაა და ფეხებს ვერ მოსჭამთო!..“**





**ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პიარმენეჯერს ირაკლი მაისურაძეს:**

– არ მინდა გავცე მას პასუხი, მარინე გადრანი თაღლითია, არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ... (საუბარი შეწყვიტა. – ნ.ს.)

**ირაკლი მაისურაძის პარტნიორ უშანგი ბეკურაშვილთანაც შევეცადე ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ, როგორც შევიტყვე, ყოველდღე ცვლის მობილურის ნომერს და ამ მიზეზით ვერ დავუკავშირდით.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თურქეთმა რუსი ჟურნალისტებისთვის სავიზო რეჟიმი დააწესა



„ბიზისის“ ინფორმაციით, 15 თებერვლიდან რუს ჟურნალისტებს თურქეთში ჩასასვლელად ვიზის აღება დასჭირდებათ. როგორც მოსკოვში მდებარე თურქეთის საელჩოში აცხადებენ, მედიის წარმომადგენლებს სპეციალური ვიზის აღება მოუწევთ. მსგავსი სახის ვიზის აღება რუსეთში მყოფ თურქ ჟურნალისტებსაც უწევთ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა 1-ლი იანვრიდან თურქეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი გააუქმა. ამის მიზეზი გასული წლის 24 ნოემბერს თურქეთის გადაწყვეტილებით რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება გახდა. ოფიციალური ანკარის განცხადებით, რუსულმა საფრენმა აპარატმა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია, რასაც რუსული მხარე უარყოფს.

მომხდარის შემდეგ რუსეთმა თურქეთს არაერთი ეკონომიკური სანქცია დაუწესა, მათ შორის რუსეთში შეზღუდა თურქული პროდუქციის იმპორტი და თურქეთის მიმართულებით ტურისტული საგზურების გაყიდვა აკრძალა. (bpn.ge)

## გამოცანა: ყველაფერს უთანხმებენ, ყველაფერს აკვირდება და ყველას შენიშვნას აძლევს, ვინ არის? პასუხი: ბიძინა ივანიშვილი



პარლამენტარ გოგი თოფაძის განცხადებით, პარლამენტში მისი გამოსვლის შემდეგ, ის ბიძინა ივანიშვილს ესაუბრა, რომელმაც შენიშვნა მისცა და უთხრა, რომ არასწორი იყო მისი მხრიდან ასეთი გამოსვლა.

ამის შესახებ გოგი თოფაძემ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში ჩართვისას ისაუბრა და ბოდიში მოიხადა.

მან კიდევ ერთხელ გაიხსენა პრეზიდენტის მიერ ქართველებზე დაწერილი შეხედულება და მიიჩნევს, რომ ამის გამო ბოდიში პრეზიდენტმაც უნდა მოიხადოს.

თოფაძე ამბობს, რომ ის, რა ფორმითაც არის საუბარი ერზე, არაფერია იმასთან შედარებით, რაზეც მან პარლამენტის სხდომაზე ისაუბრა. მისივე თქმით, შესაძლოა, მას შეეშალა და სიტყვა დაუნი და პრეზიდენტის მიერ ნახსენები სიტყვა დებილი ერთმანეთს შეადარა. (marshalpress.ge)

## „როგორც იქნა, მოვხვდი იმ „მონარჩენ“ ადამიანთა სიაში“ — რამ აღაშფოთა თამრიკო ჭოხონელიძე

მომღერალი თამრიკო ჭოხ-



ონელიძე სოციალურ ქსელში ოპერის თემას ეხება და იმ კრიტერიუმებს ვერ ითავისებს, რომლის მიხედვითაც მოხდა სტუმრების დაპატიჟება ოპერის გახსნის დღეს. მიუხედავად ამისა, დიდი სიამოვნებით მიიღო დაგვიანებული მიპატიჟება და გეგმავს, აუცილებლად ეწვიოს ადგილს, რომელსაც ყოველთვის გულშემატკივრობს.

– როგორც იქნა, მოვხვდი იმ „მონარჩენ“ ადამიანთა სიაში, ვინც ოპერაში დაპატიჟეს... პირველ დღეებში, აბა, სად იყო ჩემისთანა „არაელიტარული“ (მაგრამ მაინც მუსიკოსების) ადგილი?! ტელევიზიიდან ითქვა: იქ მოხვდებიან ის ადამიანები, ვინც ამის ღირსიაო... ჰო, ალბათ, ასე ფიქრობენ და განსჯიან დღევანდელი „მსაჯულები“... ვერაფერს იტყვი!.. დასანანი ერთია მხოლოდ, ვფიქრობ, არ იყო ლამაზი ასეთი „სელექცია“! კრიტერიუმებმა გამაკვირვა...

მომიტევეთ, მაგრამ იქ იყვნენ ის ადამიანებიც, ვინც ამ ნაწარმოების მესამე მთავარ პერსონაჟსაც ვერ დაგისახელებდნენ, არა თუ მის მუსიკალურ მხარეს გაგიშიფრავდნენ... ასე რომ, ძალიანაც ნუ გავიგიჟებთ თავს, რომ იქ სწორედ ის „ელიტა“ იყო, ვინც უნდა ყოფილიყო და ვისაც კარგად ესმის ოპერა!.. იმედია, გამიგებთ, რატომ დამწყდა გული... აუცილებლად წავალ... ძალიან მიყვარს ეს ოპერა, მით უმეტეს, რომ ძალზე ვგულშემატკივრობ ზოგადად ქართულ ოპერას, თითოეულ ნიჭიერ მომღერალს და ყოველთვის ვიქნები იმ გულშემატკივართა რიგებში, ვინც შეუპოვრად იდგება და იბრძოლებს ქართული კულტურის, ქართველთა გემოვნების ზრდისა და ზოგადად ქართველების წარმატებების სადარაჯოზე! – წერს თამრიკო ჭოხონელიძე სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

## რამდენი ადამიანი უნდა დაიღუპოს მერიისა და საკრებულოს ამჩემფეხებობის გამო?!

ქავთარაძის ქუჩაზე, მრავალსართულიანი მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა. როგორც სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში აცხადებენ, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. როგორც შსს-ში აღნიშნეს, საქმე 240-ე მუხლით აღიძრა, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# „სოსო ჯაჭვლიანმა ჩემი კუთვნილი 23 000 ლარი მიითვისა! ამის გარდა, მიიღო დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის პრემია!“

## რას პასუხობს „ოცნების“ დეპუტატი ბრალდებებს?






საქართველოს მკლავჭიდელთა ეროვნული ნაკრების წევრები ფედერაციის პრეზიდენტს, სოსო ჯაჭვლიანს უპირისპირდებიან. მათი თქმით, რაც ფედერაციას ჯაჭვლიანი ხელმძღვანელობს, არაფერი გაკეთებულა. როგორც ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, გელა ბექაური აცხადებს, ადრე დაფინანსება საერთოდ არ იყო, ახლა გაჩნდა, მაგრამ არა მათთვის:

„ყველა პრობლემა ფედერაციიდან მოდის. ვითხოვთ, გადადგეს ჯაჭვლიანი და ასევე, ნაკრების მწვრთნელი, რათა ნორმალურად ვარჯიშის საშუალება მოგვეცეს. შექმნან ელემენტარული პირობები! სოსო ჯაჭვლიანი არ არის ღირსი, იწოდებოდეს რომელიმე ფედერაციის პრეზიდენტად, ის არცხვენს საქართველოს პარლამენტს, ქართულ სპორტს, მთავრობას და მის პარტიას. ამ ადამიანმა გასულ წელს ჩემი კუთვნილი 23 000 ლარი მიითვისა. წელს გააკეთა ჩანაცვლება. თავისი თავი გაიფორმა ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად და მიიღო დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის პრემია. ეს არ არის ღირსეული ადამიანის და მით უფრო, პარლამენტარის ქცევა. ამ ადამიანს ისტორიულ სანაგვეზე გავუშვებთ“.

**თავად სოსო ჯაჭვლიანი „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ მას მტრები ჰყავს, რომლებიც ადრე ამ სფეროში მუშაობდნენ და ახლა კი გამწარებულები ავრცელებენ ჭორებს:**

– ამ საკითხზე მე ვიტყვი ძალიან მოკლედ და კონკრეტულად: თუ მაგათ რამე პრეტენზიები აქვთ, არსებობს სპორტის სამინისტრო, სადაც არის გახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია, გაარკვიონ, თუ ვინმეს ერთი თეთრი სადმე აქვს წაღებული და დახარჯული, ყველა უნდა დაისაჯოს. არა აქვს მნიშვნელობა, დეპუტატია თუ მინისტრი, მათ შორის, სოსო ჯაჭვლიანიც.

იცი, ამათ რა უნდათ? მე, ჯაჭვლიანმა, და მწვრთნელმა მუსელიანმა მკლავჭიდის ფედერაცია აქამდე ენთუზიაზმით მოვიყვანეთ, ახლა ცოტა დაფინანსება გაჩნდა და მადაც გაეხსნათ, უნდათ, ყველაფერი ისევ თვითონ დაითრიონ. ყველაზე მეტს ის ლაპარაკობს, ვინც არაფერს წარმოადგენს, თან პიარი უნდა, თან ფული.

წავიდნენ და არკვიონ საკითხები სპორტის სამინისტროში.

**— გელა ბექაური პირდაპირ ამბობს, სოსო ჯაჭვლიანმა ჩემი 23 ათასი ლარი მიითვისა და 100 ათასი კიდევ პრემია გამოიწერაო.**

— ვაიმე, ვაიმე... კარგია, რამდენი მეტ სისულელეს ილაპარაკებენ, უფრო კარგია. არ ვიცი, საერთოდ პრემიებს სამინისტროები წერენ, თუ ჩემს სახელზე რამეა გამოწერილი, მიბრძანდნენ სპორტის სამინისტროში და დადონ ფაქტები. უკვე გითხარი, ფედერაციას ცოტა დაფინანსება გამოუჩნდა, ვიღაცებმა ფულის სუნი იგრძნეს და მოუნდათ ფედერაციის ისევ ხელში ჩაგდება. არ გამოუვათ, ტყუილად ავრცელებენ ჭორებს, ტყუილად იწუხებენ თავს. სულ ესაა, მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



### იკლიკანტური ამბები

არ ვიცი, წაგიკითხავთ თუ არა აბუ ჯიჰადის იგავი, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ასე იწყება: „ღამეთა შორის ჩემმა ძველმა ზმანებამ აღმოშვა ეს იგავი. აღარც ვაპირებდი დაწერას, მაგრამ არ დამეხსნა. ცეცხლის გველად ეგო იგი გულსა შინა და მამწუხრა. მიყიოდა, რომ კალამი ამელო ხელში და განმეწიგნა ესე ჯავრიანი საფიქრალი“. თქვენ წარმოიდგინეთ, იგივეს განვიცდი – მართლა არ ვაპირებდი ამ ერთი ბეწო ამბის დაწერას, მაგრამ არ დამეხსნა ზმანება, მამწუხრა, კალამი აიღე ხელშიო: მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ამ დღეებში კახეთს გადავწყვიტე წასვლა. ჩავალაგე რამე-რუმეები, ამოვქოქე მანქანა და გავუდექ გზასა. ღამეა, სადღაც 12 საათი სრულდება. თქვენ მკითხავთ, შუაღამისას რას დახეტიალობ, აღარ გათენდებოდაო? დიახ, გათენდებოდა, მაგრამ მანქანების რაოდენობაც მოიმატებდა და გზა გადაიტვირთებოდა. ღამის 12 საათიდან დილის 7-8 საათამდე ტრასა თავისუფალია, თუ დღისით წნორში უნდა ჩახვიდე 2,5 საათში, ღამით ჩადიხარ 1 საათსა და 20 წუთში – ჰა, ჰა, 1 საათსა და 30 წუთში. ერთი სიტყვით, ნუ გამიხურეთ, მანქანა ჩემია და როცა მინდა, მაშინ წავალ!

მივდივარ, მივღიღინებ, უკვე კახეთის სიო მცემს... მეც მიმაქვს სითბო, სიყვარული და გაგება. სადაცაა მივადგები სოფელ სართიჭალას, გადავალ ხიდსა და აგერ, უკვე პატარძეულში ვარ. სანამ სართიჭალას მივუახლოვდებით, მარჯვნივაც და მარცხნივაც უშველებელი ალვის ხეებია, ცოტა შიგნით ტყესავითაა, ყოველ შემთხვევაში, მოფსმა თავისუფლად შეიძლება. ამ ტყეების იქით კი სახნავ-სათესი მინდვრებია. ერთგან სიღრმეში ცოტა ვიწრო ორღობე შედის. სწორედ ამ ორღობეში, ტრასიდან დაახლოებით 30 მეტრში ვაჩერებ მანქანას, არ მიყვარს ხოლმე, შუაგზაზე რომ ფსამენ. მანქანას არ ვაქრობ, ფარებიც მინთია. ვატყობ, რაღაც საეჭვოდ ვდგავარ ბნელ ორღობეში. წესით, ტრასაზე მიმავალმა ყველა საპატრულო ეკიპაჟმა უნდა შემემჩნიოს. აღარაფერს ვამბობ მოსვლაზე, დალაპარაკებაზე,




**პატრულო, რომ დადიხართ აღმა-დაღმა ჩემი ნაყიდი მანქანებით და დანიშნული ხელფასით, კისრები ხომ უნდა შემოატრიალოთ და მკითხოთ: ძმაო, რა ხდება, ამ სიბნელესა და ტალახში რამ შეგიყვანა, დახმარება ხომ არ გჭირდებაო?**

თუნდაც გადამოწმებასა და გამოკითხვაზე. ვდგავარ გაოცებული, ექსპერიმენტის ჩატარების ხასიათზე ვდგები. მანქანა ტყეში უფრო ღრმად შემყავს, თან ისე, რომ ტრასიდან კარგად ჩანდეს. ბოლთას ვცემ, ხელებსაც ვიქნევ, ვითომ ვიღაცას საქმეს ვურჩევ. ამ დროს საპატრულო ეკიპაჟი ხშირად მოძრაობს, ჩემს იქ ყოფნაში ხუთჯერ მაინც გაიარ-გამოიარეს. არ ვიცი, ერთი და იგივე იყო თუ სხვადასხვა, მაგრამ ყველამ დამიკიდა.

ტყიდან გულდაწყვეტილი გამოვდივარ... თქვე კაი ხალხო, იქნებ რა მიჭირს, იქნებ მანქანა გამიფუჭდა, იქნებ ვინმე მკლავს? პატრულო, რომ დადიხართ აღმადაღმა ჩემი ნაყიდი მანქანებით და დანიშნული ხელფასით, კისრები ხომ უნდა შემოატრიალოთ და მკითხოთ: ძმაო, რა ხდება, ამ სიბნელესა და ტალახში რამ შეგიყვანა, დახმარება ხომ არ გჭირდებაო? ბოლო-ბოლო, იქნებ ტერორისტი ვარ და სადმე ტროტილი მაქვს გადამალული? სოფელი სართიჭალა გარდაბნის რაიონს ეკუთვნის, მაგრამ მაგ ტრასას რომელი დანაყოფი აკონტროლებს, არ ვიცი და არც აქვს მნიშვნელობა... ჩემი აზრით, პატრული ამ ტრასის ნებისმიერ მონაკვეთზე უნდა იყოს ყურადღებით, მარტო მანქანებს რომ დასდევენ კუდში, ეგრე არ არი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



რა გინდა, ძმაო, დეფი, რატომ მაკომპლექსებ, შენ „აფრაკულ“ ლექსებს წერდე და ბოდიში კიდევ მე მოვიხადო? აბა, უყურეთ, პატივცემულო მკითხველებო, ამას წინებზე მგოსანი დეფი გოგიბედაშვილი გავაკრიტიკე, რომ იძახდა, საქართველოს ვტოვებ, აქ ცხოვრება აღარ ღირსო, მე უცებ აღმომხდა, ჯერ „ზუმბას“ (მომღერალი ზაზა კორინთელი) წასვლა არ მოგვინელებია, ახლა ესეც მიდის-მეთქი. რაკი სიტყვამ მოიტანა, მაშინ მისი ერთი ინტერვიუც გავიხსენე რომელისგან, რომელიც სულ ჯოხით დამდევდა... ეჰ, დეფი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? ბოლოს და ბოლოს, შენი „კუმირი“ მიხეილ სააკაშვილია, ჩემი კიდევ... რა ვიცი, აბა, ისევ შალიკო მასწავლებელი? იცი, დეფი, როგორ გვიტარებდა ის სამხედრო გაკვეთილებს? აგვიყვანდა სოფლის სასაფლაოზე, მთელ კლასს გაგვყოფდა ორად და გამოგვიცხადებდა: ბავშვებო, ეს არის დასახლებული პუნქტი, უნდა ავიღოთ! შენ გგონია, თანამედროვე დონეზე ვიყავით შეიარაღებულნი? დავაყრიდით სასვენი ნიშნები არ არსებობს):

**„ვაკოცე მთას პირდაპირ ცაში**
**ვაკოცე წვიმას პირდაპირ ცისარტყელაში**
**ვაკოცე ცეცხლს პირდაპირ ფერფლში**
**ვაკოცე ზღვას პირდაპირ ნიჟარაში**
**ტყეს ვაკოცე პირდაპირ ფოთლებში**
**ვაკოცე ღამეს პირდაპირ ვარსკვლავში**
**დილას ვაკოცე მისივე ნისლში**
**ვაკოცე შუადღეს მისივე ჩრდილში**
**ვაკოცე დროს პირდაპირ წამში**

აფრქვევ ამ ერთ ლექსში? აქედან რამდენიმეს გამოვყოფ: „ვაკოცე აწმყოს პირდაპირ აქ“... სად აქ, ტო? „სასწაულს შიგ საიდუმლოში“... უკაცრავად, სადა? „სიყვარულს ვაკოცე შიგ შუაგულში“... არ გადამრიო! კიდევ გავაგრძელო? მე მგონი, აღარ ღირს, მკითხველები თავად გამოხშირავენ სალადაო მომენტებს. დეფი, რაკი სულ წყაროს დასახელებას მთხოვ, ახლა დაგისახელებ და რამდენიმე ისეთ მომენტს წამოგაძახებ შენივე ინტერვიუდან, რაც აშკარად მიანიშნებს, რომ მთლად სალად ვერ უნდა იყო. ჟურნალი „თბილისელები“, 2010 წლის 24 სექტემბერი. სათაური:



ჩვენ, პოეტები საქართველოსი!

**„თქვენ კი, გელა ზედელაშვილი, თქვენს ამ ტექსტში წერთ ტყუილს... ამიტომ ბოდიში მოიხადეთ და ცილს ნუ მწამებთ. ტყუილებსაც ნუ მაბრალებთ“**

# რამ აღაშფოთა და რა წერილი მოგვწერა „დეფი“ გოგიბედაშვილმა?






ლილაც გაზეთისთვის მიცემული, სადაც ამბობს, საჭმელებიდან ყველაზე მეტად ბავარიული სარდელი მიყვარს, არის მასში რაღაც რომანტიკულიო. დეფის ჩემთვის წერილი გამოუგზავნია, სამწუხაროდ, ახლა აღმოვაჩინე... არაუშავს, ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო:

**„არ მიმიცია ის რაღაც უბადრუკი და უნიჭო ინტერვიუ, ვეღარ შეიგნეს და რა ქნან? მოიგონეს ვიღაც უნიჭოდ ხუმარა ჯეელებმა და თავადვე აქლიავდნენ. თქვენ კი, გელა ზედელაშვილი, თქვენს ამ ტექსტში წერთ ტყუილს, რომ ეგაა თითქოს ნაწყვეტი ჩემი ინტერვიუდან... აი, ეგ რაღაც უდონობა ბავარიულ სარდელებზე. თუ ასე არაა, მაშინ წყარო მიანიშნეთ, მაგრამ წყაროს ვერ მიანიშნებთ, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. ამიტომ ბოდიში მოიხადეთ და ცილს ნუ მწამებთ. ტყუილებსაც ნუ მაბრალებთ“.**

ვერ დაგიმალავთ, საკმაოდ კორექტული წერილია, მაგრამ როდესაც ასე მკაცრად მოგმართავს და თან ბოდიშის მოხდას გთხოვს, მაინც ცუდად მოქმედებს. გითხარი, რა გინდა-მეთქი, ძმაო დეფი, რას მაკომპლექსებ? შენ მეფე ხარ, მე – გლეხი, შენ მსოფლიო დონის პოეტი ხარ, მე – საქართველოს დონის ჟურნალისტი, შენ თბილისში დაიბადე, მე – სიღნაღში, შენ თბილისის პირველი სკოლა დაამთავრე, მე – სოფლის ერთი უბადრუკი სკოლა, შენ ინსპირირება მიიღე ედგარ ალან პოსგან, მე – შალიკო მასწავლეერთმანეთს ქვებსა, კაკლებსა და ბროწეულებსა, ვინც აჯობებდა, ვინც მეტ საფლავს დაიკავებდა, ის იყო გამარჯვებული. როცა ამ მომენტს ვიხსენებ, სულ შენ და „ნაციონალები“ მაგონდებით, დაშლიგინობდით ამ დასახლებულ პუნქტ საქართველოში, რომელიც სასაფლაოდ აქციეთ და მთელი 9 წელი გვესროდით ქვებსა – ზოგს თავები დაგვიხეთქეთ, ზოგი ავტომატებით ჩაცხრილეთ, ზოგს ტრაკში ცოცხები უკეთეთ, ზოგი გააუპატიურეთ, ზოგს კიდევ ცოლები გაუბახეთ. ეს საქართველო აღარ არის, დეფი, ეს მხოლოდ დასახლებული პუნქტია!

ახლა მთხოვ, წყარო დაასახელე, სადაც ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდაო, იმაზე არაფერი გითქვამს, უნიჭო და ლექსის წერის არმცოდნე რომ გიწოდე. შენ არც ისეთი უჭკუო ხარ, ამას ვერ ხვდებოდე და ძალიან კარგად იცი, რა „ბაგაჟის“ პატრონი ხარ, მაგრამ „ნაციონალებს“ სჭირდებოდი გიჟმაჟური პიარისთვის და ფულის გამო ეს როლი გქონდა მორგებული. მიგაჩვიეს ევროპასა და ამერიკაში „გულავს“, წიგნებიც გამოგიცეს, რომელსაც არავინ კითხულობს, სხვა ენებზეც გითარგმნეს... ახლა კი დარჩი ჰაერში „ნაციონალური“ იდეებით და ინერციით ისევ ძველ ჩვენებას აწვები. სიტყვა გამიგრძელდა, მოდი, მკითხველი ცოტა ხანს ამოვასუნთქოთ და შენი ერთი „შედევრი“ წავაკითხოთ, ადამიანებმა თავად ნახონ, როგორ მიედ-მოედები და ბოდიალობ (სტილი დაცულია, დეფისთვის

**წარსულს ვაკოცე მოგონებებში**
**ვაკოცე მომავალს წინათგრძნობაში**
**ვაკოცე აწმყოს პირდაპირ აქ**
**ვაკოცე სიკვდილს შიგ სიცოცხლეში**
**სიცოცხლეს ვაკოცე შიგ სიყვარულში**
**სიყვარულს ვაკოცე შიგ შუაგულში**
**უსასრულობას პირდაპირ უკვდავებაში**
**ხუთივე გრძნობას ვაკოცე**
**ვაკოცე მუსიკას პირდაპირ ბგერაში**
**სასწაულს შიგ საიდუმლოში**
**გაკოცე შენც პირდაპირ ჩემში**
**და პოეზიას, მდუმარებაში სიტყვით**
**ვაკოცე და სიჩუმეთი. სულით ვაკოცე.**
**კოცნა ზღაპარს მოასწავებს,**
**მოცდა მიწევს შენი კოცნის,**
**ორ ცად მოწყდა მთა ვარსკვლავებს**
**შემოქმედი, გენიოსი,**
**სამყაროს ქმნის, შენც მოხვედი**
**შენ მფარველობ გზებს და ბინებს,**
**სადაც ვცხოვრობთ, ჩვენი ხვედრით,**
**კოცნაც როცა დაგიპირე**
**მთის ნისლივით გაგელიმა,**
**მთის სურნელიც მინდორშია**
**და ვიგრძენი სიზმარს მიღმა**
**შენც, რომ ჩემთვის გიკოცნია“.**

დეფი, ამ შემთხვევაში შენ კი არა, ედგარ ალან პო მეცოდება – წარმომიდგენია, როგორ ტრიალებს საფლავში სირცხვილით. არა, მაინც რამდენ სიბრძნეს „რატომ დაშორდა დეფი გოგიბედაშვილი ცოლებს და რა საშიშროება ემუქრება მას“. ესე იგი, შენ ამბობ, ანუ ლაღადებ: „21 წლის ვიყავი, რომ უცებ იფეთქა ჩემში პოეზიამ, როგორც შენელებული მოქმედების ბომბმა... სიმარტოვეს განვიცდი იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რაღაც ჩემი გაკეთებული, გაუგებარი მეჩვენება... მე ვერ აგიხსნით, რა არის ორგაზმი, თუ ეს არ განიცადეთ თქვენ. ჩემთვის სექსი არის ფიზიკური და სულიერი ენერგიების შეკავშირება ჩემს სხეულთან, ტვინთან, სულთან და ქცევის მანერებთან... ჩემს ლექსებშიც აისახება სექსი და მქონდა პერიოდი, როცა მარტო ამაზე ვწერდი. სანამ არ მივიყვანე პოეზია იმ დონემდე – რომ ეს სწორედ ის არის, რასაც ამაში განვიცდი და ამას და იმას არანაირი კედელი არ ყოფს, – არ მოვეშვი და მიხარია, რომ ეს შევძელი... ვიღვიძებ დილით ჩვეულებრივად, როგორც ყველა და თავს ვიწესრიგებ, შემდეგ ყველაფერი თავისით ხდება, ვერც ვხსნი, როგორ... იმქვეყნად ბევრი მეგობარი მყავს, რომლებსაც ამ ცხოვრებაში არ ვიცნობდი. მაგალითად, ედგარ პო, ბეთჰოვენი... ძალიან მინდა, მათ შევხვდე და უბრალოდ, დაველაპარაკო, თუნდაც ხუთი წუთით... მე მეშინია, როცა მე და ღმერთი ერთმანეთს შევხვდებით, ჩვენ შორის როგორი საუბარი იქნება. არ მინდა, რამე სისულელე წამომცდეს... ღმერთიც თუ ქართველია, მაშინ შანსი არ გვქონია არაფრის. მე არ მაინტერესებს გადამგდები ღმერთი, რომელიც სამ საათზე დაგიბარებს და თვითონ შვიდზე მოვა. მასეთი ღმერთის ნამდვილად არ მწამს“.

დეფი, შენ უკვე იმდენი „სიბრძნე“ წამოგცდა, როცა ღმერთს შეხვდები, აღარ გაუკვირდება, უბრალოდ მხარზე ხელს წამოგარტყამს და გეტყვის: რაკი მხარს უჭერდი ადამიანის გაუპატიურებასა და მოკვდინებას, ახლა საკუთარი ნებით ისკუპე კუპრის ქვაბში! პრინციპში, ახლა მე ვხუმრობ, არ მინდა, კუპრის ქვაბში ისკუპო, მაინც ადამიანი ხარ და თანაც ეგ არ არის ჩემი გადასაწყვეტი. მეფევ ბატონო, ნება მიბოძე, ჩემი სათქმელი ჯანსულ ჩარკვიანის (რომელმაც საბჭოთა წყობილება გამოიარა, მაგრამ სულით შენზე თავისუფალია) ლექსით დაგიმთავრო:

**„პირველად საქართველოში შეარემონტეს „კრიშა“,**
**პირველად საქართველოში დემოკრატია იშვა.**
**პირველად საქართველოში უეკლოდ კრიფეს ვარდი,**
**პირველად საქართველოში ვარდსა და ნეხვს ერთურთს ვადრით.**
**პირველად საქართველოში ვუყურებთ ნამდვილ პატრულს,**
**პირველად საქართველოში ვხვდებით ჯარისკაც ნატრულს.**
**პირველად საქართველოში რუსეთს გავცილდით დროზე,**
**პირველად საქართველოში ბუშმა იცეკვა დოლზე,**
**პირველად საქართველოში ლობიო ეტრფის ქოთანს,**
**პირველად ჩვენმა „დინამომ“ წააგო ზესტაფონთან.**
**პირველად საქართველოში სირზე ვკიდივართ ოსებს,**
**პირველად საქართველოში სოროსით შევიმოსეთ.**
**პირველად საქართველოში აფხაზი გახდა რუსი,**
**პირველად საქართველოში ვეძებთ ჩასაცმელ „ტრუსიკს“.**
**პირველად საქართველოში დარგეს ჭადრის ხე — ექვსი,**
**პირველად საქართველოში სძულთ რუსთაველის ლექსი.**
**პირველად საქართველოში აღიარებენ „ცისფერს“,**
**პირველად საქართველოში მკვახე სჯობია მწიფეს.**
**პირველად საქართველოში ჭაბუა დარჩა სახტად,**
**პირველად ამირჯანოვი ამირეჯიბი გახდა.**
**პირველად საქართველოში ჭიპი მოუჩანს გოგოს,**
**პირველად საქართველოში ვერ ვგრძნობთ ამინდის პროგნოზს.**
**პირველად საქართველოში ხალხმა თბილისი ნახა,**
**დღეს რუსთაველზე პირველად გაისეირნა ხალხმა.**
**პირველად საქართველოში ზეობს კანონი მკაცრი,**
**სამსახურიდან გაყარეს — ასი ათასი კაცი.**
**ჭეშმარიტებას ვერ ვმართავთ ან როგორ უნდა ვმართოთ,**
**პირველად საქართველოში დავკარგეთ სასამართლო.**
**პირველად გახდა ქართველი ამერიკელის დახლი,**
**პირველად საქართველოში მწერლებს წაართვეს სახლი.**
**პირველად საქართველოში არ ვეპუებით წყენას,**
**პირველად საქართველოში დედა მოეკლა ყველას“!**

## 8-14 თებერვლის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – კვირის დასაწყისი იმედს გაუცრუებს იმ ვერძებს, რომლებიც პირადი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებაში გადაჭარბებულ აქტიურობასა და წინდაუხედაობას გამოიჩენენ. ამ პერიოდში უმჯობესია, მათ ყურადღება მიაქციონ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ჩაიტარონ სამედიცინო გამოკვლევების კურსი.

კვირის ბოლოსკენ დადგება უკვე ის დრო, როცა ვერძებს ექნებათ საშუალება, გამოავლინონ ინტელექტუალური, საქმიანი და სასიყვარულო აქტიურობა.

**სამსახური** – ხუთშაბათამდე ახალ საქმეებს ხელს ნუ მოჰკიდებთ, არ მოაწეროთ ხელი მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 თებერვალი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – კვირის პირველ დღეებში შეძლებთ რთულად გადასაჭრელი დავალებებისა და პარტნიორული ურთიერთობების მოგვარებას. ასევე, იპოვით გამოსავალს საკმაოდ მძიმე სიტუაციიდან.

თუკი გადაწყვიტეთ, რომ დახუროთ ცხოვრების უკვე წაკითხული გვერდი და ახლის წერა დაიწყოთ, ამისთვის ზედგამოჭრილი დრო გაქვთ. კვირის ბოლო დღეებში კარგს იზამთ, თუ შინაგან ხმას დაუჯერებთ და მიენდობით. გადაჭარბებული აქტიურობა და სიჩქარე ამ დროს სასიყვარულო ფრონტზე უარყოფით შედეგებს მოგიტანთ.

**სამსახური** – ბრწყინვალე დროა, პროფესიულ საქმიანობაში რაიმე სიახლე შეიტანოთ. იფიქრეთ ახალ პროექტებზე, გაგიმართლებთ!

**სასიკეთო დღეები:** 17, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 თებერვალი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – ტყუპების კვირის პირველი დღეები რთული გამოცდების პერიოდი იქნება. საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობა არცთუ დიდი წარმატებების მომტანია. გელოდებათ კონკურენცია და ბრძოლა, რათა მზის ქვეშ საკუთარი ადგილი დაიკავოთ. სამაგიეროდ, კვირის ბოლოს შეგეძლებათ, მოდუნდეთ, თუმცა ყურადღების გამოჩენა მაინც არ დაივიწყოთ. გელით სასიამოვნო სიურპრიზები. საუკეთესო დროა იმისთვის, რომ თბილ ქვეყნებში გაემგზავროთ.

**სამსახური** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ოღონდაც, არ უნდა დაიზაროთ და საზოგადოებრივ პროექტებში აქტიურად უნდა ჩაებათ.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.

# რა უნდა გააკეთოთ ნახმარი ნივთის შეძენისას?

**„ჩემმა პაციენტმა მითხრა, მეორად მაღაზიაში 5 ლარად ღირებული მაისური ვიყიდე, ამ მაისურის ჩაცმა და ჩემი წარმატებების კასკადი ერთი გახდაო"**






მაია იასეშვილი

599 94-64-58


**ყველას აინტერესებს, რას ჰპირდება ცხოვრება მომავალში, ბედნიერი იქნება თუ უიღბლო, მდიდარი თუ ღარიბი, ვინ იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი, წარმატებული იქნება თუ არა მისი კარიერა, რამდენი შვილი ეყოლება და ა.შ. ალბათ, ხშირად გსმენიათ, რომ ადამიანის ბედი წინასწარ არის განსაზღვრული და რაც არ უნდა მოინდომოს, საკუთარ ბედისწერას ვერ შეცვლის და მოსახდენი აუცილებლად მოხდება. ამ თემით პარაფსიქოლოგი და ბიოენერგეტიკოსი თამარ კობახიძეც დაინტერესდა და გარკვეული კვლევების შედეგად საინტერესო დასკვნებიც აქვს გაკეთებული. ბედისწერის შესახებ მისი არაერთი პუბლიკაცია არაქართულ პრესაშიც მოხვდა. დღეს იგი ჩვენი რუბრიკის სტუმარია და თავის მოსაზრებას გვიმხელს ბედისწერის შესახებ.**

– ცნობისმოყვარეობა ადამიანის თვისებაა და ამიტომაც საკუთარი მომავლის შესახებ თუნდაც მცირე ინფორმაციის მოპოვებით, პრიმიტიული მეთოდებითაც ცდილობენ. მკითხავთან ვიზიტით, ყავაში ჩახედვით, ბანქოსა და ტაროს კარტის გაშლით და უამრავი სხვა გზით. ვინც პარაფსიქოლოგიაში ერკვევა, დამეთანხმება, რომ ბუნებაში და კერძოდ, ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ნებისმიერი მოვლენა დიდი ხნით ადრე მზადდება ასტრალში და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ამას უწოდებენ ადამიანები ბედისწერას. ბევრი მაგალითი არსებობს იმისა, რომ პიროვნების ცხოვრება მისი ნების საწინააღმდეგოდ წარიმართა. ის, ვისაც არაფერი აკლდა და თავი უბედნიერესი ეგონა, მიუსაფარი და უბედური შეიქნა, ან პირიქით, ღატაკი არნახული სიმდიდრის პატრონი გახდა. ამიტომაც ამბობენ, არავინ იცის, ბედი ვის რას უმზადებსო.



სწორედ ამ არცოდნის შევსებას ცდილობენ ადამიანები. რაც შეეხება წინასწარმეტყველებს, ისინი ჯერ კიდევ ბიბლიიდან ამცნობდნენ კაცობრიობას, რა ელოდათ მომავალში და მათი სიტყვა ზედმიწევნით ცხადდებოდა, ნოსტრადამუსისა და ვანგას ახდენილი წინასწარმეტყველებები ხომ ბევრისთვისაა ცნობილი. როგორც ჩანს, მრავალგანზომილებიან სივრცეში განსაკუთრებული ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს ნამდვილად შეუძლიათ წარსულიდან, აწმყოდან და მომავლიდან ინფორმაციის მიღება. ფაქტებზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ მომავლის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არსებობს და არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ამ ინფორმაციის წაკითხვა შეუძლიათ. რაც შეეხება ბედის შეცვლას, ჩემი აზრით, მისი შეცვლა კი არა, კორექცია ხდება, ანუ შეგვიძლია, საკუთარ ბედში შევიტანოთ კორექტივები, ცვლილებები, რაც ცხოვრების უკეთ მოწყობაში დაგვეხმარება. თუმცა ასეთი კორექტივების შეტანა იმას არ ნიშნავს, რაც დაბადების მომენტში განგებამ გადაგიწყვიტათ, ასცდებით. სხვათა შორის, პარაფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი – ინგრამა, ეს არის გარკვეული ემოციით წარმოთქმული სიტყვა, რომლებსაც ამ საქმეში ჩახედული ადამიანები გამიზნულად წარმოთქვამენ. მას ადამიანის ბედისწერის შეცვლა და ე.წ. „ძველი პროგრამით" კოდის შეცვლა შეუძლია. პარაფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, უშვებს აზრს, რომ ადამიანი ბედს თვითონვე ქმნის. ამ აზრს ზოგი პარაფსიქოლოგი, რასაკვირველია, არ ეთანხმება და ამის გარკვეული მიზეზიც არსებობს. ჩვენი ქმედებების სამყაროში ჩვენსავე „პერსონალურ კომპიუტერში" ინახება და გარკვეული დროის შემდეგ გვიბრუნდება. კოსმოსში გასული აზრი შეიძლება იმავე დღეს ან რამდენიმე წლის შემდეგ დაგვიბრუნდეს და მას ვერავინ აღუდგება წინ. იმ რელიგიებში, სულის რამდენჯერმე მოსვლას რომ ქადაგებენ, ნათქვამია – შეიძლება შენი ახლანდელი საქმიანობის და ქცევის შედეგი სხვა ცხოვრებაში მიიღოო. ამიტომ, როგორც პარაფსიქოლოგი გირჩევთ, თუ საქმე არ გამოგდით ან არ გიმართლებთ, არ დანებდეთ, არასოდეს ჩაიქნიოთ ხელი და თავი უბედურად არ ჩათვალოთ. შეიძლება ბედისწერა ამით დიდ სიურპრიზს გიმზადებთ, გცდით და გამოწვევას თქვენგან ელის. უამრავი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ, როცა ადამიანს არ უმართლებდა, უიღბლოს იმიჯი ჰქონდა ახლობლებში, მაგრამ არ დანებდა, ბედის მკაცრ გამოცდებს გაუძლო და იმდენი იბრძოლა, სანამ მისთვის სასურველ მიზანს არ მიაღწია. თუ ბედი ბიზნესში არ გაქვთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერში ვარგიხართ, იქნებ მეცნიერებაშია თქვენი ადგილი, სხვა სფეროში უნდა მოძებნოთ ადგილი. არ გიმართლებთ პოლიტიკაში? მაშინ კურსი შეცვალეთ. ბედისწერა თავად გიჩვენებთ, სად გაგიმართლებთ და სად – არა. სხვათა შორის, პარაფსიქოლოგებისა და ასტროლოგების საქმიანობა იმითაც არის საინტერესო, რომ შეგვიძლია, ადამიანს დავანახოთ საკუთარი პოტენციალი და იმ ადგილებზე მივუთითოთ, სადაც თავიანთი მდგომარეობის გამოსწორების გამოსავალს იპოვიან. რომ ჩააცივდე ერთ საქმეს და იძახო, ბედი არ მწყალობსო, ამით მართლა დაბლოკავ იღბალს. ისიც საყურადღებოა, რომ პროფესია ადამიანმა თავისი კარმის მიხედვით უნდა აირჩიოს, ამიტომაც კარმული დიაგნოსტიკა ყველა ადამიანისთვის საჭიროდ მიმაჩნია, რადგან აქ ვლინდება, რა არის ამა თუ იმ ადამიანის, როგორც წარმატების, ასევე, წარუმატებლობის, ხელისმოცარვის გამომწვევი მიზეზი. ვლინდება რა სფეროში მოღვაწეობაა მისთვის სასურველი და ოპტიმალური. რისი კეთება მოუტანს წარმატებას და რა ეკრძალება კატეგორიულად. ასევე, ვლინდება კარმული დაავადებები, კარმული ვალები, თუ ადამიანს კარმული ვალი აქვს გასასტუმრებელი, რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, არაფერი გამოუვა. ზოგჯერ ადამიანი გაუცნობიერებლად აკეთებს სიკეთეს მაინცდამაინც რომელიმე ადამიანთან და არა ყველასთან და მერე ირკვევა, რომ მის წინაშე კარმული ვალი აქვს გადასახდელი. მძაფრი ინტუიციით გამორჩეული ადამიანები გრძნობენ საკუთარ პოტენციალს და ზუსტად იციან, რა გზა უნდა გაიარონ ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ისეთებიც არიან ჩვენ შორის, ვისაც მზამზარეული სქემების მიწოდება სჭირდებათ. ასეთი ადამიანები ბედის შეცვლა-კორექტირებას ვერ ახერხებენ და მოწიფულ ასაკშიც განვითარების იმავე დონეზე რჩებიან, როგორც გარდატეხის ასაკში იყვნენ. სწორედ ასეთი ადამიანების ცხოვრებაში ვერევით აქტიურად მათივე თხოვნით, რათა დავეხმაროთ საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში და წარმატებების მოზიდვაში.

**„თუ ადამიანს კარმული ვალი აქვს გასასტუმრებელი, რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, არაფერი გამოუვა"**



**— ქალბატონო თამარ, შესაძლებელი არის თუ არა ერთი ადამიანის ბედი მეორეზე გადავიდეს და მისი ბედი გაიზიაროს, ანუ ბედნიერება და უბედურება შეიძლება იყოს გადამდები?**

– გეტყვით, რომ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი ადამიანის ბედი რაიმე ნივთის საშუალებითაც გადადის მეორეზე. ამას პარაფსიქოლოგიაში ბედის გადალოცვას ვეძახით. თუ უიღბლო დედამთილმა რძალს საკუთარი სამკაული აჩუქა, რომელიც მისი ენერგიის მატარებელია, შეიძლება ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი გახდეს ბედის გადადების მიზეზი. რძალ-დედამთილობა მაგალითისთვის ვახსენე, თორემ ნივთებით უცხო ადამიანებს შორისაც ხდება ბედის გადადება. მახსოვს, ერთხელ ჩემმა პაციენტმა მითხრა, მეორად მაღაზიაში 5 ლარად ღირებული მაისური ვიყიდე, ამ მაისურის ჩაცმა და ჩემი წარმატებების კასკადი ერთი გახდაო.

**— შეიძლება თუ არა მაისურმა ადამიანს სიკეთე მიუტანოს?**

– რასაკვირველია, შეიძლება. როგორც ჩანს, იმ მაისურს მეტად წარმატებული და იღბლიანი მფლობელი ჰყავდა და უნებლიეთ თავისი ბედი გაუზიარა მის მომავალ პატრონსაც, ისე რომ, ამის შესახებ არც ერთს უფიქრია და არც მეორეს. პირიქითაც ხდება, შეიძლება მანქანის ყიდვამ იმ ადამიანის იღბალი ან უიღბლობა მოგიტანოთ, რაც უწინდელ პატრონს ჰქონდა. რა თქმა უნდა, ყველა ზემგრძნობიარე არ არის და არ იცის, რას მოუტანს სხვისი ნაქონი ნივთების დაპატრონება, ამიტომაც უძრავ ქონებას შევიძენთ თუ რაიმე ნივთს, აუცილებელია მისი ენერგეტიკული წმენდა, რადგან არ ვიცით, ის ბედნიერებას მოგვიტანს თუ არა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ, თუ სიხარულით გიბიძგათ გულმა და ნივთის შეძენა ძალიან მოგინდათ, ეს შემთხვევით არ ხდება, ძალიან სასურველი და მოსაწონი ნივთის შეძენა თუ არ გაგაბედნიერებთ და არ გაგამდიდრებთ, პოზიტივს აუცილებლად მოგიტანთ. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევაშიც დაგეხმაროთ. ცუდს რომ არაფერს გპირდებათ, ამაში დარწმუნებული იყავით, რადგან გული და ინტუიცია ყველაზე საუკეთესო მრჩეველია.

## 8-14 თებერვლის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – კვირის პირველი დღეები ის პერიოდია, როცა საწინააღმდეგო სქესში თქვენი ავტორიტეტი და გავლენა საგრძნობლად მოიმატებს. გამოიყენეთ შესაფერისი მომენტი სასურველი სიმაღლეების დასაპყრობად. ერთი კია, უნდა იფრთხილოთ, რადგან კვირის ბოლო დღეებში ასეთივე წარმატებების იმედი აღარ უნდა გქონდეთ. გაგეზრდებათ ხარჯები და შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ.

**სამსახური** – შესანიშნავი პერიოდია საქმიანი მივლინებებისთვის საზღვარგარეთ, პრეზენტაციების გამართვისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20, 21 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 თებერვალი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა არანაკლებ საფიქრალსა და პრობლემას გაგიჩენთ, როგორც თვის დარჩენილი დღეები. შეეცადეთ, არ აჰყვეთ პროვოკაციებს და მდგომარეობიდან არ გამოხვიდეთ. ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესთან მწვავე და დრამატული იქნება. გარანტირებული გაქვთ გრძნობების აფეთქება და ურთიერთობების გარკვევა. კვირის ბოლოს სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვლება უკეთესობისკენ. პარასკევი და შაბათი გადასარევი დღეებია შერიგებისთვის. გამონახეთ დრო რესტორანში ვახშმობისთვის.

**სამსახური** – არ არის გამორიცხული, კვირის ბოლოს სამსახურის საქმეების მოსაგვარებლად საზღვარგარეთ მოგიწიოთ გამგზავრება.

**სასიკეთო დღეები:** 17, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 თებერვალი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – უკანასკნელ თვეებში დაგროვილი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. პირველ რიგში, ეს ოჯახში არსებულ ურთიერთობებს ეხება. პარტნიორობაში საჭიროა, მოძებნოთ კომპრომისული გადაწყვეტილებები და ასეთ შემთხვევაში, წარმატება ზურგს არ შეგაქცევთ. კვირის პირველი დღეები ბევრად დაძაბული იქნება, ვიდრე პარასკევსა და შაბათ-კვირას. კვირის ბოლო დღეებში შესაძლოა, იმ ადამიანებს შეხვდეთ, რომლებიც დიდი ხანია, აღარ გინახავთ.

**სამსახური** – კვირა არც ისე წარმატებულია. დიდი ალბათობით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გადადებული იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 19, 21 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.

## 8-14 თებერვლის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – მთელი კვირა ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს ვიღაცის რაღაც გმართებთ. დათმობა და კომპრომისი შეგაძლებინებთ, დააშოშმინოთ სიტუაცია, თუმცა ამით თავს უკეთ მაინც ვერ იგრძნობთ. ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესთან შორს იქნება სრულყოფილებისგან. არ ღირს, მხოლოდ საკუთარ აზრს ენდოთ, ასევე, არ არის რეკომენდებული, მიმდინარე კვირაში დათქვათ პაემნები, რომანტიკული შეხვედრები და ეძებოთ ახალი ნაცნობობა.

**სამსახური** – მიმდინარე კვირაში ვარსკვლავები საქმიან აქტიურობას არ გირჩევენ. დაისვენეთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 თებერვალი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – კვირა ღრიანკლებს სიყვარულსა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაში წარმატებას ჰპირდება. ნუ დააყრით თქვენს ტალანტს მიწას, იყავით სრულფასოვნად ღია როგორც შემოქმედებაში, ისე ბიზნესში. საწინააღმდეგო სქესის ყურადღება გარანტირებული გაქვთ. ერთი ეგ არის, კვირის ბოლო დღეებში შესაძლოა, ჯანმრთელობა გაგიუარესდეთ, რის გამოც საყვარელ საქმიანობაზე დროებით უარის თქმა მოგიწევთ.

**სამსახური** – თუკი საქმეს შემოქმედებითად მიუდგებით, წარმატება და დაწინაურება არ აგცდებათ.

**სასიკეთო დღეები:** 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 21 თებერვალი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა ტიპური მშვილდოსნებისთვის საოჯახო პრობლემების გადაწყვეტის, უძრავი ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხების მოგვარების პერიოდია. შესანიშნავი მომენტია სახლის შეძენისთვის. გარდა ამისა, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ხანშიშესულ მშობლებს, შეეცადეთ, მათი პრობლემებიც მოაგვაროთ. კვირის ბოლო დღეებში სასიყვარულო ფრონტსა და ბიზნესში განსაკუთრებულ წარმატებებს ელოდეთ.

**სამსახური** – დაელაპარაკეთ ხელმძღვანელობას დაწინაურებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**ჩვენი რუბრიკის დღევანდელ სტუმარს მსახიობ ლაურა რეხვიაშვილს თეატრსა და კინოში მრავალი მთავარი და ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული. მისი ნიჭით აღტაცებულ პედაგოგს, ქართული თეატრალური სკოლის დიდ მაესტროს ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის დროს უთქვამს: „შენ ხარ ყველანაირად იმ მონაცემების ადამიანი, რომელსაც შენი ქვეყანა ტაატით აიყვანს მთაწმინდაზე“. ლაურა რეხვიაშვილის კინოროლებიდან მაყურებელს ძალიან უყვარს ორი კონტრასტული ქალი — „სიყვარული ყველას უნდას“ „სტილნი ქოლგა“ „კოჭლამაზაშვილი ბაბულა“, რომელმაც თვალწინ „დააწერა“ სატრფო მარტოობით დაქანცულ ქეთო ყარაულაშვილს და „ზოგი ჭირი მარგებელიას“ გმირი, ახალგაზრდა ქვრივი ქალბატონი, რომელიც თაყვანისმცემელს სიყვარულის გამხელის გამო ხელკეტებით იგერიებდა. ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, კონტრასტულ სახეებს ისეთი შეუდარებელი ოსტატობით ასრულებს ლაურა რეხვიაშვილი, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი არასოდეს ეპარება მაყურებელს. ასეთი გულწრფელი და უშუალოა ქალბატონი ლაურა გადასაღები მოედნისა და კულისებს მიღმაც, რომელიც „კვირის ქრონიკასთან“ მის ცხოვრებაში მომხდარ ამოუცნობ მოვლენებს იხსენებს.**

# რა სასწაული გადახდა ლაურა რეხვიაშვილს?

**— ქალბატონო ლაურა, რაჭველები და კახელები თავისი კუთხის შვილად გასახელებენ, როგორ ხართ ერთდროულად რაჭველიც და კახელიც?**

– რაჭველებისთვის გუჯანაანთ ლაურა ვარ, ჩემი წინაპრების საძვალე ჭიორაშია, მაგრამ ვწუხვარ, რომ იქ სახლი არ გვაქვს. მამაჩემს ჯარიდან დაბრუნებულს გულის პრობლემები ჰქონდა და ექიმებმა ურჩიეს ზღვისპირას დასახლება. ამიტომაც, ჩემი ოჯახი სოხუმში გადასახლდა. შემდეგ კი დავფუძნდით კახეთში, დედულეთში. მამა კახეთში გარდაიცვალა, მას მთელი ცხოვრება მშობლიურ მიწა-წყალზე ფიქრი არ განელებია. გარდაცვალების წინა პერიოდში მითხრა, სიკვდილის არ მეშინია, იმის შიში მაქვს, ვაითუ ერწოზე თოვლი იყოს და რაჭაში ვერ გადამიყვანოთო. მე ვუთხარი, მარხილი რომ დამჭირდეს, მაინც წაგიყვანთ-მეთქი. თუმცა პირობა ვერ შევუსრულე. მამამ მხოლოდ სიკვდილის მოლოდინის დროს, როცა უკვე ძალიან შეუძლოდ იყო, გამიმხილა, რატომ დამარქვა ლაურა. ომში ყოფნის დროს გერმანელების დასახვრეტ ბანაკში მოხვდა, კლასიკური სილამაზის იყო მამაჩემი, მას ერთი ქალი გამოუჩნდა, რომელმაც გერმანელების ბანაკიდან გამოიყვანა, ყანა-ყანა ტყვიების ცეცხლში ატარა და სამშვიდობოს გამოიყვანა. ულამაზესი ქალი ყოფილა და მამა თავის საქმროდ აურჩევია, მაგრამ მამას ბედისწერამ სხვა გარემოებები შესთავაზა. თუმცა ამ ქალისადმი პატივისცემისა და მადლიერების გამო დამარქვა მისი სახელი – ლაურა. როცა მას მშობლებმა სარძლოდ შერჩეული დედაჩემი გააცნეს, მამას უთქვამს, ზუსტად ასეთი ტან-ფეხი ჰქონდა იმ უნგრელ ქალს, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინაო. დედაჩემი ამ დროს უკვე განათხოვარი, ორშვილიანი ქალი იყო, მაგრამ მამას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ალბათ, ბედი იყო.

**— არტისტული ნიჭი ვისგან მოგდგამთ?**

– გარეგნულად მამას ვგავარ, ბებია ევასაც. არტისტული ნიჭით კი მამაჩემის ბებიას მადარებდნენ, რომელსაც კამარისას ეძახდნენ. არტისტული ბუნების, უდარ-მადარი ქალი იყო. შეუძლებელი იყო მისი ნიჭი ვინმეს შთამომავლობაში არ გამოჰყოლოდა.



**— რას ნიშნავს „უდარ-მადარი“?**

– შეუდარებელს, უკრავდა, ცეკვავდა, მღეროდა, უკომპლექსო იყო, სწორედ ასეთი გამოვედი მეც.

**— ქალბატონო ლაურა, ვიცი მრავალი სასწაულის მოწმე და მონაწილე ბრძანდებით. გვიამბეთ ის ამბები, რასაც სასწაულად მიიჩნევთ?**

– ბავშვობიდანვე დამარწმუნა ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ, რომ უფლის ნების გარეშე ამქვეყნად არაფერი მოხდება, ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს იმ საკრალთან და იდუმალებასთან დაკავშირებით, რასაც უფლის წიალი ჰქვია. რაც უფრო შევდიოდი ასაკში, ღვთის სამართალსა და ყოვლისშემძლეობაში უფრო და უფრო ვრწმუნდები. 11-12 წლის ვიქნებოდი, როცა ღმერთის ძიება და შემეცნება ჩემში შემოვიდა, თელავის რაიონის სოფელ რუისპირში გავიზარდე, ჩემი სკოლის პიონერხელმძღვანელმა ლაშქრობაზე წაგვიყვანა ალავერდის ტაძარში. ლაშქრობის დღემდე ქვეყანა შევყარე, რომ ალავერდში მივდიოდით სკოლიდან. მეზობლის ქალმა მითხრა, ალავერდის ტაძარში იესოს ხატია, კარგად დააკვირდი, მარჯვნივ წახვალ თუ მარცხნივ, თვალს გაგაყოლებსო. მასწავლებელმა ტაძარი მოგვატარა, თან ალავერდში მოღვაწე ასურელი მამის აბბა ალავერდელის სასწაულებზე გვიამბობდა. ტაძარში შესულმა ის ხატი შევნიშნე, რომელზეც მეზობელმა მითხრა. როცა ტაძრიდან ბავშვები გავიდნენ, მეზობლის ნათქვამი შევამოწმე და დავრწმუნდი, რომ სიმართლე მითხრა, მაგრამ გადავწყვიტე ტაძრის სხვადასხვა მხარეს წავსულიყავი და უცებ, ქვას ფეხი წამოვკარი. დღემდე მიკვირს, იქ ქვა საიდან გაჩნდა. გამწარებულმა ავიღე ეს ქვა, იესოს ხატს დავუმიზნე და პირდაპირ თვალში გავარტყი ისე, რომ საღებავი ჩამოიშალა. მაშინ გააზრებული არ მქონდა, რამხელა მკრეხელობა ჩავიდინე და ჩემდა უნებურად, როგორ შევუერთდი ქრისტეს დამამცირებელთა ბრბოს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, გაუაზრებელი ბავშვური სიცელქე იყო, მაგრამ უცებ ვიგრძენი ძალიან ცუდი რამ, თითქოს მარწუხები შემომეჭირა, შეშინებული გარეთ გავვარდი და თანაკლასელებს შევუერთდი. ისინი გარეთ მხიარულობდნენ და თამაშობდნენ. სახლში დაღლილ-დაქანცული მივედი და მაშინვე დავიძინე. მეორე დღეს მეცადინეობის დროს ცუდად გავხდი, ტკივილით არაფერი მტკიოდა, უბრალოდ, გამიშეშდა ხელი, ველარ ვწერდი, მინდოდა დედასთვის დამეძახა და ვერ ვეძახდი, როცა სკამიდან გადმოვვარდი, მაშინ შემოვიდნენ ჩემები ოთახში. მამაჩემმა ხელში ამიყვანა და ექიმთან გამაქანა. ამ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება, თითქმის ყოველდღე ვხდებოდი ცუდად, თუ დედა არ მახლდა გვერდით, ვერ ვიძინებდი. არაფერი მტკიოდა, მაგრამ რაღაც ძალა მაშეშებდა. ხელ-ფეხს ვერ ვამოძრავებდი. ძილში კოშმარებს ვხედავდი, კედლისკენ გადატრიალება მამშვიდებდა, რადგან ვიღაც ძალიან ლამაზ ქალს ვხედავდი. ახლა ვხვდები, რომ ეს ღვთისმშობელი იყო.

**— ექიმებმა თუ შეძლეს ზუსტი დიაგნოზის დასმა და გიშველა თუ არა მათმა მკურნალობამ?**

– მშობლებს ყურადღება და ექიმ-პროფესორები და გამოკვლევები არ დაუკლიათ, მაგრამ ამაოდ. გლანდები და ბრმა ნაწლავიც ამომაჭრეს, უკეთესობა კი არ ჩანდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს მლოცველ ქალთან არ წამიყვანეს. როგორც გითხარით, პატარა ვიყავი და ჩემი უნებური ავადმყოფობის მიზეზი არ დამიკავშირებია ალავერდში მომხდართან, მიუხედავად იმისა, რომ ალავერდში ყოფნის მეორე დღესვე შეიცვალა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა. არავისთვის არ მიამბია, ხატს ქვა რომ ვესროლე, თორემ, ალბათ, ადვილად გაირკვეოდა ჩემი ავადმყოფობის მიზეზი.

**— მლოცველმა ქალმა გაიგო თქვენი ავადმყოფობის მიზეზი?**

– ჩვენს სოფელში ცხოვრობდა მლოცავი ქალი, სახელად თინათინი. მას ბევრი მადლიერი ჰყავდა, დედას დიდი იმედი არ ჰქონია მისი ლოცვით ჩემი განკურნებისა, თუმცა მეზობლების რჩევით წამიყვანა. ხომ გაგიგიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო...

**— როგორი იყო ლოცვის რიტუალი?**

– თინათინმა თითისტარზე მატყლის ფთილა შემოახვია და ერთმანეთში იმდენჯერ გადასკვნა, რამდენიც დაეტია. დაიწყო ლოცვა, საქართველოს სალოცავებს ასახელებდა და ყველას ევედრებოდა ჩემს გამოჯანმრთელებას. ალავერდის ტაძარი რომ ახსენა, მატყლის ფთილა გაიხსნა და ჩამოვარდა. თინათინი გაოცდა და მკითხა, ალავერდში ბოლოს როდის იყავიო? აი, მაშინ მივხვდი, რომ მარწუხებში ვიყავი და ძალიან ცუდად გავხდი. მე რომ პასუხი ვერ გავეცი, დედამ უთხრა, – ლაშქრობაზე იყო ალავერდის ტაძარშიო, სხვა გზა აღარ მქონდა, დავიწყე იმ ამბის მოყოლა და ვხვდებოდი, რომ მარწუხებისგან ვთავისუფლდებოდი. დედა შეშინებული და გაოგნებული მიყურებდა, მაგრამ მლოცველმა ქალმა დააწყნარა და მირჩია, დედა-შვილს ხოხვითა და ლოცვით ალავერდის ტაძარი შემოგვევლო და იქ მყოფი მიუსაფარებისთვის შესაწირი მიგვეტანა. მეორე დღესვე წავედით ტაძარში და მოვინანიე თუ არა ჩემი უნებლიე შეცოდება, ისევ პატარა, ხალისიან, სიცოცხლეზე შეყვარებულ გოგოდ გადავიქეცი. ამ შემთხვევამ მორწმუნე და ღვთისმოშიშ ადამიანად მაქცია. ღმერთმა შემინდო და მაპატია ჩემი გაუაზრებელი საქციელი და უნებლიეთ ჩადენილი მკრეხელობა. მას შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე მფარველობა და წყალობა არ დაუკლია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

**— მსახიობები წინათგრძნობის ნიჭით გამორჩეულები ხართ, როცა თქვენი ცხოვრების თანამგზავრს, რეჟისორ დათო ნაცვლიშვილს შეხვდით, მიხვდით, რომ ის ის იყო, ვისაც თქვენს ბედს დაუკავშირებდით?**

– საკმაოდ გვიან დავოჯახდი, ბატონ თუმანიშვილს თავისუფალი ხალხი სჭირდებოდა, მეც ისე ვიყავი ჩართული თეატრში, რომ გათხოვებაზე არ მიფიქრია. მოხდა ისე, რომ ქართველმა კინემატოგრაფიამ კინოს მოღვაწეებს სახლი აგვიშენა, მე მესამე სართული შემხვდა, ჩემს მომავალ მეუღლეს – მეოთხე. ერთხელ ჩემს მანქანასთან ჩაცუცქული რაღაცას ვაკეთებ, თავს წამომადგა არაჩვეულებრივი გარეგნობისა და გემოვნებით ჩაცმული მამაკაცი და რუსულად გამესაუბრა. რუსულად რატომ-მეთქი, ვკითხე. თურმე რუსეთიდან ჩამოსულა და უნებლიეთ რუსულად გამომელაპარაკა. ამ დღის მერე ერთმანეთით დავინტერესდით, ჩვენ შორის უხილავი კავშირი გაიბა და ვიქორწინეთ. სასწაული კიდევ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი კლინიკური მონაცემების გამო ჩემგან შვილის გაჩენა მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ღმერთმა დედობის სიხარული გამომაცდევინა, რადგან უზარმაზარი რწმენით ვითხოვდი უფლისგან, რომ ჩემთვის შვილი მოეცა. მთელი საავადმყოფო გაოცდა, როცა ჩემი შვილი სრულიად ჯანმრთელი დაიბადა, რასაც არ მოელოდნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იღბლიანი დედა ვარ. ყველას ვურჩევ, არასოდეს დაკარგოთ უფლის რწმენა და ღმერთს ებარებოდეთ.

## 8-14 თებერვლის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – შეხვედრების, ნაცნობობისა და რომანტიკული ურთიერთობების დროა. რაც უფრო გულღია იქნებით, მით მეტ წარმატებას მიაღწევთ. კვირის ბოლოს მოგიწევთ საოჯახო პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა და პირად ცხოვრებას მცირე ხნით გვერდზე გადადებთ. საქმიანი აქტიურობა, ასევე, მეორე პლანზე გადაიწევს. არ არის გამორიცხული, ახლობლების ჯანმრთელობის საკითხები თქვენი მღელვარების მთავარი მიზეზი გახდეს.

**სამსახური** – შესანიშნავი კვირაა მოლაპარაკებების წარმოებისთვის, საქმიანი შეხვედრებისა და კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 19, 21 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 თებერვალი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – კვირის პირველ დღეებში აუცილებელია, ყურადღება დაუთმოთ ფულის შეგროვებას, ფინანსების გადანაწილებას, მსხვილი შენაძენების გაკეთებას. არ დაგავიწყდეთ ახლობელი და საყვარელი ადამიანები – გაანებივრეთ ისინი საჩუქრებით. კვირის ბოლო დღეები შეგიძლიათ, წარმატებით გამოიყენოთ მოლაპარაკებების წარმოებისთვის, ასევე, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის.

**სამსახური** – დროა, დაწინაურებაზე იფიქროთ და ამისთვის ეფექტიანი ნაბიჯები გადადგათ. შედეგს მალე მიიღებთ, დიდხანს ლოდინი არ მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 17, 22, 23 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 თებერვალი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – მთელი კვირის მანძილზე, შესაძლოა, ისეთი გრძნობა გქონდეთ, თითქოს, რაც შეგემთხვევათ, ყველაფერი ერთხელ უკვე გადატანილი გაქვთ. ერთი მხრივ, ეს კარგია: შეცდომებს აღარ გაიმეორებთ. თუმცა აუცილებელია, რომ შედეგები შეაჯამოთ და ცხოვრება ახალ ეტაპზე გადაიყვანოთ. კვირის ბოლო დღეები საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისთვის წარმატებული იქნება.

**სამსახური** – დროა, ყველაფერი ახალი ფურცლიდან დაიწყოთ.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 თებერვალი; **არახელსაყრელი დღეები:** 23 თებერვალი.



სალამოხანს ქმარმა ბუფეტი გამოაღო, ვისკი გადმოდგა და დალევისთვის მოემზადა. ცოლმა მაშინვე დაუცაცხანა:

– იცოდე, წვეთიც რომ დალიო, სექსზე არც იოცნებო!

დაჯდა ქმარი და ფიქრობს.

ცოლი:

– რაზე ფიქრობ?

– რაზე და იმაზე, რომელი ჯობია – 12 წლის ვისკი თუ 50 წლის საჯდომი?..

*****

ძილისწინ მამა შვილს ზღაპარს უყვება:

– „როცა პრინცმა წვეულებაზე კონკია დაინახა, მას თვალი ვერაფრით მოსწყვიტა“...

– მამიკო და რაში სჭირდებოდა პრინცს კონკიას თვალი?..

*****



ერთი ბომჟი მეორეს ეკითხება:

– როგორ ფიქრობ, თმები შევიჭრა?

– რად გინდა, კაცო, შარშან არ შეიჭერი?

– ოოო, სულ ურევ რაღაცებს – შარშან ვიბანავე...

*****

– ექიმო, ფეხი მოვიტეხე ორ ადგილას.

– და დაიმახსოვრეთ ეს ადგილები?

– კი...

– ჰოდა, მეორედ იქ აღარასოდეს მიხვიდეთ!..

*****

– რა განსხვავებაა ქალსა და კოღოს შორის?

– კოღო მხოლოდ ზაფხულობით გაწუხებს!..

*****

სოციალურ ქსელში:

– რატომ წამშალე მეგობრებიდან?

– იმიტომ, რომ ნერვებს მიშლი!

– და შენი ქმარი რომ ვარ, არა უშავს?!

*****



– როცა საზოგადოებრივ ტუალეტში შედიხარ, ყველაზე მეტად რისი გეშინია?

– ჩასუნთქვის!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## მკვდარი უჯრედებისგან ორგანიზმის გაწმენდა სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდისო



მკვდარი უჯრედები რომ მავნებელია, მარტივი მისახვედრია, მაგრამ როგორ ვებრძოლოთ და გამარჯვების შემთხვევაში არ სიკეთის მიღება შეგვიძლია, ამაზე ამერიკელი მეცნიერები საუბრობენ.

იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ და მკვდარ უჯრედებს ორგანიზმიდან გამოვდევნით, ჯანმრთელობა საგრძნობლად გაგვიუმჯობესდება და სიცოცხლის ხანგრძლივობაც 35 პროცენტით მოიმატებს.

დროთა განმავლობაში გაყოფილი უჯრედები მუტაციას განიცდის. იმისთვის, რომ მუტაციაგანცდილი უჯრედების სიმსივნურ წარმონაქმნად განვითარება არ დავუშვათ, არსებობს მექანიზმი, რომელიც უჯრედის გაყოფას ამცირებს. ასეთი ხერხით იმუნური სისტემა წესრიგდება, მაგრამ დროთა განმავლობაში მექანიზმი ეფექტს კარგავს და მკვდარი უჯრედები ქსოვილის სხვადასხვა ფენასა და ორგანოებში დაგროვებას იწყებს. ის უჯრედებიც კი, რომელსაც გაყოფის უნარი აღარ აქვს, მეზობელ უჯრედებს ხელს უშლის და ქრონიკულ ანთებით პროცესს იწვევს.

იმუნური სისტემის დასახმარებლად, მეიოს საავადმყოფოს მკვლევარმა საცდელ თაგვებზე ექსპერიმენტი ჩაატარა და მათ მკვდარი უჯრედები პრეპარატ A§ 20187-ით გაუნადგურა.

ნახევარი წლის შემდეგ თაგვები თავს გაცილებით უკეთ გრძნობდნენ. მათი თირკმლები გაცილებით უკეთ მუშაობდა და გულიც დატვირთვებს უფრო ეფექტურად იტანდა. მკურნალობა მათ თამამსა და მხიარულ საქციელსაც დაეტყო. მაგრამ მეცნიერები ყველაზე მეტად ერთმა განსაკუთრებულმა ეფექტმა გააოცა – თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი 17-დან 35 პროცენტამდე გაიზარდა.

ექსპერიმენტი ისეთ თაგვებზე ჩატარდა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებებისადმი მგრძნობიარე იყვნენ. თუმცა გვერდითი მოვლენების არარსებობამ, მეცნიერებს მსგავსი საშუალების ნორმალურ ორგანიზმზე გამოყენების იმედი მისცა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## გადამდები მთქნარება ქალსა და მამაკაცზე სხვადასხვანაირად მოქმედებსო



თურმე, სხვა დანარჩენ სიკეთეებთან ერთად, მამაკაცებსა და ქალებს მთქნარებაზე დამოკიდებულებაც სხვადასხვანაირი ჰქონიათ. გადამდები მთქნარების მსხვერპლი ქალი მამაკაცზე უფრო ხშირად ხდება.

გარდა ადამიანისა, გადამდები მთქნარება ზოგ ცხოველსაც ახასიათებს. მაგალითად, ძაღლებსა და შიმპანზეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთქნარება მეგობრებისგან, ან ახლობელი ადამიანებისგან უფრო გადამდებია, ვიდრე უცნობებისგან.

მთქნარების სპეციფიკის ამოსახსნელად პიზის უნივერსიტეტის დოქტორი, ელიზაბეტა პალაგი 4 ათასზე მეტ ადამიანს 5 წლის განმავლობაში სწავლობდა. მეცნიერები მთქნარებას თვითმფრინავში, მატარებელში, რესტორანსა და კაფეში აკვირდებოდნენ.

1461 შემთხვევის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს სპონტანურ მთქნარებაზე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ. დამოკიდებულების მაჩვენებელი ქალებში – 55 პროცენტი, ხოლო მამაკაცებში 40 პროცენტი იყო.

ქალების მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს მეცნიერები მდედრობითი სქესის თანაგრძნობის უნარით ხსნიან. სოციუმში ქალის, როგორც მზრუნველისა და თანამგრძნობის როლმა მისი მთქნარებაზე დამოკიდებულებაც განსაზღვრა.

მეცნიერები ასე ხსნიან და გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება



დედამიწას ასტეროიდი უახლოვდება, რომელიც 3 წლის წინათ ჩელიაბინსკში ჩამოვარდნილ მეტეორიტზე კიდევ უფრო დიდია. ამის შესახებ ინფორმაციას ნასას ერთ-ერთი ლაბორატორია ავრცელებს.

მეცნიერთა შეფასებით, ციური სხეულის დიამეტრი 30 მეტრია და ატმოსფეროში შემოსვლის შემთხვევაში, შეჯახება ორჯერ ძლიერი იქნება, ვიდრე ჩელიაბინსკის მეტეორიტის შემთხვევაში.

დედამიწასთან ყველაზე ახლო მანძილზე, 17 ათას კილომეტრზე ასტეროიდი 5 მარტს ჩაიფრენს. ამ ასტეროიდმა დედამიწას ორი წლის წინათ 2 მილიონი კილომეტრის დისტანციაზე უკვე აუარა გვერდი.

ამ ეტაპზე მეცნიერებს უჭირთ ასტეროიდის ტრაექტორიის დადგენა, თუმცა დედამიწასთან შეჯახება მოსალოდნელი არ არის.

ჩელიაბინსკში მეტეორიტი 2013 წლის 15 თებერვალს ჩამოვარდა. ატმოსფეროში შემოსვლის შემდეგ, ციური სხეული ნაწილობრივ დაიწვა. შეჯახების შედეგად, ჩელიაბინსკში 4 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგი დაფიქსირდა.

***1tv.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 25 წლის შემდეგ ჯულია რობერტსსა და რიჩარდ გირს „ლამაზმანის“ გაგრძელებაში გადაიღებენ



25 წლის შემდეგ ჯულია რობერტსსა და რიჩარდ გირს ფილმ „ლამაზმანის“ გაგრძელებაში კვლავ გადაიღებენ.

როგორც ინტერნეტგამოცემები წერენ, ამის შესახებ ინფორმაცია გირმა „ფეისბუკის“ საშუალებით დააანონსა. საქმე ისაა, რომ მსახიობები ფილმში მონაწილეობას იმ შემთხვევაში დასთანხმდებოდნენ, თუ აღნიშნული პოსტი მილიონ მოწონებას დააგროვებდა.

12 საათიც არ იყო გასული, რომ მოწონებების რაოდენობამ მილიონზე მეტს გადააჭარბა. ამის შემდეგ კინოსტუდიის პროდიუსერებმა მთავარი როლის შემსრულებლებს კვლავ გაუგზავნეს შეთავაზება, რაზეც მსახიობებს უარის თქმა, უბრალოდ, აღარ შეეძლოთ.

ხმები იმის თაობაზეც დადის, რომ ვარსკვლავები 7-ნიშნა ჰონორარს მიიღებენ. როგორც იცით, „ლამაზმანი“ 1990 წლის ყველაზე წარმატებული და ჰოლივუდურ კლასიკად აღიარებული ფილმია. ეს არის სიყვარულის ისტორია, რომელიც მილიარდერი ედვარდისა და მეძავი ვივიენის ამბავს მოგვითხრობს. ფილმის პრემიერის შემდეგ, ჯულია რობერტსმა არნახული წარმატება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ამ როლზე მეგ რაიანი და მიშელ პფაიფერი მოიაზრებოდნენ, მაგრამ მსახიობებმა უარი განაცხადეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ეს როლი მათ კარიერას ხელს შეუშლიდა.

***musicbox.ge...***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ავსტრალიაში პარლამენტის სხდომაზე ძუძუთი კვების ნება დართეს



ავსტრალიის პარლამენტმა ქალ დეპუტატებს სხდომებზე ბავშვებით მისვლისა და მათი ძუძუთი გამოკვების უფლება მისცა.

წარმომადგენლობითი პალატის ლიდერმა, კრისტოფერ პაინმა განაცხადა, რომ ცვლილებამ საკანონმდებლო ორგანოში ქალების რიცხვის ზრდაზე დადებითი გავლენა უნდა იქონიოს.

„ვისურვებდი, რომ პარლამენტში უფრო მეტი ქალი მეხილა. მათ ძველმოდური წესები არ უნდა აშინებდეთ“, – თქვა პაინმა.

სხვათა შორის, სხდომაზე ბავშვების მიყვანის უფლება მამრობითი სქესის დეპუტატებსაც აქვთ.

აღნიშნული საკითხი განხილვის თემა პარლამენტის წევრ კელი ო'დუაიერის გამო გახდა. კელის მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს და დილით ძალიან ადრე უწევდა ადგომა, რათა ბავშვისთვის საკვები მოემზადებინა და სხდომაც არ გაეცდინა.

წინა კანონის თანახმად, სხდომაზე ბავშვით მისვლა და მისი ძუძუთი კვება დაუშვებელი იყო. ამის გამო, პარლამენტარები, რომლებიც ჩვილების მოვლის გამო სამსახურში ვერ მიდიოდნენ, ხმას წარმომადგენლების საშუალებით აძლევდნენ. ახლა კი ყველაფერი კარგადაა.

ლხინი იქა, ფქვილი იქა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## დიდ ბრიტანეთში ადამიანის ემბრიონის მოდიფიცირების ნება დართეს



ბრიტანეთის მთავრობამ მეცნიერებს ემბრიონის გენების შეცვლის უფლება მისცა. პროგრამა ფრენსის კრიკის ინსტიტუტის დოქტორმა, კეტი ნიაკანმა 2015 წელს წარადგინა და თანხმობაც მიიღო.

ექსპერიმენტები მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდება და დაახლოებით 2 კვირა გაგრძელდება. დაუშვებელია, რომ ემბრიონს ჩანასახის ფორმა ჰქონდეს. ცდების ჩასატარებლად ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დარჩენილ კვერცხუჯრედებსა და სპერმატოზოიდებს გამოიყენებენ. ხელოვნურად შექმნილი ემბრიონის ქალის ორგანიზმში მოთავსება აკრძალულია.

მეცნიერების საბოლოო მიზანი გენებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაა. ემბრიონის შეცვლით, ნაყოფის სიცოცხლის პირველივე დღეებში არსებული აქტიური გენების დადგენა სურთ. გენების ჩართვა და გამორთვა სპეციალური აპარატით იქნება შესაძლებელი.

როგორც აკადემიურ წრეებში ამბობენ, ემბრიონის გენის რედაქტირება საშიშია, რადგან ისი შეცვლილ დნმ-ს შემდეგ თაობას გადასცემს, რასაც მომავალში ზიანის მოიტანა შეუძლია. გარდა ამისა, გენის მოდიფიცირების სისტემა შესაძლოა იმათ ხელში მოხვდეს, ვინც ცუდი და არაადამიანური მიზნებისთვის გამოიყენებს.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლონდონიდან ნიუ-იორკამდე ერთ საათში — „აირბუსის“ ახალი გამოგონება ნამდვილ გარღვევად იქცა



თანამედროვეობის ყველაზე სწრაფ ტრანსპორტად თვითმფრინავი მიიჩნევა, თუმცა მისი სიჩქარე არ არის უსაზღვრო, რაც ძალიან ბევრი მგზავრისთვის დისკომფორტს ქმნის, განსაკუთრებით ტრანსკონტინენტური გადაფრენებისას.

დღესდღეობით ფრენის ყველაზე მოკლე დრო ნიუ-იორკიდან ლონდონამდე 8 საათია. „კონკორდი“ – ფრანგული ავიაციის ლეგენდა ამ დისტანციას 3 საათში ფარავდა., მაგრამ მისი ექსპლუატაცია გარკვეული მიზეზების გამო შეწყდა. კომპანია „აირბუსმა“, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო უნიკალურ პროექტებს ქმნის, 2015 წლის მიწურულს ახალი ტიპის თვითმფრინავი დააპატენტა, რომელსაც უნარი შესწევს, 4,5-ჯერ უფრო დიდი სიჩქარე განავითაროს, ვიდრე ბგერითი სიჩქარეა. ანუ ლონდონ-ნიუ-იორკის მონაკვეთი სულ რაღაც ერთ საათში დაფაროს.

ცნობილია, რომ ასეთი ფანტასტიკური სიჩქარის მიღწევისთვის ზებგერითი ლაინერის კონსტრუქციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება გაითვალისწინეს. მაგალითად, სუპერთვითმფრინავის საწვავად წყალბადს გამოიყენებენ, ხოლო ლაინერში სამი სხვადასხვა სახეობის ტურბორეაქტიული, საჰაერო რეაქტიული და სარაკეტო ძრავა იქნება.

***newpost.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლიმონათში გაზავებული ბენზინი — თინეიჯერული ალკოჰოლი



გარდატეხის ასაკი ყველაზე რთული პერიოდია, როგორც მშობლებისთვის, ისე შვილებისთვის. ამ ასაკში ბავშვები სამყაროსა და საკუთარ თავს ეცნობიან და როგორც წესი, ყველაზე უარესის შესწავლით იწყებენ. კვლევის პირველი საფეხური აკრძალული ხილის დაგემოვნებაა. აკრძალულ ხილს შორის კი ყველაზე სასურველი და გემრიელი ალკოჰოლი და სხვადასხვა სახის მოსაწევია. ამ დროს მშობლები ცუდ მდგომარეობაში არიან – არ დაუშლი, ზღვარს ვერ ხვდებიან და ცუდ შედეგებამდე მიდიან, დაუშლი და იმ ცუდ შედეგებს უმოკლეს დროში და უსაშინლესი მეთოდებით იღებენ. ამჯერად ალკოჰოლის მოყვარულ თინეიჯერებზე მოგიყვებით, რომლებმაც თრობის საკუთარი მეთოდი შეიმუშავეს.

თურმე, უბრალო ლიმონათში მანქანის საწვავის გაზავებით მიღებულ სასმელს უფრო სწრაფი და მძიმე ეფექტი აქვს, ვიდრე ალკოჰოლს.

სტივენსონი და ბაირამა ტენესის შტატის ქალაქ გრინბრირში მცხოვრები 16 წლის მოზარდები იყვნენ და ვინაიდან არასრულწლოვნების გამო ალკოჰოლს არავინ მიჰყიდდათ, ფრიად უწყინარი სასმელი, ლიმონათი შეიძინეს, მანქანის საწვავი შეურიეს და მძაფრი ეფექტის მქონე ალკოჰოლიც გამოუვიდათ. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მოზარდებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს და დათვრნენ, მაგრამ სიტუაცია მეორე დილით გამწვავდა, როცა სტივენსონი მშობლებმა საწოლში გარდაცვლილი იპოვეს. რამდენიმე წუთში კი ბაირამს შეტევა ჰქონდა და სასწრაფოთი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა. სიკვდილამდე ბაირამმა პოლიციასა და მშობლებს მათი გამოგონილი ალკოჰოლის შესახებ მოუყვა და უთხრა, რომ მათ გარდა, კიდევ რამდენიმე მეგობარმა დალია.

სამედიცინო ცენტრის დირექტორი დონა სეგერი ამბობს, რომ კოქტეილი, როგორც ალკოჰოლი, ინტოქსიკაციას იწვევს და ადამიანი სხვადასხვანაირ ნეგატიურ შედეგამდე მიჰყავს, გულისრევიდან დაწყებული კომითა და სიკვდილით დამთავრებული.

პოლიციამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და ცდილობს, იპოვოს დანარჩენი მოზარდები, რომლებმაც აღნიშნული კოქტეილი დალიეს.

„ჩვენ არავის დასჯას არ ვაპირებთ, მხოლოდ გვინდა, რომ თქვენი უსაფრთხოება უზრუნველვყოთ, რადგან შესაძლოა, თქვენი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ იყოს“, – უხსნიდა ქალაქის მცხოვრებლებს პოლიცია.

***etotupo.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მსოფლიოს 7 ყველაზე არაჰიგიენური მამაკაცი



დიდ ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ ერთგვარი „წიკები“, მართალია, ეს ხელს არ უშლიდათ დიდების მიღწევაში, მაგრამ გარშემომყოფებს კი კარგად აწამებდნენ. დღეს ცნობილ ანტიჰიგიენურ კაცებზე ვისაუბრებთ.

– **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი** – კომპოზიტორი არასოდეს იბანდა და შეწუხებული გარშემომყოფების პროტესტზე გულუბრყვილოდ პასუხობდა, რომ წყლის მილები ტყვიას შეიცავდა და მოწამვლის ეშინოდა, თან დასძენდა: „პარანოია არ მაქვს“... თურმე, როცა ეძინა, მეგობრები სამოსს ჰპარავდნენ და ჩუმად ურეცხავდნენ.

– **მაო ძედუნი** – მაოიზმის შემქმნელი არასოდეს ბანაობდა და კბილებს არასოდეს იხეხავდა. ჭუჭყისადმი სიყვარულს კი ასე ხსნიდა – ვეფხვები არასოდეს ბანაობენ და არც კბილებს იხეხავენო. მოდი და ეკამათე...

– **ჩარლზ ჰოვარდი, ნორფოლკის მე-11 ჰერცოგი** – ჰერცოგი საკუთარ სხეულს წყლითა და საპნით არასოდეს შეურაცხყოფდა. ამიტომ მსახურები იძულებულები იყვნენ, ჰერცოგი მაშინ ებანავებინათ ხოლმე, როცა ის ღვინით უგონოდ თვრებოდა.

– **ჰენრი IV, საფრანგეთის მეფე** – მეფე ცნობილი თავისი გამოთქმით გახდა: „მინდა, რომ ყველა ჩემს მოქალაქეს კვირაობით მაგიდაზე ქათამი ჰქონდეს“.

მას კიდევ ერთი ცნობილი ფრაზა ეკუთვნის: „რას გადამეკიდეთ, არ მინდა დაბანა და არც დავიბან“.

იმის გამო, რომ სისუფთავემ ვერ მიპყრო მისი სამეფო ყურადღება, სუნიც შესაბამისი ჰქონდა, პატივცემულს... ლეგენდის მიხედვით, როცა მარია მედიჩი მას, როგორც საქმროს პირველად შეხვდა, ქალმა ჰენრის მამაკაცური ქარიზმისგან გონება დაკარგა. ეს ქარიზმა კი მისი წლობით ნაგროვები სურნელი იყო...

– **ფრიდრიხ მე-2 დიდი, პრუსიის მეფე** – ცნობილია, რომ გენიოსებისა და უჭკუოებისთვის ყველაფერი ნებადართულია. პრუსიის ტერიტორიის ერთი ორად გაფართოების შემდეგ, ფრიდრიხ მეორემ ვალი მოხდილად ჩათვალა და სან-სუსის სასახლეში დასვენება გადაწყვიტა. მის არმიას კი ნებართვა მიეცა, ნაგავი იქ დაეყარა, სადაც სურდა, მოსამსახურეებს კი დალაგების უფლება არ ჰქონდათ. იმასაც ამბობენ, რომ სასახლის ძაღლების ფეკალიები 20 სანტიმეტრსაც აღწევდა. ხოლო, როცა მეფე გარდაიცვალა და პერანგი გახადეს, ქსოვილი ოფლისგან დაშლილი იყო.

– **ჰოვარდ ჰიუზი** – ექსცენტრიკულ მილიარდერსა და ავიაციის პიონერს ჰიგიენის საკითხებში ორმაგი სტანდარტი ჰქონდა. ჰიუზი მოითხოვდა, რომ ყველა ნივთი, რაც მას სჭირდებოდა, ხელსახოცში ყოფილიყო გახვეული და მის თანამშრომლებს ხშირად ებანავათ. თავად კი, მხოლოდ ხელებს იბანდა, ფრჩხილებსა და თმას კი თვეობით არ იჭრიდა.

– **კარლ მარქსი** – სისუფთავე – ეს გადმონაშთია, ამბობდა მარქსიზმის შემქმნელი და გადაწყვიტა ბურჟუაზიული ინფექციის მსხვერპლი არ გამხდარიყო. სამაგიეროდ კანის არაერთი დაავადება კი წარმატებით აიკიდა. ვინაიდან არასოდეს უბანავია, როგორც ჩანს, ეს დაავადებები პრინციპის შენარჩუნებად უღირდა.

***bigpicture.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მალე უკანა ხედვის საავტომობილო სარკეები ისტორიას ჩაბარდება



კომპანია **BMW 2019** წლისთვის უკანა ხედვის გვერდითა სარკეების ვიდეოკამერებით შეცვლას აპირებს.

უფრო მეტიც, კომპანიის პერსპექტიული პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელმარ ფრიკენშტაინი აცხადებს, რომ მსგავსი სისტემა სერიულ ავტომობილებზე შეიძლება სამ წელიწადში გამოჩნდეს.

სავარაუდოდ, პირველი მოდელი, რომელიც სარკეების გარეშე დარჩება, მე-7 სერიის ახლანდელი **BMW** გახდება, რომლის გეგმური რესტაილინგი სწორედ 2019 წლისთვისაა ჩაფიქრებული.

უსაფრთხოების გაზრდის გარდა, გაუმჯობესებული აეროდინამიკის გამო საწვავის ხარჯის კლებაც შესამჩნევი იქნება.

მაგრამ სარკეების ვიდეოკამერებით შესაცვლელად ჯერ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაა საჭირო, რომლის მიხედვითაც მთელ რიგ ქვეყნებში ავტომობილის ექსპლუატაცია შესაბამის ადგილებში განთავსებული უკანა ხედვის სარკეების გარეშე აკრძალულია.

გასული თვის დასაწყისში **BMW**- ლას-ვეგასში გამოფენა **CES 2015**-ზე უკვე აჩვენა ჰიბრიდული სუპერქარი **i8**, რომელსაც უკანა ხედვის სარკეები არ ჰქონდა. კონცეპტმა **i8 Mirrorless**-მა ლამაზი წყვილი ვიდეოკამერა მიიღო, რომლებიც, გერმანელი ინჟინრების აზრით, ჩვეულებრივ სარკეებზე უფრო უკეთეს ხედვას განაპირობებს.

***alioni.info***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ცოლი სასეირნოდ წასვლას აპირებს.

ქმარი:

– აფთიაქში შეიარე და პრეზერვატივები გამოიყოლე, რა.

– უი, რას ამბობ? არ შემიძლია! ყველა ხომ მაშინვე მიხვდება, სექსით რომ დავკავდები. მრცხვენია და ვერ ვიყიდი!

– შენა და ქუჩაში ორ ბავშვთან ერთად სიარულის არ გრცხვენია?!

*****

კოტეს ცოლი დაქალთან წუწუნებს:

– ვერაფრით მომიფიქრებია, რა ვაჩუქო ქმარს დაბადების დღეზე – მას ხომ უკვე ყველაფერი აქვს, რაც მე მჭირდება?!

*****



კითხვა სომხურ რადიოს:

– ქორწინდებიან თუ არა ონანისტები?

პასუხი:

– დიახ – მწველავებზე!..

*****

– კოტე, შემთხვევით ხომ არ იცი, ქილერის დაქირავება რა ჯდება?

– რა ჯანდაბად გინდა?

– ბიჭო, ღამის 3 საათზე მეზობელი მირეკავს და მეკითხება: „ხომ არ გეძინა?“ მეც ვუპასუხე: „ჰო, მძინავს!“ მან კი: „კარგი, მაშინ ერთ საათში გადმოგირეკავ“... ჰოდა, მართლა დამირეკა იმ წამპალმა!!!

*****

სადილობისას ქმარი ცოლს აქებს:

– როგორი გემრიელი სალათია, ძვირფასო, შენ თვითონ იყიდე?..

*****

ისე, რომ თვალი არ მოუცილებია დივანზე მიყრილი ფრჩხილებისთვის, წამწამებისთვის, პარიკისთვის და კბილების პროთეზისთვის, კოტე ტიროდა და ლოცულობდა:

– ღმერთო, დამიფარე და მიხსენი მისგან, ვინც ახლა აბაზანიდან გამოვა!!!

*****



როგორ უნდა დაამარცხოთ ქალი კამათის დროს:

1. დაიწყეთ ქალთან კამათი;
2. დაიწყეთ ტირილი პირველმა.

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი იუწყება, რომ გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნოდარ ფოფორაძეს გარდაეცვალა მამა

### გიორგი (გიგა) ფოფორაძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.
**პანაშვიდი:** 7, 8 თებერვალს, 16:00 საათზე.
**დაკრძალვა:** სამშაბათს, 9 თებერვალს, 14 საათზე.
**მისამართი:** ქ. თბილისი მაღალაშვილის ქ. №8
(შანხაის ტერიტორია, წმ. ილია მართლის ეკლესიასთან).



ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ზაზა აზმაიფარაშვილი

**პანაშვიდი:** 8 თებერვალს.
**გამოსვენება:** 9 თებერვალს, 14 საათზე.
**მისამართი:** ბერბუკის ქ. №10, მე-3 სადარბაზო.

*გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას*

## ბარდა გულისა და თირკმელების დაავადებებისას დაგეხმარებათ



ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბევრი სხვა პროდუქტისგან განსხვავებით, ბარდა ერთდროულად რამდენიმე სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ასევე, თირკმელებზეც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა კანადელმა მეცნიერებმა ჩაატარეს.

მათი განმარტებით, ზოგიერთი ნივთიერების კომბინაცია, რომელიც სასარგებლოა და ბარდის ექსტრაქტში შედის, ადამიანების ორგანიზმზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. კერძოდ, საუბარია პაციენტებზე მაღალი არტერიული წნევით, რაც შედეგად თირკმელების ფუნქციონირების მოშლას იწვევს.

კანადელი მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ბარდის ექსტრაქტი შეიძლება მიიღონ ადამიანებმა, რომლებსაც ჰიპერტონიული დაავადებები აწუხებთ. ასევე, თირკმელების დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით. გარდა ამისა,

აღნიშნული მიგნებიდან გამომდინარე, სპეციალისტები აპირებენ, ბარდის დანამატის დამზადებას, რომელსაც პაციენტები საკვებთან ერთად 6-8 თვის მანძილზე მიიღებენ და ჰიპერტონიისა და ამით თირკმელების დაავადების რისკს 5-ჯერ შეამცირებენ

*mndg.ru*

## დიაგნოზი თმების მდგომარეობის მიხედვით



ექიმები ერთ ძალიან საინტერესო საიდუმლოს ამხელენ, რომელიც საშუალებას იძლევა, კონკრეტული ადამიანის ავადმყოფობა მისი თმების მდგომარეობის გათვალისწინებით გამოაშკარავდეს. რაც მთავარია, მეთოდი რთული სულაც არ არის და გარკვეული წარმატებების მიღწევას, ალბათ, ყველა შეძლებს.

მსხვრევადი თმის ღერები გვამცნობენ, რომ ადამიანს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებს.

თმის ცვენის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფარისებრი ჯირკვალი მთლად საუკეთესო მდგომარეობაში არ უნდა იყოს. არასწორი კვების შედეგი შეიძლება გახდეს თმის ღერების დაბოლოებების დაყოფა, ხოლო თმის ნელი ტემპებით ზრდა ნერვული სისტემის სისუსტეებზე მიუთითებს.

იმ შემთხვევაში, თუკი თმა მოულოდნელად მუქდება, ორგანიზმი განიშნებთ, სასწრაფოდ ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლს უნდა მიხედოთ, თანაც სასწრაფოდ!

რაც შეეხება ჭაღარის გაჩენას, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: დიდი რაოდენობით მარილის მიღება, სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირების მოშლა, მჟავიანობის მომატება და სისხლით გულის მომარაგების დანაკლისი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medportal.ru*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

## სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 435 553**

რედაქტორი **მანანა გიორგაძე**





საერთაშორისო კატეგორიის უმაღლესი კლასის ბიოენერგოთერაპევტი, ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, სახელგანთქმული ქართველი ექიმი თინათინ მაჩაიძე დაგისვამთ უტყუარ დიაგნოზს და მოგიგვარებთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც მუშაობს განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით, უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს.

მკურნალობს ნევროზებსა და ნერვული სისტემის მოშლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრობლემას, შიშებს, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებს, ენერგიის ნაკლებობას, თავის ტკივილს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვისა და სახსრების ანთებას, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის ანთებებს, ენურეზს, ალერგიებს, ჰაიმორიტს, გინეკოლოგიურ პრობლემებს, სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას და ასე შემდეგ.

დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით:

**599-58-69-47, 555-12-78-30,**

**235-18-68** ოფისი.

პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.



სახის მოვლის უნიკალური საშუალებები იტალიისა და საქართველოს მოქალაქემ მილანში სახელგანთქმული ფრანგი ექიმი კოსმეტოლოგისგან შეისწავლა.

სახის მოვლის უნიკალური საშუალებების დამზადება, რომელიც გაგაახალგაზრდავებთ, ხოლო ახალგაზრდებს გაგიუმჯობესებთ კანის ფერს, გააქრობს კანის ყველა ნაკლს და მომხიბვლელობას დიდხანს შეგინარჩუნებთ. მისი ზოგიერთი კრემი და ნიღაბი ბოტოქსის ეფექტით გამოირჩევა.

მისი გამოყენების შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ, თავიდან აიცილოთ ძვირად ღირებული პროცედურები და ინექცია.

ქ-ნი ნათია ამჟამად საქართველოშია და მზად არის, ქართველ ქალბატონებსაც მიანიჭოს გაახალგაზრდავებით გამოწვეული სიხარული.

**555 09-81-81**


## გვითხარით, როგორი ბუტერბროდი გიყვართ და გეტყვით, ვინ ხართ თქვენ...

ძალიან ბევრი რამ იცვლება დროთა განმავლობაში. ასე მაგალითად, თუკი უხსოვარი დროიდანაც კი ადამიანს მისი სამეგობრო წრის გათვალისწინებით შეიცნობდნენ, დღეს უკვე ამის გაკეთება ბუტერბროდითაც კი ყოფილა შესაძლებელი.

დიახ, სწორედ ბუტერბროდის დახმარებით ისწავლეს ბრიტანელებმა ადამიანის ხასიათის თავისებურებების დადგენა.

რამდენად შეიძლება მათი მეთოდის გათვალისწინება, თავს ნამდვილად ვერაფერზე დავდებთ, თუმცა დეტალებზე მაინც მოგიყვებით:

მაგალითად, ადამიანები, რომლებიც მაღალი ინტელექტუალური მაჩვენებლებით გამოირჩევიან, უპირატესობას ყველსა და პურს ანიჭებენ მარინადთან ერთად. მეოცნებეების არჩევანია ყველი და ლორი, მათთან ერთად კი – სალათი. მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი სიამოვნებით შეექცევა პურს მაიონეზთან და კვერცხთან ერთად.

კრევეტები შავ პურთან ერთად მგრძნობიარე ადამიანების არჩევანია, ქათამი კი ყურადღების ცენტრში ყოფნის ტრფიალების სისუსტეა. ძროხის ხორცს აქტიური და იმპულსური ადამიანები ირჩევენ, არისტოკრატები კი შიმშილის გრძნობას სიმინდით, თეთრი პურითა და თინუსით იკლავენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*woman.ru*

## ქოთანი



ახალწვეული სამედიცინო შემოწმებას გადის. ოკულისტი:

– ამ ასოებს ხედავთ?

– ვერ ვხედავ, ექიმო.

– აბა, უფრო ახლოს მოდით. ახლა?

– ისევ ვერ ვხედავ.

– კიდევ უფრო ახლოს მოიწიეთ. დაინახეთ?

– ვერა!

– სახე ახლოს მიიტანეთ, ხედავთ რამეს?

– კი, ახლა თითქოს გამოჩნდა...

– ესე იგი, მანძილი – 50 სანტიმეტრი. ჩაწერეთ: „ვარგისია ხელჩართული ბრძოლისთვის"...

*****



კოტეს ქუჩაში ძმაკაცი შეხვდა:

– რამ დაგამწუხრა ასე, კოტეს შემოვევლე?

– საშინელი სიზმარი ვნახე, კაცო, ნამდვილი კოშმარი – ვითომ, ანჯელინა ჯოლი, მონიკა ბელუჩი, კამერონ დიასი და ჩემი ცოლი როზა ჩემ გამო ჩხუბობდნენ, დაასისხლიანეს ერთმანეთი...

– და რატომ არის ეგ კოშმარი?

– როზამ გაიმარჯვა!..

*****

– თქვენი იყო ის ვირთხა, ჩემს ეზოში რომ შემოვარდა?

– რა ვირთხა, კაცო, ძაღლია ჩემი, უიშვიათესი ჯიშის – ჯუჯა ტაქსა!

– რა ვიცი, ჩემმა კატამ კი სიამოვნებით შეჭამა და...

*****

კონსერვატორიაში გამოცდაზე სტუდენტს ეკითხებიან:

– რამდენი სიმფონია დაწერა ბეთჰოვენმა?

– აუ, რაოდენობა არ ვიცი, პატივცემულო, მაგრამ ხარისხზე „ატვეჩაი" ვარ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატები*


**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაჭავაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2298-0016

9 772298 001007

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი 80-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.15